

საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი

სპეციალური გამოცემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია

დეკემბერი 2021

გამოცემა №1-2 / 2021

რამდენ არნოდო

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი და ანთროპოცენტრულ ღირებულებათა წესრიგი — საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანამედროვეობის შესახებ

ირაკლი კლდიაშვილი

ამერიკის კონსტიტუციონალიზმისა და ძირითადი უფლებების გაგება, ისტორიული რეტროსპექტივა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით დეკლარირებული ღირებულებები

მალხაზ მაცაბერიძე

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია — საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო

დიმიტრი გეგენავა

საქართველოს პირველი კონსტიტუცია: მითებსა და სინამდვილეს შორის

ვახუშტი მენაბდე

უშუალო დემოკრატიის იდეა საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში

პაატა ჯავახიშვილი

უცვლელი ნორმის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში

ნიკა არევაძე

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი: საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სოციალურ საკითხებზე

რევაზ ხოფერიას

აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე)

ანა ბერიძე

სიცოცხლის უფლება კლიმატის ცვლილების კონტექსტში

გულიკო მაჭარაშვილი, თამარ თნიანი

კონსტიტუციური მენსიურება: დაივიწყა თუ არა კანონდებელმა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლით გაკვალული გზა ადამიანის უფლებებისთვის?!

საქართველოს გრიგოლ რობაქიძის
საკონსტიტუციო სახელობის
სასამართლო უნივერსიტეტი

უკ (UDC) 34
ISSN-2587-5337



საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლო



ბრიტოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:
მერაბ ტურავე

სარედაქციო საბჭოს წევრები:

რინერ არნოლდი
ბიორგი დგებუაძე
ბენიკ ლოლაძე
ვახუშტი მენაბდე
ბიორგი მირიანაშვილი
ეკვარდ ვახე
თეიმურაზ ტულუში
ანა ფირცხალაშვილი
ბიორგი ჩხეიძე

რედაქტორი - ბიორგი დგებუაძე

გამოცემაზე მუშაობდნენ - ბიორგი ლომთაძე, ბიორგი ფყოიძე

თარგმნა - ეკატერინე ლომთათიძე, ცისინა ოქროპირიძე

სტილისტი - ევა ჩიკაშა

ჟურნალში ნაშრომები განთავსებულია Creative Commons Attribution (CC BY) 2.0 ლიცენზიით.
სალიცენზიო პირობები ხელმისაწვდომია აქ: <https://creativecommons.org/licenses/by/2.0/legalcode>



კ. გამსახურდიას ქუჩა 8/10 | მ. აბაშიძის ქუჩა 16/18 ბათუმი, 6010
ელ. ფოსტა: jcl@constcourt.ge

წინასიტყვაობა



2021 წელს საქართველო პირველი კონსტიტუციის 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია - დოკუმენტი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის

უდიდესი ისტორიულ-პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. 1921 წლის კონსტიტუცია გამორჩეულად პროგრესული დოკუმენტი იყო, რომელიც სრულად უწყობდა ფეხს იმდროინდელ ევროპულ სამართლებრივ ტრადიციებს. საქართველოს პირველი კონსტიტუციის პროგრესულობის მახასიათებელ ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს ის, რომ კონსტიტუციით გარანტირებული იყო კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, წოდებრივი განსხვავების არარსებობა, ქალთა საარჩევნო უფლება, გაუქმებულ იქნა სასჯელის სახედ სიკვდილით დასჯის გამოყენება, განმტკიცებულ იქნა სეკულარული სახელმწიფოს პრინციპი, ისევე როგორც უმცირესობათა და სხვა ძირეული სამოქალაქო-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური უფლებები. ცალკე აღნიშვნის ღირსია 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პროცესი, რომელიც საკითხის სიღრმისეულ, ყოვლისმომცველ შესწავლასა და ევროპული ტრადიციების საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას ეფუძნებოდა და, ამასთანავე, იყო ინკლუზიური, თანაბრად აერთიანებდა რა დამფუძნებელი კრების ყველა პოლიტიკურ პარტიას. პირველი კონსტიტუციის შემუშავებისა და განხილვის პროცესის ქრონიკა ერთმნიშვნელოვნად წარმოაჩენს ქართული პოლიტიკური კლასის მოწიფულობას. 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობა საქართველოს სახელმწიფოებრივი ტრადიციების საფუძველი და მისი მომავალი განვითარების საწინდარია. სწორედ ამ მემკვიდრეობას ეყრდნობა საქართველოს დღეს მოქმედი კონსტიტუცია.

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე ნომერი სპეციალური გამოცემაა, რომელიც სწორედ საქართველოს პირველი კონსტიტუციის თემატიკას, მისი ნორმატიული გადაწყვეტების შინაარსობრივ ანალიზსა და ღირებულებითი მემკვიდრეობის გააზრებას

ედღვნება. გამოცემა აერთიანებს ათ აკადემიურ ნაშრომს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორებისაგან. სასიხარულოა, რომ ჟურნალში მოცემულია ცნობილი ევროპელი კონსტიტუციონალისტის, რეგენსბურგის უნივერსიტეტის პროფესორ რაინერ არნოლდის ნაშრომი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ნორმატიულ-ღირებულებითი საფუძვლების, მისი მიზნებისა და ამოცანების ანალიზს ეთმობა თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის პრინციპების შუქზე.

ჟურნალში ასევე თავმოყრილია ქართველი მეცნიერ-მკვლევარების ნაშრომები საქართველოს პირველ კონსტიტუციასთან არსებითად დაკავშირებულ მრავალ საკითხზე, კერძოდ: საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით დეკლარირებული ღირებულებების გააზრება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციონალიზმის პრიზმიდან (კონექტიკუტის უნივერსიტეტის დოქტორანტის, ირაკლი კლდიაშვილის ავტორობით), პირველი კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პროცესის, ასევე, იმ ძირეული პრინციპების – ერის დამოუკიდებლობისა და პიროვნული თავისუფლების – გაანალიზება, რომელსაც დაეფუძნა 1921 წლის კონსტიტუცია (პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის ავტორობით), პირველი კონსტიტუციის შემუშავებისა და შინაარსთან დაკავშირებული რამდენიმე მითის გააზრება (პროფესორ დიმიტრი გეგენავას ავტორობით), 1921 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის სიღრმისეული ანალიზი, მისი შეფასება უშუალო დემოკრატიის იდეის თეორიული ჩარჩოდან (ასოც. პროფესორ ვახუშტი მენაბდის ავტორობით), დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც კონსტიტუციის მუდმივი და უცვლელ ნორმად ჩამოყალიბების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის, პაატა ჯავახიშვილის ავტორობით), სოციალური უფლებების თეორიასა და პრაქტიკაში არსებული საერთაშორისო ტენდენციების ფონზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრაქტიკის გაანალიზება (ლუნდის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მაგისტრის, ნიკა არევაძის ავტორობით), აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციური უფლების შინაარსობრივი სტანდარტების გააზრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს კანონმდებლობისა და იურისპრუდენციის ანალიზის საფუძველზე (სამართლის დოქტორის, რევაზ ხოფერიას ავტორობით), სიცოცხლის კონსტიტუციური უფლების დაცული სფერო კლიმატის ცვლილების კონტექსტში (დანდის უნივერსიტეტის გარემოსდაცვითი სამართლის მაგისტრის, ანა ბერიძის ავტორობით) და პირველი კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა

კატალოგის დანაწესის – რომ კონსტიტუციაში მითითებულ უფლებებს არ აქვთ ამომწურავი ხასიათი – შეფასება საქართველოს დღეს მოქმედი კონსტიტუციის შუქზე (ავტორები: გულიკო მაჭარაშვილი, სამართლის მაგისტრი და თამარ ონიანი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი).

იმედს გამოვთქვამ, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე გამოცემა ღირებულ წვლილს შეიტანს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის, მისი სამართლებრივ-ღირებულებითი მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და კვლევაზე დაფუძნებული დისკუსიის წარმართვის პროცესში.

პროფესორი **მერაბ ტურავა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

სარჩევნი

რანინერ არნოლდი

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი და ანთროპოცენტრულ ღირებულებათა წესრიგი – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანამედროვეობის შესახებ

| | |
|--|----|
| შესახებ | 13 |
| აბსტრაქტი | 13 |
| I. კონსტიტუცია და კონსტიტუციონალიზმი | 13 |
| 1. რა არის კონსტიტუცია? | 13 |
| 1.1. კონსტიტუციის ფუნქციური კონცეფცია და მისი ინსტიტუციურ-ორგანიზაციული და სუბსტანციური განმარტებები | 14 |
| 1.2. კონსტიტუციის ფუნქციებთან დაკავშირებული ჭეშმარიტი დეფინიცია და მისი სამართლებრივი განსაზღვრის საკითხი | 15 |
| 2. კონსტიტუციონალიზმისა და კონსტიტუციონალიზაციის კონცეფცია | 17 |
| 3. კონსტიტუციონალიზაცია სახელმწიფოს გარეთ – ევროკავშირი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) და საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგი | 18 |
| 3.1. ევროკავშირის სამართალი როგორც ფუნქციონალური კონსტიტუციური წესრიგი | 18 |
| 3.2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია როგორც „ევროპული წესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტი“ | 22 |
| 3.3. კონსტიტუციური ელემენტები საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგში | 25 |
| 4. ტერმინოლოგიის შეჯამება | 26 |
| II. კონსტიტუციონალიზმის საფუძვლები | 27 |
| 1. ანთროპოცენტრული საბაზისო მიდგომა | 27 |
| 2. თავისუფლების უზრუნველყოფა აქტიური დაცვის გზით – სარგებელზე ორიენტირებული (პოზიტიური) უფლებები, ფუნდამენტური სოციალური უფლებები და საარსებო მინიმუმის მიღების უფლება | 31 |
| 3. კანონის უზენაესობა როგორც ინსტიტუტებზე ღირებულებების გადაცემის გზა | 32 |
| 4. ღია სახელმწიფოებრიობის კონცეფცია | 33 |
| 5. ფუნდამენტურ ღირებულებათა ფუნქციონალური ერთიანობა | 33 |
| 6. განსხვავებული ფორმები და ფუნქციური ბირთვი | 34 |
| 7. ნორმატიული რეალობა და მისი აღქმა | 34 |
| 8. კანონების და სისტემების შედარება | 35 |
| 9. სისტემისთვის აუცილებელი და შეცვლადი ნორმები კონსტიტუციაში | 35 |
| 10. ანთროპოცენტრულ ღირებულებათა ძირითადი წესრიგი და მისი გოგადი მნიშვნელობა ინდივიდებზე ძალაუფლების განმასრვლებელი სისტემებისთვის | 36 |
| III. თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ტენდენციები – რამდენიმე ძირითადი ასპექტი | 37 |
| 1. ინდივიდუალიზაციის მიმართ ტენდენცია | 37 |

| | |
|--|----|
| 1.1. ძირითადი ტენდენციების კავშირი | 37 |
| 1.2. კონსტიტუციური და ინსტიტუციური განვითარება | 37 |
| 2. კონსტიტუციონალიზაციის ტენდენცია | 41 |
| 2.1. კანონის უზენაესობის პრინციპი და კონსტიტუციონალიზაციის განვითარება .. | 41 |
| 2.2. კანონის უზენაესობა როგორც უნივერსალური პრინციპი | 42 |
| 2.2.1. სამართალსა და პოლიტიკას შორის ურთიერთობა | 42 |
| 2.2.2. კანონიერება და კონსტიტუციურობა | 43 |
| 2.2.3. კანონის უზენაესობა და ანთროპოცენტრული ფუნდამენტური ღირებულებები | 43 |
| 2.2.4. კანონის უზენაესობის ასპექტები | 44 |
| 2.2.5. კანონის უზენაესობა როგორც თავისუფლების უზრუნველყოფის ემსტრასახელმწიფოებრივი მოდელი | 45 |
| 2.2.6. კონსტიტუციური მართლმსაჯულება როგორც „კანონის უზენაესობის სრულყოფილება“ | 46 |
| 2.2.7. კონსტიტუციური მართლმსაჯულება და პოლიტიკა | 48 |
| 2.2.8. კონსტიტუციური მართლმსაჯულება და ხელისუფლების დანაწილება | 50 |
| 3. ინტერნაციონალიზაციისადმი ტენდენცია | 51 |
| IV. საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის თანამედროვეობა – ანთროპოცენტრულ ფუნდამენტურ ღირებულებათა წესრიგი | 55 |

ირაკლი კლდიაშვილი

| | |
|---|-----------|
| ამერიკის კონსტიტუციონალიზაციისა და ძირითადი უფლებების გაგება, ისტორიული რეტროსპექტივა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით დეკლარირებული ღირებულებები | 63 |
|---|-----------|

| | |
|--|----|
| აბსტრაქტი | 63 |
| I. დამოუკიდებლობის გამოცხადება | 63 |
| II. „თავისთავად ცხადი“ ჭეშმარიტება | 65 |
| III. სოციალური კონტრაქტი | 65 |
| IV. „სრულყოფილი თავისუფლების მდგომარეობა ... “ | 68 |
| V. „განუყოფელი უფლებები“ | 69 |
| VI. დანერგული კონსტიტუცია | 70 |
| VII. ბუნებრივი უფლებები | 75 |
| VIII. დასკვნა | 80 |

მალხაზ მაცაბერიძე

| | |
|--|-----------|
| საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია – საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო | 81 |
|--|-----------|

| | |
|---|----|
| აბსტრაქტი | 81 |
| I. კონსტიტუციის შემუშავება – დამფუძნებელი კრების უმთავრესი ამოცანა | 81 |
| II. ლონისძიებანი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დასაჩქარებლად | 84 |
| III. კონსტიტუციის პროექტის საბოლოო რედაქტირება საკონსტიტუციო კომისიის მიერ | 86 |

| | |
|--|----|
| IV. დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაწყება | 90 |
| V. დისკუსია ცენტრალური ხელისუფლების მოწყობის თაობაზე | 91 |
| VI. ფრაქციების წინადადებების განხილვა კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით, ესერების ალტერნატიული პროექტი | 92 |
| VII. დისკუსია კონსტიტუციის მიღების პროცედურის თაობაზე | 92 |
| VIII. როდის დაამთავრებდა დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის განხილვას .. | 93 |
| IX. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დაწყება, კონსტიტუციის მიღება და გამოქვეყნება | 95 |
| X. 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედების საკითხი | 96 |
| XI. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია | 99 |

დღივითი გეგმავა

საქართველოს პირველი კონსტიტუცია: მითებსა და სინამდვილეს შორის 103

| | |
|---|-----|
| აბსტრაქტი | 103 |
| I. შესავალი | 103 |
| II. პირველი კონსტიტუცია – პირველი გამოცდილება | 105 |
| III. საკონსტიტუციო დებულებები და მითითური საბურველი | 107 |
| 1. საუკეთესო კონსტიტუცია | 107 |
| 2. ნაჩქარევად მიღებული და შემდეგ შეჩერებული | 108 |
| 3. აქტი პრაქტიკული მოქმედების გარეშე | 110 |
| 4. ძლიერი საპარლამენტო რესპუბლიკა | 110 |
| IV. რა მოხდებოდა, რომ?... .. | 111 |
| V. დასკვნა | 112 |

ვახუშტი მენაბდე

უშუალო დემოკრატიის იდეა საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში

| | |
|--|-----|
| აბსტრაქტი | 113 |
| I. შესავალი | 114 |
| II. რესპუბლიკური მოწყობის მარქსისტული ტიპოლოგია | 118 |
| III. სახელმწიფო მოწყობის სამი მოდელი | 121 |
| IV. სახელმწიფო და ხალხი | 125 |
| V. აღმასრულებელი ხელისუფლების მოწყობა | 128 |
| 1. ხელისუფლების დაყოფა (მთავრობის ადგილი) | 128 |
| 2. აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა | 130 |
| 3. კოლეგიური მმართველობა | 141 |
| 4. პრეზიდენტის უარყოფა | 142 |
| 5. მთავრობის თავმჯდომარე და კაბინეტი | 145 |

| | |
|---|-----|
| VI. პარლამენტი | 147 |
| 1. კომპეტენცია და ვადა | 147 |
| 2. ბიკამერალიზმი და დათხოვნა | 149 |
| 3. საარჩევნო სისტემა | 150 |
| VII. ცენტრი და ადგილობრივი თვითმმართველობა | 154 |
| 1. აღმასრულებელი ძალაუფლება დემოკრატიულ რესპუბლიკაში..... | 154 |
| 2. ადგილობრივი თვითმმართველობა | 156 |
| VIII. სასამართლო სისტემა | 159 |
| IX. რეფერენდუმი და სახალხო ინიციატივა | 163 |
| 1. ზოგადი საფუძვლები | 163 |
| 2. კონსტიტუციური რეფერენდუმი და დამფუძნებელი ძალაუფლება | 167 |
| X. დასკვნა | 168 |

პაატა ჭავჭავაძის

| | |
|---|------------|
| უცვლელი ნორმის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში | 171 |
| აბსტრაქტი | 171 |
| I. შესავალი | 172 |
| II. პოლიტიკური წყობილების საკითხი საქართველოს სადამფუძნებლო აქტებში | 173 |
| III. პოლიტიკური წყობილების საკითხი პოლიტიკურ პარტიათა დღის წესრიგში | 175 |
| IV. „მოდერნი“ საკონსტიტუციო ნორმები „უცვლელობის“ გარანტია? | 179 |
| V. დასკვნა | 181 |

ნიკა არევაძე

| | |
|--|------------|
| სოციალური სახელმწიფოს პრინციპი: საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სოციალურ საკითხებზე | 183 |
| აბსტრაქტი | 183 |
| I. შესავალი | 184 |
| II. კონსტიტუცია და სოციალური უფლებები | 186 |
| III. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი | 190 |
| 1. სასამართლო სოციალური უფლებების ბუნების შესახებ | 191 |
| 2. სასამართლო მატერიალური სოციალური უფლებების შესახებ, რომლებიც ამოღებულ იქნა კონსტიტუციის მეორე თავიდან | 195 |
| 3. სასამართლო კონსტიტუციის მეორე თავში არსებული, მოქმედი სოციალური უფლებების შესახებ | 197 |
| 4. სასამართლო სოციალურ საკითხებთან მიმართებით თანასწორობისა და ღირსების შესახებ | 202 |

| | |
|---|-----|
| 5. სასამართლო სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით (ჯამში) | 205 |
| IV. სოციალური უფლებების დასაბუთება | 207 |
| 1. გამოწვევები | 207 |
| 2. გამოწვევების დაძლევის პოტენციური მეთოდები | 210 |
| V. დასკვნა | 215 |

რევაზ ხოფერიას

| | |
|---|------------|
| აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე) | 217 |
|---|------------|

| | |
|---|-----|
| აბსტრაქტი | 217 |
| I. შესავალი | 218 |
| II. აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობა | 219 |
| III. აკადემიური თავისუფლება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში | 221 |
| 1. ძირითადი კანონით [კონსტიტუციით] გათვალისწინებული რეგულაცია | 221 |
| 2. უფლებით დაცული სფერო და უფლების სუბიექტები | 222 |
| 3. სასამართლო პრაქტიკა | 224 |
| IV. აკადემიური თავისუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში | 226 |
| 1. დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლება თუ კონსტიტუციური ინტერესის სფერო? | 226 |
| 2. სასამართლო პრაქტიკა | 227 |
| 2.1. HAZELWOOD SCHOOL DISTRICT V. KUHLMEIER | 228 |
| 2.2. PICKERING-CONNICK-GARCETTI (PCG) | 229 |
| V. აკადემიური თავისუფლება საქართველოში | 230 |
| 1. კონსტიტუციით გათვალისწინებული რეგულაცია | 230 |
| 2. აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის საკანონმდებლო საფუძვლები | 231 |
| 2.1. ზოგადი განათლების სფერო | 231 |
| 2.2. პროფესიული განათლების სფერო | 232 |
| 2.3. უმაღლესი განათლების სფერო | 232 |
| 2.4. განათლების ხარისხის რეგულირება | 233 |
| VI. დასკვნა | 233 |

ანა ბერიძე

| | |
|--|------------|
| სიცოცხლის უფლება კლიმატის ცვლილების კონტაქტში | 235 |
|--|------------|

| | |
|---|-----|
| აბსტრაქტი | 235 |
| I. შესავალი | 235 |
| II. სიცოცხლის უფლება | 238 |
| III. კლიმატის ცვლილების საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი და სიცოცხლის უფლება | 242 |

| | |
|--|-----|
| IV. სასამართლო პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა სამართალი კლიმატის ცვლილების კონტექსტში | 246 |
| V. დასკვნა | 251 |

გულიკო მაჭარაშვილი, თამარ ონიანი

| | |
|---|------------|
| კონსტიტუციური მენსიურება: დავიწყა თუ არა კანონმდებელმა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლით გაკვალული გზა ადამიანის უფლებებისთვის?!..... | 253 |
| აბსტრაქტი | 253 |
| I. შესავალი | 254 |
| II. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლი – მნიშვნელობა და ისტორიული რაკურსი | 255 |
| III. აშშ-ის კონსტიტუციის IX შესწორება – ფუნქცია და როლი ადამიანის უფუნდამენტური უფლებების სამართლის განვითარებაში | 256 |
| 1. IX შესწორების მიღების მოკლე ისტორიული რაკურსი | 256 |
| 2. მემწიერთა მოსაზრებები IX შესწორებასთან დაკავშირებით – რას ნიშნავს „შენარჩუნებული უფლებები“? | 258 |
| 2.1. მემწიერთა შესწორება და ბუნებრივი უფლებები | 259 |
| 2.2. მემწიერთა შესწორება – არანაირი ინდივიდუალური უფლებები | 260 |
| 2.3. მემწიერთა შესწორება და საერთაშორისო სამართალი | 261 |
| 2.4. მემწიერთა შესწორების თანამედროვე მისია..... | 261 |
| 3. სასამართლოს პრაქტიკა IX შესწორებასთან დაკავშირებით | 262 |
| 3.1. სასამართლო პრაქტიკა <i>GRISWOLD V. CONNECTICUT</i> საქმეზე | 262 |
| 3.2. <i>GRISWOLD V. CONNECTICUT (1965)</i> | 263 |
| 3.3. სასამართლო პრაქტიკა <i>GRISWOLD V. CONNECTICUT</i> საქმის შემდეგ | 264 |
| 4. შეჯამება | 265 |
| IV. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 39-ე მუხლი | 266 |
| 1. 39-ე მუხლი – ცოცხალი კონსტიტუციის მემწიერთი? | 267 |
| 2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა 39-ე მუხლთან დაკავშირებით | 269 |
| V. შემცირდა თუ არა 39-ე მუხლის მეორე თავიდან პირველ თავში გადატანით, უფლების დაცულობის მატერიალური და საპროცესო ბარანტიები? | 273 |
| VI. დასკვნა | 278 |

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი და ანთროპოცენტრულ ღირებულებათა წესრიგი – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანამედროვეობის შესახებ

აბსტრაქტი

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი ემყარება ადამიანზე ორიენტირებული ღირებულებების ფუნდამენტურ წესრიგს: ადამიანის ღირსებას, თავისუფლებასა და თანასწორობას. ეს ანთროპოცენტრული ღირებულებები ფუნქციურადაა ურთიერთკავშირში. კანონის უზენაესობა მათ გადასცემს ინსტიტუტების სფეროს, რომლებმაც თავად უნდა შეასხან ხორცი ამ ღირებულებებს და აღასრულონ ისინი ინდივიდებთან მიმართებაში. ჭეშმარიტი კონსტიტუცია შეიცავს ძირითადი ფასეულობების ამ წესრიგს, წერილობითი სახით თუ იმპლიცისტურად. ეს ღირებულებები უნივერსალურია, ყოველ შემთხვევაში, მათ ფუნქციურ არსში. შესაბამისად, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმს ახასიათებს სამი არსებითი ტენდენცია: ინდივიდუალიზაცია, კონსტიტუციონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია.

საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია შეესაბამება თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის არსებით სტანდარტებს და შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვედ, განსაკუთრებით, მისი ფუნდამენტური ღირებულებების სისტემასთან მიმართებით.

I. კონსტიტუცია და კონსტიტუციონალიზმი

1. რა არის კონსტიტუცია?

იმისთვის, რომ გავაანალიზოთ თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ძირითადი ტენდენციები, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია რელევანტური ტერმინების განსაზღვრა. ეს უნდა დაიწყოს ტერმინით – „კონსტიტუცია“, რომელიც მხოლოდ ბოლო ხანებში გამოჩნდა და წარმოადგენს სამართლებრივად განუსაზღვრელი ცნების – „კონსტიტუციონალიზმის“ ბირთვს. სხვა ენებში, მაგალითად, როგორცაა გერმანული, სემანტიკური თვალსაზრისით, ტერმინი „კონსტიტუცია“ არ არის პირდაპირ „კონსტიტუციონალიზმთან“ დაკავშირებული, თუმცა, კონცეპტუალური თვალსა-

* Professor Dr. Dr. h.c. mult., Chair of Public Law (Emeritus), Jean Monnet Chair *ad personam*, University of Regensburg, Germany [jean.monnet@gmx.de]

ზრისით, ის მას აშკარად უკავშირდება. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა შევეცადოთ „კონსტიტუციის“ განმარტებას.

1.1. კონსტიტუციის ფუნქციური კონცეფცია და მისი ინსტიტუციურ-ორგანიზაციული და სუბსტანციური განზომილებები

ტერმინი „კონსტიტუციის“ ზოგადად მოქმედი განმარტება არ არსებობს. ლინგვისტური თვალსზრისით, განსხვავებულია მასთან დაკავშირებული ტერმინები სხვადასხვა ენაში. ტერმინი „კონსტიტუცია“ მომდინარეობს ლათინური „*constitutio*“-დან, ის ძალიან ფართო მნიშვნელობისაა და გულისხმობს სახელმწიფოს „დაარსებას“, წესრიგის დამყარებას, თავისუფალი, ძირითადად მოწესრიგებელი საზოგადოების გარდაქმნას მოწესრიგებულ, განსაზღვრულ, ზედმიწევნით რეგულირებულ სახელმწიფოდ. ჟან-ჟაკ რუსოს¹ შეხედულებებით, ეს წარმოადგენს ტრანსფორმაციას საზოგადოებიდან, ჯგუფიდან, ბრბოდან – მოწესრიგებულ საზოგადოებად. საწყის ეტაპზე „თავისუფლად დაბადებული ადამიანი“² ზღუდავს თავისუფლებას სხვა ადამიანებთან შეთანხმების გზით, რათა შექმნას ინსტიტუციონალიზებული საზოგადოება, რომელიც ფუნქციონირებს მისი ყველა წევრის საკეთილდღეოდ. ეს შეთანხმებული გარდაქმნა ხდება „სოციალური ხელშეკრულების“ გზით („*contrat social*“),³ ანუ „კონსტიტუციის“ მეშვეობით. შესაბამისად, მისი საბოლოო მიზანია, ერთი მხრივ, ორგანიზებული საზოგადოების შექმნა, რომელიც მიისწრაფვის საერთო სიკეთის ეფექტური რეალიზებისკენ.

ამასთან, ამ ინსტიტუციურ-ორგანიზებულ ასპექტებს ემატება სხვა მიზანი, რომელიც იმთავითვე არსებობს: თავისუფლად დაბადებული ადამიანის შეზღუდვამ არ უნდა გამოიწვიოს მორჩილება, ამის ნაცვლად, მან უნდა შეინარჩუნოს თავისუფლება, რომელიც რეალიზდება სწორედ შეზღუდვაში, რომელიც მიმართულია საერთო ლეგიტიმური ინტერესების სასარგებლოდ. გერმანული ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანამედროვე კონსტიტუციურ ენაზე ადამიანის ღირსებიდან მომდინარე თავისუფლების პრინციპი⁴ არის „საზოგადოებასთან დაკავ-

¹ Rousseau J. J., *Du Contrat Social ou Principes du Droit Politique*, 1762; Tremblay J. M., Digital version: <http://classiques.uqac.ca/classiques/Rousseau_jj/contrat_social/Contrat_social.pdf> [15.7.2021].

² Rousseau J. J., *Du Contrat Social ou Principes du Droit Politique*, 1762, Livre I, Chapitre 1.1. Tremblay J. M., Digital version: <http://classiques.uqac.ca/classiques/Rousseau_jj/contrat_social/Contrat_social.pdf> [15.7.2021].

³ Rousseau J. J., *Du Contrat Social ou Principes du Droit Politique*, 1762, Livre I, Chapitre 6; See also Livre II, Chapitre 3. Tremblay J. M., Digital version: <http://classiques.uqac.ca/classiques/Rousseau_jj/contrat_social/Contrat_social.pdf> [15.7.2021].

⁴ Judgment of the German Federal Constitutional Court of 20 July 1954 – BVerfGE 4, 7, 15-16, <<https://www.servat.unibe.ch/dfr/bv004007.html>> (15.7.2021).

შირებული და საზოგადოებით შეზღუდული“ თავისუფლება და არა ის თავისუფლება, რაც იზოლირებულ, სუვერენულ ინდივიდს გააჩნია. თავისუფლება არის პრინციპი და მისი შეზღუდვა საერთო სიკეთის სასარგებლოდ წარმოადგენს აუცილებელ გამონაკლისს, რომელიც უნდა იყოს გამართლებული. პროპორციულობის პრინციპი წარმოადგენს დღესდღეობით საყოველთაოდ აღიარებულ ინსტრუმენტს თავისუფლებისა და თავისუფლების ლეგიტიმურ შეზღუდვას შორის ზღვრის დადგენისთვის.

ამრიგად, თუ ჩვენ ფუნქციურად განვსაზღვრავთ ტერმინს „კონსტიტუცია“, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ჟან-ჟაკ რუსოს კონსტიტუციის ორი ძირითადი ელემენტი: ინსტიტუციონალურ-ორგანიზაციული განზომილება ანუ „ფორმალური კონსტიტუციურობა“ და იდეალური, ღირებულებებზე დაფუძნებული განზომილება, კერძოდ, „მატერიალური, სუბსტანციური კონსტიტუციურობა“. ორივე მათგანი განუყოფელი მთლიანობაა. კონსტიტუცია არ არის მხოლოდ ფორმალური ორგანიზაციული კანონი, არამედ ის თეორიულად მიზნობრივია. კონსტიტუციის ეს სუბსტანციური ასპექტი აუცილებელი შედეგია თავისუფალი ადამიანის ნებისა, რომ შექმნას საზოგადოება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ადამიანის ღირსების ძირითადი აქსიომის შედეგია. კონსტიტუციის დღევანდელი კონცეფციის არსებითი მახასიათებელია ადამიანზე ორიენტაცია. მოგვიანებით, ეს დეტალურად იქნება განმარტებული სტატიაში.

1.2. კონსტიტუციის ფუნქციებთან დაკავშირებული ჭეშმარიტი დეფინიცია და მისი სამართლებრივი განსაზღვრის საკითხი

კონსტიტუციის ცნების განსაზღვრება, როგორც აქ იქნა აღიარებული, ემყარება კონსტიტუციის ფუნქციას ანუ ის არის ფუნქციურ რეალობაზე ორიენტირებული განმარტება და არა უბრალო ნომინალური დეფინიცია. უკანასკნელი მოდელი, რომელიც ემყარება მხოლოდ ტერმინოლოგიას, არ იქნებოდა მიზანშეწონილი, მით უმეტეს, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში არსებულ კონსტიტუციასთან დაკავშირებული სახელწოდებები ცხადყოფს მათ შორის მკაფიო განსხვავებებს. აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ ტერმინები ფუნდამენტურად იქმნება კონვენციით ანუ „შეთანხმებით“ იმ პირთა შორის, ვინც იყენებს მათ და ვისაც ისინი გადაეცემა. ეს უკანასკნელი კონკრეტულ ტერმინს უკავშირებენ გარკვეულ მნიშვნელობას, რომელიც შექმნილია ტრადიციისა და კულტურული გარემოს მეშვეობით, როგორც ამ ტერმინის არსის ნაწილი.⁵

⁵ კონსტიტუციის ფუნქციებთან დაკავშირებული ჭეშმარიტი და ნომინალური დეფინიციის შესახებ იხ. Rüthers B., Fischer C., Birk A., *Rechtstheorie mit Juristischer Methodenlehre*, 11. Auflage, 2020, paras. 196-200, 134-136.

კონსტიტუციის ან ძირითადი კანონის⁶ ნომინალურ აღნიშვნას არ გააჩნია საკუთარი განსაზღვრული მნიშვნელობა, ის, უბრალოდ, ცხადყოფს რომ ის გამიზნულია ნორმების ერთობლიობის შექმნისკენ, რომელიც ტრადიციულად დაკავშირებულია ტერმინ „კონსტიტუციასთან“. არის თუ არა ეს რეალურად კონსტიტუციური, დამოკიდებულია მის ფუნქციურ სტრუქტურაზე. ამ ნორმების კონსტიტუციურობა სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ სახელმწიფოს ძირითადი წესრიგის ფუნქციებს: ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბებას და ანთროპოცენტრული ღირებულებითი წყობის განსაზღვრას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მოიცავს ადამიანის ღირსებას, თავისუფლებასა და თანასწორობას, რაც ინსტიტუტებისთვის სავალდებულოა კანონის უზენაესობის კონცეფციით.

ამის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება არსებობდეს კონსტიტუციის სამართლებრივი განმარტება, რადგან კონსტიტუცია აუცილებლად ანთროპოცენტრულია ანუ ის უკავშირდება ადამიანის ანთროპოლოგიურ აქსიომას; ნორმატიულად ეს ფაქტი არ შეიძლება შეიცვალოს. ამიტომ სამართლებრივ ნორმას არ შეუძლია კონსტიტუციურად განმარტოს კონსტიტუციის ცნება, ყველაზე მეტი რაც მას შეუძლია მისი დეკლარაციულად დადასტურებაა. სამართლებრივ ნორმას ნამდვილად არ შეუძლია ამ კონცეფციის შეცვლა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი წესრიგი ემყარება კონსტიტუციას და მხოლოდ მის მიერ არის ჩამოყალიბებული. სამართლებრივი წესრიგი ანუ კონსტიტუცია და ჩვეულებრივი კანონები ვერ განსაზღვრავს იმას, რაც თავდაპირველად შექმნილია იმით, რაც განმარტებას საჭიროებს. კონსტიტუციის შემუშავების უფლებამოსილება ქმნის კონსტიტუციას, ის ფაქტობრივ რეალობას გარდაქმნის ნორმატიულ რეალობად. ამით იგი უკავშირდება ანთროპოლოგიურ აქსიომას, რადგან ის ჭეშმარიტების საფუძველია. კონსტიტუციის შემუშავების პროცესი მნიშვნელოვანია, ის მიზნად ისახავს ადამიანების საზოგადოებად ჩამოყალიბებას (ორგანიზაციული წესრიგის ელემენტი) და გულისხმობს ადამიანთა ერთადერთი მიზნის რეალიზებას,

⁶ უფრო მეტიც, სახელმწიფო პრაქტიკაში გამოყენებული ტერმინების მრავალფეროვნება (კონსტიტუცია, ძირითადი კანონი, ძირითადი უფლებების ქარტია და სხვ.), ნებისმიერ შემთხვევაში, ართულებს მკაფიო განმარტების მიღებას. მაგალითად, Federal Constitutional Law (B-VG) of Austria, Article 44. იხ. *Pöschl M.*, Die Verfassung und ihre Funktionen, <https://staatsrecht.univie.ac.at/fileadmin/user_upload/i_staatsrecht/Poeschl/Publikationen/Die_Verfassung_und_Ihre_Funktionen_--_onlinedatei.pdf> [15.7.2021]; იხ. ასევე: Charter of Fundamental Rights and Freedoms of the Czech Republic, <<https://www.psp.cz/docs/laws/listina.html>> [15.7.2021]. კონსტიტუციის დეფინიცია სარგებლიანი არაა დიდი ბრიტანეთის სისტემისთვის, სადაც ევროპის კონტინენტისგან განსხვავებით არ არსებობს ფორმალური კონსტიტუცია და სახელმწიფო წესრიგის ფუნდამენტური დებულებები, პარლამენტის სუვერენიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, გვხვდება პარლამენტის თანაბარი რანგის ჩვეულებრივ აქტებში. *Greene A.*, Parliamentary sovereignty and the locus of constituent power in the United Kingdom, *International Journal of Constitutional Law* 18, 2020, 1166-1200.

რომელიც მდგომარეობს ღირებულებების ანთროპოცენტრულ წყობაში (ღირებულების განმსაზღვრელი ელემენტი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განმარტება იმისა, თუ რა არის კონსტიტუცია, ვერ მოიძებნება იმ სახელმწიფოს სამართლებრივ წესრიგში, რომელსაც არ შეუძლია, განსაზღვროს საკუთარი საფუძველი. ეს არც საერთაშორისო და არც ევროკავშირის სამართალს შეუძლია, რადგან მათ არ გააჩნიათ ამის კომპეტენცია. თუმცა მათ შეუძლიათ, შეიმუშაონ გარკვეული განსაზღვრებები სახელმწიფოთა სადამფუძნებლო უფლებამოსილებასთან მიმართებით, რომელიც სავალდებულოდ შესასრულებელია სახელმწიფოებისათვის. საერთაშორისო სამართლის ეს სავალდებულო განსაზღვრებები გამომდინარეობს საერთაშორისო საზოგადოებიდან, ხოლო ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის ისინი გამომდინარეობს ევროკავშირიდან.

რაც შეეხება კონსტიტუციის ღირებულებებს, როგორცაა ადამიანის უფლებები და ძირითადი უფლებები, მათი დაცვა, რასაკვირველია, დადგენილია როგორც საერთაშორისო, ისე ზესახელმწიფოებრივი სამართლით, რაც ნათლადაა ნაჩვენები ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლში. ეს კონსტიტუციის შემქმნელებისთვის იწვევს ვალდებულებების წარმოშობას. ამგვარად, ექსტრანაციონალური სამართალი განსაზღვრავს სახელმწიფოთა ეროვნული კონსტიტუციების ღირებულებით ნაწილს. მიუხედავად ამისა, ეროვნული კონსტიტუციის ინსტიტუციური ნაწილი არ არის წინასწარ განსაზღვრული ექსტრანაციონალური ნორმებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ღირებულებები ასევე აყალიბებს თავად ინსტიტუციების სტრუქტურასა და ფუნქციონირებას.

2. კონსტიტუციონალიზმისა და კონსტიტუციონალიზაციის კონცეფცია

კონსტიტუციონალიზმი აღნიშნავს სახელმწიფოს, მდგომარეობას, ხოლო კონსტიტუციონალიზაცია ეს პროცესია. კონსტიტუციონალიზმს გლობალურ და რეგიონალურ დონეზე პირდაპირ შეუძლია დაადგინოს კონსტიტუციებს შორის მსგავსებები და განსხვავებები. იგი მიუთითებს ერთი ან რამდენიმე სისტემის „კონსტიტუციურობის“ სამართლებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

კონსტიტუციონალიზაცია მიმართულია იმ პროცესისკენ, რომელიც უკავშირდება კონსტიტუციის შექმნას ან გაფართოებას ან ტიპური კონსტიტუციური ელემენტის ტრანსფერს სამართლის გარკვეულ სფეროებში (სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, საპროცესო

სამართალი და ა.შ.) ან სხვა სამართლებრივ სისტემებში. ტერმინი „კონსტიტუციონალიზმი“ შესაძლოა, ასევე გამოყენებულ იქნეს სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციონალიზაციის ხარისხის აღსანიშნავად; ეს ეხება, მაგალითად, შიდა კონსტიტუციურ წესრიგში პრეცედენტული სამართლით საკონსტიტუციო სამართლის შემდგომ განვითარებას კონსტიტუციის ფორმულირების მიღმა ძირითადი უფლებების დაცვის ფუნქციონალური გაფართოებით, კანონის უზენაესობის პრინციპის დიფერენცირებით, გადაწყვეტილებებში კონსტიტუციის დაუწერელი პრინციპების მანიფესტაციით ან საერთაშორისო გავლენათა ინტეგრირებით, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების სფეროში.

კონსტიტუციონალიზაცია ასევე შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ სისტემაში წერილობითი კონსტიტუცია გაფართოებულ იქნა კონსტიტუციური ცვლილებებით (მაგალითად, ინსტიტუციური კონსტიტუციური სამართალწარმოების შემოღებით, როგორც გვხვდება ლუქსემბურგში⁷) სამართლებრივი დიფერენციაციისა და სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით კონსტიტუციის სრულყოფასთან ერთად.

3. კონსტიტუციონალიზაცია სახელმწიფოს გარეთ – ევროკავშირი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) და საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგი

3.1. ევროკავშირის სამართალი როგორც ფუნქციონალური კონსტიტუციური წესრიგი

კონსტიტუციონალიზმი და კონსტიტუციონალიზაცია წარმოადგენს ორ ისეთ ფენომენს, რომლებიც სახელმწიფოს გარეთაც გვხვდება. კონსტიტუციონალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, წარმოიშობა სახელმწიფოს გარეთ, ექსტრასახელმწიფოებრივ პროცესებში, მაგალითად, განსაკუთრებული სიცხადით ეს ვლინდება ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგის ფუნქციონალურ კონსტიტუციურ წესრიგად ჩამოყალიბების პროცესში. შიდასახელმწიფოებრივი სფეროსგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლის წესრიგი დომინირებს სახელმწიფოს გარეთ, სადაც გვხვდება ნორმების მეშვეობით ძალაუფლების ვერტიკალური განხორციელების ნაცვლად სახელმწიფოთა ხელშეკრულებები და სადაც არსებობს სანქციების შეზღუდული შესაძლებლობა, ასევე მთავრობათაშორისი თანამშრომლობა, როგორც გადაწყვეტილებების მიმღები სტრუქტურები

⁷ Constitution of Luxembourg and the Law on the Organization of the Constitutional Court of Luxembourg, Article 95 – La Loi du 27 juillet 1997 portant organisation de la Cour Constitutionnelle, <<http://legilux.public.lu/eli/etat/leg/loi/1997/07/27/n6/jo>> [15.7.2021].

და ა.შ. კონსტიტუციონალიზაციის პროცესი მოიცავს ელემენტების შექმნას, გაფართოებასა და დახვეწას, რომლებიც ცნობილია ეროვნული კონსტიტუციური წესრიგიდან, თუმცა, იძენს ავტონომიურ ხასიათს ექსტრასახელმწიფოებრივ წესრიგთან ადაპტირებისას. ამ პროცესისთვის მნიშვნელოვანი მაგალითია ჯერ კიდევ 1960-იანი წლების ბოლოს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ სასამართლოს ფუნდამენტური უფლებების განვითარება საზოგადოებრივი სამართლის ზოგადი სამართლებრივი პრინციპების სახით, რომლებმაც მოგვიანებით წერილობითი გამოხატულება პოვა ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიაში.⁸ მსგავსი რამ შეიძლება ითქვას კანონის უზენაესობის პრინციპის იმ ელემენტების განვითარებაზეც, რომლებიც პირველად ეროვნულ სამართალში დამკვიდრდა და შემდგომ, როგორც ევროგაერთიანების სამართლის პრინციპი, ზესახელმწიფოებრივსამართლებრივ წესრიგში ტრანსფორმირდა.⁹

თუ ჩვენ გავაგრძელებთ და დავაკვირდებით ევროკავშირს, მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სტრუქტურებს შევამჩნევთ. ადრეულ ეტაპზევე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო განიხილავდა ევროგაერთიანების პირველად კანონმდებლობას როგორც კონსტიტუციურ სამართალს.¹⁰ ის ფაქტობრივად ასრულებს იგივე ან, სულ მცირე მსგავს ფუნქციებს, რასაც ავტონომიური გაერთიანების წესრიგში ასრულებს ეროვნული კონსტიტუცია, რომელიც შექმნილია ეროვნული სუვერენული უფლებების გადაცემით: ის ორგანიზებას უწევს წევრი სახელმწიფოებისა და ინდივიდებისგან შემდგარი გაერთიანების შექმნას ინსტიტუციების, სამოქმედო ინსტრუმენტებისა და თანამშრომლობის მექანიზმების საშუალებით და განსაზღვრავს ამ გაერთიანებისთვის საერთო ღირებულებებს, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლში და ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში. ფუნდამენტური უფლებები იცავს ინდივიდებს და, შესაბამისად, წარმოადგენს კონსტიტუციური წესრიგის არსებით მახასიათებელს საერთაშორისო სფეროშიც, ვინაიდან მნიშვნელოვანი ნორმატიული მითითება მათ გააჩნიათ ინდივიდების და არა სახელმწიფოების მიმართ. ეს არის წევრი სახელმწიფოების შიდა სამართლებრივ წესრიგზე ზესახელმწიფოებრივი სამართლის უშუალო

⁸ Williams A., Human Rights in the EU, in: Arnall A., Chalmers D. (ed.), The Oxford Handbook of European Union Law, 2015, 249-270.

⁹ Skouris V., Demokratie und Rechtsstaat, Europäische Union in der Krise?, 2018, 25-27; Klamert M., Kochenov D., A Commentary on Art. 2 TEU, in: Kellerbauer M., Klamert M., Tomkin J. (ed.), The EU Treaties and the Charter of Fundamental Rights, 2019, para. 14.

¹⁰ Judgment of the European Court of Justice of 23 April 1986 – *Les Verts v Parliament*, (294/83, ECLI: EU:C:1986:166), para. 23, <<https://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=92818&pageIndex=0&d oclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=27907876>> [15.7.2021].

მოქმედებისა და, ამასთანავე, ინდივიდების მიმართ მისი პირდაპირი სამართლებრივი ეფექტის შედეგი.

გესახელმწიფოებრივი წესრიგის კონსტიტუციონალიზაცია განხორციელდა ეროვნული საკონსტიტუციო სისტემებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არსებითი დახმარებით, რითაც გაჩნდა ტერმინი „ფუნდამენტური უფლებების ევროპული გაერთიანება“,¹¹ მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, თავის უახლეს პრეცედენტულ სამართალში არაერთხელ გაუსვა ამას ხაზი, რაც კონვენციის ძლიერ ტენდენციაზე მიუთითებს. ევროპის სხვა კონსტიტუციურ ინსტრუმენტებში ამის აღბეჭდვა ხაზს უსვამს ასევე ამ გესახელმწიფოებრივი ნორმების კონსტიტუციურ ხასიათს. ფუნდამენტური უფლებების სფეროში საერთაშორისო კოორდინაციის სტრუქტურულიდან კონსტიტუციური სამართლის ვერტიკალურ-ინდივიდუალურ კონცეფციაზე გადასვლა სულ უფრო აშკარა ხდება. ამ სფეროში კონსტიტუციური სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ფუნქციური კონცეფციები მნიშვნელოვნად უახლოვდებიან ერთმანეთს და დიდწილად კარგავენ საკუთარ გამმიჯნველ მნიშვნელობას.

გესახელმწიფოებრივი წესრიგის ფუნდამენტურისტრუქტურები, რომლებსაც ფუნქციონალური გაგებით აქვთ კონსტიტუციური ხასიათი, არიან ან მკაფიოდ ჩამოყალიბებული პირველად კანონმდებლობაში ან განვითარებულ იქნენ პრეცედენტული სამართლის საშუალებით. შედარებით ადრე, 1964 წელს, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ დაახასიათა ევროგაერთიანების სპეციალური სტრუქტურის ძირითადი ელემენტები კოსტა/ენელის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში¹²: ევროგაერთიანების სამართლებრივი წესრიგის ავტონომია, რომელიც შექმნილია ეროვნული სუვერენული უფლებების გადაცემით, წევრ სახელმწიფოებში ამ კანონის პირდაპირი მოქმედებისა და გამოყენების ძალა (თუ შესაბამისი პირობები დაკმაყოფილებულია) და ეროვნულ ნორმებთან კონფლიქტის შემთხვევაში მისი უპირატესი ძალა. ეს არის ე.წ. „გესახელმწიფოებრივი სამართლებრივი წესრიგის“ ელემენტები, რაც ფუნქციურად, უფრო ფართო გაგებით, ასევე კონსტიტუციური წესრიგია. უფრო ადრე, გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს უმიზეზოდ არ უსაუბრია ამ სამართლებრივი წესრიგის კონსტიტუციურ ხასიათზე. თუმცა დღეს, განსაკუთრებით 2009 წლის ლისაბონის გადაწყვეტილების შემდეგ,

¹¹ Order of the German Federal Constitutional Court of 6 November 2019 – 1 BvR 16/13 – BVerfGE 152, 152-215, <https://www.bundesverfassungsgericht.de/e/rs20191106_1bvr001613en.html> [15.7.2021].

¹² Judgment of the European Court of Justice of 15 July 1964 – *Costa v E.N.E.L.* (6/64, ECLI:EU:C:1964:66), <<https://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?text=&docid=87399&pageIndex=0&doclang=en&mode=Ist&dir=&occ=first&part=1&cid=27907181>> [15.7.2021].

სასამართლო არ ყოყმანობს, ევროკავშირის სამართალთან მიმართებით გამოიყენოს ტერმინი „ზესახელმწიფოებრივი“,¹³ მაგრამ ის მას მკაფიოდ არ უთანაბრებს „კონსტიტუციურს“. სამაგიეროდ, ზესახელმწიფოებრიობა ახალ ტერმინთან „სახელმწიფოთა გაერთიანებასთან“ არის გაიგივებული,¹⁴ რომელიც წესით, ევროკავშირს უნდა ახასიათებდეს როგორც „მთავრობათაშორის“ გაერთიანებას, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოთა მიერ, რომელთაც შეინარჩუნეს თავიანთი სუვერენიტეტი და განცალკევებული არიან ევროპული სახელმწიფოებრიობისგან. შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს სუვერენიტეტზე ორიენტირებული პერსპექტივა აშკარას ხდის იმ ვარაუდის მიუღებლობას, რომ ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგი წარმოადგენს ფუნქციონალურ კონსტიტუციურ წესრიგს. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციის – ევროკავშირის მნიშვნელოვანი ზესახელმწიფოებრივი კონცეფციებისგან გადახრა, როგორც ეს შემუშავებული და დადასტურებულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ, ნათელი ხდება შემდეგნაირად: ევროკავშირის პირველად კანონმდებლობასთან შინაარსისა და შესაბამისობის განსაზღვრისათვის ეროვნული კომპეტენციის მოთხოვნით, ევროკავშირის სამართლის უპირატესობის შეზღუდვით (ეროვნულ დონეზე განსაზღვრული) კონსტიტუციური იდენტობის და, ამ მხრივ, წინასწარ განხილვის პროცედურაში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს¹⁵ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების შეზღუდვით. თუმცა ეს ევროკავშირის პირველად კანონმდებლობას, სულ მცირე, მის ფუნდამენტურ პრინციპებსა და წესებს არ უშლის იმაში ხელს, რომ შეფასდეს როგორც „ფუნქციურად კონსტიტუციური“.

ის ფაქტი, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა თავს არიდებს ტერმინ „კონსტიტუციის“ გამოყენებას, რათა არ მოხდეს მისი გაიგივება ევროპაში ვერშემდგარ საკონსტიტუციო ხელშეკრულებასთან, არ წარმოადგენს

¹³ Judgment of the German Federal Constitutional Court of 30 June 2009 – BVerfGE 123, 267 (347-349, 356, 357, 361, 366), <http://www.bverfg.de/e/es20090630_2bve000208en.html> [15.7.2021]. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ტერმინი „სუპრანაციონალურობა“ არაერთხელ გამოიყენა შემდეგ გადაწყვეტილებაში: Order of the German Federal Constitutional Court of 18 October 1967 – BVerfGE 22, 293 (296-298), <<https://www.servat.unibe.ch/dfr/bv022293.html>> [15.7.2021].

¹⁴ „სახელმწიფოთა გაერთიანების“ („Staatenverbund“) კონცეფციის შესახებ იხ. Judgment of the German Federal Constitutional Court of 30 June 2009 – BVerfGE 123, 267 (348, 350, 379), <http://www.bverfg.de/e/es20090630_2bve000208en.html> [15.7.2021]. კონცეფცია თავდაპირველად განხილულ იქნა შემდეგ გადაწყვეტილებაში: Judgment of the German Federal Constitutional Court of 12 October 1993 – BVerfGE 89, 155 (181, 183-185, 188, 190, 207, 212), <<https://iow.eui.eu/wp-content/uploads/sites/18/2013/04/06-Von-Bogdandy-German-Federal-Constitutional-Court.pdf>> [15.7.2021].

¹⁵ Judgments of the German Federal Constitutional Court: BVerfGE 89, 155 (188), <<https://www.servat.unibe.ch/dfr/bv089155.html>> [15.7.2021]; and BVerfGE 123, 267 (398, 399), <https://www.bundesverfassungsgericht.de/entscheidungen/es20090630_2bve000208.html> [15.7.2021].

პრობლემას. მნიშვნელოვანი ანორმატიული სტრუქტურის ფუნქციონალური არსი და არა მისი აღნიშვნა. ამ მიზეზების გამო, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება, როგორც კავშირის ინსტიტუტებისა და ღირებულებების ფუნდამენტური განმსაზღვრელი, ნათლად უნდა იქნეს გაგებული, როგორც კონსტიტუცია. ეს ასევე ეხება ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიას, რომელიც უფრო დეტალურად განსაზღვრავს იმ ღირებულებებს, რომლებიც არსებითადაა დადგენილი ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლში. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების ნორმატიულ დებულებებს ასევე უნდა მიენიჭოს ფუნქციონალური კონსტიტუციური ხასიათი.

3.2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია როგორც „ევროპული წესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტი“

მოდით კიდევ ერთხელ გადავხედოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, სტრასბურგის სასამართლოს მიერ ისიც აღწერილია როგორც „კონსტიტუციური სამართალი“. ეს მოსაზრება იმსახურებას თანხმობას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ფუნდამენტური უფლებები განმარტებულია კონვენციური უფლებების გათვალისწინებით ანუ ისინი წარმოადგენენ პარალელურ გარანტიებს კონსტიტუციურ დონეზე.

უფრო კონკრეტულად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უფრო ფართო, ფუნქციონალური გაგებით კონსტიტუციური სამართლის კატეგორიაში უნდა კლასიფიცირდეს რამდენიმე მიზეზის გამო. ესენია არსებითი და ინსტიტუციური მიზეზები: შინაარსობრივი კუთხით, კონვენციაში მოცემული უფლებები – სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში არსებული უფლებების მსგავსად – ტიპოლოგიურად კონსტიტუციური ხასიათისაა, ვინაიდან ისინი ეხება ადამიანის არსებობის საფუძვლებს და მიიღწვის იმისკენ, რომ დაიცვას ადამიანი საჯარო ხელისუფლების მიერ ხელყოფისგან. ამ კონტექსტში, ფუნქციურად მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს იმას, რომ ის ხელყოფა, რომლისგან დაცვას ის მიზნად ისახავს, მოცემულია სახელმწიფო კანონში ანუ საერთაშორისო სამართლის მიღმა როგორც სამართლებრივი წესრიგი, რომელსაც კონვენციაც მიეკუთვნება, როგორც რეგიონალური საერთაშორისო სამართალი. ეს არ არის გადამწყვეტი ასპექტი; უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გარანტიებმა ფუნქციურად განამტკიცოს და შეავსოს ეროვნული კონსტიტუცია და არსებითი გავლენა მოახდინოს მის შინაარსზე. ეს დაკავშირებულია კონვენციის საგარანტიო ხასიათთან.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი პრეცედენტული სამართალი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსაკუთრებულ როლს ასრულებს „ევროპის კონსტიტუციონალურ ბლოკში“¹⁶ და გადამწყვეტ ეფექტს ახდენს როგორც ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიამზე, ასევე წევრი ქვეყნების კონსტიტუციებზე¹⁷. მისი გავლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის ფარგლებში ფუნდამენტურ უფლებათა განვითარებაზე და ფუნდამენტური უფლებების წერილობითი ქარტიის არსებობის პირობებშიც კი, ის არის მნიშვნელოვანი საფუძველი ევროკავშირის მრავალი ფუნდამენტური უფლებების ინტეგრეტაციისთვის.¹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ადაპტირება ხდება როგორც გერმანიის ძირითადი კანონიდან, ასევე სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების კონსტიტუციებიდან გამომდინარე ფუნდამენტური უფლებებისთვის. სხვადასხვა კონსტიტუციაში, სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებაა, საკუთარი ინტეგრეტაციების საერთაშორისო ინსტრუმენტებზე, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე მორგება, რაც პირდაპირ არის მითითებული, მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფში¹⁹; თუ კონსტიტუციაში ასეთი პუნქტი არ გხვდება, ინტეგრეტაციის საშუალებით მაინც არსებობს ეროვნული ფუნდამენტური უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან ადაპტირების ტენდენცია, უპირველეს ყოვლისა, იმ ინსტრუმენტებთან, რომლებიც მიეკუთვნება საკუთარი სამართლებრივი კულტურის წრეს. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ჩართვა ევროპის კონსტიტუციონალურ ბლოკში ნათლად უსვამს ხაზს მის ფუნქციურ კონსტიტუციურ ხასიათს.

¹⁶ გამოთქმა ეფუძნება ფრანგულ ტერმინს – “bloc de constitutionnalité”. *Favoreu L.*, Le principe de constitutionnalité: essai de définition d’après la jurisprudence du Conseil constitutionnel, in: “Recueil d’études en hommage à Charles Eisenmann”, 1975, 33-48, reprinted in: *Favoreu L.*, La Constitution et son juge, 2014, 539-554; Decision of the Conseil constitutionnel of 16 July 1971 (71-44 DC), <<https://www.conseil-constitutionnel.fr/en/decision/1971/7144DC.htm>> [15.7.2021]. აღსანიშნავია, რომ ფრანგული ტერმინი ეხება მხოლოდ ფრანგული სამართლის წყაროებს, რომლებიც განსხვავდება წარმოშობისა და ნორმის სახეობით. აქ ტერმინი გამოიყენება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციური სამართლის წყაროებზე. თუმცა მათი ურთიერთდაკავშირება იმდენად მჭიდროა, რომ ისინი ქმნიან ტრანსნაციონალურ ფუნქციურ „ბლოკს“.

¹⁷ Decision of the German Federal Constitutional Court of 6 November 2019 – BVerfGE 152, 152-215, paras. 57 et seq., <http://www.bverfge.de/e/rs20191106_1bvr001613.html> [15.7.2021].

¹⁸ Charter of the Fundamental Rights of the European Union, Article 52.3, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:12012P/TXT>> [15.7.2021].

¹⁹ *Cámara G.V.*, La interpretación de los derechos y libertades fundamentales, in: *Balaguer F.C., Cámara G. V., López J.F.A., Balaguer M.L.C., Montilla, J.A.M.*, Manual de Derecho Constitucional, Volumen II, 15a edición, 2020, Cap. XVI, 70-73.

სხვა არგუმენტი, რა თქმა უნდა, არის სასამართლოზე წვდომის ინდივიდუალიზაცია, რაც ატიპურია საერთაშორისო სისტემისთვის. როგორც ჩანს, ეს არის ადამიანის უფლებების გარანტირების შედეგი. ამრიგად, აშკარაა, რომ ინდივიდთან დაკავშირებული უფლებათა სასამართლოს გზით დაცვა ინდივიდის ხელშია. თუმცა ის ფაქტი, რომ (რეგიონალურ) საერთაშორისო სფეროში დავები წყდება არა პოლიტიკური კომუნიკაციით, არამედ იურისდიქციით, არის, როგორც იოჰინ ფროვაინმა უკვე აღნიშნა,²⁰ კონსტიტუციური ელემენტი. რა თქმა უნდა, სასამართლოს მიერ კონვენციის შეფასება როგორც „*instrument constitutionnel de l'ordre public européen*“²¹ ასევე მნიშვნელოვანია. მთლიანობაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის კუთხით, შეიძლება ჩაითვალოს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტად ევროპაში, რომელიც უდავოდ შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ფუნქციონალური კონსტიტუციური სამართალი იმ მჭიდრო კავშირის გამო, რომელიც არსებობს ეროვნულ საკონსტიტუციო და კონვენციურ სამართალს შორის.

თუმცა, მისი აღწერა კონსტიტუციურ სამართლად არ უნდა იწვევდეს სამართლებრივ შედეგებს მხოლოდ ამ ტერმინოლოგიიდან გამომდინარე. ფორმალური გაგებით, გერმანული სამართლის პერსპექტივიდანაც, კონვენცია არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ძირითადი კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ტრანსფორმირდა გერმანიის სამართლებრივ წესრიგში. ამ კონცეფციის თანახმად, რომელიც ხასიათდება საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული სამართლის დუალიზმით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციას გერმანიაში მხოლოდ ჩვეულებრივი ფედერალური კანონის რანგი აქვს. თუმცა კონვენციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მოხდეს კონსტიტუციურ სამართალთან თანაბარ დონეზე მისი დაყენება და მასზე დაყრდნობით ეროვნული ფუნდამენტური უფლებების ინტეგრეტაცია. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში გამოხატული გერმანიის ფუნდამენტური ვალდებულება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სფეროში წარმოადგენს კონვენციის ინტეგრეტაციული კონსტიტუციონალიზაციისთვის მნიშვნელოვან არგუმენტს,²² მისი კონსტიტუციური მნიშვნელობა არის მაინც ის ძირითადი ფაქტორი, რაც ამართლებს ასეთ ნაბიჯს.

²⁰ Kaufmann A., Mestmäcker E. J., Zacher H. F. (eds.), Rechtsstaat und Menschenwürde: Festschrift für Werner Maihofer zum 70. Geburtstag, 1988, 149.

²¹ Judgment of the European Court of Human Rights of 18 December 1996 – *Loizidou v. Turkey* (15318/89), para. 75, <<https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-58007%22%5D%7D>> [15.7.2021].

²² Order of the German Federal Constitutional Court of 14 October 2004 (*Görgülü* case), paras. 32, 62, <http://www.bverfg.de/e/irs20041014_2bvr148104en.html> [15.7.2021].

3.3. კონსტიტუციური ელემენტები საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგში

მოდით, ყურადღება გავამახვილოთ საერთაშორისო სამართალზეც, რომელიც როგორც ცნობილია, ტრადიციულად, სუბიექტებად მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებს აღიარებს და, შესაბამისად, თავისი ბუნებით, ის არსებითად არის სახელმწიფოთა კოორდინაციის სამართალი. თუმცა ამ სფეროშიც მოხდა სხვადასხვა კონსტიტუციური სტრუქტურების შექმნა, რომლებიც კონკრეტულად დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ადამიანი სულ უფრო მეტად მოექცა საერთაშორისო სამართლის ცენტრში. ამის დასტურია ადამიანის უფლებათა დაცვის ის მრავალი ინსტრუმენტი, რომელიც ამ პროცესში წარმოიშვა უნივერსალურ და რეგიონალურ დონეზე. კონვენციური გაგებით, ინდივიდი „მედიაციზირებულია“ თავისი სამშობლოთი (*Mediatisierung des Individuums*). აქამდე საერთაშორისო სამართალში მხოლოდ ძალიან შეზღუდული მოცულობით, გამონაკლისის სახით, აღიარებულია ინდივიდის სამართალსუბიექტურობა. მიუხედავად ამისა, სამართლის ძირითადი იდეა, კანონის ადამიანთან კავშირის შესახებ, სულ უფრო მეტ აღიარებას იძენს საერთაშორისო სამართალში. ეს გამოიხატება ადამიანის უფლებათა პოზიციის განმტკიცებაში, კერძოდ იმაში, რომ დარღვევა არ გულისხმობს მხოლოდ უფლებადარღვეული ინდივიდის სამშობლოს წინააღმდეგ დანაშაულს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, არამედ ის ასევე წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარღვევას, რომელიც მიმართულია სახელმწიფოთა გაერთიანების წინააღმდეგ. მოცემული *erga omnes* გავლენა შეესაბამება იმ ფაქტს, რომ ადამიანის უფლებათა გარანტია წარმოადგენს სავალდებულო საერთაშორისო სამართალს, *ius cogens*, რომლის შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლება არ შეიძლება მოხდეს ხელშეკრულებით, თუნდაც ეს წარმოადგენდეს ყველა ჩართული მონაწილის ნებას²³ და, შესაბამისად, ის ობიექტური სამართლის მოთხოვნაა, რომელიც ყველა მხარის მიერ უნდა იქნეს დაცული, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას აქვს „კონსტიტუციური“ ბუნება. ინდივიდის პოზიციის მნიშვნელობის სულ უფრო გაზრდა კიდევ უფრო მკაფიო ხდება იმგვარ ადამიანის უფლებათა რეგიონალურ შეთანხმებებში, როგორცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომლის დარღვევაც ინდივიდების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ სტრასბურგის სასამართლოში შიდა-სახელმწიფოებრივი უფლების დაცვის საშუალებების ამოწურვის შემდეგ.²⁴

²³ *Wet E., Jus cogens and Obligations Erga Omnes*, in: *Shelton D.* (ed.), *The Oxford Handbook of International Human Rights Law*, 2013, 541-561.

²⁴ *European Convention on Human Rights, Articles 34-35*, <https://www.echr.coe.int/documents/convention_eng.pdf> [15.7.2021].

საერთაშორისო სამართალში, გარდა ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებისა, არსებობს სხვა ძალიან მნიშვნელოვანი ვალდებულებები, როგორცაა ძალის გამოყენების აკრძალვა – აკრძალვა, რომელიც გაერთიანებული ერების წევრებზე ხელშეკრულებით და ჩვეულებითი სამართლითაც²⁵ ვრცელდება, ისევე როგორც ქცევის ზოგადი პრინციპები, როგორცაა კეთილსინდისიერების პრინციპი²⁶, უფლებების ბოროტად გამოყენების აკრძალვა²⁷ და ესტოპელის პრინციპი.²⁸ ეს არის ფუნდამენტური მოთხოვნები, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის ღირებულებებზე დაფუძნებული კონსტიტუციის ნაწილია. საერთო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგში, რომელიც სტრუქტურირებულია ძირითადად ჰორიზონტალურად კოორდინირების სამართლის თვალსაზრისით, სულ უფრო და უფრო მეტი ვერტიკალურ-იერარქიული ელემენტები ჩნდება, რომლებიც ამ წესრიგის სტრუქტურისა და ღირებულებების შემადგენელი ნაწილია. ფუნქციურად, ეს კონსტიტუციური ელემენტებია.²⁹

4. ტერმინოლოგიის შეჯამება

ამ ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური ანალიზის შემდეგ, ეროვნულ, შესახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეებზე მითითებით, ტერმინები *კონსტიტუცია*, *კონსტიტუციონალიზმი* და *კონსტიტუციონალიზაცია* კვლავ განხილული იქნება შეჯამების სახით:

(ა) ტრადიციული პერსპექტივის შესაბამისად, *კონსტიტუცია* წარმოადგენს სახელმწიფოს ძირითად სამართლებრივ წესრიგს და შედგება ორგანიზაციულ-ინსტიტუციური და ღირებულებითი ნაწილისგან, ფუნდამენტური უფლებებისგან. ფორმალური კონსტიტუციებია ისინი, რომლებიც ფორმალიზებულია, დაწერილია (მაშინაც კი, თუ ისინი ხშირად, მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით შედგება დაუწერელი ნაწილებისგან) და ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, ინტეგრირებული და კოდიფიცირებულია ერთ დოკუმენტში (გამონაკლის შემთხვევაში, რამდენიმე დოკუმენტში). კონსტიტუციიდან, როგორც ძირითადი წესრიგიდან, გამომდინარეობს ერთი მხრივ ის, რომ კონსტიტუციაში გაერთიანებულია სახელმწიფოს ფუნდამენტური ინსტიტუციური და სრულყოფილი სტრუქტურები (რომლებიც, კანონით უნდა იქნეს დაკონკრეტებული და გან-

²⁵ *Krajewski M.*, *Völkerrecht*, 2017, § 9, paras. 18,19.

²⁶ *Arnault A.*, *Völkerrecht*, 4. Auflage, 2019, para. 267.

²⁷ *Hobe S.*, *Einführung in das Völkerrecht*, 10. Auflage, 2014, 217.

²⁸ *Arnault A.*, *Völkerrecht*, 4. Auflage, 2019, para. 267.

²⁹ *Krajewski M.*, *Völkerrecht*, 2017, § 3, paras. 12-13.

ხორციელებული) და, მეორე მხრივ ის, რომ ეს ძირითადი წესრიგი წარმოადგენს სამართლებრივი წყობის საფუძველს და, შესაბამისად, ის იერარქიულად, სხვა ნორმებთან მიმართებით, ნებისმიერ შემთხვევაში უპირატესია. გარდა ამისა, ძირითადი წესრიგი თავისი არსით უნდა იყოს მუდმივი და მასში ცვლილებები უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ მკაცრი პირობების დაცვით.

ბ) ტერმინი *კონსტიტუციონალიზმი*, რომელიც დღეს ხშირად გამოიყენება, მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. მას შეუძლია გადმოსცეს სხვადასხვა ფენომენი: პირველ რიგში, ის ფუნდამენტური მიზანი, მცდელობა, მოხდეს კონსტიტუციის შექმნა ან ტექსტობრივად არსებული კონსტიტუციის გაფართოება (მაგალითად, მაშინ, როცა ხდება ახალი ძირითადი უფლებების დამატება, როგორებიცაა მონაცემთა დაცვის ფუნდამენტური უფლება ან გარემოს დაცვის ფუნდამენტური უფლება), ან მისი ფუნქციის გაძლიერება. მეორეც, ამ ტერმინს შეუძლია, გამოხატოს გარკვეული კონსტიტუციური სტანდარტის არსებობა სახელმწიფოში ან სახელმწიფოთა ჯგუფში, ან სხვა სისტემებში (ზესახელმწიფოებრივი სამართლებრივი წესრიგი, საერთაშორისო სამართალი). ხშირად ეს ტერმინი გამოიყენება შედარების მიზნით, რათა დადგინდეს, შესაძარებელ სფეროში არსებობს თუ არა განვითარებული საკონსტიტუციო სტანდარტი, თუ ის ჯერ კიდევ არასრულყოფილია ეს შეიძლება განხორციელდეს ისტორიული რეტროსპექტივის ან არსებული ვითარების ანალიზის გზით.

გ) ტერმინი *კონსტიტუციონალიზაცია* აღნიშნავს პროცესს, რომელსაც მივყავართ კონსტიტუციონალიზმამდე, იქნება ეს სახელმწიფო კონსტიტუციური წყობიდან გამომდინარე ელემენტების ტრანსფერით ექსტრასახელმწიფოებრივ სფეროებში კერძოდ, ზესახელმწიფოებრივ ან საერთაშორისო სამართალში, თუ მისი გადატანით სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგის სხვა სფეროებში, როგორებიცაა კერძო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და სხვა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეს გულისხმობს ისეთი სფეროების ადაპტირებას კონსტიტუციურ სტრუქტურებთან, იქნება ეს ორგანიზაციულ-ინსტრუმენტულად თუ ღირებულებებზე მითითებით, რომლებიც არ შედის კონსტიტუციური სამართლის მატერიაში.

II. კონსტიტუციონალიზმის საფუძვლები

1. ანთროპოცენტრული საბაზისო მიდგომა

რა არის თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის მახასიათებელი? ამ კითხვაზე პასუხი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ანთროპოცენტრულ

საბაზისო მიდგომაზე დაფიქრებას. ათვლის წერტილი არის და შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი. კანონის ადამიანზე ორიენტირებულობა აქსიომას წარმოადგენს. ადამიანი თვითმიზანია, ის „არსებობს როგორც თვითმიზანი“.³⁰ ადამიანთან დაკავშირებულია მისი ღირსება, რომელსაც კანონით პატივისცემა და დაცვა სჭირდება.

ადამიანის ღირსება, ადამიანის სუბიექტად აღიარება და მისი როგორც ინსტრუმენტის უარყოფა არის სამართლებრივი წესრიგის უმაღლესი ღირებულება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ნორმატიული სახით დაწერილი. ნებისმიერ შემთხვევაში, ის გამომდინარეობს სამართლებრივი წესრიგიდან და, შესაბამისად, კონსტიტუციური წესრიგიდანაც. სამართლებრივი წესრიგის ყველა ნაწილობრივი მიზანი უნდა ემორჩილებოდეს ამ უზენაეს ღირებულებას და შეესაბამებოდეს მას. ამრიგად, ადამიანის სუბიექტად ყოფნის ხარისხი განისაზღვრება როგორც ცენტრალური ღირებულება; ადამიანი არ უნდა იქცეს საგნად და მას უნდა მიენიჭოს პატივისცემის გარკვეული დონე, რომელიც ყველას ადამიანს მინიჭებული აქვს მხოლოდ საკუთარი არსებობიდან და პიროვნებად ყოფნიდან გამომდინარე.³¹ ეს დაფუძნებულია იმ იდეაზე, რომ ადამიანად ყოფნის არსობრივი ნაწილია ადამიანის უფლება, განსაზღვროს საკუთარი თავი თავისუფლებაში და განვითარდეს თავისუფლად, და რომ ინდივიდს შეუძლია, მოსთხოვოს საზოგადოებას მისი აღიარება როგორც თანაბარი უფლებების მატარებელი და ფუნდამენტური ღირებულებების მქონე საზოგადოების წევრი.³²

ადამიანის ღირსებასთან განუყოფლად დაკავშირებულია თავისუფლების პრინციპი. ფუნდამენტური თავისუფლების გარეშე ადამიანის ღირსება არ იარსებებდა, ისევე როგორც ადამიანის თავისუფლებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის ღირსება. მაშინ როცა ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია ანუ არ შეიძლება მისი შეზღუდვა ან მისი აწონვა სხვა ღირებულების საპირისპიროდ, თავისუფლება, რომელიც გარდაუვლად უკავშირდება თანასწორობას, არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს საზოგადოების სხვა წევრების თანაბარ თავისუფლებას და აღიარებს საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესებს,

³⁰ *Kant I., Kritik der praktischen Vernunft, 1788. პირველად გამოქვეყნდა რიგაში იოჰან ფრიდრიხ ჰარტკნობის მიერ, მოგვიანებით იოახიმ კოპერის მიერ – Reclams Universal-Bibliothek no. 1111 (1961) – newly printed in 2019, 92.*

³¹ Order of the German Federal Constitutional Court of 1 December 2020 – 2 BvR 1845/18, para. 61, <https://www.bundesverfassungsgericht.de/e/rs20201201_2bvr184518en.html> [15.7.2021].

³² Order of the German Federal Constitutional Court of 1 December 2020 – 2 BvR 1845/18, para. 61, <https://www.bundesverfassungsgericht.de/e/rs20201201_2bvr184518en.html> [15.7.2021]; Judgment of the German Federal Constitutional Court of 21 June 1977 – 1 BvL 14/76 – BVerfGE 45, 187 (< 227 et seq. >), <<https://www.servat.unibe.ch/dfr/bv045187.html>> [15.7.2021].

რომლებიც ძირითადად თავისუფლებისა და თანასწორობის შედეგია. ამიტომ თავისუფლების შეზღუდვა საზოგადოების სასარგებლოდ თავისი არსით დაკავშირებულია თავისუფლების კონცეფციასთან იმდენად, რამდენადაც ეს შეზღუდვა არის ლეგიტიმური, აუცილებელი და პროპორციული. პროპორციულობის უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპი წარმოადგენს კონსტიტუციურ ინსტრუმენტს თავისუფლების და თანასწორობის გამიჯვნისა და მათი დაკავშირებისთვის. ადამიანი, რომელიც დაბადებულია თავისუფალი (*ჟან-ჟაკ რუსო*³³), არ წარმოადგენს „იზოლირებულ სუვერენულ ინიდივიდს“, არამედ ის „საზოგადოებასთან დაკავშირებული და საზოგადოებით შებოჭილი“³⁴ პიროვნებაა. ეს არის ადამიანის კონცეფცია, რომელსაც ემყარება გერმანიის ძირითადი კანონი და რომელიც, ზოგადად, შეესაბამება ლიბერალ-დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმის არსს, როგორც ერთადერთ ტყვემარტ კონსტიტუციონალიზმს. ფუნდამენტური უფლებები, დაწერილი თუ დაუწერიელი სახით, წარმოადგენს თავისუფლების პრინციპის მახასიათებლებს, რასაც გააჩნია არსებითი და ფუნქციონალური ეფექტურობა.³⁵

თავისუფლების პრინციპი გულისხმობს ადამიანის თავისუფლების საყოველთაო დაცვას არსებული და მომავალი საფრთხეებისგან; თავისუფლების დაცვის საკითხი, კონსტიტუციის წერილობითი ტექსტის მიუხედავად, ყოველთვის კომპლექსურია. ზოგიერთ კონსტიტუციაში, გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მსგავსად, განმტკიცებულია თავისუფლების ზოგადი უფლება. კონსტიტუციებში, სადაც ეს ტექსტში პირდაპირ არ არის შეტანილი, თავისუფლების ეს საყოველთაო უფლება მაინც არსებობს როგორც თანდაყოლილი კონსტიტუციური პრინციპი, რომელიც აუცილებლად არის დაკავშირებული ადამიანის ღირსებასთან. ამასთან, თავისუფლების საყოველთაო დაცვა არ ნიშნავს შეზღუდვების სრულ არარსებობას. ისინი მაინც დასაშვებია და აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ამავდროულად შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს. ერთი მხრივ, თავისუფლების ფუნდამენტური უფლების არსებითი ეფექტურობა ნიშნავს იმას, რომ ფუნდამენტური უფლებები, როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად მათი კონკრეტული წერილობითი ფორმისა, ობიექტურად სრულყოფილია. პიროვნების თავისუფლების

³³ *Rousseau J. J.*, *Du Contrat Social ou Principes du Droit Politique*, 1762, Livre I, Chapitre 1.1. *Tremblay J. M.*, Digital version: <http://classiques.uqac.ca/classiques/Rousseau_jj/contrat_social/Contrat_social.pdf> [15.7.2021].

³⁴ Judgment of the German Federal Constitutional Court of 20 July 1954 – BVerfGE 4, 7 (15, 16), <<https://www.servat.unibe.ch/dfr/bv004007.html>> [15.7.2021]; *Arnold R.* (dir.), *La structure des droits fondamentaux – aspects choisis. La estructura de los Derechos fundamentales – cuestiones seleccionadas*, *Comparative Law Studies* 12, 2021, 10.

³⁵ *Arnold R.*, *Substanzielle und funktionelle Effizienz des Grundrechtsschutzes im europäischen Konstitutionalismus*, in: *Geis M. E., Winkler M., Bickenbach C.* (eds.), *Von der Kultur der Verfassung*, *Festschrift für Friedhelm Hufen zum 70. Geburtstag*, 2015, 3-10.

უზრუნველყოფა არის თითოეული კონსტიტუციის თანდაყოლილი მიზანი, რომელიც ეფექტურად უნდა იქნეს გარანტირებული ანუ ის საყოველთაო უნდა იყოს. ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ ფუნდამენტური უფლებების ინტეგრეტაცია უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფლების ამმალღებელი ანუ ინტეგრეტაცია ორიენტირებული უნდა იყოს *effet utile*-ზე (ეფექტიან სარგებელზე).³⁶ თუ საჭიროა ბალანსის მიღწევა დაპირისპირებულ ფუნდამენტურ უფლებებსა და კონსტიტუციურ ღირებულებებს შორის, ყველა ფუნდამენტურ უფლებათა მატარებლისთვის უნდა გამოინახოს ოპტიმალური გამოსავალი პრაქტიკული კონკორდანტულობის გაგებით (როგორც ეს კონრად ჰესეს მიერაა ჩამოყალიბებული³⁷). მეორე მხრივ, ფუნქციონალური ეფექტურობა ნიშნავს იმას, რომ თავისუფლების შეზღუდვები კონსტიტუციით ან ფორმალური კანონით დასაშვებათაა გამოსხადებული და შეესაბამება საზოგადოების აუცილებელ, ლეგიტიმურ ინტერესებს ანუ აკმაყოფილებს პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნებს.³⁸ თავისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილია დემოკრატია, პოლიტიკური თავისუფლება, რომელსაც მოიცავს ზემოაღნიშნული პრინციპი. პოლიტიკური თვითგამორკვევის გარეშე არ არსებობს თავისუფლება. დემოკრატის პრინციპი თავისუფლების ძირითადი პრინციპის ნაწილია, შესაბამისად, ის ასევე მომდინარეობს ადამიანის ღირსებიდან. ეს მოსაზრება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მართებულად იქნა გაცხადებული ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში.³⁹

თავისუფლება გარდაუვლადაა დაკავშირებული თანასწორობასთან. ეს უკვე ხაზგასმით აღინიშნა ზემოთ. კანის ფერის, გენდერული იდენტობის, წარმოშობის და სხვა მახასიათებლების საფუძველზე დისკრიმინაცია ანუ თანასწორობის პრინციპის იმ განსაკუთრებული გამოვლინებების საფუძველზე დისკრიმინაცია, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანად ყოფნასთან, პირდაპირ მომდინარეობს ადამიანის ღირსებიდან.⁴⁰ ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის ღირსება, თავისუფლება და თანასწორობა, ზოგადად, კონსტიტუციონალიზმის არსშია მოქცეული. ისინი წარმოადგენს ადამიანის აუცილებელ მახასიათებლებს და იმ

³⁶ *Sudre F.*, Droit européen et international des droits de l’homme, 14e édition, 2019, 245-248; *Potacs M.*, Effet utile als Auslegungsgrundsatz, in: “Europarecht”, 2009, 465-487, <https://www.europarecht.nomos.de/fileadmin/eur/doc/Aufsatz_EuR_09_04.pdf> [15.7.2021].

³⁷ *Hesse K.*, Grundzüge des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, 18. Auflage, 1991, paras. 317 et seq.

³⁸ *Arnold R.*, El principio de proporcionalidad en la jurisprudencia del Tribunal Constitucional, together with *Estay J. I. M.*, *Urbina F. B.*, in: “Estudios Constitucionales”, 2012, 65-116.

³⁹ Judgment of the German Federal Constitutional Court of 30 June 2009 – 2 BvE 2/08, para. 211, <http://www.bverfg.de/e/es20090630_2bve000208en.html> [15.7.2021].

⁴⁰ *Arnold R.*, Human Dignity and Minority Protection. Some Reflections on a Theory of Minority Rights, in: *Elósegui M.*, *Hermida C.* (ed.), Racial Justice, Policies and Courts’ Legal Reasoning in Europe, 2017, 3-14.

მთლიანობის არსებით ელემენტებს, რომელსაც ეწოდება „კონსტიტუცია“. მათ უნდა ვუწოდოთ ანთროპოლოგიურ ღირებულებებათა ძირითადი წესრიგი.

2. თავისუფლების უზრუნველყოფა აქტიური დაცვის გზით – სარგებელზე ორიენტირებული (პოზიტიური) უფლებები, ფუნდამენტური სოციალური უფლებები და საარსებო მინიმუმის მიღების უფლება

თავისუფლების პრინციპი, რაზეც აქამდე ვისაუბრეთ, არ გულისხმობს თავისუფლების უზრუნველყოფას მხოლოდ საზოგადოების მიერ არალეგიტიმური ჩარევისგან თავის შეკავებით, არამედ ის ასევე გულისხმობს თავისუფლების აქტიური ქმედებით დაცვის უზრუნველყოფას. სწორედ აქ იძენს სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება რელევანტურობას ანუ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, აქტიურად დაიცვას ფუნდამენტური უფლებებით უზრუნველყოფილი ღირებულებები, განსაკუთრებით, კანონმდებლობის საშუალებით.⁴¹

შემდეგი საკითხი ეხება იმას, არის თუ არა აქტიურ ქმედებასთან დაკავშირებული (პოზიტიური) უფლებები, სოციალური უფლებების გაგებით, ასევე მოქცეული თავისუფლების პრინციპის ფარგლებში. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანის ღირსების დაცვა მოიცავს ადამიანის საარსებო მინიმუმის გარანტირებას.⁴² თავისუფლება იმაზე ფართოდ უნდა იყოს გაგებული, ვიდრე უბრალოდ ჩაურევლობა. ადამიანის ელემენტარული მოთხოვნები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო არის მათზე პასუხისმგებელი. უფრო ფართო გაგებით, ფუნდამენტური სოციალური უფლებები, როგორც სარგებელზე ორიენტირებული (პოზიტიური) უფლებები, ასევე მიეკუთვნება თავისუფლების კონცეფციას. თუმცა, კონსტიტუციური წესრიგი თავისუფალია იმის განსაზღვრაში, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს მან ამ ფუნდამენტური სოციალური უფლებების რეალიზება – მოხდება ეს ძირითადი სოციალური

⁴¹ იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილება კლიმატის დაცვის აქტის შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას ფუნდამენტური უფლებები (სხვა საკითხებთან ერთად), Order of the German Federal Constitutional Court of 24 March 2021 – 1 BvR 2656/18, paras. 1-270, <http://www.bverfg.de/e/rs20210324_1bvr265618en.html> [15.7.2021]. რაც შეეხება „პოზიტიურ ვალდებულებებს“, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან, ამასთან დაკავშირებით იხ. *Sudre F.*, Droit européen et international des droits de l’homme, 14e édition, 2019, 247.

⁴² ამ იდეის შესახებ, რომლითაც შეიძლება განზოგადდეს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, იხ. Judgment of German Federal Constitutional Court of 9 February 2010 – BVerfGE 125, 175-260, <<https://www.servat.unibe.ch/dfr/bv125175.html>> (15.7.2021).

უფლებების კონსტიტუციაში დანერგვით, საკანონმდებლო ორგანოსათვის (ხშირად მხოლოდ ბუნდოვანი) პროგრამის განსაზღვრის გზით⁴³ თუ, როგორც ეს გერმანიის ძირითადი კანონის შემთხვევაშია, იმავე ფუნქციის მინიჭებით სახელმწიფოს ობიექტური ხასიათის⁴⁴ მქონე დებულებისთვის, ფუნდამენტური უფლებების მაგივრად. ფუნქციურად, ორივე მიდგომა დიდწილად თანაბარმნიშვნელოვანია. საბოლოო ჯამში, ეს არის კარგი პოლიტიკის ანუ კარგი მმართველობის გამოვლინება, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ მოთხოვნის ადეკვატურად დაკმაყოფილება.

3. კანონის უზენაესობა როგორც ინსტიტუტებზე ღირებულებების გადაცემის გზა

ჩნდება კითხვა კანონის უზენაესობის, როგორც ფუნდამენტური კონსტიტუციური კონცეფციის როლზე. ანთროპოლოგიურ ღირებულებათა ძირითადი წესრიგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ღირებულებითი ორიენტირი, რომელიც კანონის უზენაესობის ფარგლებში, გადაეცემა სახელმწიფოს ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალურ სფეროს. ამ ღირებულებითი ორიენტირის გამოხატულებას და რეალიზებას წარმოადგენს ინსტიტუტები და პროცედურები. პარლამენტისთვის საკანონმდებლო კომპეტენციების მინიჭება არის პოლიტიკური თავისუფლების რეალიზება, რასაც შესაძლებელს ხდის დემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობა. კანონის განსაზღვრულობის პრინციპის დაცვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა კანონი ის უშვებს თავისუფლების შელახვას, აუცილებელი წინაპირობაა ამ შეზღუდვების გამართლებისთვის და თავისუფლების უზრუნველყოფისთვის.⁴⁵ ლეგიტიმური მოლოდინების დაცვა, რეტროაქტიურობის აკრძალვა და პროპორციულობა⁴⁶ წარმოადგენს ასევე თავისუფლების ინსტიტუციონალიზებულ გარანტიებს. ამრიგად, შეგვიძლია, ვაღიაროთ კანონის უზენაესობის პრინციპის ფუნქცია როგორც ღერძი ფუნდამენტურ კონსტიტუციურ ღირებულებებსა და ამ ღირებულებათა ინსტიტუციონალურ რეალიზებას შორის.

⁴³ Iliopoulos-Strangas J. (ed.), Soziale Grundrechte in den „neuen“ Mitgliedstaaten der Europäischen Union, 2019.

⁴⁴ Basic Law for the Federal Republic of Germany (GG), Article 20.1, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_gg/englisch_gg.pdf> [15.8.2021].

⁴⁵ იხ. გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (StPO) დეტალურად მოწესრიგებული ნორმები მაღალი საიდუმლო მნიშვნელობის მქონე კონკრეტულ საგამოძიებო ღონისძიებებთან დაკავშირებით, მაგალითად: პარაგრაფი 100b (“covert remote search of information technology systems”) და პარაგრაფი 100c (“acoustic surveillance of private premises”), <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html#p0649> [15.7.2021].

⁴⁶ გერმანული სამართლის ამ ელემენტების შესახებ იხ. Leisner W.G., in: Sodan H., Grundgesetz, Artikel 20, 2018, paras. 58 et seq., 65 et seq. ეს ელემენტები, ძირითადად, შესაძლებელია სხვა სამართლებრივ წესრიგში შეგვხვდეს მათი ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე.

4. ღია სახელმწიფოებრიობის კონცეფცია

შემდგომ ყურადღება უნდა გამახვილდეს ღია სახელმწიფოებრიობის კონცეფციაზე, რომელიც თანდათანობით დამკვიდრდა კონსტიტუციონალიზმში. არის თუ არა ის საბაზისო ანთროპოცენტრული ურთიერთობის ნაწილი? იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ინდივიდის უფლებებს, პასუხი კითხვაზე დადებითია. ეროვნული ფუნდამენტური უფლებები განმარტებულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო გარანტიების გათვალისწინებით. ეს ორი სფერო გაგებულ უნდა იქნეს როგორც მთლიანი ფუნქციური ერთეული. მათი საერთო ათვისების წერტილია ადამიანი. აქედან გამომდინარე, ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებები ინტეგრირებულია ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის იდეის გავლენით, რომელიც კონკრეტიზირებულია სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში. ადამიანის დაცვა მუდმივად საყოველთაოა, რადგან სამართლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ადამიანის დაცვა. ეს არ შეიძლება მხოლოდ ფრაგმენტებს მოიცავდეს, პირიქით, მუდმივად მიმართული უნდა იყოს, საყოველთაო დაცვისა და მიზნის მთლიანობისკენ. ღირებულებათა სფეროში ღია სახელმწიფოებრიობა ნიშნავს ღიაობას საერთაშორისო საზოგადოების შეხედულებებისა და მიზნების მიმართ. გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი გამოხატავს ადამიანის უფლებების თანამედროვე იდეას, რომელიც შეზღუდული არ არის ტერიტორიული საზღვრებით.⁴⁷ ეს განაპირობებს ადამიანის უფლებების თავისუფალ გაგებას, რომელიც შეზღუდული არ არის ეროვნული წარმოდგენებით.

5. ფუნდამენტურ ღირებულებათა ფუნქციონალური ერთიანობა

ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის კონსტიტუციური პრინციპები ქმნიან „ფუნქციურ ერთობას“;⁴⁸ ეს ღირებულებები ერთმანეთისგან განუყოფელია. თუკი კონსტიტუციაში ამ ღირებულებების მხოლოდ ნაწილია წერილობითი ფორმით მოცემული, დანარჩენი ნაგულისხმევი. ეს გამომდინარეობს ადამიანზე ხშირი მითითებიდან. ამრიგად, ყველა ეს ფუნდამენტური ღირებულება არის კონსტიტუციური წესრიგის აუცილებელი კომპონენტი და მოქმედებს უნივერსალურად. ვინაიდან ეს ღირებულებები არსებითად კონსტიტუციური წესრიგის ნაწილია, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საყოველთაოდ ანუ უნივერსალურად.

⁴⁷ Order of the German Federal Constitutional Court of 14 October 2004 – *Görgülü* case, para. 62, <https://www.bundesverfassungsgericht.de/e/rs20041014_2bvr148104en.html> [15.7.2021].

⁴⁸ *Arnold R.*, L'État de droit comme fondement du constitutionnalisme européen, *Revue française de droit constitutionnel*, numéro spécial, 25 ans de droit constitutionnel, no. 100, 2014, 769-776.

6. განსხვავებული ფორმები და ფუნქციური ბირთვი

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფასეულობები, რომლებიც აუცილებელია კონსტიტუციური წესრიგისთვის, სხვადასხვა კონსტიტუციურ წესრიგში შესაძლოა განსხვავებულად იქნეს სტრუქტურირებული. მთავარია, ასეთ შემთხვევაში მათი ფუნქციური ბირთვი ხელუხლებელი დარჩეს. ეს ფუნქციური ბირთვი, მაგალითად, ფუნდამენტური უფლებების დაცვის შემთხვევაში, წარმოადგენს ინდივიდის თავისუფლების ეფექტური უზრუნველყოფის საშუალებას, მიუხედავად იმისა, კონკრეტულ სამართლებრივ წესრიგში ეს ფუნდამენტური უფლებები არის თუ არა სუბიექტურ უფლებებად მოაზრებული როგორც ობიექტური პრინციპები, რომლებიც პროგრამული პრინციპების მსგავსად, პირველ რიგში უნდა იქნეს იმპლემენტირებული კანონდებლის მიერ; მთავარია, ეს პრინციპები სრულყოფილად და ეფექტურად იცავდეს თავისუფლებას. პოლიტიკური თავისუფლება შეიძლება განხორციელდეს წარმომადგენლობით ან (ნაწილობრივ მაინც) პირდაპირი დემოკრატიის გზით; რაც მთავარია, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ეფექტური პოლიტიკური თვითგამორკვევა, რაც ასახულია კონკრეტულ კონსტიტუციურ სისტემაში.

7. ნორმატიული რეალობა და მისი აღქმა

ვინაიდან ეს საბაზისო ურთიერთობა დაკავშირებულია ადამიანთან და ეს კავშირი არსებითია, მას აქვს ზოგადი, უნივერსალური ვალიდურობა. ეს ადამიანზე ორიენტირებული საბაზისო ურთიერთობა, როგორც ნორმატიული რეალობა, არ იცვლება რეგიონიდან რეგიონში და არ არის ისტორიულად ცვალებადი. ეს ნორმატიული რეალობა ყოველთვის არ მიიღება მხედველობაში, ზოგჯერ, შეგნებულად უგულებელყოფილია, ზოგჯერ არასწორად გაგებულია, თუმცა ხანდახან ხდება მისი სწორად ამოცნობაც. ამრიგად, აღქმა უნდა განვასხვაოთ ამ ნორმატიული რეალობისგან, ანუ სუბიექტური გაგებისგან და კონკრეტული ნორმატიული ან პოლიტიკური იმპლემენტაციისგან კონკრეტულ დროსა და ადგილზე. სინამდვილეში, ნორმატიული რეალობა და აღქმა ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს და ეს შესამჩნევია უმნიშვნელო საკითხებში, მაგრამ არც თუ იშვიათად ის ასევე გვხვდება არსებით განზომილებებშიც, განსაკუთრებით, საკონსტიტუციო დებულებათა პოლიტიკისგან გადახვევისას.

8. კანონების და სისტემების შედარება

კანონის (სამართლის) შედარება გულისხმობს სამართლებრივ წესრიგთა შედარებას, რადგან ისინი კონკრეტიზირებულია (ზოგადად ფიქსირებული) ანთროპოცენტრულ ღირებულებათა ძირითადი წესრიგის შესაბამისად (უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუციონალური კონკრეტიზაცია, ისევე როგორც ღირებულებითი და არაღირებულებითი კონკრეტიზაცია). კანონის (სამართლის) შედარება ემსახურება იმის შესწავლას, არის თუ არა და რამდენად არის ინდივიდუალური სამართლებრივი სისტემების აღქმა (კერძოდ, კონსტიტუცია და საკანონმდებლო დებულებები, სასამართლო ინტეპრეტაციები, პოლიტიკური იმპლემენტაციები) შესაბამისობაში ძირითადი ღირებულებითი წესრიგის ნორმატიულ რეალობისთან (ანუ რამდენადაა ღირებულებითი წესრიგის აუცილებელი ელემენტები, რამდენადაც ისინი წერილობითი ხასიათისაა, სწორად განმარტებული და ნორმატიული რეალობის შესაბამისი, ან იმ შემთხვევაში, თუ ის წერილობითი ხასიათის არ არის, რამდენად სწორადაა ისინი სასამართლოს მიერ გამოვლენილი).

იმის გამოკვლევა, შეესაბამება თუ არა აღქმა (კერძოდ, წერილობითი, სამართლებრივად განვითარებული, კანონმდებლობით ჩამოყალიბებული და პოლიტიკურად იმპლემენტირებული სამართლებრივ სახელმწიფო) ინდივიდუალურ სამართლებრივ სისტემებში ნორმატიულ რეალობას, წარმოადგენს მხოლოდ „არანამდვილ“ კანონის (სამართლის) შედარებას, რადგან შედარების ობიექტი თავის არსში, კერძოდ, ანთროპოცენტრულ ღირებულებათა ძირითად წესრიგში, ყოველთვის ერთი და იგივეა, აქვს უნივერსალური ვალიდურობა და მხოლოდ მისი აღქმის კუთხით არსებობს განსხვავებები. ამ შედარების შედეგი შეიძლება იყოს სხვადასხვა: თანმიმდევრული, არასრული (მაგრამ გაუმჯობესების ღირსი) ან ერთ ან მეტ ელემენტთან მიმართებით ძირითადი ღირებულებითი წესრიგის უარყოფელი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, არ არსებობს ნამდვილი კონსტიტუცია, არამედ არსებობს უბრალოდ ორგანიზაციის დებულება. ასეთ ვითარებაში არ იარსებებდა რეალური კონსტიტუციონალიზმი.

9. სისტემისთვის აუცილებელი და შეცვლადი ნორმები კონსტიტუციაში

ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული კონსტიტუციური წესრიგი შეიცავს ორი ძირითადი სახის ნორმას (პრინციპს, წესს): ერთი მხრივ, ნორმები, რომლებიც ნამდვილი კონსტიტუციისთვის ანუ ლიბერალ-დემოკრატიული კონსტიტუციისთვის არის არსებითი, სისტემურად აუცილებელი და, მეორე მხრივ, ისეთი ნორმები, რომლებიც არ ექვემდებარება ცვლილებას.

ტერიტორიული მოწყობის ფორმა, ფედერალური სახელმწიფოებრიობა, რეგიონალური სახელმწიფოებრიობა თუ (რელატივიზებული) ცენტრალური სახელმწიფოებრიობა ცვალებადია, და არ არის პირდაპირ დაკავშირებული ანთოპოცენტრულ ძირითად ღირებულებათა წესრიგთან, მაშინაც კი, თუ ფედერალური სახელმწიფოებრიობა ნიშნავს ძალაუფლების ვერტიკალურ დანაწილებასა და, შესაბამისად (სხვა ასპექტებთან ერთად), წარმოადგენს კანონის უზენაესობის მნიშვნელოვან გარანტიას. ამ თვალსაზრისით, იმ ნორმების ფარგლებში, რომლებიც არ არის ამ გაგებით სისტემურად აუცილებელი, განსხვავება შეიძლება გაკეთდეს იმ ნორმათა შორის, რომლებიც ხორცს ასხამს არსებით ღირებულებებს, მაგრამ ცვალებადია შინაარსისა და ფორმის მიხედვით, შესაბამისი მანევრის ზღვრის გამოყენებით (მნიშვნელოვან ღირებულებათა ეფექტური რეალიზაციის ფარგლებში) და ისეთებს, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვთ ამ არსებით ღირებულებებთან.

10. ანთროპოცენტრულ ღირებულებათა ძირითადი წესრიგი და მისი გოგადი მნიშვნელობა ინდივიდებზე ძალაუფლების განმახორციელებელი სისტემებისთვის

ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის ანთროპოცენტრულ ღირებულებათა ძირითადი წესრიგი რელევანტურია არა მხოლოდ სახელმწიფოში, არამედ ყოველთვის, როდესაც საჯარო ხელისუფლებას შეუძლია ძალაუფლება გამოიყენოს ადამიანის მიმართ (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ან, როდესაც ადამიანთა ცხოვრების პირობები არსებითად განისაზღვრება ერთი ან მეტი გადაწყვეტილების მიმღებისგან, თუნდაც არ იყოს სახეზე ძალაუფლების ასეთი ფორმით განხორციელება. ეს შეიძლება უდავოდ ითქვას ევროკავშირის ზესახელმწიფოებრივი წესრიგის სფეროსთან მიმართებაში. თუმცა ჩნდება კითხვა ანთროპოცენტრულ ღირებულებათა ძირითადი წესრიგის რელევანტურობის შესახებ საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით, როგორცაა საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგი, რომელშიც უშუალო ნორმის ადრესატები არიან არა ინდივიდები, არამედ სახელმწიფოები, როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტები. გარდა ზემოთ უკვე განხილული, ამ დონეზე არსებული გარკვეული კონსტიტუციური სტრუქტურების განვითარებისა, შესაბამისი დამცავი მექანიზმი მოცემულია თავად სახელმწიფოთა კონსტიტუციურ წესრიგში, რომელმაც უნდა მოახდინოს საერთაშორისო სამართლის ნორმათა იმპლემენტაცია. ეროვნული კონსტიტუციები უზრუნველყოფს გარანტიებს ძირითად ღირებულებით

წესრიგთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და წარმოადგენს ბარიერებს საერთაშორისო აქტორების მხრიდან დარღვევების წინააღმდეგ. ეროვნულ კონსტიტუციებში ამ ღირებულებათა დანერგვა უზრუნველყოფს ფუნდამენტურ დაცვას და ამასთან, ხაზს უსვამს იმას, რომ ძირითად ღირებულებით წესრიგზე ორიენტირების აუცილებლობა ვრცელდება საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგზეც, სულ მცირე არაპირდაპირი გზით, ეროვნული კონსტიტუციის საშუალებით, რომელიც სავალდებულოა სახელმწიფოებისთვის მაშინ, როდესაც ისინი ახდენენ საერთაშორისო ნორმების იმპლემენტაციას.

III. თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ტენდენციები – რამდენიმე ძირითადი ასპექტი

1. ინდივიდუალიზაციის მიმართ ტენდენცია

1.1. ძირითადი ტენდენციების კავშირი

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმს აშკარად ახასიათებს ტენდენცია ინდივიდუალიზაციის მიმართულებით. სხვა ძირითადი ტენდენციები, როგორცაა კონსტიტუციონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია,⁴⁹ არ შეიძლება ამისგან იზოლირებულად იქნეს დიფერენცირებული, რადგან მათ შორის არსებობს მრავალმხრივი ურთიერთკავშირი და ფუნქციური სიახლოვე. თუმცა, მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, მაინც შესაძლებელია მათი განცალკევებით აღწერა.

1.2. კონცეპტუალური და ინსტიტუციური განზომილება

ინდივიდუალიზაციისკენ ტენდენცია შეიძლება დაყოფილ იქნეს კონცეპტუალურ-მატერიალურ და ინსტიტუციურ-ფორმალურ სფეროებად. იგი შეესაბამება კონსტიტუციონალიზმის ანთროპოცენტრულ ფუნდამენტს, რომელშიც ადამიანი, მისი ღირსება და თავისუფლება კონცეპტუალურად მოთავსებულია სამართლის, განსაკუთრებით, კონსტიტუციური სამართლის ცენტრში. ინდივიდუალიზაციის სფეროს განეკუთვნება ამ ანთროპოცენტრულ ღირებულებათა ძირითადი წესრიგის ფუნდამენტური ასპექტები და ის წარმოადგენს ცენტრალურ ამოსავალ წერტილს თანამედროვე კონსტიტუციური აზროვნების სრულად შეცნობისთვის. ადამიანის, როგორც საზოგადოებასთან დაკავშირებული ინდივიდის სიმბოლიზება, რომლის არსობრივი ღირებულება და, შესაბამისად, სუბიექტის სტატუსი მოითხოვს სრულ აღიარებას, გადამწყვეტი

⁴⁹ Arnold R., Interdependenz im Europäischen Verfassungsrecht, Essays in Honour of Georgios I. Kassimatis, 2004, 733-751.

მნიშვნელობისაა. კონსტიტუციური წესრიგის მკაფიო მოთხოვნაა, რომ კონსტიტუცია ითვალისწინებდეს პიროვნების თავისუფლების სრულყოფილ დაცვას, იქნება ეს დაწერილი თუ დაუწერიელი ფორმით. არსებითად და ფუნქციურად გარანტირებული უნდა იყოს დაცვის ეფექტურობა. კერძოდ, ეს ნიშნავს: თავისუფლების საყოველთაო დაცვას დღევანდელი და მომავალი საფრთხეებისგან; ინტერპრეტაციას, რომელიც ორიენტირებულია დაცვის ოპტიმალურ ეფექტურობაზე, ფუნქციურ დაცვაზე, განსაკუთრებით, არაპროპორციული ხელყოფისგან და ამასთან, ღირებულებათა საერთაშორისო დონეზე განვითარების ნათელ მიმართულებას, რამდენადაც ისინი გულისხმობენ გაძლიერებასა და შემდგომ დიფერენციაციას.

მრავალ სამართლებრივ სისტემაში ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებებზე კონცეპტუალურ ორიენტირებას მივყავართ პიროვნების დაცვის ფუნქციური გაძლიერებისკენაც. აღნიშნული შესაძლოა აიხსნას გერმანული სამართლის მაგალითით: სახელმწიფოს ჩარევისგან დაცვის სუბიექტურ უფლებებად მოაზრებული ფუნდამენტური უფლებები ასევე აღიარებულია ობიექტურ ღირებულებებად, რომლებიც მნიშვნელოვანია მთელი სამართლებრივი წესრიგისათვის, ანუ სამართლის ყველა სფეროსთვის, სამოქალაქო სამართლის ჩათვლით (კერძო სამართალი).⁵⁰ კონსტიტუციისთვის მინიჭებული რადიკალური ეფექტი⁵¹ აიხსნება კონსტიტუციის სულ უფრო მეტად აღიარებული პრიმატით, როგორც სახელმწიფოს კანონის უზენაესი წყაროსი, რაც საბოლოოდ წარმოადგენს ინდივიდის განსაკუთრებული ადგილის აღიარების შედეგს.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი ფუნქციური გაფართოების საფეხური, რომელიც უკვე იქნა ნახსენები: ფუნდამენტური უფლების დამცავი „უარმყოფელი“ ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტური უფლების კონცეფციასთან, ხდება მთელი სამართლებრივი წყობის კონსტიტუციური სტრუქტურული მახასიათებელი ძირითადი უფლებების ღირებულებითი ხასიათის აღიარებით და შემდეგ ფარდოვდება (დამატებითი ნაბიჯი) სახელმწიფოს მიერ ინდივიდის აქტიური, გაძლიერებული დაცვის მიზნით შესრულების მოთხოვნის მიმართულებით. სარგებელზე წვდომის უფლება არ გულისხმობს ფინანსური დახმარების მიღების უფლებას, ყოველ შემთხვევაში, არა როგორც წესი, არამედ მოიცავს სახელმწიფოს მხარდაჭერის მიღების უფლებას დაცვის გზით, ერთი მხრივ,

⁵⁰ Judgment of the German Federal Constitutional Court of 15 January 1958 – 1 BvR 400/51 – BVerfGE 7, 198 (205-206), <https://www.bundesverfassungsgericht.de/e/rs19580115_1bvr040051.html> [15.7.2021].

⁵¹ Judgment of the German Federal Constitutional Court of 15 January 1958 – 1 BvR 400/51 – BVerfGE 7, 198 (205-206), see the term „*Ausstrahlungswirkung*“, <https://www.bundesverfassungsgericht.de/e/rs19580115_1bvr040051.html> [15.7.2021].

სხვა კერძო პირებთან მიმართებით (შესაბამისად, დაცვის ჰორიზონტალური ვალდებულება)⁵² და, მეორე მხრივ, თავად სახელმწიფოსთან მიმართებაში იმდენად, რამდენადაც ფუნდამენტური უფლება გახსნილი, იმპლემენტირებული, და შესაბამისად, ხელშეწყობილი და დაცულია საკანონმდებლო კონსტრუქციით.⁵³ ფუნდამენტური უფლებების ეს ფუნქციური გაფართოება რეალიზებულ იქნა პრეცედენტული სამართლის მეშვეობით და არა ფორმალური კონსტიტუციური ცვლილებით ან კონსტიტუციური რეფორმით და მან, დროთა განმავლობაში, აჩვენა სტაბილურად პროგრესირებადი განვითარება.

საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა ხშირად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდივიდუალიზაციის პროცესისთვის. მაგალითად, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა წამოიწყო ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ფუნდამენტური უფლებების დაცვის უაღრესად მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაძლიერება და ფართოდ გაავრცელა ინტერპრეტაციის მეთოდი, რომელიც მიმართულია დაცვის ოპტიმიზაციისკენ (და ასევე ხელი შეუწყო ავსტრიაში არსებული კომპეტენციებისა და ფუნდამენტური უფლებების შინაარსის ფორმალურ და, შესაბამისად, შეზღუდულ ინტერპრეტაციას, რითაც მოახდინა მისი მოდერნიზაცია და აქცია იგი ფუნდამენტური უფლებების დაცვის მნიშვნელობასთან მიმართებით ადეკვატური).⁵⁴ სტრასბურგის პრეცედენტული სამართლით ასევე გაძლიერდა და გავრცელდა ფუნდამენტური უფლებების დაცვის ვალდებულების კონცეფცია.⁵⁵ ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიამ კიდევ უფრო გააძლიერა ფუნდამენტური უფლებების ეროვნული დაცვა სახელმწიფოების გარეთ. საერთაშორისო ფუნდამენტური და ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტები სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რათა შექმნან ურთიერთთანმხვედრი შინაარსის მქონე საერთო ინსტრუმენტი. ეს საერთოდ არ ნიშნავს ფუნდამენტური უფლებების დაცვის სისტემის დანაწევრებას, არამედ ის წარმოადგენს მის გაძლიერებას. გარდა ამისა, ამ პროცესში ცხადი ხდება, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ორი თანდაყოლილი ტენდენცია

⁵² *Arnold R.* (dir.), *La structure des droits fondamentaux – aspects choisis. La estructura de los Derechos fundamentales – cuestiones seleccionadas*, *Comparative Law Studies* 12, 2021, 12-13.

⁵³ რაც შეეხება „*Unterrmaßverbot*“ მიდგომას – სახელმწიფოს ვალდებულების შესახებ, დაიცვას თავისუფლება იმ ფორმით, რომ იგი არ იყოს არასაკმარისი და, ადეკვატურ მოცულობაზე ნაკლები, იხ. *Judgment of the German Federal Constitutional Court of 28 May 1993 – BVerfGE 88, 203 (254)*, <https://www.bundesverfassungsgericht.de/e/fs19930528_2bvf000290en.html> [15.7.2021].

⁵⁴ *Pöschl M.*, *Die Verfassung und ihre Funktionen*, 4, <https://staatsrecht.univie.ac.at/fileadmin/user_upload/i_staatsrecht/Poeschl/Publikationen/Die_Verfassung_und_Ihre_Funktionen_-_onlinedatei.pdf> [15.7.2021].

⁵⁵ *Sudre F.*, *Droit européen et international des droits de l’homme*, 14e édition, 2019, 247.

– ინდივიდუალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, რამდენად არის ფუნქციურად ერთმანეთთან დაკავშირებული, რამდენად აქვთ ერთმანეთზე გავლენა და, ამის შედეგად, რამდენად აძლიერებენ ერთმანეთს. საერთაშორისო საგარანტიო ინსტრუმენტები ეროვნული ტექსტებიდანაც იღებს იმპულსებს, რაც აშკარად ჩანს ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის გენეზისიდან და ასევე მისი ტექსტური ვერსიიდან. ეროვნული საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკა სახელმწიფოს კონსტიტუციების ინტერპრეტაციებთან მიმართებით უნდა ჩაითვალოს როგორც დამხმარე ინსტრუმენტი ევროკავშირის ზესახელმწიფოებრივი ქარტიის ინტერპრეტაციისთვისაც.⁵⁶ როგორც ჩანს, ამ ურთიერთგავლენამ შედეგად გამოიღო ოპტიმიზაცია და არ გამოუწვევია ფუნდამენტური უფლებების დაცვის შემცირება.

ინსტიტუციურ-ფორმალურ სფეროში არსებობს ასევე ტენდენციები სუბიექტივიზაციისკენ, რაც შეიძლება აიხსნას როგორც ინდივიდუალიზაციისკენ მიმართული ტენდენციის გამოხატვა. მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური დაცვის იდეა ძლიერდება, განსაკუთრებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. სამართლებრივი დაცვის საშუალებად ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის შემოტანა, რამდენიმე გამონაკლისის სახით, მოხდა მთელ ევროპულ სივრცეში.⁵⁷ სტრუქტურები მსგავსია მიდგომის კუთხით: საკონსტიტუციო სასამართლოზე წვდომა გახსნილია მხოლოდ ჩვეულებრივი სამართლებრივი პროცესის მთლიანად გავლის შემდეგ. ეს ასევე შეესაბამება საერთაშორისო დონის კონცეფციას, რამდენადაც იქ ინდივიდუალური წვდომა უზრუნველყოფილია ისევე, როგორც ეს სტრასბურგის სასამართლოს მოდელშია. ეს წარმოადგენს გადახრას ტრადიციული საერთაშორისო კონცეფციიდან და გვიჩვენებს ინდივიდუალიზაციის განსაკუთრებით ნათელ მაგალითს, განსაკუთრებით, საერთაშორისო სფეროში, რომლისთვისაც დამახასიათებელია მიმართება სახელმწიფოებთან. რაც შეეხება ეროვნულ კონსტიტუციურ სარჩელს, ამ შემთხვევაში დეტალური სტრუქტურები განსხვავებულია. ერთი მხრივ, არსებობს სისტემის ტიპი, რომელიც ემყარება გერმანულ კონცეფციას და იძლევა სარჩელის შეტანის უფლებას საჯარო ხელისუფლების ნებისმიერი აქტის წინააღმდეგ,⁵⁸ ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს სხვა ტიპის სისტემა, რომელიც ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ ევროპაში,

⁵⁶ Charter of the Fundamental Rights of the European Union, Article 52.4, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:12012P/TXT>> [15.7.2021].

⁵⁷ ლიეტუვას უახლესი პრაქტიკა ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის შეტანის შესახებ იხ. *Daneliene I.*, Individual Access to Constitutional Justice in Lithuania: The Potential within the Newly Established Model of the Individual Constitutional Complaint, *Revista de derecho Político*, 2021, 281-312.

⁵⁸ Basic Law for the Federal Republic of Germany (GG), Article 93.1 no. 4a, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_gg/englisch_gg.pdf> [15.8.2021].

რომელიც ინდივიდს აძლევს სარჩელის შეტანის საშალებას მხოლოდ კანონების წინააღმდეგ.⁵⁹ იქ, სადაც ინდივიდუალური სარჩელი ჭეშმარიტი გაგებით დაუშვებელია, აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებიდან გამომდინარე, ფუნდამენტური უფლებების დარღვევა როგორც წესი განიხილება ადმინისტრაციული სასამართლოების ან სულაც ჩვეულებრივი სასამართლოების მიერ.

2. კონსტიტუციონალიზაციის ტენდენცია

2.1. კანონის უზენაესობის პრინციპი და კონსტიტუციონალიზმის განვითარება

კანონის უზენაესობის პრინციპი არის ხიდი ღირებულებათა კონსტიტუციურ წყობასა და სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის, რომლებმაც პატივი უნდა სცენ და უნდა მოახდინონ ამ ღირებულებების რეალიზება. რეალიზების ეს ვალდებულება, პირველ რიგში, ეხება ინსტიტუციების მოქმედებას (ან უმოქმედობას), თუმცა, მათი სტრუქტურა და ფუნქციონირება ასევე უნდა ასახავდეს ამ ღირებულებებს და ისინი უნდა იქნეს ჩამოყალიბებული ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი ეფექტური იმპლემენტაცია.

ინსტიტუციონალური ეფექტურობა არის კონსტიტუციით გათვალისწინებული და წარმოადგენს ინსტიტუციების სტრუქტურული და ფუნქციური წესების ნაგულისხმევ ნაწილს. ეს კონსტიტუციურად გამორიცხავს ჩვეულებრივი კანონების მეშვეობით ინსტიტუციური ეფექტურობის შესუსტებას.

კანონის უზენაესობის პრინციპი მონაწილეობს კონსტიტუციონალიზმის შემდგომ განვითარებაში, რომელიც არსებითადაა დაფუძნებული ანთროპოცენტრულ ფუნდამენტურ ფასეულობებზე მისი მაკავშირებელი ფუნქციის გამო, რომელიც ზემოთ იქნა ნახსენები. ფუნდამენტური უფლებების იდეის გაძლიერება ანუ ტენდენცია ინდივიდუალიზაციისკენ ასევე ასახულ იქნა კანონის უზენაესობის პრინციპის განვითარების პროცესში. ვინაიდან ეს უკანასკნელი ფასეულობებზეა ორიენტირებული, ღირებულებების გაძლიერებამ, განსაკუთრებით თავისუფლების პრინციპის გაძლიერებამ, ასევე გამოიწვია კანონის უზენაესობის ფუნქციური გაძლიერება.

⁵⁹ Haase G., Struger K., Verfassungsgerichtsbarkeit in Europa, 2009, 126 et seq., 133, 139-140, 153 etc.

2.2. კანონის უზენაესობა როგორც უნივერსალური პრინციპი

კანონის უზენაესობა არის კონსტიტუციონალიზმის უნივერსალური, ფუნდამენტური პრინციპი. ეს არის სახელმწიფო მოწყობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუციების ვალდებულებას, იმოქმედონ კანონის შესაბამისად. კანონი (სამართალი) ანუ კანონმდებლობა და კონსტიტუცია წარმოადგენს ერთადერთ ორიენტირსა და სტანდარტს სახელმწიფოს საქმიანობისთვის, რაც მოიცავს სახელმწიფოს ყველა ორგანოსა და დაწესებულებათა საქმიანობას. ამ დროს გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ კანონი და არა იძულება ან პოლიტიკური ძალაუფლება იმდენად, რამდენადაც კანონი ამას ეწინააღმდეგება.

2.2.1. სამართალსა და პოლიტიკას შორის ურთიერთობა

სამართალზე ორიენტაცია არ გამორიცხავს პოლიტიკას. განვითარების პროცესში პერსპექტივა შეიცვლა – პოლიტიკური პროცესების, განსაკუთრებით, უაღრესად პოლიტიკური აქტების სასამართლო კონტროლის მიმართ აშკარად თავის შეკავებიდან – კანონის უპირატესი მნიშვნელობის შესახებ გაზრდილ ცნობიერებამდე, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კონსტიტუციის პრიმატს ყველა სახელმწიფო ქმედებასთან მიმართებით. კანონის უზენაესობის თანამედროვე კონცეფცია *a priori* აღარ აღიარებს კანონის მიღმა სივრცეებს. კანონი მოქმედებს ამომწურავად, შესაბამისად, „კანონის რუკაზე“ აღარ გხვდება „თეთრი სივრცეები“.⁶⁰ ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ კონსტიტუციურ ვალდებულებასა და პოლიტიკურ თავისუფლებას შორის განსხვავება ახლა უფრო მკვეთრადაა ფოკუსირებული.

დღეს უფრო აშკარადაა აღიარებული, რომ პოლიტიკა თავისი ბუნებით აყალიბებს, ირჩევს, გეგმავს მომავალს და, ამრიგად, დემოკრატიისთვის აუცილებელი ელემენტია. პოლიტიკა პირდაპირ განსაზღვრულია პარლამენტში უმრავლესობის გადაწყვეტილებით (ან ზოგიერთ სისტემაში რეფერენდუმის საშუალებით). პოლიტიკა გარდაიქმნება კანონმდებლობაში კანონის ფორმით ინსტიტუციური უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ამრიგად, პოლიტიკა არის კანონით შებოჭილი, ის წარმოიშობა კანონით დადგენილ ფარგლებში. პოლიტიკის კანონმდებლობით ბოჭვა ფარდობითია; ის შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს უმრავლესობის მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით, რომელიც შინაარსობრივად განსხვავებულია. ერთადერთი არსებითი მოთხოვნა არის ის, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს ამ მიზნით შექმნილ დაწესებულებაში – პარლამენტში და ამ

⁶⁰ Drigo C., *Le corti costituzionali tra politica e giurisdizione*, 2016.

მიზნით შემუშავებული პროცედურის შესაბამისად. ზოგიერთ სისტემაში პარალელების გავლება შეიძლება მოხდეს ხალხის მიერ პირდაპირი გზით უმრავლესობის გადაწყვეტილების მიღებაზე, რამდენადაც იგი შეესაბამება პლებისციტური კანონმდებლობის წესებს. ინსტიტუციონალიზაციისა და ფორმირების გზით, პოლიტიკისთვის ჩარჩო იქმნება იმისთვის, რათა მან შეიძინოს ხმათა უმრავლესობით კანონის შექმნის უნარი.

2.2.2. კანონიერება და კონსტიტუციურობა

კანონის უზენაესობის თანამედროვე მიდგომის შესაბამისად, კანონიერების ლეგიტიმაცია უნდა მოხდეს კონსტიტუციურობით ანუ მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობით. კონსტიტუცია გამოხატავს ხალხის ზოგად ნებას, ეს არის საზოგადოების შეთანხმება, *ჟან-ჟაკ რუსოს* „*contrat social*“-ის გაგებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონი შეესაბამება კონსტიტუციას, ის გამოხატავს ხალხის ნებას ანუ წარმოადგენს ხალხის ნების ბატონობას, მაშასადამე დემოკრატიას. კონსტიტუციის შექმნა არის ფუნდამენტური კანონმდებლობა, დემოკრატიის სპეციფიკური გამოვლინება. ორივე სფერო, კონსტიტუცია და კანონი, უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან; ისინი ერთმანეთზე დამოკიდებული, თუმცა, ამავე დროულად, ისინი ურთიერთშემავსებელი სფეროებია. მაშასადამე, კანონის არაკონსტიტუციურობა ნიშნავს კონსტიტუციის სფეროში საკანონმდებლო ორგანოს დაუშვებელ გადაცდომას.⁶¹

2.2.3. კანონის უზენაესობა და ანთროპოცენტრული ფუნდამენტური ღირებულებები

ვინაიდან სამართალს და, განსაკუთრებით, კონსტიტუციურ სამართალს საწყის მიზნად აქვს დასახული ადამიანის დაცვა და ხელშეწყობა, ისინი უნდა მივიჩნიოთ „ანთროპოცენტრულად“; გარდა ამისა, კანონის უზენაესობის მიზანია, დაიცვას ანთროპოცენტრული ფუნდამენტური ღირებულებები – ადამიანის ღირსება, თავისუფლება და თანასწორობა, როგორც კონსტიტუციური სახელმწიფოს ბირთვი – და გახადოს მათი დაცვა სახელმწიფო ინსტიტუციებისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი სახელმძღვანელო პრინციპი. ამრიგად, კანონის უზენაესობა ღირებულებებზეა დაფუძნებული. ეს არის თანამედროვე კონსტიტუციური აზროვნების არსებითი გამოვლინება.

⁶¹ *Arnold R.*, Bundesverfassungsgericht e la politica, in: *Scaccia G.* (ed.), Corti dei diritti e processo politico, Edizioni Scientifiche Italiane, 2019, 41-50.

ამგვარად, კონსტიტუციის უპირატესობა (პრიმატი) ახდენს ანთროპოცენტრული ღირებულებითი წესრიგის ტრანსფერს ინსტიტუციების სფეროში. მაშინ როცა, კონსტიტუციის ფუნდამენტური უფლებების ნაწილი განსაზღვრავს ადამიანებთან დაკავშირებულ ღირებულებებს, კანონის უზენაესობა ქმნის ერთგვარ ხიდს კონსტიტუციის ინსტიტუციურ ნაწილთან, რის გამოც ის მნიშვნელოვანია ამ ღირებულებათა რეალიზაციის პროცესისთვის.

2.2.4. კანონის უზენაესობის ასპექტები

კანონის უზენაესობის ინდივიდუალური ელემენტები შეიძლება დაიყოს შემდეგ ფართო ჯგუფებად: სამართლებრივი ელემენტები ფორმალური თვალსაზრისით და სამართლებრივი ელემენტები ფუნქციონალური თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი შეიძლება დაიყოს ინსტიტუციონალურ და არსებით (სუბსტანციურ) ფუნქციონირებად.

1) როცა საქმე ეხება სამართლებრივ ელემენტებს ფორმალური თვალსაზრისით, კანონის უზენაესობის პრინციპი დაკონკრეტებულია კანონის ფორმალური მოთხოვნებით: კანონი უნდა იყოს მკაფიო და ნათელი (სამართლებრივი სიცხადე, სამართლებრივი განსაზღვრულობა); ის ასევე უნდა იყოს უსაფრთხო (რაც ნიშნავს სამართლებრივ განსაზღვრულობას ანუ კანონმა უნდა უზრუნველყოს ნორმით დაპირებული სამართლებრივი მდგომარეობა; უკუძალის აკრძალვა ანუ კანონის შესაბამისად მიღებული მდგომარეობა შემდგომში არ უნდა გაუარესდეს; ნდობის დაცვა ანუ ნორმები წარმოშობს ნდობას, რომელზედაც ადრესატს უნდა შეეძლოს დაყრდნობა).

2) ფუნქციონალური თვალსაზრისით, კანონის უზენაესობა მოიცავს ქმედების ინსტიტუციონალურ მეთოდს: კანონიერების პრინციპი (მმართველობის კანონიერება, ე.წ. ფორმალური კანონი უნდა იქნეს დაცული მმართველი ორგანოს მიერ); კანონის დათქმა ანუ ხელისუფლების ჩარევა თავისუფლებასა და საკუთრებაში მოითხოვს გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს (ეს ასევე ვრცელდება ზოგიერთ სისტემაში შესრულების ადმინისტრირებაზე); კონსტიტუციურობის პრინციპი (კონსტიტუციის კანონზე უპირატესობა; საკანონმდებლო ხელისუფლების კონსტიტუციით შებოჭვა; კონსტიტუციის შესაბამისად, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების კანონით და ასევე უშუალოდ კონსტიტუციით შებოჭვა); ხელისუფლების დანაწილების პრინციპი (ან ფუნქციების გამიჯვნა; კონტროლისა და წონასწორობის პრინციპი; ხელისუფლების სამ შტოდ გამიჯვნა ანუ ხელისუფლების ჰორიზონტალური გამიჯვნა; ფუნქციების ნაწილობრივი ურთიერთკვეთა ანუ შტოებს შორის ურთიერთქმედება და

ფუნქციების ნაწილობრივი თანხვედრა ისე, რომ ამან ერთი შტოს ფუნქციურ ბირთვზე არ მოახდინოს გავლენა); ეფექტური სამართლებრივი დაცვის პრინციპი (აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლი სასამართლოების ანუ დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიერ, რომლებიც ემორჩილებიან მხოლოდ კანონს; გარდა ამისა, თავად სასამართლო გადაწყვეტილებების გადახედვა, მინიმუმ, ერთი ზემდგომი ინსტანციის მიერ; კანონმდებლობის შემთხვევითი ან პრინციპული სასამართლო კონტროლი; კონსტიტუციური მართლმსაჯულება როგორც „კანონის უზენაესობის სრულყოფილება“).

3) შინაარსთან დაკავშირებული მოქმედების მეთოდი: კანონის უზენაესობის ღირებულებებზე ორიენტაცია (ანთროპოცენტრული ძირითადი ფასეულობების გადატანა ინსტიტუციების სფეროში, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ უნდა დაიცვას და აღასრულოს ეს ღირებულებები – ადამიანის ღირსება, თავისუფლების პრინციპი, თანასწორობა – რომელიც მკაფიოდ ან იმპლიციტურად არის კონსტიტუციით განსაზღვრული; პროპორციულობის პრინციპი როგორც ინსტრუმენტი თავისუფლების პრინციპის გამიჯვნისთვის და თავისუფლების გამონაკლისის სახით შეზღუდვისთვის, რაც აუცილებელია თანასწორობის მიზნებიდან გამომდინარე).⁶²

2.2.5. კანონის უზენაესობა როგორც თავისუფლების უზრუნველყოფის ექსტრასახელმწიფოებრივი მოდელი

ინდივიდთან მიმართებაში თავისუფლების უზრუნველყოფა ყოველთვის აუცილებელია, იქ სადაც საჯარო ხელისუფლება გავლენას ახდენს ინდივიდზე ან ერევა მის თავისუფლებაში, ან არსებითად განსაზღვრავს მის ყოფას, თუნდაც მის თავისუფლებაში უშუალოდ ჩარევის გარეშე. ეს მდგომარეობა სახეზეა საჯარო ძალაუფლების გადაცემით სახელმწიფოდან სახელმწიფოს გარეთ არსებულ ორგანიზაციულ ერთეულებზე, განსაკუთრებული სიცხადით ეს ჩანს ევროკავშირის ზესახელმწიფოებრივ

⁶² კანონის უზენაესობის ამ სხვადასხვა ელემენტის, გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლისა და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მდიდარი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით გერმანული პერსპექტივის შესახებ იხ. Mangoldt H., Klein F., Starck C. (eds.), Kommentar zum Grundgesetz: GG, Band 2, 7. Auflage, 2018, Commentary on Article 20 GG, specifically: paras. 197-225 (separation of powers); paras. 249-260 (constitutionality, primacy of the constitution, paras. 253-260); paras. 270-284 (legality related to the executive), paras. 285-286 (legality related to the judiciary); paras. 289-291 (legal certainty); paras. 292-297 (protection of confidence in law); paras. 308-320 (proportionality); para. 311 (impact of the case-law of the Strasbourg and Luxembourg courts). ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ნათლად აჩვენებს, რომ კანონის უზენაესობის ელემენტები მომდინარეობს კანონის არსიდან. ეს ასევე განმარტავს, თუ რატომ განვითარდა პარალელური ასპექტები სხვა სამართლებრივ სისტემებში.

გაერთიანებაში და შესუსტებული ფორმით, ასევე გხვდება საერთაშორისო თანამეგობრობაში. ვინაიდან კანონის ანთროპოლოგიური ათვისების წერტილი ყოველთვის ერთი და იგივეა, ადამიანებთან დაკავშირებული ფუნდამენტური ღირებულებები დაცული და რეალიზებული უნდა იქნეს. კანონის უზენაესობა როგორც გადაცემის (ტრანსფერის) მექანიზმი (სახელმწიფოს გარეთ, რომელსაც ეწოდება სამართლებრივი გაერთიანება, სამართლებრივი ერთიანობა ან ნეიტრალური ტერმინი – კანონის უზენაესობა) აუცილებელია. ამან უკვე გამოიწვია ამ იდეის ჩამოყალიბება სახელმწიფოს გარეთ. საკმარისია, ყურადღება მივაპყროთ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლს, ევროპის საბჭოს დებულებას, რომლის ეგიდით შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია, რომ დავინახოთ, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო თანამეგობრობა სამართალს და მის პატივისცემას. ამრიგად, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, ვისაუბროთ კანონის უზენაესობის ტრანსნაციონალურ და უნივერსალურ მოქმედებაზე.

2.2.6. კონსტიტუციური მართლმსაჯულება როგორც „კანონის უზენაესობის სრულყოფილება“

კანონის უზენაესობა იმნავს საჯარო ხელისუფლების მიერ კანონის ეფექტურ დაცვას. ის ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ექვემდებარება სასამართლო კონტროლსაც. ეს მნიშვნელოვანია აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოების ქმედებების (გადაწყვეტილებების) ჩვეულებრივ კანონებთან შესაბამისობისთვის, მაგრამ ასევე სახელმწიფოს სამართლის უზენაეს წყაროსთან, კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენისთვის, რასაც კანონის უზენაესობა მოითხოვს. კონსტიტუციის დაცვა ხორციელდება სასამართლოს მიერ კონსტიტუციური მართლმსაჯულების ფორმით, რომელიც ჰანს კელსენის მოდელის მიხედვით, შეიძლება განხორციელდეს ორი ძირითადი ფორმით: ჩვეულებრივი სასამართლოების ან სპეციალური სასამართლოების მიერ, როგორცაა მაგალითად, ადმინისტრაციული სასამართლოები, ან ცალკე გამოყოფილი კონსტიტუციური სასამართლოების მიერ. სწორედ ჰანს კელსენის გავლენით, 1920 წელს ავსტრიაში შეიქმნა პირველი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც უფლებამოსილი იყო, გამოეცხადებინა კანონები არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად.⁶³ თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში ორივე მოდელმა პოვა ადგილი, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, ევროპაში საკონსტიტუციო მართლ-

⁶³ Schambeck H., Hans Kelsen und die Verfassungsgerichtsbarkeit, in: Arnold R., Roth H. (ed.), Constitutional Courts and Ordinary Courts: Cooperation or Conflict?, 2017, 10-21.

მსაჯულებამ, როგორც სპეციალურმა სამართალწარმოების ფორმამ, განსაკუთრებული კეთილგანწყობა მოიპოვა. ევროპულმა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელი განვითარდა ავსტრიული მოდელიდან, მაშინ როდესაც ამერიკულმა მოდელმა,⁶⁴ რომელიც ეხება ჩვეულებრივი სასამართლოების მხრიდან კონკრეტულ სამართლებრივ დავებში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას, განსაკუთრებული გავრცელება პოვა საერთო სამართლის ქვეყნებში.⁶⁵ საკონსტიტუციო კონტროლმა, სხვა საქმეში კონკრეტული სამართლებრივი დავისგან დამოუკიდებლად, შეიძლება გამოიწვიოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადება *erga omnes*, რაც დამახასიათებელია დამოუკიდებელი საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისათვის. ასეთ შემთხვევაში ნათლად იკვეთება კონსტიტუციის სასარგებლოდ მოქმედი დაცვის როლი (ფუნქცია).

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სასამართლომ, რომელიც იყენებს კანონს, უნდა შეამოწმოს მისი კონსტიტუციურობაც, ამრიგად, სახელმწიფოში ნორმათა იერარქიის გამო, ყველა სასამართლოს აქვს ერთგვარი კონსტიტუციური ფუნქცია. მხოლოდ კანონები, რომლებიც შეესაბამება კონსტიტუციას, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ. კონსტიტუციის უპირატესობა (პრიმატი) გულისხმობს სასამართლოს მოვალეობას, განახორციელოს ეს კონტროლი. სასამართლოების რეაგირების მექანიზმი მაშინ, როდესაც აღმოაჩენენ, რომ რელევანტური ნორმები კონსტიტუციასთან შეუთავსებელია, განსხვავდება სხვადასხვა სისტემაში. ასეთ შემთხვევაში, ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში, თავად სასამართლოები აცხადებენ უარს მსგავსი კანონის გამოყენებაზე (შეადარეთ მაგალითად, საბერძნეთი⁶⁶, პორტუგალია⁶⁷). სხვა სისტემებში მიმართვა უნდა განხორციელდეს ცენტრალურ სასამართლოში, განსაკუთრებით, საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც შემდგომ წყვეტს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება კანონის გაუქმება. იმ შემთხვევაში, თუ დეცენტრალიზებული განხილვა და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია გადაეცემა ცალკეულ სპეციალიზებულ სასამართლოებს, შესაძლოა, მოხდეს მხოლოდ კანონის არგამოყენება, მაგრამ არა

⁶⁴ ასევე 1920 წელს შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის საკონსტიტუციო სასამართლო *ჰანს კელზენისა* და *ადოლფ იულიუს მერკლის* იდეების გავლენით, მაგრამ მას მცირე აქტიურობა მოჰყვა. *Osterkamp J., Verfassungsgerichtsbarkeit in der Tschechoslowakei*, 2009.

⁶⁵ *Haase G., Struger K., Verfassungsgerichtsbarkeit in Europa*, 2009, 22-24; *Dickson B. (ed.), Judicial Activism in Common Law Supreme Courts*, 2007.

⁶⁶ Constitution of Greece, Article 93.4, <<https://www.hellenicparliament.gr/UserFiles/f3c70a23-7696-49db-9148-f24dce6a27c8/001-156%20aggliko.pdf>> [15.8.2021].

⁶⁷ Constitution of Portugal, Articles 204, 280, რომელიც იძლევა საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, თუ სასამართლო არ იყენებს კანონს მისი არაკონსტიტუციურობის გამო, <<https://www.parlamento.pt/sites/EN/Parliament/Documents/Constitution7th.pdf>> [15.8.2021].

მისი გაუქმება. იმ სისტემებში, სადაც სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოების ნაკლებობაა, ჩვეულებრივ სასამართლოებს მიენიჭათ კანონის შემოწმებისა და, მისი არაკონსტიტუციურობის შემთხვევაში, ასეთი კანონის გაუქმების კომპეტენცია. ეს ისტორიულად საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დასაწყისის განვითარებაცაა დეცენტრალიზებული გაგებით – განვითარება, რომელიც დაიწყო სპეციალური კონსტიტუციური სასამართლოების შექმნამდეც. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ ეს იდეა ჯერ კიდევ 1803 წელს, ცნობილ გადაწყვეტილებაში, *Marbury v. Madison*-ში⁶⁸ გამოიყენა, ხოლო უფრო გვიან, 1925 წელს, გერმანიის სამეფოს უმაღლესმა სასამართლომ (Reichstgericht),⁶⁹ ასევე პორტუგალიის, ნორვეგიის, დანიისა და სხვა სახელმწიფოთა სასამართლოებმა იხელმძღვანელეს ამ პრინციპით.⁷⁰ კონსტიტუციის მოქმედებაში მოყვანის კიდევ ერთი გზა არის სასამართლოების დავალებულიება, მოახდინონ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში კანონების ინტერპრეტირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი გამოყენებადობა სახელმწიფოს უმაღლესი რანგის სამართლებრივ წყაროსთან ჰარმონიზაციით.⁷¹ ეს ის მიდგომებია, რომლებიც მრავალ ქვეყანაში განვითარდა.

2.2.7. კონსტიტუციური მართლმსაჯულება და პოლიტიკა

პოლიტიკაც შეზღუდულია კონსტიტუციით. საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას შეუძლია, გადახედოს პოლიტიკის კონსტიტუციურობას. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ აქცევს საკონსტიტუციო სასამართლოებს პოლიტიკურ აქტორებად. საკონსტიტუციო სასამართლოები რეაგირებენ, ისინი არ მოქმედებენ ისე, როგორც ამას პოლიტიკა აკეთებს. იქიდან გამომდინარე, რომ კონსტიტუცია ადგენს ღირებულებებისა და ინსტიტუტების შესახებ წესებს, ის აგრეთვე აუცილებლად განსაზღვრავს პოლიტიკური პროცესის ფარგლებს. კანონის უზენაესობა მოითხოვს პოლიტიკური აქტორების საკონსტიტუციო კონტროლს. ეს ნიშნავს, ერთი მხრივ, იმას, რომ არ არსებობს კონტროლისგან თავისუფალი პოლიტიკურ საკითხთა სფეროები.⁷² სასამართლო სისტემის კონტროლის ისეთი შეზღუდვა, როგორც არსებობს ზოგიერთ სისტემაში, არ შეესაბამება კონსტიტუციის

⁶⁸ *Marbury v. Madison*, 5 U.S. 137 (1803), <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/5/137/>> [15.7.2021].

⁶⁹ Judgment of the German *Reichsgericht* (the supreme court of the German Reich) of 4 November 1925 – RGZ 111, 320, <<https://www.saarheim.de/Entscheidungen/RGundStGH/RGZ%20111,%20320.pdf>> [15.7.2021].

⁷⁰ *Haase G., Struger K., Verfassungsgerichtsbarkeit in Europa*, 2009, 229 et seq.

⁷¹ გერმანიის სამართლებრივი სისტემის შესახებ იხ. *Schlaich K., Koriath S., Das Bundesverfassungsgericht*, 11. Auflage, 2018, paras. 440-451.

⁷² *Arnold R., Bundesverfassungsgericht e la politica*, in: *Scaccia G.* (ed.), *Corti dei diritti e processo politico*, Edizioni Scientifiche Italiane, 2019, 41-50; *Drigo C., Le corti costituzionali tra politica e giurisdizione*, 2016.

პრიმატს და, აქედან გამომდინარე, არ მიესადაგება ეფექტური კანონის უზენაესობის თანამედროვე და ერთადერთ სწორ გაგებას.

თუმცა საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც ასეთი, არ ერევა პოლიტიკურ პროცესში. მას შეუძლია, გამოიკვლიოს, ადგილი ჰქონდა პოლიტიკის მიერ კონსტიტუციით განსაზღვრული ჩარჩოს დაცვას თუ მოხდა მისი ფარგლებიდან გასვლა. ეს ეხება პოლიტიკის მთელ სფეროს და ასევე, განსაკუთრებით, უმრავლესობის მიერ პოლიტიკის კანონად გადაქცევის პროცესს პარლამენტში (ან პლებისციტური კანონმდებლობის პროცესში), რომელიც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ.

კონსტიტუცია და კანონმდებლობა (ეს უკანასკნელი, როგორც უმრავლესობის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შედეგი), როგორც ეს უკვე აღვნიშნული იქნა, არის ორი განსხვავებული სივრცე, რომელიც ერთანეთისგან უნდა გაიმიჯნოს. თუ პოლიტიკა ანუ კანონმდებლობა კვეთს ზღვარს კონსტიტუციურ სივრცეში, ის მოქმედებს არაკონსტიტუციურად.⁷³ კონსტიტუციური მართლმსაჯულება ადგენს ამგვარ დარღვევებს და აღადგენს ნორმათა იერარქიულ წესრიგს კანონის ძალადაკარგულად ან არაკონსტიტუციურად გამოცხადების გზით. საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს პოლიტიკის მიერ კონსტიტუციის დარღვევის შესწორებას, ის არ ახდენს ზემოქმედებას მის შინაარსზე. პოლიტიკა უმკლავდება რეალურ პრობლემებს დაგეგმვისა და მიზნის შესაბამისი მოქმედებებით, კოორდინირებისა და მიზანშეწონილობის სხვადასხვა ვარიანტს შორის არჩევნის გაკეთებით, მომავლის დაგეგმვითა და სხვა. კონსტიტუციური დეტერმინაცია წარმოადგენს საზოგადოების აბსტრაქტულ შეთანხმებას ღირებულებებსა და სამოქმედო წესებზე, რომლებიც საჭიროებენ ზოგად სავალდებულო ძალას.

განსხვავება ნათელია, ფუნქციური სფეროები აშკარად განცალკევებულია. პოლიტიკური ქმედება არის ფორმირებადი, მაგრამ შეზღუდული კონსტიტუციური ვალდებულებებით. რასაკვირველია, კომპლექსურ ფაქტობრივ სიტუაციებში სასამართლოებისთვის ძნელია, ყოველთვის გამოყონ კონკრეტული კონსტიტუციური მითითება პოლიტიკური ქმედებისგან. მაშასადამე, ჩვეული პრაგმატული საშუალებაა, შეიზღუდოს კონტროლის ინტენსივობა, ე.წ. კონტროლის სიხშირე, აშკარა არაკონსტიტუციურობამდე. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გვთავაზობს ამის მაგალითებს, მაგრამ მიუთითებს იმასაც, რომ კონტროლის სტანდარტი, თავის მხრივ, უფრო მკაცრია იმ ფაქტებთან მიმართებით, რომლებიც ეკუთვნის პიროვნებას, როგორც ასეთს. სფე-

⁷³ *Arnold R., Justice constitutionnelle: contre-pouvoir politique ou juridique? in: Achour R. B. (dir.), Constitution et contre-pouvoirs, Colloque 19 et 20 février, 2015, 53 et seq.*

როების მიხედვით, გარკვეული გრადაცია შეინიშნება, რომელიც დაკავშირებულია ინტიმურ, პირად თუ სოციალურ სფეროებთან,⁷⁴ რითაც აშკარავდება კონსტიტუციური მართლმსაჯულებასა და ინდივიდებს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობა.⁷⁵ მსგავსი მოქნილობა გვხვდება ასევე ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლების შემთხვევებისას.⁷⁶

2.2.8. კონსტიტუციური მართლმსაჯულება და ხელისუფლების დანაწილება

თუ კონსტიტუციური მართლმსაჯულება პატივს სცემს კონსტიტუციურ და საკანონმდებლო შტოებს შორის განსხვავებას, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რომელიც ფუნდამენტურია კანონის უზენაესობისთვის, არ ირღვევა. საკანონმდებლო ორგანოს დისკრეციის ფარგლები უნდა იყოს ადეკვატურად დაცული. ის, რაც ახლახან ითქვა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით, ამაზეც ვრცელდება. საკანონმდებლო ორგანოს განზრახვის ფარგლები და, განსაკუთრებით, მისი პროგნოზის ფარგლები ფართოა. სანამ განზრახვა არ წარმოადგენს კონსტიტუციის კონკრეტულ დარღვევას, ის ვერ იქნება უარყოფილი სასამართლოების მიერ. თუკი საკანონმდებლო ორგანოს მოლოდინი⁷⁷ ემყარება საფუძვლიან კვლევას, საქმე არ გვექნება არაკონსტიტუციურობასთან, მაშინაც კი, თუ ეს მოლოდინი საბოლოოდ არ გამართლდება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში კონსტიტუციიდან მომდინარეობს მოთხოვნა, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს.⁷⁸ საკანონმდებლო ორგანოს ნამდვილი ფუნქციის შესანარჩუნებლად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ე.წ. „გადაწყვეტილების აპელაციის“ ფორმა. მოვიყვანოთ მაგალითი, რომლის თანახმადაც, კანონი არ ცხადდება ძალადაკარგულად ან გაუქმებულად, არამედ იგი ცხადდება მხოლოდ არაკონსტიტუციურად. ეს გადაწყვეტილება გაერთიანებულია საკანონმდებლო ორგანოსთვის მიმართვის დავალდებულებასთან, რაც ხშირად განსაზღვრულია კონკრეტული ვადით იმისათვის, რომ, საკანონმდებლო ცვლილებების გზით, შეიქმნას კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი სახელმწიფო.⁷⁹

⁷⁴ As to the theory of spheres see Kingreen T., Poscher R., Grundrechte. Staatsrecht II, 32. Auflage, 2016, para. 413, 100-101; Hufen F., Staatsrecht II. Grundrechte, 3. Auflage, 2011, 126.

⁷⁵ Schlaich K., Koriath S., Das Bundesverfassungsgericht, 11. Auflage, 2018, paras. 532 et seq.

⁷⁶ Schlaich K., Koriath S., Das Bundesverfassungsgericht, 11. Auflage, 2018, paras. 532-533.

⁷⁷ Schlaich K., Koriath S., Das Bundesverfassungsgericht, 11. Auflage, 2018, paras. 532 et seq.

⁷⁸ Schlaich K., Koriath S., Das Bundesverfassungsgericht, 11. Auflage, 2018, paras. 435-436.

⁷⁹ Hillgruber C., Goos C., Verfassungsprozessrecht, 4. Auflage, 2015, paras. 538 et seq., 544a.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან დაკავშირებით, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკოსები ხშირად საკონსტიტუციო სასამართლოებს უწოდებენ „*gouvernements des juges*“ ან რაიმე მსგავსს და მოუწოდებენ მათ „პოლიტიკური თავშეკავებისკენ“.⁸⁰ ამით ხდება კანონის უზენაესობის არსის არასწორი ინტერპრეტაცია და მუდმივად მისი უსამართლო დაგმობა, როგორც აქციონიზმი საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შეიმჩნევა ამის საპირისპირო ტენდენცია: თუ პოლიტიკა წარუმატებელია სადავო პრობლემის გადაჭრაში, მაშინ არსებობს მოწოდება „კარლსრუეში წასასვლელად“. ვინაიდან თითქმის ყველა პოლიტიკურ პრობლემას აქვს კონსტიტუციური კომპონენტიც, სასამართლოს გამოსავალი, რომელიც საბოლოოდ ეხება სამართლებრივ საკითხებს, ასევე განიხილება როგორც პოლიტიკური გადაწყვეტის გზა. უფრო მეტიც, კონსტიტუციური მართლმსაჯულებისა და ხელისუფლების დანაწილებას შორის არის არაერთი სხვა ურთიერთდამაკავშირებელი ასპექტი: კონსტიტუციის დინამიკური ინტერპრეტაცია, რომელიც სამართლიანად განიხილება როგორც „ცოცხალი ინსტრუმენტი“,⁸¹ საჯარო ძალაუფლების მიმართ მოქმედი სპეციალური სავალდებულო ეფექტი, რაც აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციისა და უფლებამოსილებიდან გამომდინარე, და ასე შემდეგ.⁸²

3. ინტერნაციონალიზაციისადმი ტენდენცია

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია. დღევანდელი სახელმწიფო არ არის ჩაკეტილი, არამედ გახსნილია.⁸³ გლობალიზაციის მკვეთრმა პროგრესმა სახელმწიფოსთვის შეუძლებელი გახადა, მხოლოდ ეროვნულ დონეზე, მარტომ გადაჭრას უმნიშვნელოვანესი საკითხები. ეკონომიკა, უსაფრთხოება, მეცნიერება და ტექნოლოგიური პროგრესი პერსპექტიულია მხოლოდ საერთაშორისო კონტექსტში. სახელმწიფოს ამოცანები, რომლებიც ადრე ეროვნულ დონეზე სრულდებოდა, ახლა ინტერნაციონალიზებულია ანუ სხვა სახელმწიფოებში პარტნიორებთან შრომის დანაწილების, საერთაშორისო ორგანოებსა და ორგანიზაციებში მონაწილეობის გზით. მაშინაც კი, როდესაც საკითხებთან მიმართებით

⁸⁰ Hillgruber C., Goos C., *Verfassungsprozessrecht*, 4. Auflage, 2015, paras. 40, 42.

⁸¹ Juge constitutionnel et interprétation des normes, XXXIIIe Table ronde internationale des 8 et 9 septembre 2017, Aix-en-Provence, in: “Annuaire international de justice constitutionnelle”, 2017, 79-526.

⁸² Schlaich K., Koriath S., *Das Bundesverfassungsgericht*, 11. Auflage, 2018, paras. 474, 501.

⁸³ Geiger R., *Grundgesetz und Völkerrecht*, 6. Auflage, 2013, 1 et seq.

ძირითადი აქცენტები სახელმწიფოშივე რჩება, ჯერ კიდევ არსებობს საერთაშორისო სამართლის დიდძალი გავლენა, ხშირად ე.წ. რბილი სამართლიდანაც. ინტერნაციონალიზაციის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს *სუპრანაციონალიზაცია*, რომელიც ამ ფორმით მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე გვხვდება. აქ, გადაწყვეტილებების მიღების ეროვნული უფლებამოსილების დიდი ნაწილი ფუნქციურად განცალკევებულია სახელმწიფოსგან და ინსტიტუციონალურად ევროპეიზებულია. ფუნქციურად, ეს ხდება სახელმწიფოს მსგავსი ინსტრუმენტებითა და მექანიზმებით.⁸⁴

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კონსტიტუციური სამართალი ფორმალურად ინარჩუნებს თავის უპირატეს როლს სახელმწიფო სამართალთან მიმართებით საერთაშორისო სამართლის კონვენციურ სფეროებში, ის საერთაშორისო სახელმწიფო სამართლის შესაბამისად, ინტერპრეტაციის გზით, მნიშვნელოვანწილად მაინც დაპტირდება ექსტრასახელმწიფოებრივ სამართალთან. შესახელმწიფოებრივი სამართლებრივი წესრიგის შექმნამ ბევრად უფრო გაზარდა სახელმწიფო სუვერენიტეტის გახსნილობის ფარგლები. ამ გახსნილ სამართლებრივ წესრიგში მოცემულია უამრავი შესახელმწიფოებრივი ნორმა, ამიტომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული სამართლებრივი წესრიგი არის ნორმების ჰიბრიდული ერთიანობა, მოცულია ეროვნული და შესახელმწიფოებრივი ნორმებით. ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის მათი სახელმწიფოებრიობის ღიაობა წარმოადგენს ერთგვარ მანიფესტაციას. საკონსტიტუციო სამართალიც ინტერნაციონალიზებულია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა მოითხოვს უპირატესობას (პრიმატს) ეროვნულ საკონსტიტუციო სამართალთან მიმართებით. პრინციპში, ეს აღიარებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმეტესობის მიერ, თუმცა არა ყველა წევრის მიერ (მაგალითად, პოლონეთმა⁸⁵ ეს არ აღიარა). ამასთანავე, იზრდება კონსტიტუციის არსის შეღავის წინააღმდეგ დათქმები, რომელსაც ხშირად კონსტიტუციურ იდენტობას უწოდებენ. გერმანიის საკონსტიტუციო სამართლისთვის, ლისაბონის გადაწყვეტილებით განსაზღვრული კონსტიტუციური იდენტობის დათქმა, რელევანტურია, რაც ჩანს ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტის ე.წ. „მარადისობის (მუდმივობის) დათქმაში“ (*Ewigkeitsklausel*), რომე-

⁸⁴ ეროვნული სუვერენული უფლებების გადაცემის ანუ სუპრანაციონალური ორგანოებისთვის ეროვნული კომპეტენციების გადაცემის, როგორც მანამდე ჩაკეტილი სახელმწიფოს სამართლებრივი წესრიგის გახსნის საკითხის შესახებ იხ. Order of the German Federal Constitutional Court of 29 May 1974 – BVerfGE 37, 271 (280) – BvL 52/71, <<https://law.utexas.edu/transnational/foreign-law-translations/german/case.php?id=588>> [15.7.2021].

⁸⁵ Judgment of the Constitutional Tribunal of Poland of 11 May 2005 – *Poland’s Membership in the European Union (the Accession Treaty)* (K18/04), <https://trybunal.gov.pl/fileadmin/content/omowienia/K_18_04_GB.pdf> [15.7.2021].

ლსაც ძირითადი კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი შეეხება.⁸⁶ თუმცა, ეს ასევე რელატივიზებულია საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, რადგანაც ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში არსებული ღირებულებების დაკონკრეტება, თუნდაც ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიღმა, განიხილება როგორც წვერი სახელმწიფოების, ევროკავშირისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საერთო ღირებულებათა ნაწილი.⁸⁷ აქ, ერთი სამართლებრივი წესრიგის მეორეთი ფუნქციური ჩანაცვლების იდეა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადამიანების ეფექტური დაცვის მიზანი სათანადოდ მიღწეულია. ეროვნული ფუნდამენტური უფლებების კატალოგსა და ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიას შორის კომპლექსური ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით, რაც, ერთი მხრივ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტების და, მეორე მხრივ, მაგალითად, გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მნიშვნელოვან ნიუანსებშია შესამჩნევი, გადაწყვეტილების მიღება ხდება ევროპულ საგარანტიო ინსტრუმენტებში დამკვიდრებულ საერთო კავშირსა და პრინციპებზე მითითებით, ღირებულებათა ევროპული კონვენციის სასარგებლოდ.⁸⁸

რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებების ეროვნულ სამართლებრივ წესრიგთან კავშირს, არსებობს ორი მიდგომა, კერძოდ, დუალისტური და მონისტური სისტემა. პირველი სისტემა ემყარება იმ იდეას, რომ საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი წესრიგი არის ორი განცალკევებული სფერო, რომელთა საერთო, ნორმატიული შერწყმა შეუძლებელია. ეს არის ტრადიციული კონცეფცია, რომელიც გერმანიაშიც არის გავრცელებული და, შედეგად, იწვევს საერთაშორისო ხელშეკრულებების (მათ შორის ისინი, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებებს) გერმანულ სამართალში ტრანსფორმირებას ძირითადი კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. არსებობს სხვა უფრო თანამედროვე კონცეფცია, რომელიც რელატივიზებულია სახელმწიფოთა უმრავლესობაში, გულისხმობს ორივე სამართლებრივი სისტემის შესაძლო ერთიანობას, რათა საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორც საერთაშორისო სამართლის წყარო, ინტეგრირებულ იქნეს

⁸⁶ Judgment of the German Federal Constitutional Court of 30 June 2009 – BVerfGE 123, 267, – 2 BvE 2/08, <https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/EN/2009/06/es200906_30_2bve000208en.html> [15.7.2021].

⁸⁷ Order of the German Federal Constitutional Court of 1 December 2020 – 2 BvR 1845/18, para 68, <http://www.bverfg.de/e/rs20201201_2bvr184518en.html> [15.7.2021].

⁸⁸ Order of the German Federal Constitutional Court of 6 November 2019 – 1 BvR 16/13 – BVerfGE 152, 152-215, paras. 56 et seq., <http://www.bverfg.de/e/rs20191106_1bvr001613en.html> [15.7.2021].

შიდა სამართლებრივ სისტემაში. ამ უფრო თანამედროვე კონცეფციის პრაქტიკული შედეგი, რომელიც ასევე ძირითადად გამოიყენება სახელმწიფო პრაქტიკაში (შედარებისთვის იტალიის⁸⁹ შემდგომი განვითარება) არის ის, რომ კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოები იყენებენ საერთაშორისო სამართალს და არა ეროვნულ სამართალს. საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესები ასევე აღიარებულია დუალისტურ სისტემებში და მათი ტრანსფორმაცია არ ხდება (არც ზოგადად).

ღია (გახსნილი) სახელმწიფოებრიობის კონცეფცია წარმოაჩენს საერთაშორისო სამართალთან უფრო „ახლო“ ურთიერთობას და ხაზს უსვამს ასევე იმას, თუ როგორ ხდება საერთაშორისო საზოგადოების სამართლებრივი აზროვნების ზოგადი განვითარება ეროვნული სამართლისთვის სავალდებულო. ის ფაქტი, რომ ეს პროცესი გრძელდება კონსტიტუციით ფორმალურად განსაზღვრული მკაცრი სქემების დარღვევით, განსაკუთრებით შესამჩნევია შიდა სამართლის ინტერპრეტაციის სფეროში, მათ შორის კონსტიტუციურ სამართალში, რომელიც საერთაშორისო სამართლის მიმართ მეგობრულია. ეს ტენდენცია ასევე ჭარბობს ისეთ ტრადიციულ სისტემებში, როგორცაა, მაგალითად, გერმანია. უკვე აღვნიშნეთ, რომ საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ადამიანის უფლებები ასევე გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო პრინციპები (გაიდლაინები) ეროვნული სამართლისა და მისი ინტერპრეტაციისათვის, რასაც კონსტიტუცია თვალსაჩინო მუხლში გვთავაზობს, კერძოდ, გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც მოგვიანებით რეალიზებულ იქნა კონკრეტულ პრაქტიკაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სივრცეში ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა 2004 წლიდან გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში.⁹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მკაფიო განაცხადი იმის შესახებ, რომ შიდა კანონმდებლობა, კონსტიტუციური სამართლის ჩათვლით, ინტერპრეტირებულ უნდა იქნეს საერთაშორისო სამართალთან (და ევროპულ სამართალთან) მიმართებით, მეგობრული დამოკიდებულებით, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი შიდა სამართლის ინტერნაციონალიზაციის გზაზე. ინტერპრეტაციის გზით, საერთაშორისო სამართლის უპირატესობის პრაგმატულმა გარანტიამ ასევე პოვა სვლა სხვა სამართლებრივ სისტემებში და როგორც ჩანს, სამართლის ორივე სფეროს ჰარმონიზაციის სათანადო ინსტრუმენტია. ინტერპრეტაციის გზით, ეს ჰარმონიზაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ აშკარაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის,

⁸⁹ *De Vergottini G.*, *Diritto costituzionale*, 9th edition, 2017, 50.

⁹⁰ Order of the German Federal Constitutional Court of 14 October 2004 – *Görgülü* case, <http://www.bverfg.de/e/rs20041014_2bvr148104en.html> [15.7.2021].

ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიისა და კონსტიტუციაში ძირითადი უფლებების ეროვნული დაცვის ურთიერთქმედებისას. საერთაშორისო სამართლის დახმარებით, კონსტიტუციის ტექსტში ზოგადი სამართლებრივი ტერმინების შევსება ასევე იქცა უკვე პრაქტიკად, მაგალითად, გარემოს დაცვის ვალდებულებებთან მიმართებით, ძირითადი კანონის 20(ა) მუხლით, როგორც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილება.⁹¹

გერმანიის კონსტიტუციური სამართლიდან კიდევ ერთი მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ინტერნაციონალიზაციისკენ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, როდესაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არა მხოლოდ განიხილავს გერმანიის სასამართლოების მიერ გერმანიის კონსტიტუციური სამართლის სწორ გამოყენებას, არამედ ის იღებს ვალდებულებას, მათ მიერ ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის სწორად გამოყენებაზე. ეს ხდება იმის აღსანიშნავად, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არის ინდივიდის „ფუნდამენტურ უფლებათა ეფექტური დამცველი“, მიუხედავად იმისა, ეს დაცვა მინიჭებულია გერმანიის თუ ევროკავშირის კანონმდებლობით. ამ გადაწყვეტილებაში ასევე იკვეთება ეროვნული, საერთაშორისო და ზესახელმწიფოებრივი დაცვის არსებითი და ფუნქციური კონვერგენციის იდეა.⁹²

IV. საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის თანამედროვეობა – ანთროპოცენტრულ ფუნდამენტურ ღირებულებათა წესრიგი

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ძირითადი სტრუქტურის ანალიზისა და ასახვის საფუძველზე, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც წელს აღნიშნავს 100 წლის იუბილეს, განხილულ იქნება მისი კონსტიტუციური „თანამედროვეობის“ თვალსაზრისით. აღნიშნული კონსტიტუციის დეტალური ანალიზი შესანიშნავად⁹³ იქნა განხორციელებული და აქ აღარ განვიხილავთ. დროის თვალსაზრისით, საქართველოს კონსტიტუცია მოიაზრება გერმანიის 1919 წლის კონსტიტუციასთან – ვაიმარის კონსტიტუციასთან ერთად, რომელიც შეიქმნა ევროპაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და ავსტრიის 1920 წლის კონსტიტუციასთან ერთად.

⁹¹ Order of German Federal Constitutional Court of 24 March 2021 – 1 BvR 2656/18, para. 203, <http://www.bverfg.de/e/rs20210324_1bvr265618en.html> [15.7.2021].

⁹² Order of the German Federal Constitutional Court of 6 November 2019 – 1 BvR 276/17- BVerfGE 152, 216-274, <http://www.bverfg.de/e/rs20191106_1bvr027617en.html> [15.7.2021].

⁹³ *Papuashvili G.*, The 1921 Constitution of the Democratic Republic of Georgia: Looking Back after Ninety Years, *European Public Law*, 2012, 323-349.

როგორც წინა კვლევაში იქნა ახსნილი, ნებისმიერი ჭეშმარიტი კონსტიტუციის საფუძველია მისი ანთროპოცენტრული მიზანი. სამართალი, და შესაბამისად, კონსტიტუციაც ადამიანს ანიჭებს ცენტრალურ მნიშვნელობას და უმაღლეს, უზენაეს მიზნად ადამიანის დაცვა და პატივისცემა აქვს დასახული. იდეალური ამოსავალი წერტილი არის ადამიანის ღირსება, როგორც ანთროპოლოგიური აქსიომა. სამი ძირითადი ელემენტი, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ქმნის ამ სისტემის ძირითად ღირებულებებს: ადამიანის ღირსება, მისი ფუნდამენტური თავისუფლება (რომელსაც დემოკრატია, კერძოდ, პოლიტიკური თავისუფლება მიეკუთვნება როგორც არსებითი ელემენტი) და თანასწორობა, როგორც მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანთან, როგორც ასეთი. ამას ემატება კანონის უზენაესობის პრინციპი, რომელიც ამ ღირებულებებს გადასცემს ინსტიტუციებს.

ეს ფუნდამენტური ღირებულებები კონსტიტუციაშია გამყარებული, რამდენადაც ის ორიენტირებულია ხალხის სუვერენიტეტსა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემაზე. ეს ღირებულებები აუცილებლად თანაარსებობენ, ისინი კონსტიტუციურ წესრიგში ნორმატიულად არსებობენ, მიუხედავად იმისა, კონსტიტუციის მთელ სტრუქტურაში ისინი წერილობითი თუ იმპლიციტური ფორმითაა გადმოცემული.

1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის ერთგულება, რომელიც დეკლარირებულია შესავალ ნორმაში „დემოკრატიული რესპუბლიკისადმი“ (მუხლი პირველი), გამოხატავს ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს კონსტიტუციური გადასინჯვის გზითაც (მუხლი 148). დემოკრატია არის ხალხის პოლიტიკური თვითგამორკვევა, თუმცა ამავე დროს ის არის მოსახლეობის თითოეული წევრის, პიროვნების თვითგამორკვევა. მაგრამ ეს თვითგამორკვევა არ არის მხოლოდ რიცხვებთან დაკავშირებული, არამედ, ის წარმოადგენს სწორედ ღირებულებაზე დაფუძნებულ არსებითი გადაწყვეტილებას. დემოკრატია, როგორც უმრავლესობის თვითგამორკვევა, არაფერს ნიშნავს, თუ გადაწყვეტილებები მიიღება ისე, რომ ისინი მიმართულია ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების წინააღმდეგ. დემოკრატიას შეუძლია გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეესაბამება კაცობრიობის ძირითად ღირებულებებს და ხდება მათი რეალიზება

წმინდა „ფორმალური“ დემოკრატია არ არის ნამდვილი, „არსებითი“ დემოკრატია. ამ ღირებულებებისგან მოწყვეტილი დემოკრატია იქნებოდა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული და, შესაბამისად, წინააღმდეგობრივი: ადამიანის თვითგამორკვევა შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანისთვის და არა ადამიანის წინააღმდეგ. ამრიგად, დემოკრატია და ადამიანის

უფლებები აუცილებლად დაკავშირებულია ერთმანეთთან. დემოკრატია არის, როგორც კონსტიტუციური კავშირის სხვა ასპექტი, აუცილებლად კონსტიტუციური დემოკრატია. დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების შედეგი პარლამენტში (ან რეფერენდუმის საშუალებით) ასრულებს მხოლოდ ხალხის ნების გამოხატვის ფუნქციას, თუ ის პატივს სცემს კონსტიტუციას. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ის კანონი, რომელიც შეესაბამება კონსტიტუციას, გამოხატავს ხალხის ნებას. ეს ნათლად არის აღიარებული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით. კონსტიტუციის 52-ე მუხლმა აღიარა, რომ სუვერენიტეტი ცხოვრობს ერში ანუ ხალხში და პარლამენტი ახორციელებს ამ სუვერენიტეტს, მაგრამ მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. პარლამენტი შეზღუდულია არა მხოლოდ კანონმდებლობის ფორმალური მოთხოვნებით, არამედ კონსტიტუციით დადგენილი არსებითი შეზღუდვებითაც. ეს წარმოადგენს აშკარა გადასვლას „კონსტიტუციური სახელმწიფოსკენ“. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ისიც, რომ მე-8 მუხლი აღიარებს კონსტიტუციის უზენაესობას. ეს ასევე გამოხატავს იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომ კანონმდებლობა შეიძლება ჩაერიოს მხოლოდ კონსტიტუციურ ანუ ფუნდამენტურ უფლებებში, რამდენადაც ეს კონსტიტუციასთან შეთავსებადია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისუფლების კონსტიტუციური მოთხოვნა უგულვებელყოფილი იქნება. ამის უფრო სიღმისეული განხილვა ხაზს უსვამს პროპორციულობის პრინციპის დაცვის აუცილებლობას, რომელიც თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ნაწილია, ვინაიდან მის წინაპირობას წარმოადგენს თავისუფლება, რასაც მოითხოვს დემოკრატია. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია საზოგადოებაც ითხოვდეს შეზღუდვებს საზოგადოების სხვა წევრების სასარგებლოდ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეზღუდვებს საერთო ინტერესების სასარგებლოდ.

მაშასადამე, დემოკრატია ნიშნავს პიროვნების თავისუფლების აღიარებას ისე, რომ ინდივიდის ძირითადი უფლებები და თვითგამორკვევა აღიარებულია თავისუფალი, მაგრამ ამავდროულად საზოგადოებით შეზღუდული (შეზღუდული) პიროვნებისთვის. ეს ნიშნავს, რომ დღესდღეობით თავისუფლება აღიარებულია როგორც პრინციპი, რომელიც ექვემდებარება შეზღუდვებს იმის გამო, რომ თავისუფლება შეზღუდულია საზოგადოებით, განსაკუთრებით, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, და რომელიც არ შეიძლება სცდებოდეს კონსტიტუციით გათვალისწინებულ დონეს. დემოკრატია შეიძლება იყოს ნამდვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმის მიცემის დემოკრატიულ უფლებებზეა დაფუძნებული. კონსტიტუციის 46-ე მუხლი ადგენს საარჩევნო სამართლის პრინციპებს (საყოველთაო, თანაბარი და პირდაპირი არჩევნები, ფარული კენჭისყრა, პროპორციული

წარმომადგენლობა). იმ დროისთვის განსაკუთრებით პროგრესულად შეიძლება ჩაითვალოს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ხმის მიცემის უფლება, რომელიც განმტკიცებულია 1921 წლის კონსტიტუციით, რომელიც, მაგალითად, გერმანიაში მხოლოდ 1918 წელს შემოიღეს.

ფუნდამენტური უფლებები არის თავისუფლების განმსაზღვრელი და ბოლო ჯამში, ადამიანის ღირსებიდან მომდინარე. თავისუფლების პრინციპის თანახმად, ფუნდამენტური უფლებები საყოველთაოა. არ შეიძლება აქ არსებობდეს რაიმე ცარიელი სივრცე, რადგან კონსტიტუციის მიზანი ყოველთვის მიმართულია ადამიანის ეფექტური დაცვისკენ. ეს არის კონსტიტუციის ნორმატიულ-იდეალური საფუძველი, მაშინაც კი, თუ წერილობითი სახით ფუნდამენტური უფლებები არ მოიცავს ყველა იმ საფრთხეს, რომელიც თავისუფლებას ემუქრება. ისინი ნებისმიერ შემთხვევაში მაინც იგულისხმება იმპლიციტურად. ამას ნათლად გამოხატავს, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი. ეს არის სათანადო შინაარსის მქონე ძალიან შორსმჭვრეტელი დებულება. ის ნათლად ადასტურებს დაცვის საყოველთაო მიზანს. ეს ასევე ეხება პიროვნების ეფექტური დაცვის მიზნის ინტერპრეტაციას, და ასევე, კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისად, ახალი ანუ ჯერ კიდევ არფორმულირებული უფლებების წარმოშობას.

ბევრ ახლანდელ კონსტიტუციაში ანთროპოცენტრული კონსტიტუციური წესრიგის საფუძველი, ადამიანის ღირსება, როგორც უზენაესი კონსტიტუციური ღირებულება, მკიაფიოდ არ არის ნახსენები. მიუხედავად ამისა, ადამიანის ღირსების დაცვისა და ხელშეწყობის ვალდებულება იმპლიციტურად ნაგულისხმევია კონსტიტუციურ წესრიგში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც პირდაპირ არის გათვალისწინებული კონსტიტუციაში, როგორც ადამიანის თავისუფლების ძირითადი პრინციპის გამოხატულება, აუცილებელ წინაპირობად ითვალისწინებს მისი ღირსების გარანტიის ნორმატიულ, თუნდაც, იმპლიციტურ არსებობას. უფრო მეტიც, 113-ე მუხლი უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიზანს – ისწრაფოდეს იგი ყველა მოქალაქის „ღირსეული არსებობისკენ“. 1921 წლის კონსტიტუციის *სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებთან* დაკავშირებული მეცამეტე თავის შესავალი დებულება ეხება ადამიანის ღირსების ნაწილს, რომელიც მოიცავს ადამიანის არსებობის მატერიალურ მინიმუმს. თუმცა, ადამიანის ღირსება მის მთელ სპექტრში წარმოდგენილია დაუწერელი ფორმით, როგორც ნორმატიული გარანტია.

1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს ფუნდამენტური უფლებების კლასიკურ ჩამონათვალს, რომელშიც გარკვეული აქცენტები კეთდება *habeas corpus*-ზე, რისი დაცვის განსაკუთრებული აუცილებლობაც არსებობდა იმდროინდელ საქართველოში. ამოსავალ

წერტილად მიიჩნეოდა ადამიანის პირადი ხელშეუხებლობა (მუხლი 22; დეტალური დებულებები გრძელდება *habeas corpus*-ის სფეროში, 23-ე–27-ე მუხლებში). აქცენტები კეთდება ასევე პირადი ცხოვრების (სივრცის) ხელშეუვალობის დაცვაზე, რომელიც მოიცავს ტრადიციულ ფუნდამენტურ უფლებებს, კერძოდ, ბინის შეუვალობის გარანტიას (მუხლი 28) და კერძო მიწერ-მოწერის ხელშეუხებლობას (რაც ექვემდებარება სასამართლო გადასინჯვას). გარდა ამისა, არსებობს მიმოსვლის თავისუფლების უფლება (მუხლი 30). დაცულია რელიგიის და სინდისის თავისუფლება (მუხლი 31), ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლება, რაც მოიცავს ცენზურის აკრძალვას. ერთადერთი შეზღუდვაა ამ დროს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, რომელიც უნდა დადგინდეს მოსამართლის მიერ (მუხლი 32). მკაფიოდ არის დაცული შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხლები 33–34). 1921 წლის კონსტიტუციით ასევე აღიარებულია სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება (მუხლი 36, რომელსაც აქვს საკმაოდ ფართო ფორმულირება) და მუშათა გაფიცვის უფლება (მუხლი 38).

1921 წლის კონსტიტუცია განსაკუთრებით პატივს სცემს თანასწორობას, მაგალითად, მე-16 მუხლის ფუნდამენტურ ნორმასა და მე-17 და მე-18 მუხლების სპეციფიკურ ნორმებში, რომლებიც კრძალავს განსხვავებას კლასებისა და ტიტულების საფუძველზე (გარდა აკადემიური ხარისხის) და გამორიცხავს ჯილდოების მინიჭებას (თუმცა, უშვებს საომარ მოქმედებებთან დაკავშირებულ ჯილდოებს). გარდა ამისა, არსებობს 39-ე და მე-40 მუხლები, რომლებიც ხაზს უსვამს თანასწორობას პოლიტიკურ, სამოქალაქო, ეკონომიკურ და ოჯახურ უფლებებთან მიმართებაში. დამატებით, კონსტიტუციით დადგენილია ქორწინებასთან მიმართებაში ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა და ასევე, გარანტირებულია ქორწინებაში და ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების თანასწორობა, რაც წარმოადგენდა იმ დროისათვის ძალიან პროგრესულ გარანტიას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხმის მიცემის უფლება, რომელიც ვრცელდება განურჩევლად მამაკაცებსა და ქალებზე, ასევე გარანტირებულია 46-ე მუხლში. პოლიტიკური ნიშნით თავშესაფრის ძიების უფლება განმტკიცებულია 41-ე მუხლში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული იყო ასევე სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის უმაღლესი ფორმის, გაუქმება (მუხლი 19).

სოციალური და ეკონომიკური უფლებების შესახებ თავი ადგენს რიგ სოციალურ უფლებებსა და პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ 113-ე მუხლი, რომლითაც იწყება აღნიშნული თავი, გამოხატავს სახელმწიფოს ვალდებულების ძირითად იდეას – უზრუნველყოს „ღირსეული არსებობა“. აქედან გამომდინარეობს ნაწილობრივ კლასიკური ფუნდამენტური

უფლებები, როგორებიცაა საკუთრების უფლება და მისი შეზღუდვა (სოციალური ვალდებულებისა და ექსპროპრიაციის შესახებ, მუხლი 114), ნაწილობრივი პროგრამული მიზნები: შრომის დაცვა (მუხლი 117), უმუშევრობასთან დაკავშირებული დახმარებები (მუხლი 119), შრომისუუნარობა (120 მუხლი), სამუშაო საათების შეზღუდვა (მუხლი 123), მინიმალური ხელფასი (მუხლი 125) და სხვა. ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს 1921 წლის კონსტიტუციის მიერ შვილების, მშობიარე ქალებისა და დედობის უფლების დაცვა (შეად. მუხლი 126). ამ ეტაპზე უნდა აღინიშნოს, რომ ფუნდამენტურ სოციალურ უფლებებს ზოგადად პოლიტიკა ანუ საკანონმდებლო ორგანო ახორციელებს. თუმცა კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც მხოლოდ პროგრამებია, წარმოადგენს პოლიტიკის ნორმატიულ სახელმძღვანელო პრინციპებს (გაიდლაინებს), რაც, რეალურად, საკანონმდებლო ორგანოს უტოვებს ფართო მოქმედების ფარგლებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუცია მოიცავს ეთნიკური უმცირესობების დაცვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან უფლებებს (მუხლი 129 და მუხლი 130, როგორც ზოგადი ნორმები შემდგომი კონკრეტიზაციისთვის, განსაკუთრებით, დისკრიმინაციასა და სამართლებრივ დაცვასთან მიმართებით).

კონსტიტუციონალიზმის მეორე საყრდენი, *კანონის უზენაესობა*, ასევე გამყარებულია 1921 წლის კონსტიტუციით, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროინდელი მიდგომის შესაბამისად, ეს კონცეფცია არ იყოს მკაფიოდ ნახსენები. თუმცა, *კანონის უზენაესობა* წარმოდგენილია თანამედროვე გაგებით, ვინაიდან ნათლადაა ჩამოყალიბებული არა მხოლოდ აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების კანონით ბოჭვა ანუ კანონიერება, არამედ საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციით ბოჭვა ანუ კონსტიტუციურობა. ამასთან დაკავშირებული ძირითადი ნორმებია მე-8 მუხლი (ასევე მე-9 მუხლი კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული კანონებთან მიმართებაში) და 52-ე მუხლი. მე-10 მუხლი, რომელიც, პრინციპში, ადგენს კონსტიტუციის მუდმივ მოქმედებას, ასევე ხაზს უსვამს კონსტიტუციას, როგორც ფუნდამენტურ წესრიგს. ეს განმტკიცებულია ასევე 76-ე მუხლის „ა“ პუნქტით, რომლის მიხედვითაც, სენატი, საქართველოს უმაღლესი სასამართლო, ზედამხედველობს კანონის მკაცრად აღსრულებას. კონსტიტუციის თანახმად, *კანონის უზენაესობა* უნდა განხორციელდეს ეფექტურად.

ამავდროულად, კონსტიტუციური წესრიგი ღირებულებებზეა ორიენტირებული, როგორც ეს ახლახან იქნა განმარტებული ფუნდამენტური უფლებების ანალიზისას. თუ *კანონის უზენაესობა* მოითხოვს კონსტიტუციის მიმართ ვალდებულებების ქონას, ის ასევე მოითხოვს ერთგულებას ფუნდამენტური უფლებების ანუ ღირებულებების მიმართ. შესაბამისად,

კანონის უზენაესობის იდეა, რომელიც ემყარება 1921 წლის კონსტიტუციას, ფასეულობებზეა ორიენტირებული. ეფექტური სამართლებრივი დაცვა, რომელიც უზრუნველყოფილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოების დამოუკიდებლობაა გარანტირებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობის პრინციპის ფარგლებში. ეს განმტკიცებულია 78-ე მუხლით (მართლმსაჯულების კანონზე ორიენტაცია), 79-ე მუხლით (სასამართლოების ფუნქციონალური დამოუკიდებლობა) და 83-ე მუხლით (მოსამართლეთა პერსონალური დამოუკიდებლობა). რაც შეეხება კანონის კონცეფციიდან გამომდინარე კანონის უზენაესობის მრავალრიცხოვან ინდივიდუალურ მახასიათებლებსა (კანონის სიცხადე, განსაზღვრულობა, კანონის განჭვრეტადობა და სამართლებრივი სტაბილურობა, კანონიერების პრინციპი) და კანონის ფუნქციას (ლეგიტიმური მოლოდინების დაცვა, რეტროაქტიულობის აკრძალვა, პროპორციულობა და ა.შ.) ეს კონკრეტული საკითხები განვითარებულია პრეცედენტული სამართლით.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი და მისი საერთო სტრუქტურა აკმაყოფილებს თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიული ანუ ანთროპოცენტრული კონსტიტუციის მოთხოვნებს. ის შეიცავს ისეთ ელემენტებსაც, რომლებიც განსაკუთრებით პროგრესული იყო იმდროინდელ სხვა კონსტიტუციებთან შედარებით, მაგალითად, გერმანიის 1919 წლის ვაიმარის კონსტიტუცია და 1920 წლის ავსტრიის კონსტიტუცია (რომელმაც, თუმცაღა მაინც მოახდინა კონკრეტული კონსტიტუციური მართლმსაჯულების კონცეფციის, როგორც საკუთარი განსაკუთრებული მახასიათებლის, იმპლემენტაცია).

თუმცა, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი იმასაც ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანოს, სასამართლოსა და პოლიტიკოსების მიერ კონსტიტუციური ტექსტის იმპლემენტაცია ადასტურებს და აძლიერებს კონსტიტუციური ტექსტის თანამედროვე სახეს. ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის იდეალებზე დაფუძნებულმა კონსტიტუციურმა კულტურამ უნდა განაგრძოს განვითარება. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კონსოლიდირებული დემოკრატია, რომლის მნიშვნელობა ადამიანის თავისუფლებისთვის ფესვგადგმულია საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების ვალდებულებებში, რომელიც ასევე რეალიზდება ამ ვალდებულების ერთგულების შესაბამისად.

ამერიკის კონსტიტუციონალიზმისა და ძირითადი უფლებების გაგება, ისტორიული რეტროსპექტივა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით დეკლარირებული ღირებულებები

აბსტრაქტი

მე-20 საუკუნის მიჯნაზე საქართველოს კონსტიტუცია რეგიონში ერთ-ერთი პროგრესული დოკუმენტი გახდა. მან არა მხოლოდ შემოიღო პოლიტიკური ძალაუფლების დანაწილება სახელისუფლებო შტოებს შორის, არამედ სრულყოფილად ასახა ის ფუნდამენტური ღირებულებები და უფლებები, რომელთაც იმდროინდელი დასავლური საზოგადოება იზიარებდა.

დაწერილი კონსტიტუციის კონცეფციამ – ბუნებითი სამართლის ფილოსოფიაში განმტკიცებულ ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად – განაპირობა კონსტიტუციონალიზმის სიღრმისეული განსაზღვრის სრულიად ახალი პერსპექტივის გაჩენის შესაძლებლობა. გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ ასახა ეს ღირებულებები საკუთარ ტექსტში და გახადა თავისი თანამედროვე მემკვიდრის საფუძველიც.

ამ თვალსაზრისით, უნდა გავიხსენოთ ამერიკის ის ფუნდამენტური ღირებულებებიც, რომელნიც ასახა მსოფლიოს პირველ დაწერილ კონსტიტუციაში – ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში.

I. დამოუკიდებლობის გამოცხადება

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ყრილობის მიერ, აცხადებს:

ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულყოფილებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.“¹

* სამართლის დოქტორანტი, სამართლის სკოლა, კონექტიკუტის უნივერსიტეტი [irakli.kldiashvili@uconn.edu]

¹ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4801451?publication=0>> [15.6.2021].

1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს დამოუკიდებლობის აქტის ამ მონაკვეთით გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რითაც ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრიობის ახალი სისტემა და პოლიტიკური სტრუქტურა ქვეყნისთვის, რომელმაც პოლიტიკური არსებობის მრავალი საუკუნე გამოიარა.

ამ მოვლენიდან მცირე ხნის შემდეგ, 1921 წელს ეროვნული საბჭო იღებს ქვეყნისთვის ფუნდამენტურ დოკუმენტს – საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას. 1921 წლის კონსტიტუცია, ნამდვილად, შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც აღიარებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას, როგორც ყველაზე ღირებული უფლებების დაცვის გარანტს.

ზოგიერთმა მკვლევარმა სამართლიანად აღნიშნა, რომ 1921 წლის კონსტიტუციამ გაიზიარა და ასახა თანამედროვე მაგალითების საუკეთესო პრაქტიკა, განსაკუთრებით კი, შეიძლება აღინიშნოს აშშ-ის კონსტიტუცია.

ისევე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, აშშ-ის კონსტიტუციაც დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე იქნა მიღებული. ორივე დეკლარაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებმაც საბოლოო ასახვა პოვა კონსტიტუციებში.

„ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილნი არიან, როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა.“²

თავდაპირველად, ამერიკის, ისევე როგორც საქართველოს რესპუბლიკის შემთხვევაში, გვხვდება არა ერთი, არამედ ორი შესანიშნავად ჩამოყალიბებული სადამფუძნებლო დოკუმენტი – დამოუკიდებლობის დეკლარაცია და კონსტიტუცია. პირველი აცხადებს ქვეყნების თავისუფლებას და დამოუკიდებლობას; მეორე ადგენს მათ კონსტიტუციურ წესრიგს.

ორივე დეკლარაცია ასახავდა სხვადასხვა საკითხებს, თუმცა ზოგიერთი მათგანი უაღრესად მნიშვნელოვანია: დესპოტური ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გამართლება, ძირითადი უფლებებისა და თანასწორობის იდეები. თანაბარი და განუყოფელი უფლებების, ხალხის თანხმობისა და შეზღუდული მმართველობის ცნებები, ძირითადად, უკავშირდება

² 1776 წლის 4 ივლისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, <<https://www.loc.gov/exhibits/jefferson/jeffdec.html>> [15.6.2021].

დეკლარაციებს, სადაც ხაზგასმულია „ბუნებით ნაკარნახევი პრინციპები, რომლებიც აშკარაა ყველა გონებისთვის, მათ არ სჭირდებათ დემონსტრაციული მტკიცებულება, ისინი წარმოადგენდნენ აშკარა ამოსავალ წერტილს, აქსიომას, საიდანაც უნდა გამოვიდეთ ან მორალურ იმპერატივებს, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის არსებითი ბუნებიდან, რომლის საფუძველზეც უნდა ვიმოქმედოთ“.³

II. „თავისთავად ცხადი“ ჭეშმარიტება ...

როგორც ტომას ჯეფერსონი წერდა აშშ-ის დეკლარაციის შესახებ, „მისი მიზანი იყო კაცობრიობის წინაშე წარედგინა საკითხის აღქმა იმდენად მარტივად და მკაფიოდ, რომ დავთანხმებოდით და გაგვემართლებინა ჩვენი დამოუკიდებელი პოზიცია, რომლის დაკავებაც მოგვიწია“.⁴ ამერიკის დამოუკიდებლობის დაცვა უდავო ხდებოდა „თავისთავად ცხადი“ ჭეშმარიტების საფუძველზე, რომელიც ყველა ადამიანზე ვრცელდებოდა და, ვინაიდან ყველა საზოგადოებას ეხებოდა, ახალი ინგლისის მკვიდრებმა მიიღეს მარტივი ფილოსოფიური პრინციპები და გასაგები გახადეს ისინი თავიანთი საზოგადოების თითოეული წევრისთვისაც.

ორივე ქვეყანაში – ამერიკაშიც და საქართველოშიც – საერთო ღირებულებები განსხეულდა ცნობად იდიომებში, რამაც შესაძლებლობა მისცა ხალხს, გაერთიანებულიყო და ებრძოლა საკუთარი დამოუკიდებლობისთვის. ამასთან, საერთო ღირებულებების ქვეშ გაერთიანებულ ხალხს მოუწია მდგრადი პოლიტიკური სტრუქტურის მქონე ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც ღრმად იყო დაკავშირებული თავის ამომრჩეველთან.

III. სოციალური კონტრაქტი ...

პირველ ახალმოსახლეებს, რომლებიც ამერიკაში გაემგზავრნენ, „გორაკზე ქალაქის“ აშენების გულწრფელი სურვილი ამოძრავებდათ – ეს გახლდათ ქალაქის მოდელი, რომელიც ერთნაირი მორალური ღირებულებების მქონე მოქალაქეების „ურთიერთთანხმობით“⁵ იქნებოდა განმტკიცებული. ქართველებსაც სურდათ, სამხრეთ კავკასიაში შეექმნათ სამოდელო სახელმწიფო, თავისი „ქალაქი გორაკზე“, რომელიც კარგად შესამჩნევი გახდებოდა, დაფასდებოდა დასავლეთის საზოგადოების მიერ და მეზობელი ქვეყნების აღფრთოვანებასაც დაიმსახურებდა.

³ Wood G., *The Creation of the American Republic 1776-1787*, 1969, 163.

⁴ Jefferson T. [Peterson M. D. ed.], *Writings*, 1984, 1501.

⁵ A model of Christian Charity, Winthrop Papers, 1931, 293, 295.

ორივე ერს სჯეროდა, რომ ლეგიტიმური პოლიტიკური ძალა წარმოიშობა და რჩება მართულთა თანხმობის საგნად. აშშ-ის დეკლარაციის დამოუკიდებლობის დასაბუთება ფართოდ მიღებული სოციალური კონტრაქტის თეორიის ექო გახლდათ, მსგავსი ჯონ ლოკის მიერ გამოყენებულისა თავის მეორე ტრაქტატში. „სოციალური კონტრაქტის ძირითადი თეორია მდგომარეობს იმაში, რომ ძალაუფლება თავდაპირველად ხალხს ეკუთვნოდა თანდაყოლილი, ბუნებითი უფლებით.“⁶

გარდა ამისა, ბუნებით მდგომარეობაში – მთავრობის გარეშე მცხოვრები ადამიანები სარგებლობდნენ თანაბარი თავისუფლებით და ბუნებითი უფლებებით და, ასევე, „მათ შეეძლოთ ამ უფლებამოსილების განკარგვა ისე, როგორც მათ სურდათ. სახელმწიფოს შესაქმნელად ისინი ერთმანეთთან კონტრაქტს დადებენ და კავშირში გაერთიანდებიან. შემდეგ ისინი მოახდენენ გარკვეული უფლებამოსილებების დელეგირებას, მაგრამ ყველა სხვა უფლებამოსილებას დაუტოვებენ ხალხს.“⁷ როგორც ერთ-ერთმა უდიდესმა ამერიკელმა – აბრაამ ლინკოლნმა განაცხადა თავის პირველ მთავარ გამოსვლაში ილინოისში სენატის კამპანიის დროს *სტივენ დუგლასთან* დებატებისას: „არც ერთი ადამიანი არ არის საკმარისად კარგი იმისთვის, რომ მართოს სხვა ადამიანი მისი თანხმობის გარეშე, ეს არის ამერიკული რესპუბლიკანიზმის წამყვანი პრინციპი.“⁸

სახალხო სუვერენიტეტის ცნება ფართოდ აიტაცეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელმა მამებმაც 1921 წელს (შემდგომში – დამფუძნებელი მამები). პოლიტიკური ფილოსოფოსების გავლენიანი ნაშრომები და მათი თანამედროვე სამყაროს პრაქტიკული მაგალითები საპარლამენტო რესპუბლიკის იდეის შთაგონების წყარო გახდა. სოციალური კონტრაქტის თეორიის გავლენით, იმდროინდელი ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ, მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ ხალხის კონტროლი პოლიტიკურ პროცესებზე.

სოციალური კონტრაქტის თეორიის გაგება დროთა განმავლობაში სხვადასხვაგვარად დამე-20 საუკუნის დასაწყისისთვის მისი მიმღებლობაც არსებითად შეიცვალა. იმ პერიოდის პოლიტიკურმა ფილოსოფოსებმა გაავლეს ზღვარი ერთი მხრივ სოციალურ კონტრაქტსა (ეს უფრო ახლოსაა ზოგად პრინციპებზე შეთანხმებასთან), როგორც მოქალაქეთა შორის შეთანხმებას სახელმწიფო მშენებლობასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ საკითხებზე და, მეორე მხრივ, სოციალურ კონტრაქტთან (უფრო ახლოსაა, კარგად გაწერილი პირობებით, ხელშეკრულებასთან) მთავრობასა და მოქალაქეებს შორის. სოციალური კონტრაქტი როგორც

⁶ *Collier C.*, Decision in Philadelphia, The Constitutional Convention of 1787, 2007, 137.

⁷ *Collier C.*, *Lincoln J. C.*, Decision in Philadelphia, The Constitutional Convention of 1787, 1987, 63.

⁸ *Lincoln A.*, The Collected Works of Abraham Lincoln, Volume II, 2008, 266.

შეთანხმება, არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც ხალხთა შორის ხელშეკრულება. ეს იყო უფრო მეტად კულტურული ღირებულებების განჭვრეტა, დამოკიდებულება სამართლიანობისა და საერთო ბედის მიმართ, ამიტომაც არ გააჩნდა ელემენტები, რომლებიც, როგორც წესი, ახასიათებს ჩვეულებრივ ხელშეკრულებას. ასევე, იგი განსაზღვრავდა პოლიტიკურ ძალას, მისი დელეგირების საშუალებას, განაწილების პროპორციებს და მიზნად ისახავდა უფრო მაღალი მიზნების მიღწევას – ხალხის ერთ მთლიან პოლიტიკურ მოცემულობაში გაერთიანებას.

მეორე მხრივ, ხელშეკრულება მმართველებსა და მართულებს შორის, წარმომადგენლებსა და ამომრჩეველს შორის შეიძლება განხილვებოდეს ტრადიციული ხელშეკრულების ასპექტებით, სადაც მოცემულია ორმხრივი გარიგება და რომელშიც მნიშვნელოვანია დაცვა და ლოიალურობა. ამასთან, მმართველებსა და მართულებს შორის რეალურად არ არსებობს ეს მეორე, ე. წ. ხელშეკრულება. ლოკისეული ნდობის იდეა საკმარისი იქნებოდა ხალხსა (პოლიტიკური ძალაუფლების წყარო) და მმართველებს (ხალხის წარმომადგენლებს, რწმუნებული) შორის ნდობითი ურთიერთობების თავისებურებების წარმოსაჩენად. ხალხი (როგორც მარწმუნებელი) ანდობს მმართველებს (როგორც რწმუნებულს) თავიანთი საქმეების მართვას და ის მკაცრად დაიცავს რწმუნებულებაში ნაგულისხმევ პირობებს. ხალხი სამოქალაქო საზოგადოებაში შესვლისას მთავრობას ანდობს გარკვეული ფუნქციების შესრულებას და, თუ მთავრობა არ მიჰყვება პოლიტიკას ხალხის ინტერესის შესაბამისად, მაშინ საზოგადოებამ შეიძლება უარი განაცხადოს მისდამი მორჩილებაზე. ასეთი რწმუნების ხელშეკრულებიდან ცალმხრივი გასვლის უფლება განსხვავდება იმ უფლებებისგან, რაც მხარეებს აქვთ ჩვეულებრივ ორმხრივ ხელშეკრულებაში. ჩვეულებრივი ხელშეკრულების შემთხვევაში, მხარე, რომელმაც დაარღვია ხელშეკრულება, ადვილად არ ნებდება და წარმოიშობა დაპირისპირება, რასაც შედეგადაც მოჰყვება მხარეებს შორის დავის ხანგრძლივი პროცესი.

ჯონ ლოკი მკაფიოდ აღნიშნავდა, რომ დაპირისპირების შემთხვევაში მხოლოდ განსაკუთრებული მიზეზები ხდება მთავრობის შეცვლის უფლების აღმძვრელი და „უდავოდ კეთილგონიერება“ „გკარნახობს, რომ დიდი ხნის წინ შექმნილი მთავრობები არ უნდა შეიცვალონ უმნიშვნელო და დროებით წარმოშობილი მიზეზების გამო“.⁹ პოლიტიკურ საქმეებში, ზოგადად, ხელშეკრულებები და, განსხვავებით, დარღვევების კატეგორიები ძალზე განსხვავებულია საიმისოდ, რომ წარმოშვას მორალური უფლება, მინდობილი უფლებამოსილების შესაწყვეტად.

⁹ 1776 წლის 4 ივლისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, <<https://www.loc.gov/exhibits/jefferson/jeffdec.html>> [15.6.2021].

წინააღმდეგობის მორალური უფლება გამართლებულია „ყოველთვის, როდესაც მმართველობის ნებისმიერი ფორმა დესტრუქციული ხდება“ უფლებების სათანადო დაცვის მიმართ, ამ დროს დღის წესრიგში დგება „ხალხის უფლება შეცვალოს ან გააუქმოს იგი და დააარსოს ახალი მთავრობა“.¹⁰

IV. „სრულყოფილი თავისუფლების მდგომარეობა ...“

აშშ-ის დეკლარაცია მხარს უჭერს მმართველობის ფორმის შექმნას, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობაზე. ეს თანასწორობა გამომდინარეობს ლოკისეული ბუნებითი მდგომარეობიდან, სადაც თითოეული ადამიანი იმყოფება „სრულყოფილი თავისუფლების მდგომარეობაში“.¹¹ აშშ-ის „დამფუძნებელმა მამებმა ხაზი გაუსვეს ყველა ადამიანის ზნეობრივ თანასწორობას, რომელთაც გააჩნიათ საერთო ადამიანური ბუნება და უნივერსალური ზნეობრივი კანონის ძირითადი პრინციპების გარჩევის უნარი. როგორც *ტომას ჯეფერსონმა* განმარტა, ადამიანებს აქვთ უნარი, განასხვავონ ერთმანეთისგან „სწორი და არასწორი პრინციპები“.¹²

აღნიშნულიდან გამომდინარე, აშშ-ის დეკლარაციამ გახსნა სივრცე უფლებების თანაბარი ფლობის, ადამიანთა შორის ხელოვნური განსხვავებების აღმოფხვრის, კანონის თანაბარი შეფარდების, საკუთარი შრომის ნაყოფის მიღების თანაბარი უფლებისა და მმართველობის ფორმის განსაზღვრასა და მისი კანონების ფორმულირებაში მონაწილეობის თანაბარი უფლებებისთვის.

თანასწორობის ამგვარმა გაგებამ, რომელიც თითოეული ადამიანის თვითგადარჩენისკენ სწრაფვის ფუნდამენტური სურვილიდან გამომდინარეობს, გავლენა იქონია ამერიკული პოლიტიკური საზოგადოების ფორმირებაზე, სადაც საზოგადოების თითოეული წევრი ეთანხმება „თვითგადარჩენის დიად პრინციპს; ბუნების და ბუნების ღმერთის ტრანსცენდენტულ კანონს, რომელიც აცხადებს, რომ საზოგადოების უსაფრთხოება და ბედნიერება არის მიზნები, რომლისკენაც ისწრაფის ყველა პოლიტიკური ინსტიტუტი და რომელსაც უნდა შეეწიროს ყველა ასეთი ინსტიტუტი“.¹³

¹⁰ Wood G., *The Creation of the American Republic 1776-1787*, 1969, 270.

¹¹ Locke J. [McPherson C.B. ed.], *The Second Treatise of Government*, 1980, para. 8.

¹² Wood G., *The Creation of the American Republic 1776-1787*, 1969, 163.

¹³ Madison J., *The Federalist Papers*, No: 43, 1788, 287.

V. „განუყოფელი უფლებები“

ბუნებით მდგომარეობაში ადამიანების ბუნებითი უფლებები ან განუყოფელი უფლებები არ შეიძლება იქნეს გაუქმებული ან შეზღუდული პოლიტიკური საზოგადოების ფორმირებისა და მმართველობის განხორციელებისას. ორივე ქვეყნის, საქართველოსა და ამერიკის დამფუძნებელმა მამებმა ყველაფერი გააკეთეს ხალხისთვის ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ბუნებითი კანონის ნამდვილი პოსტულატები აიკინდა და უსაფრთხოდ გადაეცა მათ ნამდვილ მფარველს – სამოქალაქო საზოგადოებას.

ტრადიციებში, ჩვეულებებში და დაუნერეღ წესებში გამობრძმედილმა ბუნებითმა სამართალმა უნივერსალური მოქმედების უნარი შეიძინა. განუყოფელი ბუნებითი უფლებები, როგორცაა „ადამიანის მიმართ გამოყენებული ბუნებითი კანონის არსი“,¹⁴ რომელიც, თავდაპირველად, ჯონ ლოკმა გააჟღერა, ხოლო მოგვიანებით ტომას ჯეფერსონმა შეცვალა დამოუკიდებლობის დეკლარაციაში – „სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვა“ – ამერიკული საზოგადოების მთავარ ქვაკუთხედად იქცა. ქართველებმაც, ამერიკულის მცირედი მოდიფიკაციით, შემოიღეს ჯონ ლოკის ტრიადა – „სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება“ – 1921 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი.

მარტივად რომ გავშალოთ, ბუნებითი უფლებები თავდაპირველად ადამიანებს ეკუთვნოდათ პრეისტორიულ (მდგომარეობა სახელმწიფოს დაარსებამდე) „ბუნებით მდგომარეობაში“. ამიტომ ვერავინ შეძლებდა, მათ შორის, – თავად ხალხის მიერ დაარსებული სახელმწიფოს – მათ წართმევას. ჯონ ლოკის აზრით, ადამიანი არის „ბუნებით თავისუფალი, თანასწორი და დამოუკიდებელი“. ამასთანავე, ბუნებითი კანონით, „არავინ უნდა მიაყენოს მეორე ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, თავისუფლებასა და საკუთრებას ზიანი“.

ამერიკული, ისევე როგორც მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ინტელექტუალური ნიადაგი, მზად იყო ადამიანების უდავო უფლებების სიცოცხლისუნარიანობის მისაღებად. რეალობით გამოცდილი, აღიარებული როგორც მუდმივი და უცვლელი, აღნიშნული უფლებების გამოყენებამ გადალახა ყველა ხელისშემშლელი საზღვარი პოლიტიკურ ლანდშაფტზე და საკუთარი, ბუნებრივი ადგილი დაიკავა ბუნდოვანი სამოქალაქო რეგულაციების მიღმა.

საქართველოსთვის აშშ-ის დეკლარაცია და მისი თეორიული ქვაკუთხედი ავტორიტეტულად აყალიბებს ამერიკულ რწმენას ან სამოქალაქო

¹⁴ *Beitzinger A. J., A History of American Political Thought, 1972, 164.*

საზოგადოების თეოლოგიას, რომლის ცენტრსაც წარმოადგენს თანაბარი რწმენა და ხელშეუხებელი, ინდივიდუალური უფლებები. მან გავლენა მოახდინარეფორმებსადამთელმსოფლიოშიგანვითარებულმოვლენებზე. მიუხედავად იმისა, რომ თავად ტომას ჯეფერსონმა მინიმუმამდე დაიყვანა დეკლარაციის წვლილი პოლიტიკურ ფილოსოფიაში და აღწერა იგი როგორც მხოლოდ „მსოფლიოს ტრიბუნალისადმი მიმართვა“, ამერიკელების მომდევნო თაობებმა ლეგიტიმურად გააფართოვეს მისი მნიშვნელობა და გამოიყენეს ყველა იმ „ინსტიტუციური ფორმების შესამუშავებლად, რომლის ფარგლებშიც ეს თავისუფლება იქნებოდა უზრუნველყოფილი“.¹⁵

VI. დაწერილი კონსტიტუცია

„ძალაუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებში, ნუ ენდობით ნურავის ადამიანისადმი ნდობის შესახებ მოყოლილს, არამედ კონსტიტუციური ბოჭვით დაიცავით ბოროტებისგან.“¹⁶

ტომას ჯეფერსონი

დაწერილი კონსტიტუციის იდეა ნამდვილად ამერიკელებს ეკუთვნით. ქართველი დამფუძნებელი მამები კარგად აცნობიერებდნენ დაწერილი კონსტიტუციის მნიშვნელობას და, საბედნიეროდ, მას ამ მარტივი მნიშვნელობის მიღმა განიხილავდნენ. მათ არა მხოლოდ იცოდნენ, რომ დაწერილი კონსტიტუცია უზრუნველყოფს დემოკრატიული მმართველობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას, არამედ კარგად უწყოდნენ, რომ იგი გახდებოდა ერის გამაერთიანებელი დოკუმენტი.

აღსანიშნავია ის, რომ ამერიკელთა უმეტესობამაც ზუსტად იცოდა, რას ემსახურებოდა მათი კონსტიტუცია. „კანონპროექტის პრინციპის ან უფლებამოსილების რომელიმე სახეობის გაზრდის თაობაზე რაიმე დებატის წამოჭრისას არაფერი იყო იმაზე ჩვეულებრივი, ვიდრე ის, რომ მონაწილეები ჯიბიდან ამოიღებდნენ დაბეჭდილ კონსტიტუციას და კითხულობდნენ თავს, სადაც განხილული საკითხი იძებნებოდა,“¹⁷ – აღნიშნავდა *ტომას პაინი* კონსტიტუციასთან დაკავშირებით, კომენტარების წერისას. „ისე მოხდა, როგორც მან 1776 წელს იწინასწარმეტყველა: ამერიკაში კანონი გახდა მეფე.“¹⁸

¹⁵ Wood G., The Creation of the American Republic 1776-1787, 1969, 168.

¹⁶ Jefferson T., The Works of Thomas Jefferson: Correspondence 1793-1798, Volume VIII, 475.

¹⁷ Paine T. [Foner E. ed.], Rights of Man, and Common Sense, Writings of Paine, 1995, 29.

¹⁸ Wood G., The Creation of the American Republic 1776-1787, 1969, 259.

უდავოდ, მეთვრამეტე საუკუნე იყო ეპოქა, რომელშიც, როგორც ჯონ ადამსმა თქვა: „... ანტიკური სამყაროს უდიდესი კანონმდებლები მოისურვებდნენ ცხოვრებას.“¹⁹ იმ პერიოდში ახალი ინგლისი გახდა სახელმწიფო მშენებლობის ახლებური კონცეფციების ეპიცენტრი. ახალ სამყაროში სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული ელემენტებისადმი დამოკიდებულებამ თავისი უნიკალური ფორმა შეიძინა. „კონსტიტუციის კერპთაყვანისმცემლობა, რომელიც თომას პაინმა ასე ლამაზად გამოხატა 1791 წელს, წარმოადგენდა რევოლუციის წლებში პოლიტიკაზე ამერიკული აზროვნების ცვლილებების იმ რთული სერიების პროდუქტს, რისგანაც არავინ იყო დისტანცირებული.“²⁰ საერთო სამართლის ტრადიციაში გამოხატულმა ინგლისურმა კონსტიტუციონალიზმმა რომის სამართალში გაქვავებული ბუნებითი სამართლის, ადამიანის განუყოფელი უფლებების კონცეფციასთან ერთად, განუმეორებელი ელფერი შეიძინა ამერიკულ კონსტიტუციონალიზმში.

ამასთანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური კონტრაქტის თეორიამ ხალხი სამოქალაქო საზოგადოებაში ნებისმიერ პოლიტიკურ ძალაზე მაღლა დააყენა. ამ წინაპირობებიდან გამომდინარე, ამერიკული კონსტიტუციონალიზმი თავისი განსაკუთრებული გზით ვითარდებოდა, რომელიც „ხაზს უსვამს ინდივიდუალურ უფლებებს, მართულთათანხმობას, კანონის უზენაესობის თანაბრად გამოყენებას, ინსტიტუციონალურ ფორმებს, ხელისუფლების დანაწილებას, პოლიტიკური ვნებებისა და ინტერესების კონტროლისა და დაბალანსების სისტემას, მეტიც, დაწერილი კონსტიტუციის კონცეფცია, როგორც „უმაღლესი კანონი“, რომლის განმარტებაც ხდება არც ბუნებითი კანონების ან სხვა აბსტრაქტული პრინციპებით, არამედ მათ მიერ, ვინც კანონის პროფესიულად დასაბუთებულობაში ერკვევა“.²¹

ჯონ ლოკის თანახმად, ბუნებით მდგომარეობაში ხალხს უკვე ჰქონდა საკუთრება და სხვა ბუნებითი უფლებები, რომლებსაც იტოვებდნენ სამოქალაქო საზოგადოებაშიც. ამრიგად, როდესაც ხალხმა ჩამოაყალიბა სახელმწიფო, ეს უფლებები არ ექვემდებარებოდა რაიმე სახის გადახედვას ან შეზღუდვას. ჯონ ლოკის თქმით, სამოქალაქო საზოგადოებაში შესვლისა და ძალაუფლების თავიანთი საზოგადოებისათვის დელეგირებისას „ადამიანები არ იყვნენ იმდენად სულებები, რომ გაურბოდნენ რა ქრცვინის თუ მელას მიერ მიყენებულ ბოროტებას, თავს ლომებს შეაჭმევინებდნენ“.²² ამრიგად, თითოეულმა ადამიანმა ბუნებითი კანონის თავისით დაცვის

¹⁹ Adams J. [Peek G. ed.], *Thoughts on Government, The Political Writings of John Adams*, 1954, 92.

²⁰ Wood G., *The Creation of the American Republic 1776-1787*, 1969, 259.

²¹ Beitzinger A. J., *A History of American Political Thought*, 1972, 3.

²² Locke J. [McPherson C.B. ed.], *The Second Treatise of Government*, 1980, para. 93.

უზრუნველყოფის უფლება მთელ საზოგადოებას გადააბარა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ნებისმიერი ხელისუფლება დაიცავს ბუნების ფუნდამენტურ კანონს – მშვიდობის შენარჩუნებას და ამით შეინარჩუნა თავისუფლება, რომელიც ხელს არ შეუშლის ამ მიზნის მიღწევას.

*„იმდენად წარმტაცია ძალაუფლების სიყვარული,
რომ ცოტას თუ შეუძლია გაუძლოს მის მაცდურ ბუნებას.“²³*

ნიუ ჰემფშირის კონვენციის მიმართვა (1781)

არსებობს მრავალი კონცეფცია პოლიტიკური ძალაუფლების მოწყობის სპეციფიკური კონფიგურაციის შესახებ, მაგრამ ბალანსი ინდივიდუალურ თავისუფლებებსა და მშვიდობის უზრუნველყოფელ ძალას შორის მოცემულ საზოგადოებაში უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ქართველი დამფუძნებელი მამები უპირატესობას ანიჭებდნენ საპარლამენტო რესპუბლიკას, რომელიც განსხვავდებოდა ამერიკელების მიერ არჩეული მმართველობის პოლიტიკური მოდელისგან. მიუხედავად ამისა, ქართველმა დამფუძნებელმა მამებმა მოახერხეს, თავიანთი ამომრჩევლებისთვის მიეცათ საკმარისი ძალაუფლება დელეგირებული პოლიტიკური ძალაუფლების დასაბალანსებლად.

ამ მიზნებს შორის იდეალური ბალანსის მიღწევა დიდწილად დამოკიდებულია ურღვევ თანამშრომლობასა და ინდივიდუალური უფლებების ეროვნულ მიზანთან უნისონში ყოფნას. ამრიგად, ინტერესთა ორი ჯგუფის დაბალანსების ალგორითმი აუცილებლად მოიაზრებს როგორც ხალხის, ისე მათი წარმომადგენლების ვალდებულებების შესრულებას. წარმომადგენლობა, ანგარიშვალდებულება, მიუკერძოებლობა, ძალაუფლების დანაწილება, გამჭვირვალობა – ყოველივე ეს წარმოადგენს მრავალფენიან ფილტრს, რომელიც ახდენს სხვადასხვა მასშტაბის ძალაუფლებისა თუ გავლენის მფლობელთა ვნებების პირდაპირი ასახვის სტაბილიზაციას პოლიტიკურ პროცესებზე.

²³ Bouton N. (ed.), New Hampshire State Papers, Volume IX, 1867, 846.

„არ არსებობს თავისუფლება იქ, სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება განსახიერებულია მმართველთა ერთ გუნდში ან ერთ პიროვნებაში.“²⁴

ბარონ დე მონტესკიე

მართალია, ხელისუფლების სამ შტოს შორის დანაწილების პრინციპი პირველმა ბარონ დე მონტესკიემ წარმოადგინა, თუმცა „სწორედ ამერიკელები იქნებიან ისინი, ვინც ჯერ 1776 წელს და კიდევ უფრო მეტად შემდეგ ათწლეულში, ხელისუფლების დანაწილების ამ დოქტრინას განავითარებენ და რასაც ჯეიმს მედისონი 1792 წელს „თავისუფალი სახელმწიფოს პირველ პრინციპს“²⁵ უწოდებს. ამ პრინციპის თანახმად, ძალაუფლება უნდა დაიყოს სამ ნაწილად: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო.

1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია იზიარებდა ამ ღირებულებებს და პოლიტიკურ ძალაუფლებას ანაწილებდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სასამართლო ორგანოებს მიენიჭა კონსტიტუციის კონკრეტული საქმეების განხილვისას განმარტების უფლება და, ამ მხრივ, იგი აშშ-ის კონსტიტუციას დაემსგავსა.

გარდა ამისა, აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად, თითოეული შტო დამოუკიდებელი იყო, ასრულებდა ცალკე ფუნქციას და ეკრძალებოდა სხვების ფუნქციებში ჩარევა. ამასთანავე, შტოებს შორის თანამშრომლობა და კონკურენცია ხელს უშლის მათ, მოიპოვონ გადაჭარბებული ძალაუფლება.

„სხვისი ხელყოფისათვის წინააღმდეგობის გასაწევად“,
„ამბიციას უნდა დაუპირისპირდეს ამბიცია“.²⁶

ჯეიმს მედისონი

მიუხედავად იმისა, რომ გამიჯვნის სისტემა ერთმანეთისგან გამოყოფს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, კონტროლისა და დაბალანსების სისტემა მათ ურთიერთკავშირს უზრუნველყოფს. ხელისუფლების დანაწილება, როგორც ჯეიმს მედისონმა განმარტა „ფედერალისტის ჩანაწერებში“, იზოლაციაში მოაქცევდა შტოებს, რომ არა მათი ურთიერთკავშირის უზრუნველყოფი კონტროლისა და

²⁴ Montesquieu B. [Newmann F. ed.], Spirit of the Laws, Book XI, 151-152.

²⁵ Wood G., The Creation of the American Republic 1776-1787, 1969, 152.

²⁶ Madison J., The Federalist Papers, No: 51, 1788.

ბალანსის მექანიზმი. „ხელისუფლების უფლებამოსილებები უნდა დაიყოს და დაბალანსდეს ადმინისტრირების რამდენიმე ორგანოს შორის, რათა ვერავინ შეძლოს მისი კანონიერი საზღვრებიდან გამოსვლა სხვების მიერ ეფექტურად შემოწმების და შეზღუდვის გარეშე.“²⁷

მარტივად რომ ვთქვათ, ამ პრინციპის თანახმად, თითოეული შტო მოქმედებს როგორც სხვათა უფლებების შემაკავებელი ძალა და, არც ერთ შემთხვევაში, მთელი ძალაუფლება არ გადადის ხელისუფლების მხოლოდ ერთ შტოსთან. მაგალითად, პრეზიდენტს შეუძლია ან ხელი მოწეროს კანონს და შეიყვანოს ძალაში, ან დაადოს ვეტო. კონგრესს, სენატის მეშვეობით, აქვს თანხმობის გაცემის უფლება პრეზიდენტის მიერ ნომინირებულ შესაბამის თანამდებობის კანდიდატ პირებზე ან შეწინააღმდეგოს მას და უარყოს კანდიდატურა. სასამართლოს, რომელსაც აქვს კონსტიტუციის ინტერპრეტაციის ექსკლუზიური უფლებამოსილება, შეუძლია, ძალაში დატოვოს ან გააუქმოს საკანონმდებლო აქტები, ისევე როგორც გადაწყვიტოს პრეზიდენტის აქტების ბედიც.

„სადაც კანონი სრულდება, იწყება ტირანია.“²⁸

ჯონ ლოკი

კანონის უზენაესობა ერთგვარ ორთქლის ძრავას წარმოადგენს ამერიკის კონსტიტუციური მოწყობისთვის. იგი ასრულებს შემარბილებელ როლს ძალაუფლების მფლობელებს შორის და უზრუნველყოფს „კანონების და არა ადამიანთა სახელმწიფოს“.²⁹

ერთი მხრივ, ის განსაზღვრავს ძალაუფლების ფარგლებს და ზღუდავს მთავრობის ორგანოთა დისკრეციას, ხოლო, მეორე მხრივ, იცავს მოქალაქეებს სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების არასწორი გამოყენებისაგან. ამერიკაში ეს სამართლიანად ასოცირდება თანაბარ მოპყრობასთან, რომელიც მიზნად ისახავს თვითნებობის შემცირებას ადამიანის უფლებების დაცვისას. აღნიშნული მოითხოვს ყველა მოქალაქის თანაბრად და ერთი და იმავე ხარისხით დაქვემდებარებას კანონის მოთხოვნებისადმი. „თანაბარი თავისუფლება და თანაბარი პრივილეგიები თავისუფალი სახელმწიფოს ბედნიერი შედეგია.“³⁰ იგი ხელს უწყობს მოქალაქეთა თავისუფალ ურთიერთქმედებას და აძლიერებს თითოეული

²⁷ Portsmouth N.-H. Gazette, March 15, 1783; Jefferson T. [Peden W. ed.], Notes on the State of Virginia, 1996, 120.

²⁸ Locke J. [McPherson C.B. ed.], The Second Treatise of Government, 1980, para. 202.

²⁹ Adams J. [Adams C. F. ed.], The Works of John Adams, Volume 4, 1851, 106.

³⁰ Wood G., The Creation of the American Republic 1776-1787, 1969, 401.

ადამიანის, ოჯახის ან ჯგუფის შესაძლებლობას, მაქსიმალურად შეინარჩუნონ დაცვა, დაცულნი იყვნენ თავის უფლებებში და ისწრაფოდნენ ბედნიერებისკენ. მისი სინამდვილე, სამართლიანობა და გამჭვირვალობა აძლიერებს მისი მოქალაქეების სანდოობას სახელმწიფო ორგანოების მიმართ და ხელს უწყობს სამთავრობო ორგანოების სტაბილურ მუშაობას.

„ამერიკელები იმდენად აღფრთოვანებულნი არიან კონსტიტუციის, როგორც დაწერილი უმაღლესი კანონის იდეით, რომელიც სახელმწიფოზე მაღლა დგას და რომელთან შედარებითაც ხდება სხვა კანონების შეფასება, რომ რთულია შეაფასო საწინააღმდეგო კონცეფცია.“³¹

ქართული კონსტიტუციონალიზმი, როგორც აშშ-ის კონსტიტუციონალიზმიდან აღებული მაგალითი, ემყარება მისი მოქალაქეების მიერ ჭეშმარიტად გაზიარებულ ღირებულებებს და იმედებს. ეს გახლავთ სამოქალაქო სულის, სიმტკიცისა და ძალაუფლების ერთიანობის ნამდვილი განსახიერება. გარდა ამისა, საერთო ღირებულებების გარშემო გაერთიანებულმა ქართველმა დამფუძნებელმა მამებმა ჩამოაყალიბეს სისტემა, მისი ფესვები ხალხსა და ავტორიტეტულ დოკუმენტში – 1921 წლის კონსტიტუციაში, რომელიც დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის შედეგად, გახდება „პოლიტიკური ბიბლია“, როგორც ეს ამერიკელებშია³².

VII. ბუნებითი უფლებები

„თავისუფლება ღობეა ჩემი გადარჩენისათვის.“³³

ჯონ ლოკი

„ბუნებითი უფლებების კონცეფციას იცნობდა პოლიტიკით დაინტერესებულ ამერიკელთა უმეტესობა, და იგი მიღებული იყო როგორც აშკარა ჭეშმარიტება, რამაც ამერიკელები რევოლუციამდე მიიყვანა.“³⁴ ახალი ინგლისის მოსახლეებმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადმოდგეს წარსულიდან, შექმნეს ბუნებითი უფლებების ახალი კონცეფცია, რომელიც თავისი არსით შეუთავსებელი იყო კლასიკური ბუნებითი სამართლის პოსტულატების დამკვიდრებულ ტრადიციასთან. აშშ-ის დამფუძნებელი მამები მხარს უჭერდნენ ინდივიდების, როგორც ავტონომიური (რაციონალური) არსებების შეხედულებებს და ემიჯნებოდნენ ძველი ბუნებითი კანონის ცნებებს

³¹ Wood G., *The Creation of the American Republic 1776-1787*, 1969, 260.

³² Paine T. [Foner E. ed.], *Rights of Man, and Common Sense*, Writings of Paine, 1995, 29.

³³ Locke J. [McPherson C.B. ed.], *The Second Treatise of Government*, 1980, paras. 16-17.

³⁴ Collier C., Lincoln J. C., *Decision in Philadelphia, The Constitutional Convention of 1787*, 1987, 333.

ადამიანების, როგორც ბუნებით სოციალური ინდივიდების შესახებ. გარდა ამისა, გონების თვალთ დანახული, გააზრებული ბუნებითი კანონი გახდა ადამიანისთვის თავისუფლებისკენ მიმავალი ერთადერთი გზა. ზუსტად ამ რეტროსპექტივაში უნდა დანახულიყო ინდივიდთა ყველა უფლების ფესვები.

აღმოჩნდა, რომ ახალი იდეები ბუნებითი კანონისა და ბუნებითი უფლებების შესახებ, შესანიშნავად დაეყვამდებარა ექსპორტს, განსაკუთრებით, ამერიკის კოლონიებში, რომლებიც ეწოდნენ „მოსახლეთა შეგროვებას XVII საუკუნის ბოლოს“.³⁵ XVIII საუკუნის ამერიკაში *თომას ჰობსისა და ჯონ ლოკის* დროება გაგებულია როგორც ეპოქა, რომელმაც ბუნებითი უფლებები პრაქტიკულად აქცია „ვალუტად“.³⁶ მაგრამ ბუნებითი უფლებების თეორიის ცნობილი მოდიფიკაციები ლეგიტიმურად ეკუთვნის ამერიკელ პოლიტიკურ ინტელექტუალურ ლიდერებს – ამერიკელ დამფუძნებელ მამებს. მიუხედავად არსებული სახესხვაობებისა ტერმინოლოგიაში, რომლებიც ხაზს უსვამდნენ და განასხვავებდნენ გასხვისებადს და გაუსხვისებადს, ბუნებრივს და შეძენილს, ბუნებითს და სამოქალაქოს, უფლებების ერთი საერთო საფუძველი უცვლელი დარჩა ახალ სამყაროში: ბუნებითი უფლებები – ის, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს ბუნებრივი თავისუფლებიდან, რომლითაც სარგებლობენ ადამიანები ბუნებით მდგომარეობაში.

სანამ ეს მოდიფიკაციები განხორციელდებოდა, *თომას ჰობსი* ცდილობდა ფუნდამენტური განსხვავება შემოეტანა „ბუნებით კანონს, *lex naturalis*“ – რომელიც „არის აღქმა ან ზოგადი წესი, გააზრებული ჭრილში, რომლის მიხედვითაც, კაცს ეკრძალება იმის გაკეთება, რაც მისი ცხოვრების გამანადგურებელია“ და „ბუნებით უფლებას, *jus naturalis*“ შორის, რომელიც „წარმოადგენს თითოეული ადამიანის თავისუფლებას, გამოიყენოს საკუთარი ენერჯია ისე, როგორც მას სურს, საკუთარი ბუნებითი მდგომარეობის შენარჩუნებისთვის“.³⁷ გარდა ამისა, *ჯონ ლოკის* ლიბერალური ინტერპრეტაცია ინდივიდების თავისუფლების შესახებ, სამოქალაქო საზოგადოებაშიც კი გადაამწყვეტ ნიშანს აძლევდა აშშ-ის დამფუძნებელ მამებს რაციონალური ადამიანებისათვის რაციონალური ჩარჩოების შემდგომი შექმნისთვის.

ამერიკელთა ახალ თაობებს, ისევე როგორც *ჯონ ლოკს*, მტკიცედ სწამდათ, რომ „გონი ... არის ბუნებითი კანონი“³⁸ და ადამიანს უფლება აქვს, გააკეთოს ის, რაც აუცილებელია ბუნებით მდგომარეობაში

³⁵ *Collier C., Lincoln J. C., Decision in Philadelphia, The Constitutional Convention of 1787, 1987, 333.*

³⁶ *Collier C., Lincoln J. C., Decision in Philadelphia, The Constitutional Convention of 1787, 1987, 333.*

³⁷ *Hobbes T. [Oakeshott M. ed.], Leviathan, 1946, 84.*

³⁸ *Locke J. [McPherson C.B. ed.], The Second Treatise of Government, 1980, para. 6.*

ქმედებისთვის – მისი არსებობის მხარდაჭერისა და დაცვისთვის, მათ შორის, „ბედნიერებისკენ სწრაფვისთვის“, როგორც ეს მოგვიანებით შეცვალა ტომას ჯეფერსონმა ჯონ ლოკის ცნობილ ტრიადაში.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილმა ფრაზამ „ბედნიერებისკენ სწრაფვა“ ვერასოდეს პოვა ასახვა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, იგი ადგენდა ჯონ ლოკის მიერ ფორმულირებულ გარანტიებს: სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. ყველა ეს ფუნდამენტური უფლება სათანადოდ იქნა შეტანილი საქართველოს კონსტიტუციაში. საქართველოს დამფუძნებელმა მამებმა იცოდნენ, რომ ამ უფლებებით სარგებლობისას ქართველები უფრო მეტად გაძლიერდებოდნენ დამოუკიდებლობის და ბედნიერებისკენ სწრაფვაში.

„სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება.“³⁹

ჯონ ლოკი

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით გარანტირებული იყო სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებები, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდნენ ფასეულობად იმდროინდელი პოლიტიკური ფილოსოფოსები და შეტანილიც იქნა რამდენიმე პროგრესული სახელმწიფოს კონსტიტუციაში. რაც შეეხება ამერიკას, ეს ფუნდამენტური ფასეულობები პოპულარული გახდა ჯონ ლოკის, მოგვიანებით, ამერიკის ფილოსოფოსი მამის ნაშრომების წყალობით.

ჯონ ლოკისთვის სიცოცხლის უფლება იყო ძირითადი უფლება. ყველა სხვა უფლება იყო დაქვემდებარებული და „აუცილებელი და მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანის შენარჩუნებისთვის“.⁴⁰ „ბუნებრივი გონი ... გვეუბნება, რომ ადამიანებს აქვთ მათი შენარჩუნების უფლება, შემდეგ კი არის უფლებები ხორცზე, სასმელზე და სხვა რამეზე, რასაც ბუნება იძლევა მათი არსებობისთვის.“⁴¹ ასევე, ბუნებითი კანონი, გონება – ეს გახლავთ წესების ერთობლიობა, რომლის ძირითადი მიზანი არ იყო შეზღუდვა, არამედ კაცობრიობის დაცვისა და მათი უფლებების სტიმულირება. ამრიგად, თითოეული ადამიანის გარდაუვალი ინტერესი თვითგადარჩენისადმი, მიდის სხეულამდე, რომელიც წარმოადგენს ყველა სხვა უფლების საყრდენს. უფლებების, წესებისა და კანონების ნებისმიერი ერთობლიობა ხელს უნდა უწყობდეს თვითგადარჩენას და ხსნიდეს სივრცეს ამ მიზნით, ნებისმიერი ისეთი საშუალებით, რომელიც სხვებისთვის არ იქნება დამანგრეველი.

³⁹ Locke J. [McPherson C.B. ed.], The Second Treatise of Government, 1980, para. 87.

⁴⁰ Locke J. [McPherson C.B. ed.], The Second Treatise of Government, 1980, para. 23.

⁴¹ Locke J. [McPherson C.B. ed.], The Second Treatise of Government, 1980, para. 25.

საკუთრების დაცვა, რომელიც ჯონ ლოკისთვის მოიცავს „სიცოცხლეს, თავისუფლებას და ქონებას“, განვრცობილია ბუნებითი უფლებების კონცეფციაში და მისი შემცირება შეუძლებელია. „ადამიანი, დაბადებული სრულყოფილი თავისუფლების და ბუნების კანონის ყველა უფლებითა და პრივილეგიით უკონტროლო სარგებლობის ტიტულით, თანაბრად ნებისმიერი სხვა ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფებისა მსოფლიოში, ბუნებისგან უფლებამოსილია ... დაიცვას თავისი საკუთრება – იქნება ეს მისი სიცოცხლე, თავისუფლება თუ ქონება – სხვა ადამიანების მიერ დაზიანებისა და თავდასხმისგან.“⁴² დამფუძნებელმა მამებმა, ჯონ ლოკის მსგავსად, განავრცეს საკუთრება ამ სიტყვის ფართო გაგებით და ამით გახსნეს კარი ადამიანთა სხვადასხვა უფლებებისთვის, რომელთაგან ყველაზე ფუნდამენტური იყო გონების თავისუფლება, სინდისი, რელიგია და თვითმმართველობა. ტომას ჯეფერსონის მხარდასაჭერად, ვირჯინიის გენერალურ ასამბლეაზე 1785 წლის ოქტომბერში, ჯეიმს მედისონი ამტკიცებდა, რომ „თითოეული ადამიანის თავისუფალი აღმსარებლობის თანაბარი უფლება სინდისის კარნახით იგივე ვადით მოქმედებს, როგორც ჩვენი ყველა სხვა უფლება. თუ მის წარმოშობას მივუბრუნდებით, ეს ბუნების საჩუქრის თანაბარზომიერი იქნება“.⁴³

„დანაბე ჩემი საკუთრების უფლება შესაძლებლობას მაძლევს, დავტოვო იქ, სადაც მინდა, მაგრამ არა შენს მკერდში.“⁴⁴

რობერტ ნოზიკი

თითოეული ადამიანის თავისუფლება თავსებადი უნდა იყოს სხვების თავისუფლებასთან. ტომას ჯეფერსონის „კანონიერი თავისუფლების“ ცნებაზე დაყრდნობით, რომელიც განიხილება როგორც „დაუბრკოლებელი მოქმედება ჩვენი ნების შესაბამისად, ჩვენს გარშემო მყოფ სხვა ადამიანთა თანაბარი უფლებების ფარგლებში“, ინდივიდუალურ უფლებებში შედის მოძრაობის, გადაადგილების თავისუფლების, მიგრაციის, კომუნიკაციის, კომერციის, სამუშაოსა და მისი ნაყოფით ტკბობის უფლებები. ამასთან, არ შეიძლება ხელი შევუშალოთ ადამიანებს ცხოვრების საკუთარი სამოძრაო რუკების შედგენისას ნებისმიერ დროს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი დაუსაბუთებელი ურთიერთქმედებისგან და პატივი სცეს ინდივიდების ყველაზე მნიშვნელოვან უფლებებს, არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც გამომდინარეობს ზემოაღნიშნულისგან. ბუნებითი კანონი ასეთი შეზღუ-

⁴² Locke J. [McPherson C.B. ed.], *The Second Treatise of Government*, 1980, para. 87.

⁴³ Madison J., *A Memorial and Remonstrance*, reprinted in Meyers, *Mind of the Founder*, 1785, 9.

⁴⁴ Nozick R., *Anarchy, State and Utopia*, 1974, 171.

ღუდვებისთვის ღობის როლს ასრულებს. „კანონის მიზანი არა გაუქმება ან შეზღუდვა, არამედ თავისუფლების შენარჩუნება და გაფართოებაა.“⁴⁵

ჯონ ლოკი ამტკიცებდა, რომ: „თითოეულ ადამიანს აქვს თავისი პიროვნება შესაკუთრების უფლება“, კერძოდ, „ამ სხეულს არ აქვს ყველა უფლება, გარდა საკუთარი თავისა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ თითოეული ადამიანი იყო მესაკუთრე და თვითშენარჩუნების უფლების ქონა სწორედაც რომ საუკეთესოდ შეეფერებოდა საკუთარი თავის მფლობელობის უფლებას. თვითსაკუთრება წარმოადგენდა ადამიანის ავტონომიის იდეას. ვინაიდან ადამიანი საკუთარ თავს ეკუთვნის, იგი სხვას არ ექვემდებარება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნულზე თანხმობას თავად არ აცხადებს. იგი ბუნებით თავისუფალია, დაჯილდოებულია „საკუთარი სურვილის შესაბამისად ქმედების თავისუფლებით“ და, რადგანაც იგი საკუთარი თავისა და საკუთარი ქმედებების ბატონ-პატრონია, შეუძლია კანონიერად შეიძინოს ქონება საკუთარი შრომით.⁴⁶

ჯონ ლოკი ასევე აღნიშნავდა, რომ დედამიწა ყველა ადამიანის საერთო საკუთრება იყო. ამასთან, ინდივიდებს შეეძლოთ, აეღოთ საკუთრების ცალკეული ნივთები საერთო ქონებიდან საკუთარი შრომითი წვლილის შეტანით, ემუშავათ მიწაზე, დაემუშავებინათ იგი ან მიჰყოლოდნენ სხვა საქმიანობას იმ პირობით, რომ: ა) სხვებსაც დარჩებოდათ გამოსაყენებელი სარგებელი (არ უნდა მომხდარიყო სხვა ადამიანების ინტერესების გაუარესება იმ სიტუაციაში, როდესაც ყველა დაიწყებდა თავისი უფლების განხორციელებას) და ბ) რაოდენობის განაწილება დარჩებოდა თვითშენარჩუნებისთვის აუცილებელ ფარგლებში. გარდა ამისა, საკუთრებით სარგებლობის ფორმატი თვისობრივად იცვლებოდა და უკიდევანო საზღვრებში გადადიოდა მონეტარული ნომინალის გამოყენების სამყაროში. ახლა უკვე ადამიანებს შეეძლოთ ნივთების ფულზე გადაცვლა და იმდენი სიმდიდრის შექმნა, რამდენსაც შეძლებდნენ. ჯონ ლოკის ამ სისტემაში ლიბერალური ბალანსი შესანიშნავად მიესადაგებოდა ინდივიდუალურ საკუთრებას, თვითშენარჩუნებას და კაცობრიობის შენარჩუნებას.⁴⁷

აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საუკეთესო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც მოხდა ბუნებითი უფლებების შენარჩუნება თანამედროვე სამყაროში. ამერიკელების მიერ ბუნებითი უფლებები აღიქმება „არა როგორც აბსტრაქცია, სიტყვებით მსჯელობა ქალაქდზე, არამედ რაღაც“, რისაც

⁴⁵ Locke J. [McPherson C.B. ed.], *The Second Treatise of Government*, 1980, para. 57.

⁴⁶ Locke J. [McPherson C.B. ed.], *The Second Treatise of Government*, 1980, para. 21.

⁴⁷ Locke J. [McPherson C.B. ed.], *The Second Treatise of Government*, 1980, para. 21.

მათ „ღრმად“ და „გულით“ სწამთ.⁴⁸ ისინი ამერიკის თავისუფლებისთვის უძლიერესი ციხე-სიმაგრე აღმოჩნდნენ. ამერიკელები სიამოვნებით სარგებლობენ სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლებით და ეს უფლებები გულითადად გადაეცემა, მემკვიდრეობის სახით, დანარჩენ მსოფლიოსაც.

VIII. დასკვნა

მე-20 საუკუნის მიჯნაზე საქართველოს კონსტიტუცია რეგიონში ერთ-ერთი ნოვატორული დოკუმენტი გახდა. მან არა მხოლოდ სამ სახელისუფლებო განშტოებაზე გადაანაწილა პოლიტიკური ძალაუფლება, არამედ გაიზიარა და ასახა ის ფუნდამენტური ღირებულებები და უფლებები, რომელთაც იმდროინდელი დასავლური საზოგადოება იზიარებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია ასახავდა აშშ-ის კონსტიტუციის მრავალ მახასიათებელს, კერძოდ, სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებას. ამასთან, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია უფრო წინ წავიდა, ითვალისწინებდა რა თანაბარ საარჩევნო უფლებებს ქალებისა და მამაკაცებისთვის.

დაწერილი კონსტიტუციის მიღებით, ფუნდამენტურ უფლებებსა და ხელისუფლების დანაწილების კონცეფციასთან ერთად, 1921 წლის კონსტიტუციამ დასაბამი მისცა კონსტიტუციონალიზმის ახალ ეპოქას საქართველოში, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მომავალი განვითარებისათვის. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ლეგიტიმურად იქცა მისი თანამედროვე მემკვიდრის – საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის – კარგ საფუძვლად.

⁴⁸ *Collier C., Lincoln J. C., Decision in Philadelphia, The Constitutional Convention of 1787, 1987, 334.*

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია – საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო

აბსტრაქტი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დამფუძნებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქვეყნის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის შემუშავებას და მისი მიღება მიაჩნდათ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ (1919-1921) შეიმუშავა და 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელსაც თავისი საპატიო ადგილი უკავია მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. მას საფუძვლად დაედო ორი უმთავრესი პრინციპი – ერისა და პიროვნების თავისუფლება. კონსტიტუცია, თავისი თანმიმდევრული დემოკრატიზმით, მტკიცე საფუძველს ქმნიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის. საბჭოთა პერიოდში 1921 წლის კონსტიტუცია იყო სიმბოლო იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფო, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი უდავოდ იყო მიჩნეული, რომ 1921 წლის კონსტიტუცია საფუძვლად უნდა დაედოდა ქვეყნის ახალ კონსტიტუციას.

I. კონსტიტუციის შემუშავება – დამფუძნებელი კრების უმთავრესი ამოცანა

კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პროცესი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის თითქმის მთელი პერიოდის მანძილზე გრძელდებოდა. ქვეყნის ძირითად კანონზე მუშაობა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიწყო. ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის ხანმოკლე პერიოდში (1918 წლის 22 აპრილი – 26 მაისი) საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ამიერკავკასიის კონსტიტუციის შესამუშავებლად, საქართველოდან არჩეულ წევრებს დაავალა, მუშაობა დაეწყოთ საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებაზეც, რადგანაც ცხადი

* პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი [malkhaz.matsaberidze@tsu.ge]. ამ ნაშრომში გამოყენებულია სტატია: მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 18-41, რომელიც განახლებული და შევსებულია ახალი ინფორმაციითა და მოსაზრებებით.

გახდა – ფედერაციის კონსტიტუცია ვერ დაიწერებოდა, სანამ არ იქნებოდა ჩამოყალიბებული მასში შემავალი სუბიექტების კონსტიტუციები.

ამიერკავკასიის ფედერაცია მალევე დაიშალა და საქართველოს ეროვნულმა საბჭომ (შემდგომში საქართველოს პარლამენტმა) აირჩია საკონსტიტუციო კომისია (1918 წლის 6 ივნისი – 1919 წლის 8 მარტი), რომლის მასალებიც გადაეცა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას (1919 წლის 18 მარტი – 1921 წლის 21 თებერვალი).¹ თუმცა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ გადაწყვიტა, მუშაობა თავიდან დაეწყო.²

საქართველოს დამფუძნებელი კრების შემადგენლობიდან გამომდინარე, რომელშიც დომინირებდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია,³ საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება და მიღება ფაქტობრივად ერთი პარტიის ხელში აღმოჩნდა. ქართველი სოციალ-დემოკრატები, მიუხედავად თავიანთი სოციალისტური იდეოლოგიისა და მასების ნაწილში არსებული რევოლუციური განწყობისა, ემიჯნებოდნენ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც „სოციალიზმის მშენებლობის“ დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვდნენ. ქართველი სოციალ-დემოკრატების აზრით, ქვეყანაში არ არსებობდა პირობები სოციალისტური გარდაქმნების დასაწყებად, ხელისუფლებაში სოციალისტების ყოფნა კი უნდა გამოეყენებულყო საქართველოში თანმიმდევრული დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად.

¹ დამფუძნებელმა კრებამ თავის მესამე სხდომაზე, 1919 წლის 18 მარტს, სხვა კომისიებთან ერთად, აირჩია საკონსტიტუციო კომისიაც 15 წევრის შემადგენლობით. მასში შევიდნენ დამფუძნებელ კრებაში არსებული პარტიული ფრაქციების წარმომადგენლები. სოციალ-დემოკრატებს კომისიაში 10 წევრი ყავდათ. 2-2 წევრით იყო წარმოდგენილი ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიები, 1 სოციალისტ-რევოლუციონერი იყო. კომისიის შექმნას კამათი არ გამოუწვევია. ფრაქციებს წინასწარ ჰყავდათ განსაზღვრული თავიანთი კანდიდატები. საკონსტიტუციო კომისიაში სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან შევიდნენ: რ. არსენიძე, ს. ჯაფარიძე, პ. საყვარელიძე, ლ. ნათაძე, ვ. ჯაფარიძე, კ. ანდრონიკაშვილი, რ. ჩიხლაძე, მ. რუსია, გ. ფალავა და პ. წულაია; ეროვნულ-დემოკრატებიდან – ს. კედია და გ. გვაზავა; სოციალისტ-ფედერალისტებიდან – ი. ბარათაშვილი და გ. ლასხიშვილი; სოციალისტ-რევოლუციონერებიდან – ი. გობეჩია. საკონსტიტუციო კომისიაში შემდგომ ახალი ფრაქციების წარმომადგენლებიც შეიყვანეს. კერძოდ, გ. ვეშაპელი ეროვნული პარტიიდან და ტ. ავეტისიანი დაშნაკებისგან.

² მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში, წესით, ადვილი იყო, რადგანაც კომისიაში კვლავ დომინირებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია და პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის რამდენიმე წევრი (ს. ჯაფარიძე, პ. საყვარელიძე, რ. არსენიძე) აირჩიეს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაშიც.

³ 1919 წლის თებერვალში ჩატარებული არჩევნების შემდეგ, დამფუძნებელი კრების 130 წევრიდან 109 სოციალ-დემოკრატი იყო, ორი დამატებითი არჩევნების შემდეგ სოციალ-დემოკრატების რაოდენობა 102 წევრამდე შემცირდა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლიდა დამფუძნებელ კრებაში არსებულ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაში.

საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის მისი პირველი თავმჯდომარე, შემდგომში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე: „დავინწყეთ რა კონსტიტუციის პროექტის შექმნა, ჩვენ ხელთ გვქონდა მსოფლიოს ყოველი უფლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია. ვმუშაობდით თითქმის განუწყვეტლივ, მთელი დღე-ღამე. ყოველი მუხლი, ყოველი დებულება, ყოველი აზრი იწვევდა ბევრ დავასა და შეჯახებასაც კი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ხდებოდა შეთანხმება, ვინაიდან საკონსტიტუციო კომისიის ყოველი წევრი მთელი თავისი შეგნებით და სერიოზულობით ეპყრობოდა ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. უნდა ითქვას, რომ ბევრი ძირითადი იდეა გადავიღეთ შვეიცარიის კონსტიტუციიდან და შევუთავსეთ საქართველოს სინამდვილეს; მაგრამ სხვა უფლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციებიდანაც გამოვიყენეთ ესა თუ ის პრინციპი.“⁴

საქართველოს სახელმწიფოს ამოსავალი პრინციპები განსაზღვრული იყო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში. საკონსტიტუციო კომისიის გადაწყვეტილებით, დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული პრინციპები არა მარტო საფუძვლად დაედო კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს, არამედ თვით დამოუკიდებლობის აქტიც, შესავალი ნაწილის სახით, უნდა დაერთოთ კონსტიტუციისთვის. როგორც აღნიშნავდა გიორგი გვაზავა, დამოუკიდებლობის აქტი „არის დაბადება ჩვენი სახელმწიფოსი“, „... ეს არის ფაქტი, რომლის შემდეგაც მომდინარეობს, მოსჩქეფს ჩვენი უფლებანი...“.⁵

თავიდანვე დაისვა საკითხი, თუ „რას ნიშნავს დემოკრატიული რესპუბლიკა“⁶, რომელსაც აცხადებდა დამოუკიდებლობის აქტი. ამ საკითხზე ყველა პარტიამ წარმოადგინა თავისი პოზიცია. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად დაედო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა ხედვა, რომელთა აზრითაც უნდა მომხდარიყო დემოკრატიული რესპუბლიკის ორი ფორმის – უშუალო დემოკრატიის და საპარლამენტო დემოკრატიის შეხამება.

გადაწყდა, რომ კონსტიტუცია დაეყოს თავებად, ხოლო თავები ცალკე მუხლებად. თავების შემუშავებისათვის გამოყოფილი კომისიის წევრები დამოუკიდებლად მუშაობდნენ მასზე და შემდეგ პროექტს წარუდგენდნენ საკონსტიტუციო კომისიას, რომელიც თავის სხდომაზე განიხილავდა მას.⁷

⁴ ინასარიძე კ., პატარა „ოქროს ხანა“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921, რადიოლოკენტაცია (მიუნხენი), 1984, 254-255.

⁵ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 859, ფურც. 139.

⁶ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 17.

⁷ კონსტიტუციის პროექტის თავდაპირველი მონახაზი შემდგენაირად ჩამოყალიბდა: 1. საზოგადო დებულებანი (რ. ჩიხლაძე, პ. საყვარელიძე); 2. სახელმწიფოებრივი ტერიტორია (პ. საყვარელიძე, რ.

II. ღონისძიებანი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დასაჩქარებლად

კომისიის მიერ კონსტიტუციის პროექტის შემუშავება გაჭიანურდა, რამაც ოპოზიციური პარტიების შეშფოთება გამოიწვია. 1919 წლის ოქტომბერში დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ საკითხი აღძრა დამფუძნებელი კრების პრეზიდენტის წინაშე, რომ საკონსტიტუციო კომისიისთვის მოეთხოვათ ერთი თვის ვადაში კონსტიტუციის პროექტის წარმოდგენა. ფრაქცია აღნიშნავდა, რომ კონსტიტუციის შემუშავება დამფუძნებელი კრების უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენდა და მიუხედავად გასული 7 თვისა, ამ მხრივ საქმე წინ არ წასულა. კონსტიტუციის შემუშავების დაჩქარება კი აუცილებელი იყო როგორც საშინაო, ისე საგარეო პირობებით. ქვეყნის შიგნით „ამისთანა ისტორიული აქტი მშვიდობიან კალაპოტში ჩააყენებს ჩვენს შინაურ ცხოვრებას, გააღვიძებს ხალხში უფლებრივ შეგნებას და დაამყარებს წესიერებას“.⁸

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის აზრით, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა კონსტიტუციის მიღებას საერთაშორისო თვალსაზრისით. ახლად შექმნილი სახელმწიფოების, მათ შორის, საქართველოს ცნობარცნობის საკითხი პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების ხელში იყო. დასავლეთის ქვეყნების თანაგრძნობას მოიპოვებდნენ ის ახალი სახელმწიფოები, რომელთა „ეროვნული სულისკვეთება და ნებისყოფა“ მიმართული იქნებოდა არა „ანარქიისა და სამოქალაქო ომისაკენ, არამედ უფლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და წესიერების დამყარებისაკენ“.⁹

საკონსტიტუციო კომისიის იმდროინდელმა თავმჯდომარე რაჟდენ არსენიძემ საპასუხოდ განაცხადა, რომ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა დასასრულს უახლოვდებოდა და „კონსტიტუციის მთავარი ნაწილი უკვე მზად იყო“. მან დამფუძნებელ კრებას აღუთქვა, რომ კონსტიტუციის პროექტს განსახილველად წარადგენდნენ 1920 წლის იანვარში¹⁰, გარდა ამისა, საკონსტიტუციო კომისიამ გადაწყვიტა, საზოგადოების სამსჯავროზე გამოეტანა კონსტიტუციის პროექტის უკვე შემუშავებული თავები.¹¹ ამ გადაწყვე-

ჩიხლაძე); 3. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი (*კ. ჯაფარიძე*); 4. რესპუბლიკის ჯარი (*კ. ანდრონიკაშვილი*); 5. სახელმწიფო ფინანსები (*სპ. კეღია*); 6. სასამართლო (*ი. ბარათაშვილი*); 7. სახელმწიფო და ეკლესია (*ლ. ნათაძე*); 8. ადგილობრივი თვითმმართველობა (*მ. რუსია*); 9. პარლამენტი; 10. სახელმწიფო მოხელენი (*პ. საყვარელიძე, რ. ჩიხლაძე*); 11. ეროვნულ უმცირესობათა უფლება (*გ. ლასხიშვილი*); 12. კონსტიტუციის გადასინჯვა (*გ. ნანეიშვილი*); 13. საარჩევნო უფლება (*გ. ფაღავა, პ. წულაია*).

⁸ სცსსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 46, ფურც. 3.

⁹ სცსსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 46, ფურც. 3.

¹⁰ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 191, ფურც. 67.

¹¹ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 31.

ტილების შესაბამისად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1919 წლის 285-ე და 296-ე ნომრებში დაიბეჭდა: 1. აღმასრულებელი ხელისუფლება, 2. მოქალაქეთა უფლებანი, 3. სოციალური უფლებანი, 4. სწავლა-განათლება, 5. სქესთა ურთიერთობა, 6. რესპუბლიკის სამხედრო ძალები, 7. სასამართლო, 8. სახელმწიფო და ეკლესია, 9. ადგილობრივი მმართველობანი და 10. სახელმწიფო მოხელენი.

1920 წლის იანვარში დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ საკონსტიტუციო კომისიას გადაჭრით მოსთხოვა მუშაობის დაჩქარება.¹² შეშფოთება გამოთქვა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმაც. 1920 წლის 7 თებერვალს საკონსტიტუციო კომისიას გაეგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელშიც პრეზიდიუმი კომისიას შეახსენებდა ძველ დაპირებას – 1920 წლის იანვარში კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დამთავრების თაობაზე და აღნიშნავდა: „იანვარმაც განვლო, მაგრამ კონსტიტუციის დამფუძნებელ კრებისათვის წარდგენისა არავითარი ნიშანი არა სჩანს, არც ის იცის პრეზიდიუმმა, – სახელდობრ როდისათვის უნდა მოველოდეთ მის შემოტანას.“¹³

კომისიის მუშაობას მართლაც სერიოზული ხარვეზები ახასიათებდა. მუშაობის ტემპი აშკარად არადამაკმაყოფილებელი იყო. ასე მაგალითად, 1919 წლის 24 დეკემბერს დაიწყო „სოციალურ უფლებათა“ დებულების განხილვა, მივიდნენ მე-7 მუხლამდე და შემდეგი სხდომისათვის გადადეს. მაგრამ ამ საკითხს მხოლოდ 1920 წლის 4 თებერვალს დაუბრუნდნენ. საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 24 იანვრის სხდომაზე პავლე საყვარელიძემ წამოაყენა წინადადება, რომ კომისიის მიერ უკვე შემუშავებული ყველა მასალისათვის თავი მოეყარათ და დაებეჭდათ კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც დაურიგებდნენ კომისიის წევრებსა და ფრაქციებს. გარდა ამისა, გამოერკვიათ, თუ „რა და რა საგანი დარჩა კიდევ განუხილველი“¹⁴. ეს წინადადება კომისიამ ერთხმად მიიღო.

განხორციელდა ორგანიზებული ცვლილებებიც. რადგან საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე რაჟდენ არსენიძე იუსტიციის მინისტრად დაინიშნა, 1920 წლის 24 იანვრის სხდომაზე დაისვა საკითხი, მის ნაცვლად კომისიაში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან ერთი წევრის მიწვევის შესახებ, რის შემდეგაც უნდა აერჩიათ კომისიის ახალი თავმჯდომარე.¹⁵ 1920 წლის 30 იანვარს რაჟდენ არსენიძის ნაცვლად საკონსტიტუციო კომისიის წევრად ჩაირიცხა კონსტანტინე ჯაფარიძე.¹⁶ თუმცა, უნდა ითქვას,

¹² სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 62.

¹³ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 191, ფურც. 67.

¹⁴ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 64.

¹⁵ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 65.

¹⁶ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 411.

რომ რაჟდენ არსენიძე შემდგომშიც აქტიურად აგრძელებდა საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობას.

საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 4 თებერვლის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს *პავლე საყვარელიძე*, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად *სერგი ჯაფარიძე*.¹⁷ მომხდარი ცვლილება მართლაც დაეტყო კომისიის მუშაობას. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მოწესრიგდა საკონსტიტუციო კომისიის ოქმები. ისინი კარგად გამართული, გადაბეჭდილი და, ხშირად, თავმჯდომარის მიერ არის რედაქტირებული.

კონსტიტუციის პროექტის შემუშავების დაგვიანებით გამოწვეული უკმაყოფილების გასაწელებლად საკონსტიტუციო კომისიამ კვლავ გადაწყვიტა, გამოეყვეყნებინა პროექტის უკვე შემუშავებული თავები. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1920 წლის 17 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის“ დებულებანი: 1. სახელმწიფო ფინანსები; 2. სახელმწიფო ტერიტორია; 3. საზოგადო დებულებანი; 4. პარლამენტი და 5. მოქალაქეობა.

აღსანიშნავია, რომ ამავე გაზეთში 1920 წლის იანვრის ბოლოდან აპრილის დამდეგამდე იბეჭდებოდა *პავლე საყვარელიძის* წერილების სერია საქართველოს კონსტიტუციაზე. ეს იყო პროექტის უკვე გამოქვეყნებული თავების ძირითადი დებულებების კომენტარები და მიზნად ისახავდა საზოგადოების ყურადღების გაზრდას საკონსტიტუციო საკითხებისადმი. 1920 წლის გაზაფხულზე საკონსტიტუციო კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ სპეციალური თავის შემუშავებას და ამას საკმაოდ დრო მოანდომა.

III. კონსტიტუციის პროექტის საბოლოო რედაქტირება საკონსტიტუციო კომისიის მიერ

საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 14 თებერვლის სხდომაზე იმსჯელეს კონსტიტუციის დალაგების სისტემაზე. *პავლე საყვარელიძის* სიტყვით, კონსტიტუცია უნდა დაეყოს თავებად და შემდეგ მუხლებად. „ასეთი სისტემა საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ბუნდოვანობა თავიდან აცილოთ.“¹⁸

საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 6 მარტის სხდომაზე აირჩიეს ე.წ. „მცირე კომისია“, რომელშიც შევიდნენ: *აკაკი ჩხენკელი*, *პავლე საყვარელიძე* და *გიორგი გვაზავა*. მიიწვიეს აგრეთვე იუსტიციის მინისტრი, კომისიის ყოფილი თავმჯდომარე *რაჟდენ არსენიძე*. მცირე კომისიის მო-

¹⁷ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 66.

¹⁸ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 160.

ვალეობა იყო „კონსტიტუციის გადასინჯვა, კომენტარების განხილვა და მისი სისტემაში მოყვანა“. მცირე კომისიას განხილული მასალები თანდა-თანობით უნდა გადაეცა „დიდი“ კომისიისათვის, ამ უკანასკნელის მიერ საბოლოო დასკვნის გამოსატანად.¹⁹ „გადასინჯვა“ გულისხმობდა კონსტიტუციის პროექტის უკვე შემუშავებული ნაწილების ხელახლა განხილვას ცალკეულ შესწორებათა შეტანის მიზნით. გადაწყდა, რომ ეს მოხდებოდა ცალკე თავების მიხედვით და განსახილველი თავები წინასწარ უნდა ეცნობებინათ ავტორებისათვის.

საკონსტიტუციო კომისიის 6 მარტის სხდომაზე, „მცირე კომისიასთან“ ერთად, შეიქმნა სარედაქციო კომისია, რომელსაც დაევა „კონსტიტუციის რედაქციული გასწორება“. საკონსტიტუციო კომისიიდან მის შემადგენლობაში აირჩიეს აკაკი ჩხენკელი, პავლე საყვარელიძე და გიორგი გვაზავა. ასევე მიიწვიეს ცნობილი მოღვაწეები: კირილე ნინიძე, ივანე ჯავახიშვილი, ივანე გომართელი, გრიგოლ ყიფშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ვარდენ ყიფიანი და ივანე კარიჭაშვილი.

საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 21 აპრილის სხდომაზე, როდესაც კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა დასასრულს უახლოვდებოდა, დაისვა მისი გამოცემის საკითხი. ადრე კომისიას გადაწყვეტილი ჰქონდა კონსტიტუციის პროექტის გამოცემა კომენტარებთან ერთად. ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო მზად ყველა თავის კომენტარი. ამავე დროს, კომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კომენტარების გამოცემას. *პავლე საყვარელიძის* სიტყვით, „ეს დიდი მნიშვნელობის მასალა იქნება ისტორიისათვის და მერე საზოგადოებასაც დღეს გაუადვილებს კონსტიტუციის გაცნობასა და შესწავლას“.²⁰

კომისიის ყველა წევრი იმ აზრის იყო, რომ კომენტარები უსათუოდ უნდა გამოექვეყნებინათ. ამიტომ ძალაში დატოვეს ადრინდელი დადგენილება კომენტარების გამოცემის შესახებ. მაგრამ, ამავე დროს, გადაწყვიტეს, რომ კომენტარების მოუმზადებლობის გამო კონსტიტუცია დაებეჭდათ „პროექტის სახით უკომენტაროდ“.²¹

1920 წლის 22 მაისის სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიამ საბოლოოდ დაადგინა, რომ „კონსტიტუციის პროექტი დაიბეჭდოს უკომენტაროდ ფართო საზოგადოების გასაცნობად“²² და ამისათვის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ნებართვა ითხოვა. საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 2 ივნისის სხდომაზე წაიკითხეს სარედაქციო კომისიის მიერ შესწორებუ-

¹⁹ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 139.

²⁰ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 210.

²¹ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 210.

²² სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 249.

ლი კონსტიტუციის პროექტის ტექსტი. საჭიროდ მიიჩნის ზოგიერთი მცირე შესწორების შეტანა. ამავე დროს დაადგინეს, რომ ტექსტში ახალი დამატებები აღარ შეეტანათ და „კონსტიტუცია დღესვე მიცემულ იქნეს დასაბეჭდად“. აუცილებელი შესწორებების შეტანა დაევალა მცირე კომისიას, რომელსაც შესწორებები უნდა შეეტანა უკვე სტამბურად აწყობილ ტექსტში კორექტურის სახით.²³

1920 წლის 8 ივნისს საკონსტიტუციო კომისიამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს გაუგზავნა სტამბიდან გამოტანილი კონსტიტუციის პროექტის ანაბეჭდი. კომისია აღნიშნავდა, რომ შედგენილია აგრეთვე „განმარტებითი წერილი“ – დაახლოებით – 300 გვერდის მოცულობისა. რადგანაც მისი დაბეჭდვა დიდ დროს მოითხოვდა, სჭირდებოდა რედაქტირება და ზოგანი „საშინაარსო შესწორებანი“ და, ამასთან, „კონსტიტუციის პროექტის წარმოდგენა ისედაც დაგვიანდა“, ამიტომ დაიბეჭდა მხოლოდ პროექტი, „განმარტება“ კი დატოვებული იქნა „როგორც მასალა, რომელიც შეიძლება შემდეგში იქნეს გამოცემული და რომლითაც სარგებლობა ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად ახლაც შეიძლება“.²⁴ უნდა ითქვას, რომ საკონსტიტუციო კომისიის მასალებში აღნიშნული „განმარტებითი წერილი“ მთლიანი სახით არაა შემონახული, თუმცა, როგორც ჩანს, მის ნაწილებს წარმოადგენს იქ დაცული კონსტიტუციის ცალკეული თავების კომენტარები.

1920 წლის 9 ივნისს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა იმსჯელა საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტის შესახებ და დაადგინა, რომ „კონსტიტუციის პროექტი დაბეჭდისთანავე დაეგზავნოს დამფუძნებელი კრების ფრაქციათ, თვითეულ წევრს, მთავრობას და უწყებათ“.²⁵ რაც შეეხება დამფუძნებელი კრებისათვის კონსტიტუციის პროექტის განსახილველად გადაცემის საკითხს, იგი ცალკე უნდა გადაეწყვიტათ.

1920 წლის ივნისში გამოქვეყნებული საქართველოს კონსტიტუციის პროექტი შედგება 17 თავისა და 166 მუხლისაგან. საკონსტიტუციო კომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პროექტის სტრუქტურას. როგორც პავლე საყვარელიძე აღნიშნავდა, საკონსტიტუციო კომისიას სურდა, რომ „საქართველოს კონსტიტუციაში სათაურებს შეესაბამებოდეს მათი შინაარსი, რომ ის ნათლად და მარტივად იყოს შედგენილი და ამავე დროს ადვილი შესასწავლიც იქნეს“.²⁶ კონსტიტუციის პროექტის სტრუქტურა შემდგომში უცვლელად მიიღო დამფუძნებელმა კრებამ.

²³ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 265.

²⁴ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 136.

²⁵ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 863, ფურც. 22.

²⁶ „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის 8 თებერვალი.

კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-2 ყრილობის მიერ საკონსტიტუციო საკითხების განხილვის შემდეგ ამ პარტიის ხელმძღვანელობის ნაწილს აზრად მოუვიდა, რომ დამფუძნებელ კრებას დაუყოვნებლივ დაეწყო კონსტიტუციის პროექტის განხილვა. საქართველოს ს.დ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე 1920 წლის 8 ივლისს, *ნოე რამიშვილის* თავმჯდომარეობით (ესწრებოდნენ: *ალექსანდრე ლომთათიძე, იოსებ სალაყაია, ვასილ წულაძე, ილია ბადრიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე*) დაადგინეს, რომ დამფუძნებელი კრება „აუცილებლად შეუდგეს... ეხლავე კონსტიტუციისა და ბიუჯეტის განხილვას“.²⁷

საკითხს კვლავ დაუბრუნდნენ 1920 წლის 11 ივლისს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე (ესწრებოდნენ: *ნოე რამიშვილი, ალექსანდრე დგებუაძე, ვასილ წულაძე, იოსებ სალაყაია, ევგენი გეგეჭკორი, სეით დევდარიანი, ბაგრატ მიკირტუშოვი, ნოე ხომერიკი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანიანი, აკაკი ჩხენკელი*). *ევგენი გეგეჭკორი* მოითხოვდა დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაუყოვნებლივ დაწყებას, რადგანაც კონსტიტუციის მიღება საჭირო იყო „საგარეო საქმისათვის“, ხელს შეუწყობდა რესპუბლიკის იურიდიულ ცნობას.²⁸ ამის წინააღმდეგ გამოვიდა *ნოე ჟორდანიანი* და აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაუყოვნებლივ დაწყება და დაასახელა რამდენიმე მიზეზი: ა) სხვა პარტიები მზად არ იყვნენ კონსტიტუციის განხილვის დაწყებისათვის და ამიტომ „წინააღმდეგნი არიან, რომ ეხლა შევუდგეთ განხილვას“; ბ) საეჭვო იყო კვორუმის შედგენა, რადგანაც შეიძლებოდა სხვა პარტიების დეპუტატები „ეხლავე ყველანი დასასვენებლად წავიდნენ“ და მაშინ კვორუმის შესადგენად სხდომას მინისტრებიც უნდა დასწრებოდნენ; გ) გარდა ამისა „ყოვლად შეუძლებელი“ იყო, რომ მარტო სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებს განეხილათ და მიეღოთ კონსტიტუცია სხვა პარტიების მონაწილეობის გარეშე, „ამაზე ატყდებოდა დიდი დავა და უკმაყოფილება პარტიებში“; დ) ამავე დროს, კონსტიტუციის განხილვის წინ აუცილებელი იყო პრესაში კამპანიის დაწყება, ამ საკითხზე „ბევრი უნდა იწერებოდეს“. ამ მიზეზების გამო, *ნოე ჟორდანიანი* განცხადებით, „მთავრობამ გადასდო კონსტიტუციის განხილვა“.²⁹

კამათში სხვებმაც მიიღეს მონაწილეობა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის უმრავლესობა კონსტიტუციის განხილვის გადადების წინააღმდეგი აღმოჩნდა. ამიტომ დაადგინეს: „არ გადაიდვას. შეუდგნენ ეხლავე განხილვას. იქნეს გენერალური დებატები, შემდეგ ჩვენი

²⁷ სცსსა, ფ. 1825, აღწ. 1, საქ. 130, ფურც. 92.

²⁸ სცსსა, ფ. 1825, აღწ. 1, საქ. 129, ფურც. 52.

²⁹ სცსსა, ფ. 1825, აღწ. 1, საქ. 129, ფურც. 52.

ფრაქციიდან განაცხადებენ, რომ შესწორებები გვაქვს და კომისიას მიეცემა წინადადება რომ იმუშაონ.³⁰ თუმცა, საბოლოოდ, დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაუყოვნებლივ დაწყების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

IV. დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაწყება

დამფუძნებელი კრების რეგლამენტით განსაზღვრული არ იყო კონსტიტუციის პროექტის განხილვის განსაკუთრებული წესი. ამის გამო, როდესაც დღის წესრიგში დადგა პროექტის განხილვა, თავისთავად წამოიჭრა საკითხი – განეხილათ იმავე წესით, როგორც ჩვეულებრივი კანონი, თუ შემუშავებინათ ცალკე რეგლამენტი. საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ კონსტიტუციის პროექტი ჩვეულებრივი სამი წაკითხვის ნაცვლად ხუთი წაკითხვით უნდა განეხილათ.³¹

1920 წლის 24 ნოემბერს დამფუძნებელი კრების მეორე სესიის 59-ე საგანგებო სხდომაზე დაიწყო კონსტიტუციის პროექტის განხილვა. მოხსენებით გამოვიდა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე, რასაც მოჰყვა პარტიების წარმომადგენელთა ვრცელი მოხსენებები. დამფუძნებელი კრების 8 დეკემბრის სხდომის შემდეგ კონსტიტუციის პროექტის შესახებ თავიანთი პოზიცია უკვე ოფიციალურად ჰქონდათ ჩამოყალიბებული საქართველოს წამყვან პოლიტიკურ ძალებს.

კონსტიტუციის განხილვისადმი მიძღვნილმა პირველივე სხდომებმა აჩვენა, რომ განხილვას დიდი დრო დასჭირდებოდა და კვირაში ერთი სხდომა საკმარისი არ იყო. ამიტომ, კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაჩქარების მიზნით, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და ფრაქციების წარმომადგენლების შეერთებულმა სხდომამ 1920 წლის 7 დეკემბერს ერთხმად დაადგინა, რომ კონსტიტუციის განხილვას, ოთხშაბათის გარდა, დათმობოდა კიდევ ერთი დღე საკუთრად. ასეთ დღედ დასახელდა კვირა, 12-15 საათებს შორის. დამფუძნებელი კრების მუშაობაში სამშაბათი რჩებოდა ჩვეულებრივი საკანონმდებლო საკითხებისათვის, პარასკევი დაეთმობოდა სასწრაფო საკითხებს და, თუ დრო დარჩებოდა, ეს დროც

³⁰ სცსსა, ფ. 1825, აღწ. 1, საქ. 129, ფურც. 53.

³¹ პირველი წაკითხვა – კონსტიტუციის ძირითადი კანონების ზოგადი განხილვა; მეორე წაკითხვა – კონსტიტუციის პროექტის ცალკეული თავების ძირითად დებულებათა ზოგადი განხილვა; მესამე წაკითხვა – ცალკეული თავების მუხლობრივი განხილვა; მეოთხე წაკითხვა – ცალკეულ თავებს შორის წინააღმდეგობათა დასაძლევად შემოტანილი შესწორებებისა და ცვლილებების განხილვა; მეხუთე წაკითხვა – მთლიანი ტექსტის საბოლოო რედაქცია. მეორე და მესამე კითხვას შორის აუცილებელი იყო 10-დღიანი შუალედი, რომლის გამოყენებაც ცალკეული თავების განსახილველად შეიძლებოდა.

კონსტიტუციის განხილვას უნდა მოხმარებოდა.³² კონსტიტუციის განხილვის წესის აღნიშნული დამატება დაადასტურა დამფუძნებელი კრების 7 დეკემბრის სხდომამ.³³

V. დისკუსია ცენტრალური ხელისუფლების მოწყობის თაობაზე

საკონსტიტუციო კომისიის მოხსენება ფაქტობრივად გამოხატავდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციას, მაგრამ რიგ პრინციპული მნიშვნელობის საკითხებზე პარტიაში საერთო თვალსაზრისი არ არსებობდა. ეს კარგად გამოჩნდა *ნოე ჟორდანიას* გამოსვლის შემდეგ. მან ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითად საკითხებზე და სასტიკად გააკრიტიკა კონსტიტუციის პროექტის შესაბამისი ნაწილი. პირველ რიგში, მას შეუძლებლად მიაჩნდა უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტების – რეფერენდუმისა და საკანონმდებლო ინიციატივის შეთავსება პარლამენტარიზმთან. საპარლამენტო სისტემის დროს მთავრობა დგება და იშლება საპარლამენტო უმრავლესობის სურვილის მიხედვით. საპარლამენტო სისტემა გულისხმობს სამთავრობო კრიზისებს, რაც შეიძლება მოჰყვეს პარლამენტთან უთანხმოებას კერძო პრაქტიკული ხასიათის საკითხებთან დაკავშირებითაც. თუ პარლამენტს მოსწონს მთავრობის საერთო პოლიტიკური ხაზი, ცალკეულ საკითხებზე უთანხმოების შემთხვევაში, მთავრობა უნდა ემორჩილებოდეს პარლამენტის დადგენილებას და ასრულებდეს მას.

პროექტის მეორე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, *ნოე ჟორდანიას* აზრით, პრეზიდენტის ფუნქციის უარყოფა იყო. მისი განცხადებით, აღნიშნული სისტემა „პარლამენტარიზმის ღვიძლი შვილია... პარლამენტარიზმიდან შეჭველად გამომდინარეობს პრეზიდენტის არსებობა“. კერძოდ, მთავრობის კრიზისის დროს პრეზიდენტი აგრძელებს საქმიანობას და საჭირო გადაწყვეტილებებს ღებულობს. *ნოე ჟორდანიას* მიაჩნდა, რომ უნდა განხორციელებულიყო „პარლამენტარიზმის და დემოკრატიზმის სისტემების“ ისეთი შეერთება, რომელიც დასძლევდა პროექტის თანდაყოლილ ნაკლს. მას საჭიროდ მიაჩნდა მთავრობის თავმჯდომარის გარკვეული ვადით არჩევა, რომელსაც დაეკისრებოდა „ფუნქცია პრეზიდენტისა, სახელმწიფო წარმომადგენლობა“. კონსტიტუციის პროექტის ზოგადი განხილვის დროს კამათი ძირითადად გაიშალა *ნოე ჟორდანიას* მიერ წამოჭრილ საკითხებზე. მით უმეტეს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელმა *გიორგი გვაზავამ* თავის გამოსვლებში სწორედ აღნიშნულ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება და გადაჭრით მოითხოვა პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება.

³² სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 863, ფურც. 84.

³³ სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 736, ფურც. 226.

VI. ფრაქციების წინადადებების განხილვა კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით, მსმრმბის ალტერნატიული პროექტი

კონსტიტუციის პროექტის განხილვის წესის შესაბამისად, ფრაქციები თავიანთ შესწორებებს თავების მიხედვით, განსაზღვრულ ვადაში წარუდგენდნენ ხოლმე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. შემდეგ შესწორებები ეგზავნებოდა საკონსტიტუციო კომისიას დასკვნისათვის. საკონსტიტუციო კომისია თავის სხდომაზე განიხილავდა ფრაქციათა წინადადებებს და ზოგიერთ მათგანს მისაღებად მიიჩნევდა (ძირითადად სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შეტანილს). ფრაქციათა წინადადებანი, საკონსტიტუციო კომისიის დასკვნით, შესაბამისი თავის მუხლობრივი განხილვის წინ ეგზავნებოდა ყველა ფრაქციას, დამფუძნებელი კრების სხდომაზე განიხილებოდა ყოველი მუხლის შესწორებანი და, საბოლოოდ, განისაზღვრებოდა, თუ რა იქნებოდა მათგან მიღებული. დამფუძნებელმა კრებამ, თავისი შემადგენლობიდან გამომდინარე, ძირითადად, მიიღო სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წარდგენილი შესწორებანი.

დამფუძნებელი კრების 1920 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე ილია ნუცუბიძემ დამფუძნებელ კრებას წარუდგინა ესერთა მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი და ამით დაადგინა საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტის სრული უარყოფის გზას. როგორც ჩანს, ესერები იმედოვნებდნენ, რომ დამფუძნებელი კრება თანაბრად განიხილავდა ორივე პროექტს და მათ შესაძლებლობა მიეცემოდათ, დანარჩენი პარტიებისგან მკვეთრად გამიჯვნით, ხალხის თვალში აემადლებინათ ავტორიტეტი, საკუთარი პროექტი „ხალხის ინტერესების ჭეშმარიტ გამომხატველად“ წარმოედგინათ.

ესერების მიერ კონსტიტუციის ალტერნატიული პროექტის წამოყენება არა მარტო სოციალ-დემოკრატებმა, არამედ სხვა პარტიებმაც დაგმეს (1921 წლის 12-13 თებერვალი). გადაწყდა, რომ ესერების კონსტიტუციის პროექტს დამფუძნებელი კრება არ განიხილავდა. ესერების ფრაქციას, კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს, შეეძლო სათანადო შესწორებების შეტანა.

VII. დისკუსია კონსტიტუციის მიღების პროცედურის თაობაზე

პროექტის განხილვის დროს ცხარე კამათი გამოიწვია, თუ ვის უნდა მიეღო კონსტიტუცია. გამოიკვეთა ორი თვალსაზრისი: 1. კონსტიტუცია უნდა მიიღოს დამფუძნებელმა კრებამ, 2. კონსტიტუციის მისაღებად საჭიროა რეფერენდუმის მოწყობა – კონსტიტუციის გატანა ხალხის სამსჯავროზე. ორივე მხარეს თავისი არგუმენტები ჰქონდა. რეფერენდუმის მომხრენი

ასაბუთებდნენ, რომ უაღრესად დემოკრატიული და ლოგიკური ნაბიჯი იქნებოდა კონსტიტუციის დამტკიცება რეფერენდუმის გზით – თუ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილება „ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მიერ დადასტურების შემდეგ“ (კონსტიტუციის 147-ე მუხლი), მაშინ თავად კონსტიტუციის მისაღებადაც აუცილებელი უნდა ყოფილიყო ხალხის დასტური.

სოციალისტ-ფედერალისტი *სამსონ დადიანი* მხარს უჭერდა რა რეფერენდუმის ჩატარებას, აღნიშნავდა, რომ, თუკი ხალხს კონსტიტუციით აქვს მასში ცვლილებების შეტანის უფლება, „ულოლიკობა იქნებოდა თავიდანვე არ დავეკითხოთ ამ ხალხს – სურს თუ არა ეს კონსტიტუცია“. რადგანაც ხალხია „ერთადერთი მატარებელი სუვერენობისა“, ამიტომ „დამფუძნებელ კრებას არ შეუძლია რაიმე უწყალობოს, მიანიჭოს ხალხს. ვინაიდან დამფუძნებელი კრებაც თავის უფლებებს იღებს ხალხიდან“.³⁴ კონსტიტუციის პროექტის რეფერენდუმზე გატანას განსაკუთრებით გადაჭრით მოითხოვდნენ ესერები, იმ იმედით, რომ ხალხი უარყოფდა საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს და გზა გაეხსნებოდა მათი პარტიის მიერ შემუშავებულ კონსტიტუციას.

თუმცა საკონსტიტუციო კომისიაში უმრავლესობას მაინც რეფერენდუმის მოწინააღმდეგენი შეადგენდნენ. მათი აზრით, დამფუძნებელი კრება არჩეული იყო სწორედ კონსტიტუციის მისაღებად. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციებზე. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციამ (1921 წლის 19-20 იანვარი) საჭიროდ მიიჩნია კონსტიტუციის მიღების დაჩქარება და, ამიტომ, საბოლოოდ უარყო რეფერენდუმის ჩატარების იდეაც.³⁵ მაგრამ დამფუძნებელ კრებას კონსტიტუციის მიღება მოუხდა ისეთ პირობებში, რომელსაც, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა.

VIII. როდის დაამთავრებდა დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის განხილვას

1921 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს დამფუძნებელი კრება აგრძელებდა კონსტიტუციის პროექტის განხილვას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელსაც დამფუძნებელ კრებაში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავდა, შეეძლო, შედარებით მოკლე ვადაში დაემთავრებინა კონსტიტუციის პროექტის განხილვა და მიღება, მაგრამ კონსტიტუციის საფუძვლიან და

³⁴ „სახალხო საქმე“, 1920 წლის 21 ოქტომბერი.

³⁵ „ერთობა“, 1921 წლის 23 იანვარი.

ხანგრძლივ განხილვას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად მიიჩნევდნენ.

კონსტიტუციის პროექტის განხილვა გაჭიანურდა. 1920 წლის 20 იანვარს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციამ მოსთხოვა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს, რომ კონსტიტუციის განხილვა დამთავრებულიყო „არა უგვიანეს ორი თვისა“.³⁶ ანუ კონსტიტუციის განხილვა და მიღება უნდა დამთავრებულიყო მარტის შუა რიცხვებამდე და ამ გადაწყვეტილებით უნდა ეხელმძღვანელა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას დამფუძნებელ კრებაში. არ არის გამორიცხული, რომ კონსტიტუცია მიეღოთ 1921 წლის 12 მარტს, ანუ დაემთხვიათ დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების მე-3 წლისთავისათვის.³⁷ კონსტიტუციის მიღებით, დამფუძნებელი კრება შეასრულებდა თავის უმთავრეს ამოცანას.

12 მარტი იქნებოდა თუ სხვა რომელიმე დღე, კონსტიტუციას 1921 წლის გაზაფხულზე აუცილებლად მიიღებდნენ, შემოდგომაზე კი უკვე კონსტიტუციის საფუძველზე, პარლამენტის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. მოვლენათა შემდგომ განვითარებას უკვე კონსტიტუცია განსაზღვრავდა. 1921 წლის კონსტიტუციის 61-ე მუხლში აღნიშნულია: „პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას.“

ახალი პარლამენტის შეკრებამდე კი საქართველოს დამფუძნებელი კრება იმუშავებდა. ამას კონსტიტუციის უკანასკნელი 149-ე მუხლი არეგულირებდა: „პირველი პარლამენტის შეკრებამდე მის მაგივრობას გასწევს დამფუძნებელი კრება.“

1921 წელს ნოემბრის პირველი კვირა დღე 6 ნოემბერი იყო. საბჭოურ ოკუპაციას ხელი რომ არ შეეშალა, ეს იქნებოდა მნიშვნელოვანი თარიღი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში და ეს დღე შევიდოდა ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. სინამდვილეში კი 1921 წლის 6 ნოემბერი ერთი უსახური საბჭოური დღე აღმოჩნდა, ამ დღეს თბილისში გამოსულ საბჭოთა გაზეთებში „დიდი ოქტომბრის რევოლუციის“ წლისთავის მოლოდინი იგრძნობოდა, რომელიც მომდევნო დღეს აღინიშნა საქართველოსა და მთელ საბჭოეთში.

³⁶ „ერთობა“, N16, 1921 წლის 23 იანვარი, 2.

³⁷ თავის მხრივ, დამფუძნებელი კრების გახსნა დაამთხვავებს რუსეთის თებერვლის რევოლუციის წლისთავს. სიმბოლურად, ამით აღინიშნებოდა, რომ საქართველო აგრძელებდა თებერვლის რევოლუციის დემოკრატიულ იდეალებს.

IX. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დაწყება, კონსტიტუციის მიღება და გამოქვეყნება

საქართველოს პირველი კონსტიტუცია არ მიუღიათ „ნაუცბათევად“, როგორც ამას საბჭოთა პერიოდში აღნიშნავდნენ³⁸ და ეს ფრაზა დღესაც ფიგურირებს ზოგიერთ პუბლიცისტურ თუ სამეცნიერო ნაშრომში. 1921 წლის კონსტიტუცია არ ყოფილა ნაუცბათევი დოკუმენტი. კონსტიტუციის პროექტი დიდი ხნის განმავლობაში მუშავდებოდა, მისი განხილვა დამფუძნებელ კრებაში 1920 წლის 24 ნოემბრიდან მიმდინარეობდა. 1921 წლის 16 თებერვალს დანიშნული იყო დამფუძნებელი კრების სხდომა, რომლის დღის წესრიგში მუხლობრივი განხილვისათვის შეტანილი იყო კონსტიტუციის პროექტის მე-7-მე-15 თავები, ხოლო 17 თებერვალს კონსტიტუციის პროექტის ბოლო ორი თავი. ამით დამთავრდებოდა მუხლობრივი განხილვა. რაც შეეხება თავებს შორის შესაძლო წინააღმდეგობათა შესწორებას და ტექსტის საერთო რედაქციას – ეს დიდ დროს არ დაიკავებდა. მაგრამ კონსტიტუციის პროექტის განხილვის ნორმალური მსვლელობა დაარღვია საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის თავდასხმამ. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა.

ომის დაწყება, თბილისთან მიმდინარე ბრძოლები, ბუნებრივია, აისახა დამფუძნებელი კრების მუშაობაზე. უფრო დაჩქარდა კონსტიტუციის პროექტის განხილვა. გამომსვლელები, როგორც იმდროინდელ პრესაშია აღნიშნული, ცდილობდნენ მოკლედ და ზუსტად ჩამოეყალიბებინათ თავიანთი პოზიცია. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავის საგანგებო სხდომაზე ერთხმად მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რითაც შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა. დამფუძნებელი კრების წევრი გიორგი გვაზავა კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით შემდეგ იგონებდა: „დამფუძნებელი კრება მუშაობდა თავგამოდებით მაშინაც კი, როცა ქალაქს მოაწვა რუსეთის ლაშქარი, ისმოდა ზარბაზანი და ცაში სქდებოდა ყუმბარები... ჩვენ დავიშალენით მხოლოდ გათენებისას, როცა საბოლოოდ დავამტკიცეთ ჩვენი კონსტიტუცია – ძირითადი კანონები საქართველოს რესპუბლიკისა.“³⁹

³⁸ მაგალითად, გ. ა. ერემოვი წერდა: „დამფუძნებელმა კრებამ მეტად ნაუცბათევად საღამოს სხდომაზე კონსტიტუციის პროექტი დაამტკიცა... მუხლობრივად მისი მხოლოდ პირველი ოთხი თავი იქნა განხილული. დანარჩენი თავები კი განხილვის გარეშე დაამტკიცეს. დაირღვა კონსტიტუციის დამტკიცების მათ მიერ შემუშავებული წესიც.“ ერემოვი გ. ა., საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი), 1960, 110.

³⁹ გვაზავა გ., საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (მეორე წერილი, პარიზი), 1928, 11.

მომდევნო დღეს, 1921 წლის 22 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ფრანგული თარგმანი, რომელიც უკვე საფრანგეთში დაიბეჭდა. მას აწერია „ფრანგული თარგმანი დამტკიცდა დამფუძნებელი კრების 1921 წლის 22 თებერვალს“. სხვა ინფორმაცია დამფუძნებელი კრების 22 თებერვლის სხდომის შესახებ არ გაგვაჩნია.⁴⁰

1921 წლის კონსტიტუციის მე-11 მუხლში აღნიშნული იყო: „დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.“ კონსტიტუციის დაბეჭდვა თბილისში ვერ მოესწრო. საქართველოს მთავრობა ჯერ ქუთაისში გადავიდა, სადაც 28 თებერვალს ჩატარდა დამფუძნებელი კრების სხდომა, შემდეგ კი, 10-დან 17 მარტის ჩათვლით, ბათუმში იმყოფებოდა ემიგრაციაში წასვლამდე.

კონსტიტუცია ბათუმში დაიბეჭდა, სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში, უკვე მთავრობის ბათუმში ყოფნის პერიოდში იმ დროს ცნობილი გამომცემლის *ნესტორ ხვინგიას* სტამბაში. კონსტიტუცია დასათაურებული იყო შემდეგნაირად: „საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.“

როგორც ირკვევა, *ნესტორ ხვინგიას* ჰქონდა იმ დროისათვის ტექნიკურად კარგად აღჭურვილი ტიპოგრაფია, იდეურად კი, მის მიერ გამოცემული წიგნებისა და გაზეთებიდან გამომდინარე, ახლოს იდგა საქართველოს მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან.⁴¹

X. 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედების საკითხი

1921 წლის კონსტიტუციის მოქმედების შესახებ სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ „1921 წლის კონსტიტუციას ფაქტობრივად არ უმოქმედია“. ასეთი მტკიცება ასახავს იმ რეალობას, რომ კონსტიტუცია მიიღეს ომის პირობებში და ამ ომში საქართველო დამარცხდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია მთლიანად ოკუპირებული იქნა საბჭოთა რუსეთის და თურქეთის მიერ.

⁴⁰ იაკობაშვილი ი., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ფრანგულენოვანი თარგმანის შესახებ – „ქართული პარლამენტარიზმი“, II ტომი, N1(3), 2020, 28-29.

⁴¹ *სიორიძე მ.*, საქართველოს პირველი კონსტიტუციის სტამბურად გამოქვეყნების ადგილი, დრო და გარემოებები, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის ცენტრი, 2011, 47.

კონსტიტუციის მოქმედებასთან დაკავშირებით ზოგჯერ წერენ, რომ „მხოლოდ 4 დღე მოქმედებდა“, ანუ მიღებიდან 25 თებერვლამდე, ანუ ქართული არმიის მიერ თბილისის დატოვებამდე. მაგრამ თბილისის დატოვების შემდეგ ომი ორ კვირაზე მეტხანს გრძელდებოდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობას აგრძელებდა. *ნოე ჟორდანიას* მთავრობამ საქართველო 17 მარტის შემდეგ დატოვა. *კარლო ინასარიძე*, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედების საკითხს სწორედ ასე განიხილავდა. „კონსტიტუციის მოქმედება საქართველოში შეწყდა 1921 წლის 18 მარტს, როცა საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო.“ *კარლო ინასარიძე* განასხვავებდა 1921 წლის კონსტიტუციის ფაქტობრივ და იურიდიულ მოქმედებას. „დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება ფაქტიურად შეწყდა საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის ჩვენში გაბატონების შემდეგ, მაგრამ იურიდიულად იგი დღესაც ძალაშია.“⁴²

1921 წლის კონსტიტუციის მოქმედების საკითხზე როგორი იყო იმ ადამიანთა პოზიცია ვინც ქვეყნის ძირითადი კანონი შეიმუშავა? დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუცია მიიღო და გამოაქვეყნა ანუ კონსტიტუცია იურიდიულად მოქმედი დოკუმენტი გახდა. კონსტიტუციის მე-10 მუხლი კი აცხადებდა: „ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტელი, იმ შემთხვევის გარდა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.“ კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევები დაფიქსირებული იყო 43-ე მუხლში – ამბოხებისა ან ომის დროს პარლამენტს უფლება ჰქონდა, დროებით შეეჩერებინა გარკვეულ უფლებათა გარანტიები; 44-ე მუხლის ძალით კი, დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება ჰქონდა, დროებით შეეჩერებინა რამდენიმე მუხლი.

მთლიანობაში კი, 1921 წლის კონსტიტუციას, ამოქმედების შემდეგ, ვერავინ შეაჩერებდა. შეიძლებოდა საგანგებო ვითარებაში მისი ზოგიერთი მუხლის შეჩერება, საკონსტიტუციო ცვლილებების გზით ყველა მუხლის გადასინჯვა, გარდა მართვა-გამგეობის ფორმისა, მაგრამ კონსტიტუციის შეჩერების მექანიზმი არ არსებობდა. ყალბია საბჭოთა ლიტერატურაში დამკვიდრებული დებულება, რომ 1921 წლის 17 მარტს დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე „მიიღეს დადგენილება საქართველოს კონსტიტუციის მოქმედების დროებით შეჩერების შესახებ“.⁴³ კონსტიტუციის შეჩერების უფლება დამფუძნებელ კრებას არ ჰქონდა.

⁴² *ინასარიძე კ.*, საქართველოს კონსტიტუცია და მისი ფესვები, კრებულში: *ინასარიძე კ.*, პოლიტიკური კულტურა (პარიზი), 1992, 69.

⁴³ *ერემოვი გ. ა.*, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი), 1960, 110.

დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის სტენოგრამა, სამწუხაროდ, მიკვლეული არ არის. ამ სხდომას და იქ მიღებულ დადგენილებას ეხება გენერალი ალექსანდრე ზაქარიადე თავის მოგონებებში, სადაც „კონსტიტუციის დროებით შეჩერებაზე“ არაფერია ნათქვამი:⁴⁴

„ბათუმში დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაადგინა – გაგზავნოს საზღვარგარეთ საქართველოს ეროვნული მთავრობა ბ-ნ ნოე ჟორდანიას მეთაურობით. მას ეძლეოდა უფლება, შეედგინა კოალიციური მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: ორი წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული, ერთი – ეროვნულ-დემოკრატიული და ერთი – სოციალისტ-ფედერალისტური პარტიების. ბ-ნ ნოე ჟორდანიას ეძლეოდა უფლება, თან წაეყვანა მუშაობისთვის აუცილებელი სპეციალისტები და პიროვნებები.

მთავრობას დაევალა დაეცვა საქართველოს და ქართველი ერის ინტერესები მთელი დედამიწის მთავრობებისა და ერების წინაშე...

ასეთი იყო უკანასკნელი დადგენილება თავისუფალი ქართველი ერის თავისუფლად არჩეული პარლამენტისა. ამიტომ, სანამდე ქართველი ერი არ იქნება თავისუფალი და მას არ ექნება შესაძლებლობა მართლაც თავისუფლად აირჩიოს თავისი პარლამენტი, მანამდე ეს დადგენილება სავალდებულო რჩება ყველა ქართველისთვის და საქართველოს მოქალაქისთვის.“⁴⁵

კონსტიტუციის შეჩერებაზე არაფერია ნათქვამი იონა თოდუას მოგონებებშიც ბათუმში დამფუძნებელი კრების მუშაობის შესახებ.⁴⁶

კარლო ინასარიძე, რომელიც ეხება დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომას ბათუმში, ასევე არაფერს ამბობს კონსტიტუციის მოქმედების შეჩერებაზე: „1921 წლის 16 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ჩაატარა უკანასკნელი სხდომა ბათუმში და საქართველოს მთავრობას, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დაავალა დაეტოვებია საქართველოს ტერიტორია და უცხოეთიდან განეგრძო მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.“⁴⁷

1921 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა

⁴⁴ ა. ზაქარიადის მოგონებები 1990 წელს გადაეცა გ. შარაძეს და მან მოგვიანებით მთლიანად გამოაქვეყნა ეს ნაშრომი – ზაქარიადე ა., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917-1921), წიგნში: შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, IV ტომი, 2003, 177-316.

⁴⁵ ზაქარიადე ა., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917-1921), წიგნში: შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, IV ტომი, 2003, 296.

⁴⁶ თოდუა ი., „გაქცევის დღიური“, წიგნში: თოდუა-წულუკიძე ქ., ჩემი თავგადასავალი და ზოგიერთი მოგონებანი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2019, 143-144.

⁴⁷ ინასარიძე კ., პატარა „ოქროს ხანა“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921, რადიოლოკენტაცია (მიუნხენი), 1984, 479.

კრებამ შეასრულა თავისი უმთავრესი ამოცანა და მიიღო კონსტიტუცია, თუმცა საბჭოთა რუსეთის თავდასხმამ და საოკუპაციო რეჟიმის დამყარებამ ევყენას, ამ კონსტიტუციის მიხედვით, ცხოვრების საშუალება არ მისცა. გასაბჭოების შემდეგ საქართველო მარიონეტული „რევოლუციური კომიტეტის“ სახელით იმართებოდა, რომელმაც სახელმწიფო სუვერენიტეტის და დემოკრატიული ინსტიტუტების დემონტაჟი მოახდინა. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია კი 1922 წლის 2 მარტს მიიღეს, რუსეთის ფედერაციის 1918 წლის კონსტიტუციის ნიმუშის მიხედვით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციასთან მისი შედარება მკაფიოდ წარმოაჩენს საბჭოური კონსტიტუციონალიზმის ცრუ დემოკრატიულ და ფასადურ ხასიათს.

XI. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

საბჭოთა ოკუპაციის პირველ ხანებში საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლ ძალებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს დეოკუპაციის შემთხვევაში ხელისუფლებაში დაბრუნდებოდა საქართველოს დამფუძნებელი კრება და მის მიერ დანიშნული მთავრობა. ამაზე კარგად მეტყველებს 1922 წლის თებერვლის დასაწყისში ჩატარებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური კონფერენციის მიერ მიღებული მიმართვა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისადმი:

„საქართველოს დამფ. კრების პრეზიდიუმს: ნიკოლოზ ჩხეიძეს, ექვთიმე თაყაიშვილს და სიმონ მდივანს

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ, სავსებით დარწმუნებული, რომ ჩქარა აღსდგება საქართველოს რესპუბლიკის შელახული უფლებები და მას სათავეში ჩაუდგება ისევ ხალხის თავისუფალი ნების გამომხატველი უმაღლესი ორგანო და მისი კანონიერი მთავრობა.“⁴⁸

ეს მიმართვა თარიღდება 1922 წლის 7 თებერვლით. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, 1922 წლის 3 მარტს საქართველოს სამმა პოლიტიკურმა პარტიამ (სოციალ-დემოკრატიული, დემოკრატიული პარტია და სოციალისტ-ფედერალისტთა) მიიღო ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამ სამ პარტიას „დამოუკიდებლობის ერთსულოვნათ დამცველ დამფუძნებელ კრებაში ემხრობოდა დეპუტატთა 93%“. დეკლარაცია მოითხოვდა საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო

⁴⁸ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური კონფერენციის ანგარიში – „თავისუფალი საქართველო“, N22, 1922, 21.

ჯარების გაყვანას და ოკუპაციის გაუქმებას, „რასაც ბუნებრივად მოჰყვება რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ დაწესებული კანონიერი რეჟიმის აღდგენა“.⁴⁹

დროის გასვლასთან ერთად, ახალი პოლიტიკური რეალობა იქმნებოდა და დეოკუპაციის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მოწყობაში უკვე გარკვეული ცვლილებების შეტანას მიიჩნევდნენ საჭიროდ. ამ მხრივ ნიშანდობლივია *ნოე რამიშვილის* მიერ მომზადებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ახალი პროგრამის პროექტი, რომელიც 1925 წელს გამოქვეყნდა. მისი ზოგიერთი დებულება არ შეესაბამებოდა 1921 წლის კონსტიტუციას და მასში ცვლილებების შეტანას გულისხმობდა, მაგალითად, *ნოე რამიშვილი* შესაძლებლად მიიჩნევდა ახალი ავტონომიების შექმნას საქართველოში:

„აღდგენა დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციით აფხაზეთისა და სამუსლიმანო საქართველოსთვის დაფუძნებულ ავტონომიისა, აგრეთვე საინგილოსათვისაც (ზაქათალის ოლქი) უკეთუ მეზობლებთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, არბიტრის დადგენილებით, ის საქართველოს დაუბრუნდება. მინიჭება ავტონომიისა ყველა პატარა ერისათვისაც, რომელსაც აქვს განსაზღვრული მთლიანი ტერიტორია და რომელიც ფარული, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და პროპორციული არჩევნით სათანადო სურვილს გამოთქვამს.“⁵⁰

საინტერესოა, თუ როგორ წარმოედგინა პოლიტიკურ ემიგრაციას (კონკრეტულად სოციალ-დემოკრატიულ პარტიას) კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა საქართველოში. 1941 წელს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება მძიმე ვითარებაში იყო, არ გამორიცხავდნენ გერმანიის ჯარის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიურომ შეიმუშავა საინტერესო დოკუმენტი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ითვალისწინებდა. სხვა საკითხია, რომ გერმანიის ჯარები საქართველოში არ შემოჭრილან და რომც შემოსულიყვნენ, რამდენად დაუშვებდა ნაცისტური გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს.⁵¹ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია ქართული ემიგრაციის ხედვა: თუკი გერმანიის ჯარი საქართველოში შემოვიდოდა, საქართველოში ადგილობრივ ანტისაბჭოთა

⁴⁹ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა დეკლარაცია – „თავისუფალი საქართველო“, N 20, 1922 წლის 15 აპრილი, 4.

⁵⁰ *რამიშვილი ნ.*, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტი (საკამათოდ) „ბრძოლა“, N10-11, 1926, 36.

⁵¹ აქ ქართულ ემიგრაციაზე დიდ გავლენას ახდენდა 1918 წლის მაგალითი, როდესაც იმდროინდელმა გერმანიამ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას.

პოლიტიკურ ძალებს უნდა შეექმნათ დროებითი მთავრობა. მუდმივი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო ემიგრაციაში მყოფი ნაციონალური მთავრობა. ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად „აღდგენილ იქნება კონსტიტუციის ყველა პოლიტიკური მუხლები და ცხადდება თავისუფლება სიტყვის, ბეჭდის, კრების, სარწმუნოების, კავშირების და სხვა“.⁵² ამ დოკუმენტში აღარაა ნათქვამი, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ პოლიტიკური უფლებების აღდგენა შესაძლებელს გახდიდა არჩევნების ჩატარებას და ახალ საკანონმდებლო ორგანოს შექმნა იმ ცვლილებების შეტანა 1921 წლის კონსტიტუციაში, რასაც საჭიროდ მიიჩნევდნენ მასში წარმოდგენილი პოლიტიკური ძალები.

⁵² ჩვენი პოზიცია ომის დროს – „ჩვენი დროშა“, N1, 1949, 33-34.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია: მითებსა და სინამდვილეს შორის

აბსტრაქტი

ნებისმიერი სახელმწიფოს ისტორიასა თუ პოლიტიკურსამართლებრივ ცხოვრებაში კონსტიტუცია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მხოლოდ ფორმალური სტატუსითაა. საქართველოს პირველ კონსტიტუციას განსაკუთრებული ბედი ხვდა წილად, იგი არა მხოლოდ სამართლებრივ დოკუმენტად, არამედ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ისტორიულ-კულტურულ სიმბოლოდ იქცა.

1921 წლის 21 წლის კონსტიტუცია ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სამართლებრივი აქტია, რომელიც ჯერ კიდევ მიღებისას იყო მითებით მოცული. რაც წლები გადის, მის შესახებ მითები მხოლოდ იმატებს. ამის მიზეზი როგორც თავად ამ კონსტიტუციის გამორჩეული არქიტექტონიკა, ისტორია და შინაარსია, ასევე მოქმედი კონსტიტუციის არამდგრადი სტატუსი და უამრავი ცვლილება, რამაც ქვეყნის ძირითადი კანონისადმი სკეპტიკური, ხშირ შემთხვევაში კი, აგდებული დამოკიდებულებაც კი განაპირობა.

ნაშრომში განხილულია საქართველოს პირველ კონსტიტუციასთან დაკავშირებული რამდენიმე გაზვიადებული თუ უკვე მითად ქცეული მოსაზრება, შეფასებულია მათი სანდოობა და რეალურობა.

I. შესავალი

ყველა სახელმწიფოს ისტორიაში არსებობს პოლიტიკურსამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც განსაკუთრებული ავტორიტეტითა და სახელით გამოირჩევა. შესაძლოა, მათი შინაარსი იმდენად ღირებულად არ იყოს, როგორც ეს ხალხს წარმოუდგენია ან სამართლებრივ ძალასაც კი აღარ ატარებდეს, თუმცა იგი როგორც სიმბოლო, კვლავაც მრავლისმთქმელია და იმგვარი ძალმოსილებით სარგებლობს, კონსტიტუციასაც რომ შეშურდება. აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც, ერთი მხრივ, ახალი სახელმწიფოს შექმნის, ხოლო, მეორე მხრივ, ომის გამოცხადების შესახებ განცხადებაა,¹ მიუხედავად მისი სტატუსისა, არასდროს ყოფილა

* პროფესორი, სამართლის დოქტორი, პრორექტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი [d.gegenava@sabauni.edu.ge]

¹ გეგენავა დ. (რედ.), კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, I წიგნი, 2018, 23.

სამართლებრივი ძალის მქონე;² თუმცა ალბათ ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც მის მნიშვნელობას დააკნინებს, მით უმეტეს, რომ იგი უმაღლესი სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში დამოწმებულია როგორც ძირითად პრინციპთა მატარებელი უმნიშვნელოვანესი აქტი,³ რომლითაც შესაძლებელია სახელმწიფოსა და სამართლის ფუძემდებლურ პრინციპთა განმარტება. მიუხედავად ამისა, ტომას ჯეფერსონი, აბრაამ ლინკოლნი, ჯეიმს უილსონი და უამრავი პოლიტიკური მოღვაწე დამოუკიდებლობის დეკლარაციას ქვეყნის ფუძემდებლურ აქტად მიიჩნევდა.⁴ სტატუსობრივად მსგავსი, თუმცა სამართლებრივი ძალის მიხედვით, განსხვავებული მაგალითია ვაიმარის რესპუბლიკის კონსტიტუცია,⁵ რომელიც მიღებამდე თითქმის 70 წლით ადრე პროექტის სახით არსებობდა და კაიზერის გამო ფრანკფურტის კრებამ თავდაპირველად ვერ მიიღო.⁶ განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სიმბოლურად, მისი მოდიფიცირებული ვერსია, საბოლოოდ, 1919 წელს დამტკიცდა⁷.

საქართველო დიდად ამაყობს საკუთარი ისტორიით და იმ უწყვეტი კულტურული პროცესით, რომელიც ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, ისტორიულ ადგილას მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, სამართლებრივი თვალსაზრისით, ქვეყნის გამოცდილება დიდად ჩამოუვარდება სხვა მიმართულებებს. მიუხედავად შუა საუკუნეების რამდენიმე გამორჩეული ძეგლისა⁸, თანამედროვე ქართული სამართლებრივი კულტურისა და ცნობიერებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი უახლესი ისტორიის ფარგლებში არსებული გამოცდილება და ის ისტორიული ძეგლია, რომელიც ფაქტობრივად საკრალურადაც კია მიჩნეული. საქართველოს პირველი კონსტიტუცია ერთბაშად რამდენიმე ფუძემდებლურ მომენტს აერთიანებს – იგი ადასტურებს პირველ რესპუბლიკასა და საქართველოს დამოუკიდებლობას, ხაზს უსვამს ქართული პოლიტიკის კულტურულ და სოციალურ დონეს; აჯამებს საუკუნის წინანდელ ქართულ სამართლებრივ აზროვნებასა და ტექნიკას. შესაბამისად, ლოგიკურიცაა მის გარშემო ამდენი საუბარი, დისკუსია, გადაჭარბებული თუ გადაუჭარბებელი კრიტიკა. აღსანიშნავია, რომ, რეალურ მახასიათებლებთან ერთად, მას არანაკლებ არარეალური, უკვე მითოსურ ნიშნებს მიაწერენ და აიდეალებენ.

² Sandefur T., *The Conscience of the Constitution, The Declaration of Independence and the Right to Liberty*, Cato Institute, 2014, 15.

³ Sandefur T., *The Conscience of the Constitution, The Declaration of Independence and the Right to Liberty*, Cato Institute, 2014, 15.

⁴ Anastaplo G., *Reflections on Constitutional Law*, 2006, 15.

⁵ გეგენავა დ. (რედ.), *კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი*, I წიგნი, 2018, 36-37.

⁶ მელქაძე ო., *რამიშვილი ნ.*, გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, 1999, 7.

⁷ მელქაძე ო., *რამიშვილი ნ.*, გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, 1999, 9.

⁸ გეგენავა დ. (რედ.), *შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში*, 2021, 33-34.

სტატიის მიზანია, მიმოიხილოს საქართველოს პირველი კონსტიტუცია როგორც ძირითადი კანონი, თავისი პოლიტიკური და სამართლებრივი მახასიათებლებით, ასევე, გამოკვეთოს რამდენიმე გავრცელებული მითი თუ ჭორი მის შესახებ, გააანალიზოს ისინი და შეძლებისდაგვარად მიუსადაგოს სინამდვილეს, ვინაიდან რაც არ უნდა გამორჩეულ ძეგლთან ჰქონდეს შეხება ადამიანს, ყოველთვის სასურველია, იგი დაწვრილებით და მაქსიმალურ ინფორმაციას ფლობდეს მის შესახებ, რათა შემდგომ თაობათა მსჯელობა რაციონალიზმსა და კრიტიკულ აზროვნებას დაეფუძნოს, ნაცვლად ჰეროიზმით გაჟღენთილი ურაპატრიოტული მოწოდებებისა.

II. პირველი კონსტიტუცია – პირველი გამოცდილება

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, კლასიკური კონსტიტუციონალიზმის თვალთახედვით, საქართველოს ერთ-ერთი პირველი საკონსტიტუციოსამართლებრივი მნიშვნელობის აქტი იყო. რა თქმა უნდა, რამდენიმე ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე ქვეყანას არაერთი სახელმწიფო მოწყობის მომწესრიგებელი აქტი ჰქონია, თუმცა არა კონსტიტუცია, რომლის უმთავრესი მიზანიც ძალაუფლების შეზღუდვაა.⁹ ამ გაგებით, პირველი და გამორჩეული 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტია, რომელიც მხოლოდ განცხადების დონეზე არ დარჩენილა და 1919 წლის 12 მარტს ახალარჩეული დამფუძნებელი კრების პირველივე სხდომაზე კანონის სახით მიიღეს.¹⁰ ამას სიმბოლურზე მეტად სამართლებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან შვიდპუნქტიანი აქტი ფაქტობრივად გარდამავალი ეტაპისთვის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს აყალიბებდა, გარკვეულწილად „მცირე კონსტიტუციის“ ფუნქციასაც კი ასრულებდა დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე. თავისი შინაარსის გათვალისწინებით, დამოუკიდებლობის აქტს პირველი კონსტიტუციის პრეამბულადაც კი მოიაზრებენ,¹¹ თუმცა აღნიშნული შეფასება გადაჭარბებულია, რადგან დამფუძნებელმა კრებამ სწორედ კონსტიტუციის ტექსტი მის გარეშე დაამტკიცა და, მეტიც, მის გარეშე გამოსცა¹².

⁹ გეგენავა დ. (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, 2021, 33-34.

¹⁰ შველიძე დ. (რედ.), დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატთანე (1918-1921), 2013, 132.

¹¹ გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე მ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, 2016, 34.

¹² დემეტრაშვილი ა., საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია 2011 წლის გადასახედიდან, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 11.

კონსტიტუციის მიღება დემოკრატიული რესპუბლიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. აღნიშნულს განსაკუთრებული ფასი შემატა იმ მოვლენამაც, რომ სამი სამხრეთკავკასიური რესპუბლიკიდან ძირითადი კანონის მიღება მხოლოდ ერთმა - საქართველომ მოახერხა. კონსტიტუცია თავად იქცა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ბუნებრივ სიმბოლოდ. ალბათ, ამითაც აიხსნება ის განსაკუთრებული დამოკიდებულება და ემოციური კავშირი, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას მასთან აქვს. ხალხის უდიდესი ნაწილი პირველი კონსტიტუციის ლეგიტიმურობის საკითხის მიმართ კითხვებს არ სვამს, მეტიც, იგი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლად და იმ მემკვიდრეობის გაგრძელებად უფრო განიხილება, რაც პირველ რესპუბლიკაში არსებობდა. სწორად ამიტომ უსვამს ხაზს საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის პრეამბულა მასთან ისტორიულ-მემკვიდრეობით კავშირს,¹³ ამით ერთგვარად ხდება იმ ლეგიტიმურობის პრობლემის აღმოფხვრა, რაც მოქმედ კონსტიტუციას მიღების მომენტშივე ჰქონდა და ხაზს უსვამს იმ შეუსრულებელ სოციალური ინტეგრაციის ფუნქციას, რომლის განხორციელებაც 1995 წელს პოლიტიკურ მოთამაშეთა დიდ ნაწილს ასე ეიმედებოდა.

1921 წლის კონსტიტუცია ქართული სამართლისთვის გამოწვევა იყო. ვინაიდან მანამდე მსგავსი გამოცდილება არ არსებობდა, ლოგიკურად იყო, რომ მის შექმნასა და დამტკიცებას განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ. პირველი საკონსტიტუციო კომისია ჯერ კიდევ ეროვნული საბჭოს პირობებში შეიქმნა,¹⁴ რასაც შემდგომში უკვე დამფუძნებელი კრების კომისია მოჰყვა.¹⁵ კომისიის ბოლო შემადგენლობის სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის შემუშავების პროცესი ძალზე საინტერესოდ და ინტენსიურად წარიმართა. კონსტიტუციის პროექტში აისახა როგორც კლასიკური კონცეფციები, ინსტიტუტები და პრინციპები, ისე ის ძირითადი სიახლეები, რომლებიც იმდროინდელ მსოფლიოში იყო აქტუალური. პირველი რესპუბლიკის ძირითადი კანონი ითვალისწინებდა სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებას, თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ ცდილობდა, ბრმად გადმოეღო რომელიმე ნორმატიული მოწესრიგება.¹⁶ იმისათვის, რომ ხალხს უკეთ გაეგო კონსტიტუციის შინაარსი და მისი ტექსტი არ დარჩენილიყო სამართლებრივ ექსკლუზივად, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე *ჰავლე საყვარელიძე* ფსევდონიმით აქვეყნებდა

¹³ საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [1.7.2021].

¹⁴ *მაცაბერიძე მ.*, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 18.

¹⁵ *შველიძე დ.* (რედ.), დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატთანე (1918-1921), 2013, 135.

¹⁶ *ქანთარია ბ.*, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, 2013.

თითოეული განხილული თავის კომენტარს პრესაში.¹⁷ იშვიათია ის ენთუზიაზმი და, შეიძლება ითქვას, პროფესიული ჟინი, რომლითაც ეს უკანასკნელი და კომისიის რამდენიმე წევრი, ასევე მოწვეული ექსპერტები მუშაობდნენ, რომ პირველი კონსტიტუცია საერთო-ეროვნული აქტი ყოფილიყო და, ამისათვის, როგორც კომისიამ, ისე დამფუძნებელმა კრებამ ყველა ღონე იხმარა.

III. საკონსტიტუციო დებულებები და მითიური საბურველი

1. საუკეთესო კონსტიტუცია

წარსულის რომანტიზება ბევრი ერისა თუ ხალხისთვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც ხშირად უცნაური ფორმებით გამოვლინდება ხოლმე. სოციალური ინტეგრაციის ფუნქციის მხრივ სერიოზული პრობლემების მქონე მოქმედი კონსტიტუციის არსებობის პირობებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს პირველ კონსტიტუციას. პოლიტიკისა და საკონსტიტუციო სამართლის მკვლევრები ხშირად ამკობენ მას და საუკეთესო კონსტიტუციადაც მოიხსენიებენ, თუმცა ამ მითს სინამდვილემდე ბევრი უკლია. რა თქმა უნდა, თავისი დროის ერთ-ერთ გამორჩეულ ტექსტზეა საუბარი, მით უმეტეს, გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, თუმცა მას საკმაოდ მძიმე პრობლემები ჰქონდა, რომელიც, ბუნებრივია, ხელს უშლის მის საუკეთესო კონსტიტუციად კვალიფიკაციას.

პირველ კონსტიტუციას რამდენიმე სისტემური პრობლემა ჰქონდა: 1. იგი ძალზე იდეოლოგიზებული იყო, ფაქტობრივად სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის ძირითად დებულებებს იმეორებდა; 2. კონსტიტუცია ძალიან დიდი დოზით შეიცავდა სოციალურ უფლებებს, რომელთა უმრავლესობის რეალიზაციაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა არა მხოლოდ ძირითადი კანონის მდგრადობასა და ავტორიტეტს, არამედ თავად სახელმწიფოს არსებობა-არარსებობასაც კი; 3. ძირითადი კანონი აყალიბებდა დაუბალანსებელ სუპერსაპარლამენტო რესპუბლიკას, შეკავება-გაწონასწორების გამართული და ქმედითი სისტემის გარეშე; 4. სახელმწიფო მეთაურის თანამდებობის არარსებობა და მისი უფლება-მოვალეობების ზოგიერთი სახელმწიფო სტრუქტურისადმი ნაწილობრივი განაწილება აუცილებლად გამოიწვევდა საკონსტიტუციო და პოლიტიკურ კრიზისებს, რომელთა განმუხტვაც საპარლამენტო რესპუბლიკაში სწორედ სახელმწიფო მეთაურს ეკისრება; 5. ჩანასახის დონეზე იყო იმ პერიოდის

¹⁷ გეგენავა დ., ქართული კონსტიტუციონალიზმის ევროპული საფუძვლები: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, წიგნში: ევროპული ღირებულებები და იდენტობა, 2014, 120.

სიახლეები, რომლებიც ევროპულ კონსტიტუციონალიზმში უკვე ფეხს იკიდებდა (მაგალითად, საკონსტიტუციო კონტროლი).

პრობლემათა მიუხედავად, 1921 წლის კონსტიტუციას უამრავი დადებითი მხარეც ჰქონდა, რომლებზეც ბევრი დაწერილა და ბევრიც თქმულა, ამიტომაც სტატიაში ისინი არ იქნება წარმოდგენილი. ეს ყოველივე, საბოლოო ჯამში, მეტყველებს კარგ ძირითად კანონზე, რომელსაც თავისი პრობლემებიც ჰქონდა, არ იყო საუკეთესო არც ერთი პარამეტრით, თუმცა იყო გამორჩეული თავისი გეოგრაფიული არეალისა და კულტურისათვის.

2. ნაჩქარევად მიღებული და შემდეგ შეჩერებული

ერთ-ერთ უმძიმეს ბრალდებათაგანი, რომელსაც პირველ კონსტიტუციას უყენებენ, არის ის, რომ იგი ნაჩქარევად, დეტალური განხილვის გარეშე მიიღეს. ნებისმიერი სამართლებრივი აქტისთვის, მით უმეტეს, ქვეყნის ძირითადი კანონისთვის, ალბათ, არაფერი უნდა იყოს იმაზე დამაკნინებელი და შეურაცხმყოფელი, ვიდრე ნაჩქარევი მიღება, რაც ავტომატურად გულისხმობს, რომ იგი ბოლომდე გააზრების, დაკვირვებისა და სათანადო ფიქრის გარეშეა მიღებული. ამ საკითხში კონსტიტუცია ნამდვილად უბრალოა, მასზე მუშაობა ჯერ კიდევ ეროვნული საბჭოს ფარგლებში დაიწყო და პირველი საკონსტიტუციო კომისია სწორედ მაშინ შეიქმნა,¹⁸ რომლის სამართლებრივი და ისტორიული მემკვიდრეც დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისია გახდა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ დამფუძნებელმა კრებამ საკონსტიტუციო კომისია თავის არჩევისთანავე, 1919 წლის 18 მარტს დაამტკიცა¹⁹. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციაზე მუშაობა სამი წელი მაინც გრძელდებოდა. მართალია, სხვადასხვა ტემპითა და კომისიის განსხვავებული შემადგენლობებით, თუმცა გრძელდებოდა და პროექტს თავების მიხედვით, მუხლობრივადაც განიხილავდნენ.²⁰ ბევრი პრინციპული დებულება წინდაწინვე იყო შეთანხმებული და განხილული, იგივე ეხება პრინციპულ თავებსაც: მაგალითად, 1920 წელსვე ცნობილი იყო, რომ სახელმწიფო მეთაური კონსტიტუციაში არ იქნებოდა²¹, შეთანხმებული იყო ეკლესია-სახელმწიფოს

¹⁸ *მაცაბერიძე მ.*, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 18.

¹⁹ *შველიძე დ.* (რედ.), დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მათიანე (1918-1921), 2013, 135.

²⁰ *მაცაბერიძე მ.*, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, 2008.

²¹ *გვაზავა გ.*, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, მე-2 გამოცემა, 2014, 7-16.

ურთიერთობების მოდელი²² და შესაბამისი მომწესრიგებელი ნორმები²³, სახელმწიფოს მმართველობის ფორმის უცვლელობა²⁴ და ა.შ.

კონსტიტუციაზე მუშაობამ დაგეგმილზე მეტ ხანს გასტანა, რის გამოც დამფუძნებელი კრება ანგარიშს და შედეგებს ითხოვდა.²⁵ შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ კონსტიტუცია ნაჩქარევად განიხილეს, – აბსურდია. კონსტიტუცია დაჩქარებულად მიიღეს, – ეს მსჯელობა კი ჭეშმარიტია და ლოგიკურიც, რადგან კარს მომდგარი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ უსერიოზულეს მექანიზმად სწორედ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ძირითადი კანონი მოიაზრებოდა და პოლიტიკურ ელიტას სურდა, კონსტიტუცია პრინციპულად მიეღო. სწორედ ამიტომ უკვე ომის პერიოდში შეიკრიბა დამფუძნებელი კრება, რომელსაც ჰქონდა კონსტიტუციის გამზადებული პროექტი და დაამტკიცა იგი.

პირველი კონსტიტუციის მიმართ გაჟღერებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბრალდება დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის შეჩერების შესახებაა.²⁶ აღნიშნული არ დასტურდება რაიმე ისტორიული თუ სამართლებრივი გარემოებით. ამ ფაქტის არსებობა საბჭოთა კავშირის უშიშროების ორგანოების ფანტაზიის ნაყოფია, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ თავიანთი მოქმედებების გამართლებას, ოკუპაციის ხსნად გასაღებას, თუმცა ნაკლებად გამოსდიოდათ. დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ ისე დატოვა საქართველო, რომ პრინციპულად არ მოუწერა ხელი ბოლშევიკ დამპყრობლებს კაპიტულაციაზე.²⁷ ემიგრაციაში მყოფი მთავრობა აგრძელებდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, რის გამო უნდა შეეჩერებინა დამფუძნებელ კრებას აქტის მოქმედება, ამის ფორმალური უფლებამოსილებაც რომ ჰქონოდა. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია, რომ ძირითადი კანონი მოქმედების შეჩერების იდეას საერთოდ არ ითვალისწინებდა²⁸.

²² *მაცაბერიძე მ.*, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, 2008, 78.

²³ *გეგენავა დ.*, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები (1917-1921) და საქართველოს პირველი კონსტიტუცია, წიგნში: *გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ.* (რედ.), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, 2013, 178-179.

²⁴ *ქანთარია ბ.*, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, 2013.

²⁵ *გეგენავა დ.* (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მე-2 გამოცემა, 2021, 39.

²⁶ *შენგელია რ.* (რედ.), ქართული სამართლის საფუძვლები, 2004, 71; *ცნობილასძე პ.*, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, I ტომი, 2005, 100.

²⁷ *შველიძე დ.* (რედ.), დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მათიანე (1918-1921), 2013, 433.

²⁸ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [1.7.2021]; *გეგენავა დ.* (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მე-2 გამოცემა, 2021, 50.

3. აქტი პრაქტიკული მოქმედების გარეშე

1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, 25 თებერვალს კი თბილისი დაეცა. სწორედ ამიტომ კონსტიტუციას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც უმოქმედოს, დოკუმენტს, რომელსაც მხოლოდ 4 დღიანი მოქმედების ისტორია აქვს.²⁹ აღნიშნული მითის არსებობაც საბჭოთა სპეცსამსახურების დამსახურებაა, ვინაიდან წინადადება საკუთარ თავშივე მოიცავს დაშვებას, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესები შეწყდა თბილისის დაცემისთანავე, რაც, თავისთავად, მცდარია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება მარტის შუა რიცხვებამდე ბათუმში იყო და იქიდან იცავდა თავს, მართავდა პოლიტიკურ პროცესებს. ამაზე ისიც მიანიშნებს, რომ კონსტიტუცია თბილისის დაცემის შემდეგ, ბათუმში დაიბეჭდა.³⁰ კონსტიტუციის შემდგომ გამოცემისა და ხელისუფლების ბათუმში მოქმედების ფაქტი ადასტურებს, რომ კონსტიტუციის მინიმუმ 4 დღიანი მოქმედების შესახებ მითი საფუძველს მოკლებულია. კონსტიტუცია მინიმუმ მოქმედებდა დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ ბათუმიდან საქართველოს დატოვებამდე, ხოლო *de jure* მთელი საბჭოური ოკუპაციისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდი, ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, რითაც საბოლოოდ დასრულდა პირველი კონსტიტუციის ტრაგიკული, თუმცა საინტერესო თავგადასავალი.

4. ძლიერი საპარლამენტო რესპუბლიკა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცხადად გამოხატული საპარლამენტო რესპუბლიკა იყო თავისი პარლამენტის უზენაესობითა და პარლამენტისაკენ გადახრილი ძალაუფლების ვექტორით. პარლამენტი, როგორც სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, იყო ძალაუფლების კონცენტრაციის ცენტრი. სწორედ ამ ძალაუფლების სახელმწიფო მეთაურზე გადანაცვლებისა თუ გადანაწილების „შიშის“ გამო ითქვა უარი პრეზიდენტის ინსტიტუტზე.³¹ მთავრობის თავმჯდომარის ერთწლიანი არჩევითობა, მინისტრთა პასუხისმგებლობის საკითხი, პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობა იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ

²⁹ დემეტრაშვილი ა., საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია 2011 წლის გადასახედიდან, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011.

³⁰ სიორიძე მ., საქართველოს პირველი კონსტიტუციის სტამბურად გამოქვეყნების ადგილი, დრო და გარემოებები, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 42-50.

³¹ გვაზავა გ., ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, მე-2 გამოცემა, 2014, 7-16.

პირველი კონსტიტუცია არა უბრალოდ საპარლამენტო რესპუბლიკას, არამედ სუპერსაპარლამენტო რესპუბლიკას ამკვიდრებდა, სრულიად დაუბალანსებელი ძალაუფლების გამიჯვნის სისტემით, რაც პრაქტიკაში წარმოუდგენელს გახდიდა მთავრობის ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების განხორციელებას. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, კონსტიტუცია არც ისე კარგი დებულებებით გამოირჩევა და სერიოზულად მოისაკლისებს შეკავება-გაწონასწორების ქმედით მექანიზმებს, რომელთა გარეშეც საპარლამენტო რესპუბლიკის სიძლიერესა თუ მდგრადობაზე საუბარიც კი ზედმეტია.

IV. რა მოხდებოდა, რომ?...

საქართველოს პირველ რესპუბლიკასა და კონსტიტუციაზე საუბრისას, ალბათ, ყველაზე გავრცელებული სიტყვათშეთანხმებაა – „რა მოხდებოდა, რომ?..“ მართლაც, რა მოხდებოდა, საქართველო საბჭოთა კავშირს რომ არ დაეპყრო, დამოუკიდებლად ცხოვრება გაეგრძელებინა და კონსტიტუციას საკუთარი დანიშნულება შეესრულებინა. ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუცია ნებისმიერ ვარიანტში შესაცვლელი იქნებოდა და ეს ბუნებრივია. ამას არც დამფუძნებლები უარყოფდნენ და აღნიშნავდნენ კიდევ, რომ კონსტიტუცია მუდმივი ვერ იქნება, მისი შინაარსი თაობებმა უნდა გაახალისონ, შეცვალონ და საჭიროებისამებრ ჩამოაყალიბონ.³²

კონსტიტუციას ძალიან გაუჭირდებოდა პრაქტიკული მოქმედება, განსაკუთრებით, უფლებების ნაწილში, ვინაიდან უფლებების ეს მოცულობა და მათი შინაარსი ახალგაზრდა, ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფი სახელმწიფოსთვის მძიმე ტვირთად იქცეოდა. ამიტომაც პოლიტიკური ელიტა იძულებული გახდებოდა, დაეხვეწა უფლებების ნაწილი, გაეერთიანებინა დებულებები, ზოგიერთზე კი უარი ეთქვა.

ცვლილებები იქნებოდა შესატანი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ ნორმებში. დაუბალანსებელი სახელისუფლებო ურთიერთობები პრობლემებს წარმოშობდა პრაქტიკაში, განსაკუთრებით, მრავალპარტიული პარლამენტის პირობებში. სახელმწიფო მეთაურის იგნორირებულ ფუნქციათა ნაწილი აქტუალური იქნებოდა, ან ინსტიტუტის სახით დაფუძნდებოდა მომავალში, ან მთავრობის თავმჯდომარე და სხვა ორგანოები გაძლიერდებოდნენ ფუნქციურად.

ბევრი რამ შეიძლება მომხდარიყო დამოუკიდებლობის პირობებში, ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდებოდა

³² *მაცაბერიძე მ.*, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, 2008.

კონსტიტუციაში, ნაწილი მათგანი გაამართლებდა, ნაწილიც, ალბათ, არა, თუმცა ეს იქნებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს გადაწყვეტილება, თავისი პოლიტიკური დღის წესრიგის მიხედვით მიღებული, პოლიტიკური ურთიერთობებისა და სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირებისკენ მიმართული.

V. დასკვნა

საქართველოს პირველი კონსტიტუცია განწირულია პოპულარობისა და მუდმივად აქტუალურობისთვის, ისევე, როგორც საქართველოს მოქმედი თუ მომავალი კონსტიტუცია პირველთან შედარებისთვის. 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების ისტორია, განსაკუთრებული ლეგიტიმაცია და შემდეგ დატრიალებულ ისტორიულ ქართველში მისი როლი, მას ყოველთვის გამორჩეულ აქტად ამყოფებს.

მართალია, პირველი კონსტიტუცია არ იყო იდეალური და სრულყოფილი, არც მისი პრაქტიკული მოქმედების ჯეროვნად შეფასების შესაძლებლობა არსებობს, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სინამდვილისთვის იგი განსაკუთრებული სამართლებრივი აქტი იყო, რომელსაც დღემდე საკრალური ხასიათი აქვს. მასთან დაკავშირებით უამრავი მითი არსებობს და მომავალშიც იარსებებს (ზოგი დააკნინებს, ზოგიც განადიდებს), თუმცა სიმართლე ისაა, რომ იგი, ნებისმიერ შემთხვევაში, თვითმყოფადი დოკუმენტია თავისი ნაკლოვანებებით, პარტიული სიმპათიებით და თავისი პერიოდის სტერეოტიპებით. ამასთან, შეუძლებელია, არ აღინიშნოს მისი დემოკრატიული ხასიათი, ბევრი მიმართულებით სიახლის დამკვიდრების მცდელობა და გაბედულება, რომლითაც ახალგაზრდა სახელმწიფოს კონსტიტუცია ცდილობდა, ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული მართლწესრიგი დაემკვიდრებინა სახელმწიფოში.

უშუალო დემოკრატიის იდეა საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში

აბსტრაქტი

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიღებიდან ერთი საუკუნე გავიდა. ის დღემდე რჩება დოკუმენტად, რომელიც მხოლოდ ლეგიტიმაციის მითოლოგიური საფუძვლის როლს ასრულებს, რაც მისი როგორც ცოცხალი დოკუმენტის აღქმას წინ ეღობება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველა მცდელობა, რომელსაც მისი ანალიზი აქვს დასახული მიზნად, ამ ფაქტორითაა დაღდასმული. ანალიტიკური სამუშაო, რასაც ისინი ატარებენ, დღევანდელი პერსპექტივითა და ლიბერალური თეორიული ჩარჩოთია შემოსაზღვრული. პრობლემა თავად ანალიზის მეთოდია. პირველი რესპუბლიკის უზენაესი კანონი მარტივად არ ემორჩილება ამ მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტებს. ეს კი შეუძლებელს ხდის დოკუმენტის მნიშვნელობის, მისი საფუძვლებისა და მაშინდელ დროებასთან მიმართების გამოწვლილვით შესწავლას. წინამდებარე ტექსტი სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორებას ისახავს მიზნად.

კონსტიტუციური საკითხების გარშემო გამართული მაშინდელი დისკუსიებიდან, ისევე როგორც საბოლოო დოკუმენტებიდან ცხადად ჩანს, რომ დამფუძნებლებმა არჩევანი უშუალო დემოკრატიის სასარგებლოდ გააკეთეს. ეს მოდელი მოქალაქეთა და სახელმწიფოს ერთიანობას ქადაგებს (ლიბერალური თეორიის საწინააღმდეგოდ, რომელიც მათ დაპირისპირებულ ელემენტებად მოიაზრებს) და სპეციფიკური მექანიზმების მეშვეობით ამ მოდელის გატარებას ცდილობს. ამ სისტემაში ამომრჩეველი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყოველდღიურ პოლიტიკაში და მისი როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ პერიოდულ არჩევებში ხმის მიცემით. ხოლო, თავად საარჩევნო და ინსტიტუციური სისტემა ისეა მოწყობილი, რომ საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გაადვილდეს პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ქართველმა მენშევიკებმა უბრალოდ კი არ აიღეს თეორიული

* ასოცირებული პროფესორი საჯარო სამართლის მიმართულებით, სამართლის სკოლა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი [vakhushtimenabde@gmail.com]. სტატიის ავტორი განსაკუთრებულ მადლობას უხდის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ლუკა ნახუცრიშვილს, რომელიც ასევე არის ამ ნაშრომის რედაქტორი.

მოდელი და საქართველოში მექანიკურად გამოიტანეს, არამედ მოარგეს არსებულ კონტექსტს, კრიტიკულად გაიაზრეს და განავითარეს.

ამგვარად, წინამდებარე ნარკვევი 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციას შეისწავლის უშუალო დემოკრატიის თეორიული ჩარჩოდან. ამისთვის კი გამოიყენებს ლოგიკური ანალიზის, ისტორიული და კომპარატივისტული კვლევის მეთოდებს, დაეყრდნობა მეცნიერთა ნაშრომებს, ისტორიულ წყაროებს, ნორმატიულ და საარქივო მასალას. ამ თვალსაზრისით წარმოდგენილი სტატია ცდილობს კონსტიტუციის დამუშავების ხანგრძლივი, მრავალხმიანი და დინამიკური პროცესი მკითხველისთვის გასაგები გახადოს; დაანახოს მას კონტექსტი და კონკრეტულ გადაწვეტილებამდე მისასვლელი გზები, რომელთაგან ზოგი მარტივი, სწორი და მკაფიოა, ზოგი კი მიხვეულ-მოხვეული, გაუკვალავი და, ასე განსაჯეთ, სახიფათოც კი.

I. შესავალი

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიღებიდან ერთი საუკუნე გავიდა. ამ დისტანციიდან, როდესაც ნელ-ნელა ქრება პატრიოტული რომანტიზმი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მრუდედ განსაზღვრავდა პირველი რესპუბლიკის აღქმას და იფანტება ტოტალიტარული რეაქციით ნასაზრდოები ნისლი, რაც წინ ეღობებოდა ამ ხდომილების ობიექტურ ანალიზს, მკვლევარი ხელსაყრელ პოზიციაშია, გაერკვეს მაშინდელი უზენაესი კანონით დაფუძნებული პოლიტიკური წესრიგის ლოგიკაში.

უპირველესი შეცდომა, რომელსაც უშვებენ პირველ კონსტიტუციაზე საუბრისას, მისი მოქმედების ვადებს ეხება. მიაჩნიათ, რომ ამ დოკუმენტის სრულყოფილ შეფასებას ხელს უშლის მისი დამტკიცებიდან ფაქტობრივ შეჩერებამდე არსებული მცირე დრო. ეს მიდგომა ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს არ ითვალისწინებს: 1921 წლის 21 თებერვლამდე ანუ კონსტიტუციის ფორმალურად დამტკიცებამდე სამი წლის განმავლობაში, დამოუკიდებლობის მოპოვებიდანვე, ნაბიჯ-ნაბიჯ ფუძნდებოდა ის პოლიტიკური წესრიგი, არსებითად, რისი კონსტიტუციონალიზაციაც დამფუძნებელმა კრებამ ოკუპაციამდე ოთხი დღით ადრე გააკეთა.

ამ დოკუმენტს უცნაური ბედი ხვდა წილად. ის სხვადასხვა ხელისუფლებამ სხვადასხვა დროს სამჯერ შეიყვანა ძალაში, თუმცა რეალურად არც ერთხელ არ უმოქმედია. პირველად ეს 1921 წლის 21 თებერვალს მოხდა, თუმცა მალევე გასაბჭოებამ გაანადგურა ამ დოკუმენტის იდეალები. შვიდი ათეული წლის შემდეგ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის

უზენაესმა საბჭომ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ მიიღო, სადაც ჩანს, რომ ეს დოკუმენტი „დღესაც იურიდიული ძალის მქონეა“, თუმცა ფაქტობრივად ისევ 1978 წლის საბჭოთა კონსტიტუცია მოქმედებდა (გარკვეული შესწორებებით). მოგვიანებით, პუტჩის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ 1992 წლის 21 თებერვალს გამოსცა დეკლარაცია, რომლითაც პირველი კონსტიტუცია აღდგენილად გამოაცხადა, მაგრამ მაშინ ამას არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია. ამით დასრულდა პირველი ქართული კონსტიტუციის ამოქმედების მცდელობები, თუმცა ქართულ სამართლებრივ სივრცეში მას თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტია.

1993 წლის 25 მარტს შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც დაევალა, შეემუშავებინა პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქცია,¹ თუმცა, საბოლოოდ, კომისიამ და შემდეგ უკვე პარლამენტმა მისგან სრულიად განსხვავებული დოკუმენტი შექმნა (1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია), რომელმაც პრეამბულაში მხოლოდ ის აღნიშნა, რომ „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს“ ეყრდნობოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტი ფორმალურად ბევრს (სტრუქტურული თუ ნორმატიული თვალსაზრისით) სესხულობდა მისი წინაპრისგან, ისინი არსებითად განსხვავებულ ლოგიკას ეფუძნებოდნენ, როგორც სახელმწიფო მოწყობით, ისე მოქალაქეთათვის განსაზღვრული პოლიტიკური ადგილითა და სოციალურ-ეკონომიკური სისტემით. 2010 წელს საქართველოს კონსტიტუციის მორიგი რეფორმა გატარდა. საკანონმდებლო ორგანომ 15 დეკემბერს ცვლილებები შეიტანა უზენაეს კანონში, რომელმაც კიდევ უფრო დააშორა ის პირველი რესპუბლიკის სულისკვეთებას. პრეამბულა მოდიფიცირდა. ამიერიდან უზენაესი კანონი „პრინციპების“ ნაცვლად „1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას“ ეყრდნობოდა. გარდა ამისა, გადაიდგა მთელი რიგი ნაბიჯები, რომლებიც პირველი კონსტიტუციის ღირებულებებს ეწინააღმდეგებოდა – ისინი, ერთი მხრივ, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას ეღობებოდა წინ, მეორე მხრივ კი, ხალხის ძალაუფლებას ამცირებდა. ბოლო იერიში საუკუნის წინანდელ მონაპოვარზე 2016-2018 წლების კონსტიტუციურმა რეფორმამ მიიტანა. ცალკეულ ნორმებში მან კიდევ უფრო შეამცირა ადრინდელი დოკუმენტიდან შემორჩენილი ღირებულებები თუ გარანტიები.

ამგვარი შეკვეცის პირობებში პირველი კონსტიტუცია რჩება დოკუმენტად, რომელიც მხოლოდ ლეგიტიმაციის მითოლოგიური საფუძვლის როლს ასრულებს და მისი როგორც ცოცხალი დოკუმენტის აღქმას წინ ეღობება.

¹ დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, 2010, 59.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველა მცდელობა, რომელსაც მისი ანალიზი აქვს დასახული მიზნად, ამ ფაქტორითაა დაღდასმული. ეს კვლევები ვერ ახერხებს დოკუმენტის გაცოცხლებას იმ კონტექსტში, რომელშიც ის შეიქმნა. შესაბამისად, სამუშაო, რასაც ისინი ატარებენ, დღევანდელი პერსპექტივითა და ლიბერალური თეორიული ჩარჩოთა შემოსაზღვრული. პრობლემა ის არის, რომ პირველი რესპუბლიკის უზენაესი კანონი მარტივად არ ემორჩილება ამ მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტებს. ეს კი შეუძლებელს ხდის დოკუმენტის მნიშვნელობის, მისი საფუძვლებისა და მაშინდელ დროებასთან მიმართების გამოწვლილვით შესწავლას. წინამდებარე ტექსტი სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორებას ისახავს მიზნად.

კონსტიტუციური საკითხების გარშემო გამართული მაშინდელი დისკუსიებიდან (საკონსტიტუციო კომისიის სხდომები, დამფუძნებელ კრებაში მიმდინარე დისკუსიები, სტატიები, თარგმანები და მოხსენებები), ისევე როგორც საბოლოო დოკუმენტებიდან, ცხადად ჩანს, რომ დამფუძნებლებმა არჩევანი „უშუალო დემოკრატიის“ სასარგებლოდ გააკეთეს. ეს მოდელი მოქალაქეების და სახელმწიფოს ერთიანობას ქადაგებს (ლიბერალური თეორიის საწინააღმდეგოდ, რომელიც მათ დაპირისპირებულ ელემენტებად მოიაზრებს) და სპეციფიკური მექანიზმების მეშვეობით ამ ხედვის გატარებას ცდილობს. აქ ამომრჩეველი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყოველდღიურ პოლიტიკაში და მისი როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ პერიოდულ არჩევნებში ხმის მიცემით. ხოლო, თავად საარჩევნო და ინსტიტუციური სისტემა ისეა მოწყობილი, რომ საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გაადვილდეს პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ქართველმა მენშევიკებმა უბრალოდ კი არ აიღეს თეორიული მოდელი და საქართველოში მექანიკურად გადმოიტანეს, არამედ მოარგეს არსებულ კონტექსტს, კრიტიკულად გაიაზრეს და განავითარეს.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა ეს არჩევანი უმთავრესად განპირობებულია მათი მეოთხედსაუკუნოვანი მუშაობის გამოცდილებით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია გურიასა და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე მცირეხნიანი თვითმმართველობის გამოცდილება XX საუკუნის პირველ წლებში, თავად ამ პარტიის ადგილობრივ ინიციატივებზე დაფუძნებული სისტემა და იდეოლოგიური პოსტულატები, რომლებიც მუდმივად თვითმმართველობის სასარგებლოდ იხრებოდა.

ამგვარად, წინამდებარე ნარკვევი 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციას შეისწავლის უშუალო დემოკრატიის თეორიული ჩარჩოდან. ამისთვის კი გამოიყენებს ლოგიკური ანალიზის, ისტორიული და კომპარატივისტული კვლევის მეთოდებს, დაეყრდნობა მეცნიერთა

კვლევებს, ისტორიულ წყაროებს, ნორმატიულ და საარქივო მასალას. ამ თვალსაზრისით, წარმოდგენილი სტატია ცდილობს, კონსტიტუციის დამუშავების ხანგრძლივი, მრავალხმიანი და დინამიკური პროცესი მკითხველისთვის გასაგები გახადოს; დაანახოს მას კონტექსტი და კონკრეტულ გადაწვეტილებამდე მისასვლელი გზები, რომელთაგან ზოგი მარტივი, სწორი და მკაფიოა, ზოგი კი მიხვეულ-მოხვეული, გაუკვალავი და, ასე განსაჯეთ, სახიფათოც კი. წინამდებარე ტექსტს სურს, მეგზური იყოს იმ ლაბირინთში, რომლის შუაგულშიც საქართველოს პირველი კონსტიტუციის კლიტეა. ამ კლიტეს სამი გასაღები სჭირდება. პირველი მათგანი იდეებია: უზენაესი კანონის არქიტექტორები თეორიულად მარქსიზმს ეყრდნობიან, ამავდროულად. ისინი იყენებენ პოლიტიკური სამართლის მაშინდელი მკვლევრების, უპირველესად კი, იულიუს ჰაჩეკის შრომებს. მეორე გასაღები კომპარატივისტიკაა, სადაც შვეიცარიული გამოცდილების მიმართ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ინტერესს ვერც ერთი სხვა იურისდიქცია ვერ შეედრება. ქართველმა მემარცხენეებმა ამ ქვეყნის სისტემა აიღეს მოდელად. მესამე კი თავად კონსტიტუციის ავტორების თეორიული ხედვებია – აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს რაჟდენ არსენიძეზე, რომელიც ჯერ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე, შემდეგ კი იუსტიციის მინისტრი იყო. მან მოამზადა კონსტიტუციის ყველაზე რთული თავების პროექტი, რომელიც პარლამენტსა და მთავრობას შეეხებოდა და კომენტარიც დაურთო მათ. პირველად მასთან ვხვდებით მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის მექანიზმის, როგორც საპარლამენტორესპუბლიკისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტის, უშუალო დემოკრატიის მოდელში ინტეგრირების იდეას. მაშინდელი თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით, ეს გარღვევა იყო და სრულიად ახალი პერსპექტივები გაუხსნა სახელმწიფო მოწყობის ამ ფორმას. ამ ხედვისთვის სათანადო კალაპოტის მიცემა და კონსტიტუციის ერთიან სტრუქტურაში ადეკვატურად მოთავსება ნოე ჟორდანიას დამსახურებაა – მან 1920 წლის 4 დეკემბრის გამოსვლით სრულიად შეცვალა დამფუძნებელი კრებისთვის წარდგენილი პროექტის (რომელიც პარლამენტარიზმის ლიბერალური კონცეფციისკენ იყო გადახრილი) ლოგიკა და ის უშუალო დემოკრატიის ჩარჩოებში დააბრუნა. ცხადია, ამ პროცესში არსებობდნენ სხვა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი კონტრიბუტორები, მათ შესახებ მკითხველი მეტს ქვემოთ გაიგებს.

რახან წინამდებარე კვლევას საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემის ავთენტური ინტერპრეტაცია დაუსახავს მთავარ მიზნად, აუცილებელია, ჯერ საფუძვლები მიმოვიხილოთ ანუ ის, რაზეც დაშენდა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.

II. რესპუბლიკური მოწყობის მარქსისტული ტიპოლოგია

კარლ მარქსისთვის რესპუბლიკური მოწყობა შესაძლებლობას იძლევა როგორც ბურჟუაზიულ, ისე სოციალურ მიზნებს მოემსახუროს. გასარკვევია, რა ტიპისაა ის დაწესებულებები, რომლებიც სახელმწიფოს ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ. მისი შემოთავაზებაა, რესპუბლიკური მოწყობის სახელმწიფოების დიფერენცირება დაეფუძნოს მათ ამოცანებს, ბურჟუაზიულია ისინი თუ სოციალური.² „ლუი ბონაპარტის თვრამეტ ბრიუმერში“ კარლ მარქსი კიდევ უფრო მკაფიოს ხდის ამ ტიპოლოგიას და გამოყოფს რესპუბლიკური მმართველობის სამ ფორმას: სოციალურს, დემოკრატიულს და პარლამენტარულს.³ ამათგან პირველი პროლეტარულია, მეორე წვრილ-ბურჟუაზიული, ხოლო მესამე ბურჟუაზიული⁴ (ამ ხედვას იმეორებენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც⁵ – მას მცირე მოდიფიცირებას უკეთებს რაჟდენ არსენიძე, რომელიც განასხვავებს რესპუბლიკის სამ ფორმას: არისტოკრატიულს, ბურჟუაზიულ-ლიბერალურსა და დემოკრატიულს⁶). ამ უკანასკნელის მაგალითად მას კონსტიტუციური ანუ პარლამენტარული რესპუბლიკა მიაჩნია, რომელმაც ბურჟუაზიის ბატონობა გახადა შესაძლებელი.⁷ დემოკრატიულ რესპუბლიკა კი, სადაც პროლეტარიატი და წვრილი ბურჟუაზია კოალიციაში, ერთგვარი კომპრომისული ვარიანტია, რომელიც პროლეტარიატის სოციალურ მოთხოვნებს რევოლუციურ სიმახვილეს ჩამოაცვილებს, დემოკრატიული მიმართულების სანაცვლოდ. ხოლო წვრილი ბურჟუაზიის დემოკრატიული მოთხოვნები მხოლოდ პოლიტიკური ფორმით აღარ იზღუდება და სოციალურ საკითხებსაც მოიცავს.⁸ კარლ კაუცკის შეგონებაც, რომ „პროლეტარიატს სჭირდება დემოკრატია“, ⁹ კარლ მარქსის ამ თეზისებიდან საზრდოობს. მმართველობის სწორედ ეს ფორმა

² მარქსი კ., კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 161-162.

³ მარქსი კ., თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 365.

⁴ მარქსი კ., თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 365.

⁵ ჟორდანია ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 72.

⁶ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 44.

⁷ მარქსი კ., თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 299.

⁸ მარქსი კ., თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 300-301.

⁹ კაუცკი კ., საქართველო. გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა. შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, 2018, 95.

აირჩიეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა. პავლე საყვარელიძე დემოკრატიულ რესპუბლიკას შესაბამის ფორმად მიიჩნევს მასში სოციალისტური საზოგადოების შინაარსის მოსათავსებლად,¹⁰ რადგან დემოკრატიული რესპუბლიკა (ამ შემთხვევაში იგივეა რაც უშუალო დემოკრატია) ყველაზე უკეთ გამოხატავს „ხალხის თვითმპყრობელობისა და ბატონობის“ პრინციპს.¹¹ დემოკრატიულ რესპუბლიკას იცავდა და საპარლამენტოს აკრიტიკებდა სოციალისტ-რევოლუციონერი ივანე ჩერქეზიშვილიც.¹² ქართველი სოციალისტების ამ არჩევანს *ნოე ჟორდანი*ა ვრცლად განმარტავს 1918 წლის აგვისტოში გაკეთებულ მოხსენებაში. ის კარლ კაუცკიზე დაყრდნობით ასაბუთებს „საზოგადოების სოციალურ ნიადაგზე“ თანდათანობითი გადასვლის სტრატეგიის უპირატესობას.¹³ ანალოგიური ამოცანა აქვს დასახული რაჟდენ არსენიძეს: მას სურს ამ ნაბიჯმა მომავალი სოციალისტური წყობილებისათვის ნიადაგი მოამზადოს,¹⁴ იგივე სურს აკაკი ჩხენკელსაც.¹⁵

*ნოე ჟორდანი*ას სწამს, რომ „სახელმწიფოს თავისთავად მიზანი არ აქვს, მას მიზანს აძლევს ის კლასები, რომელთაც ის ხელში უჭირავს“ და, რომ „ის მოქმედებს იმ კლასების სასარგებლოდ, რომელნიც არიან მისი ბატონ-პატრონი.“¹⁶ თუმცა ხანდახან ისე ხდება, რომ „სახელმწიფოს პატრონები“ და საზოგადოებრივი მოწყობა ერთმანეთს არ ემთხვევა. ასეთ დროს წარმოიშობა წინააღმდეგობა სახელმწიფოს მიერ დასახულ მიზანსა და მისი განხორციელების შესაძლებლობას შორის.¹⁷ საჭიროა ამ წინააღმდეგობისთვის თავის დაღწევა,¹⁸ რისი ერთადერთი გზა

¹⁰ საყვარელიძე პ., საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 327.

¹¹ დამფუძნებელი კრება (ნოემბრის 26-ის სხდომა), განხილვა საქართველოს კონსტიტუციის პროექტისა, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 2018, 580-581.

¹² საკონსტიტუციო კომისიის კრება, 11 ივნისი, 1918 წელი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 28.

¹³ *ჟორდანი ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 60.

¹⁴ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 17 დეკემბრის სხდომა, რ. არსენიძის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 632.

¹⁵ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 19 დეკემბრის სხდომა, ა. ჩხენკელის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 672-673.

¹⁶ *ჟორდანი ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 61.

¹⁷ *ჟორდანი ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 61.

¹⁸ *ჟორდანი ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის

ისტორიული შესაძლებლობის ფარგლებში მოქმედებაა.¹⁹ რაც შემდეგ პერსპექტივას იძლევა: აშენდეს ისეთი სახელმწიფო, „რომელიც რაც შეიძლება მეტს იმოქმედებს ნაკლების მქონე და არამქონე კლასების ინტერესებისათვის“.²⁰ ამ სტრატეგიაში პირველი ნაბიჯი დემოკრატიული წყობის დამკვიდრებაა, რომლის გარეშეც „სოციალიზმის სამეფოში“ შესვლა შეუძლებელია.²¹ კარლ კაუცკის სიტყვებით, დემოკრატიული რესპუბლიკის შეთავსება შესაძლებელია სოციალიზმთან.²² საბოლოო მიზანს კი, ცხადია, სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენს.²³

ნოე ჟორდანიას კარლ მარქსზე დაყრდნობით აკრიტიკებს საპარლამენტო რესპუბლიკას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მთელი ძალაუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) პარლამენტის ანუ ბურჟუაზიის ხელში თავმოყრა.²⁴ ამ აზრს იზიარებს პავლე საყვარელიძე.²⁵ ნოე ჟორდანიას მიაჩნია, რომ საპარლამენტო სისტემაში, ძალაუფლება გადადის რა ხალხიდან პარლამენტის ხელში, სახალხო სუვერენიტეტი იქცევა გაბატონებულ კლასთა სუვერენიტეტად.²⁶ მასში ძალაუფლების ამგვარი კონცენტრაცია გამორიცხავს სახელმწიფო მართვის საქმეში

კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 62.

¹⁹ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 61.

²⁰ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 62.

²¹ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 60-61.

²² ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 72.

²³ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 79.

²⁴ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 72-73. აქ მონიშნულ თემისებს ის 2 წლის მერე ლამის სიტყვა-სიტყვით იმეორებს დამფუძნებელი კრების პირველი დეკემბრის სხდომაზე, რომელსაც კონსტიტუციის თაობაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ფრაქციის სახელით მიმართავს. იხ. მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 602-605.

²⁵ საყვარელიძე პ., საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 114.

²⁶ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 80.

საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობას. ხალხს ერთმევა საკუთარი თავის მართვის შესაძლებლობა და ის ბურჟუაზიას გადაეცემა. მაშინ, როდესაც დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ერთი მხრივ, მრავალგვარი არჩევნების მეშვეობით, მეორე მხრივ, პირდაპირი დემოკრატიული მექანიზმების გამოყენებით, ის ჩართულია მართვის საქმეში, მესამე მხრივ კი, აკონტროლებს საპარლამენტო უმრავლესობის იურისდიქციის გარეთ მყოფ ორგანოებს.²⁷ ამ სამი მექანიზმის გამოყენებით, ხალხი ახერხებს, თქვას ბოლო სიტყვა პოლიტიკურ პროცესებში. ამგვარად *ნოე ჟორდანიას* დემოკრატიული რესპუბლიკა საპარლამენტოგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ პოლიტიკური მართვის ბერკეტები მარტოდენ საკანონმდებლო ორგანოს არ უპყრია ხელთ, არამედ მას ხალხთან ინაწილებს.²⁸ ამით მცირდება ბურჟუაზიის გავლენა მართვის საქმეში.²⁹ *ნოე ჟორდანიას* ამ ხედვასთან თანხმობაშია სოციალისტ-ფედერალისტი *სამსონ დადიანის* მოსაზრება, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს რა პარლამენტარიზმსა და დემოკრატიზმს, ამ უკანასკნელს ხალხოსნური ანუ უმეშვეო დემოკრატიის შედეგად მიიჩნევს.³⁰ ასე ნაბიჯ-ნაბიჯ და ლოგიკურად ყალიბდება ქართველ სოციალისტებში „უმეშვეო დემოკრატიის“, როგორც სახელმწიფო მოწყობის მემარცხენე გამოსავლის კონცეფცია.

III. სახელმწიფო მოწყობის სამი მოდელი

უმეშვეო დემოკრატიის მოდელის განმარტებამდე აუცილებელია XX საუკუნის დასაწყისში არსებული იმ თეორიის მიმოხილვა, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოში მიმდინარე დისკუსიას სახელმწიფო მოწყობის ფორმების შესახებ.

1919 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერილების სერიად ქვეყნდება გერმანელი პროფესორის *იულიუს ჰაჩეკის* წიგნის ერთი ნაწილის თარგმანი სახელწოდებით: „თანამედროვე დემოკრატიის უფლება“.³¹

²⁷ *ჟორდანიას ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 75.

²⁸ *ჟორდანიას ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 75.

²⁹ *ჟორდანიას ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 76.

³⁰ *დადიანი ს.*, ჩვენი კონსტიტუცია – განხილული ხალხოსნური სახელმწიფოს უფლების თვალსაზრისით, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 263.

³¹ *ჰაჩეკი ი.*, თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 4.

ამ ტექსტმა უდიდესი გავლენა მოახდინა კონსტიტუციის ავტორებზე. მას პირდაპირ ციტირებს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე და კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი *პავლე საყვარელიძე*,³² სხვაგან კი ხშირად იგრძნობა მისი გავლენა. სწორედ ამიტომ *იულიუს ჰაჩეკის* შეხედულებების შესწავლა წინამდებარე სტატიის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

იულიუს ჰაჩეკთან ზემოთ განხილული ტიპოლოგია, რესპუბლიკური მმართველობის ფორმების ზოგადი აღწერა კონკრეტულ სამართლებრივ ინსტიტუტებში იშლება. მდიდარ კომპატარივისტულ მასალაზე დაყრდნობით, ის სამი ტიპის რესპუბლიკას განასხვავებდა ერთმანეთისგან: 1. შვეიცარიული, უმეშვეო (უშუალო) დემოკრატია; 2. ფრანგული, პარლამენტარული დემოკრატია; 3. ამერიკული, დემოკრატია ხელისუფლების დანაწილებითურთ.³³ კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით *იულიუს ჰაჩეკი* აჩვენებს ერთგვარ საგზაო რუკას, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია, მკითხველი გაერკვეს კონკრეტული პოლიტიკური სისტემის რაობასა და მიკუთვნებულობაში.

უმეშვეო დემოკრატის იდეა *ჟან-ჟაკ რუსოს* საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიიდან იღებს საფუძველს. თავიდანვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ის გადაწვეტილების მიღების გზად, უშუალოდ ხალხის ჩართულობის მექანიზმების გარდა, წარმომადგენლობის იდეასაც აღიარებს. მეტიც, „უკვე *ჟან-ჟაკ რუსოს*თან საკანონმდებლო ხელისუფლება არის საერთო ნების ორგანო და თითქმის უთანასწორდება სუვერენს“.³⁴ თუმცა წარმომადგენელთა ძალაუფლების დასაბალანსებლად დამკვიდრებულია რეფერენდუმი³⁵ და სახალხო ინიციატივის უფლება.³⁶

უმეშვეო დემოკრატიაში პროპორციული საარჩევნო სისტემა ბატონობს. ასეთ სახელმწიფოში თუ მოქალაქეს არ აქვს შესაძლებლობა, თავად პირდაპირ მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკური ერთობის მართვაში, მასში ის ირიბად, საარჩევნო ხმის გამოყენების მეშვეობით მაინც უნდა იყოს ჩართული.³⁷ *იულიუს ჰაჩეკი* მიიჩნევს, რომ „მაჟორიტარიზმი საკანონმდებლო საქმიანობაში მხოლოდ საზოგადოების ნაწილს რთავს, მხოლოდ პროპორციული წარმომადგენლობა ქმნის საკანონმდებლო ხელისუფლებას შემცირებულ თემად“.³⁸ ამას უზრუნველყოფს თავად

³² *საყვარელიძე პ.*, საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 309.

³³ *ჰაჩეკი ი.*, თანამედროვე დემოკრატის უფლება, 2016, 16.

³⁴ *ჰაჩეკი ი.*, თანამედროვე დემოკრატის უფლება, 2016, 51.

³⁵ *ჰაჩეკი ი.*, თანამედროვე დემოკრატის უფლება, 2016, 29.

³⁶ *ჰაჩეკი ი.*, თანამედროვე დემოკრატის უფლება, 2016, 69.

³⁷ *ჰაჩეკი ი.*, თანამედროვე დემოკრატის უფლება, 2016, 137.

³⁸ *ჰაჩეკი ი.*, თანამედროვე დემოკრატის უფლება, 2016, 137.

პროპორციონალიზმის პრინციპი, რომლითაც საზოგადოების თითოეული ჯგუფი წარმოდგენილია „თავისი რიცხვითი ძალის მაგივრად“.³⁹

ჟან-ჟაკ რუსოს კონცეფცია წააგავს ხელისუფლების დანაწილებას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მისთვის იგი დაქვემდებარების შედეგია, სადაც აღმასრულებელი სუბორდინაციაშია ყოვლისშემძლე საკანონმდებლო ხელისუფლებასთან (რომელიც გამოხატავს „საერთო ნებას“ – *volonté générale*).⁴⁰ აქ დომინირებს ნდობა საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი და უნდობლობა აღმასრულებლისადმი.⁴¹ არსებობს უნიკამერალური⁴² საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც „ქმნის კანონებს, და იცავს მათ, ე.ი. აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობას ახორციელებს“.⁴³ აღმასრულებელი ხელისუფლება კოლეგიას ეკუთვნის (*pouvoir directorial*).⁴⁴ თუმცა „წმინდა ადმინისტრაციულ საქმეებს წყვეტენ კოლეგიის ცალკე წევრები და მათ ფორმალურად ამტკიცებს კოლეგია“.⁴⁵ ის პარლამენტის „მსახური აგენტია“⁴⁶. არ არსებობს მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რადგან ის მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს „გადაწყვეტილებათა გამოაშკარავება“⁴⁷ და არა პოლიტიკური აქტორი.

ეს სისტემა მოსამართლეთა დანიშნვას საკანონმდებლო ხელისუფლებას ანდობს.⁴⁸

პარლამენტარული დემოკრატიის კონცეფცია ლუსიენ-ანატოლ პრევო-პარადოლმა ჩამოყალიბა 1869 წელს.⁴⁹ ის აგებულია არა ხელისუფლების დანაწილებაზე, არამედ შერევაზე.⁵⁰ სახელმწიფოს მეთაურს, პრეზიდენტს წარმომადგენლობითი ორგანო ირჩევს.⁵¹ მას პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს (ეს ინსტიტუტი შეესაბამება რეფერენდუმს და აბალანსებს კანონმდებელთა ძალაუფლებას).⁵² კაბინეტის დამტკიცების და გადაყენების უფლებით საკანონმდებლო ორგანო (მისი უმრავლესობა⁵³)

³⁹ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 137.

⁴⁰ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 20.

⁴¹ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 49.

⁴² ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 29.

⁴³ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 27.

⁴⁴ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 28.

⁴⁵ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 85.

⁴⁶ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 51.

⁴⁷ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 89.

⁴⁸ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 100.

⁴⁹ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 20.

⁵⁰ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 22.

⁵¹ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 80.

⁵² ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 26.

⁵³ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 84.

სარგებლობს.⁵⁴ თუმცა მინისტრები პასუხისმგებელი არიან ამავედროულად პრეზიდენტის წინაშეც.⁵⁵

მოსამართლეთა კორპუსს აღმასრულებელი აკომპლექტებს.⁵⁶

დემოკრატია ხელისუფლების დანაწილებითურთ ეფუძნება შარლ ლუი მონტესკიეს მოძღვრებას.⁵⁷ ამ მოდელის მიხედვით, ხელისუფლების სამი შტოდან საკანონმდებლო ყველაზე მეტად არის მიდრეკილი ხელისუფლების უზურპაციისკენ.⁵⁸ პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი წესით,⁵⁹ რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ერთპიროვნულად მეთაურობს⁶⁰ (თუმცა საპატიო ადმინისტრაციულ საკითხებში სენატის თანხმობა სჭირდება⁶¹). ის ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს,⁶² რომლებიც მისი რწმუნებულები არიან⁶³ და არ ექვემდებარებიან ნდობა-უნდობლობის ვოტუმს.⁶⁴ სახელმწიფოს პირველ პირს არ აქვს საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნის უფლება, თუმცა ვეტოს უფლებითაა აღჭურვილი.⁶⁵ სწორედ ამ მიზეზით, აღნიშნულ სისტემაში რეფერენდუმი დაუშვებელია.⁶⁶ აქვე არსებობს კონსტიტუციური კონტროლი, როგორც რეფერენდუმისა და დათხოვნის ფუნქციური ანალოგი.⁶⁷

მოსამართლეები ხალხის მიერ აირჩევიან.⁶⁸

თანამედროვე ლიბერალურმა კონსტიტუციონალიზმმა მართვის პირველი მოდელი მეორესა და მესამეში გათქვიფა; ამგვარმა ასიმილაციამ ხელი შეუწყო მის პრაქტიკულ გაქრობას. არსებობს სამი განსხვავება ლიბერალურ და უმეშვეო დემოკრატიებს შორის.

უმეშვეო დემოკრატიის პირველი და უმთავრესი დებულება არის ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობა, რაც არსებითად გამოირიცხა ლიბერალურმა თეორიამ, რომელმაც ადამიანი და სახელმწიფო დაპირისპირებულ სუბიექტებად წარმოადგინა.

⁵⁴ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 25.

⁵⁵ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 88.

⁵⁶ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 100.

⁵⁷ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 17.

⁵⁸ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 18.

⁵⁹ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 80.

⁶⁰ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 78.

⁶¹ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 79.

⁶² ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 87.

⁶³ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 25.

⁶⁴ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 26.

⁶⁵ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 26.

⁶⁶ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 71.

⁶⁷ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 74.

⁶⁸ ჰაჩეკი ი., თანამედროვე დემოკრატიის უფლება, 2016, 100.

მეორე – ეს არის „ხელისუფლების გაყოფა“. უმეშვეო დემოკრატიაში აღმასრულებელი ორგანოები საკანონმდებლოსთან სუბორდინაციულ მიმართებაში არიან და არა ჰორიზონტალურში (კოორდინაცია), როგორც ეს, მაგალითად, შარლ ლუი მონტესკიეს ესმის ან „შერეული“, როგორც ლუსიენ-ანატოლ პრევო-პარადოლის მოდელში (აქ ხელისუფლების დანაწილება არ არსებობს, რის გამოც არსებობს პარლამენტის მიერ ხელისუფლების უზურპაციის რისკი).

მესამე თემისის მიხედვით, უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის ხალხს, სხვა სისტემებში კი – მის წარმომადგენლებს.

მესამეზე ბევრი ითქვა წინა თავში, ამიტომ ქვემოთ მხოლოდ პირველი და მეორე პოსტულატი იქნება მიმოხილული.

IV. სახელმწიფო და ხალხი

მოდერნული სახელმწიფოს ჩარჩოებში მოაზროვნე მკვლევარის ტიპური შეცდომა სახელმწიფოს და მოქალაქის ორ ურთიერთდაპირისპირებულ ცნებად წარმოდგენაა. თითქოს ანტაგონიზმი, რომელიც მათ შორის არსებობს, გადაულახავია. მაგრამ ეს წინააღმდეგობა არცთუ ძველია, მხოლოდ რამდენიმე საუკუნეს ითვლის და ის პაექრობაში ჯერ ჟან-ჟაკ რუსომ, შემდეგ კი კარლ მარქსმა გამოიწვია.

შვეიცარიელი დიპლომატი პაულ ვიდმერი ერთმანეთისგან განასხვავებს შვეიცარიელთა დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, თემისა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიმართ. „კონკრეტულ თემში ისინი თავს კანონმდებლებად და მთავრობებად აღიქვამენ“,⁶⁹ მაგრამ სახელმწიფოსთან მიმართებით „ითვლება, რომ მასთან მუდმივად ფხიზლად უნდა იყოს ადამიანი“.⁷⁰ როდესაც მოდერნულ სახელმწიფოში მოქალაქისა და სახელმწიფოს ხლეჩაზე, მათი ჰარმონიული ურთიერთმიმართებიდან მტრულ დაპირისპირებაზე იწყება საუბარი, შვეიცარიის მაგალითი ყურადღებას იმსახურებს. აქ შემონახულია მომენტი, სადაც იწყება სახელმწიფოს და მოქალაქის ერთიანობის უძველესი იდეის რღვევა, წერტილი, რომელსაც მთელი ცხოვრება ეძებდა ჟან-ჟაკ რუსო, როდესაც ისეთ საზოგადოებრივ წყობაზე ფიქრობდა, რომელსაც სახელმწიფო არ სჭირდება, მოქალაქეთა გაერთიანებაზე, სადაც ხელისუფლება და ინდივიდი ერთმანეთისგან არ დისტანცირდებოდა.⁷¹

ეს პრობლემა აწუხებს სახელმწიფო მოწყობის სოციალისტურ თეორიას, რაზეც საპარლამენტო სისტემას აკისრებს პასუხისმგებლობას. ის აძლიე-

⁶⁹ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 156.

⁷⁰ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 156.

⁷¹ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 156.

რებს რა ბურჟუაზიას როგორც პოლიტიკურად, ისე მატერიალურად,⁷² ბუნებრივად იწვევს მთავრობისა და ხალხის დაშორებას, სახელმწიფო ძალაუფლების ხალხის წინააღმდეგ მიმართვას.⁷³ ნოე ჟორდანია იშველიებს კარლ მარქსს და ამბობს, რომ „ასეთ პირობებში საერთო ინტერესი ეთიშება საზოგადოებას და უპირისპირდება მას, როგორც უმაღლესი საყოველთაო ინტერესი“.⁷⁴ გამოსავალს დემოკრატიული რესპუბლიკის⁷⁵ ფორმა იძლევა, აქ ძალაუფლება ხალხისგან არსებითად არსად არ მიდის; მას რჩება მნიშვნელოვანი ბერკეტები, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. უმეშვეო დემოკრატიის მექანიზმებისა და წარმომადგენლობითობის პრინციპის შერევაზე საუბრობს აკაკი ჩხენკელი საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე, როდესაც ამბობს, რომ, მართალია, თავდაპირველი მიზნის, ხალხის მიერ „ხელისუფლების განხორციელება აბსოლიტურად [sic]“, მიღწევა შეუძლებელი გამოდგა, მაგრამ შეთანხმდნენ შეზავებულ მოდელზე (შეზავებული მოდელი უნდა გავიგოთ როგორც პირდაპირი დემოკრატიისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის შერევა, რისი შედეგიც უშუალო დემოკრატიაა⁷⁶).⁷⁷ იმავე სხდომაზე სოციალ-დემოკრატი მუხრან ხოჭოლავა ამ არჩევანს „მმართველობის სინტეტიურ სისტემას“ უწოდებს.⁷⁸ აქ მთავრობა ვერ ახერხებს მართვის ბერკეტების კონსოლიდირებას, ამიტომ იძულებულია, სახალხო მთავრობად იქცეს.⁷⁹ ეს იწვევს პარლამენტის და ხალხის ერთიანობას, ხალხის სუვერენულ მმართველობას, ისე რომ „ძნელია

⁷² ჟორდანია ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 73.

⁷³ ჟორდანია ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 73.

⁷⁴ ჟორდანია ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 73.

⁷⁵ „დემოკრატიული რესპუბლიკა“ და „უმეშვეო დემოკრატია“, როგორც მმართველობის ფორმები, პირველი რესპუბლიკის დროინდელ დისკუსიებში სინონიმებია. ისინი წინამდებარე ნაშრომშიც სინონიმურად გამოიყენება.

⁷⁶ წინამდებარე ნაშრომში „პირდაპირ დემოკრატია“ და მისი მექანიზმები გამოყენებულია ხალხის მიერ საკუთარი თავის წარმომადგენლების გარეშე მართვის აღსაწერად, ხოლო „უმეშვეო (უშუალო) დემოკრატია“ მმართველობის ფორმაა, სადაც სისტემა ისეა აგებული, რომ წარმომადგენელსა და წარმომადგენილს შორის უშუალო ბუნებრივი კავშირი არ იკარგება.

⁷⁷ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1920 წლის 20 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 574.

⁷⁸ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1920 წლის 20 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 575.

⁷⁹ ჟორდანია ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 80.

მათ შორის დემარკაციონური ხაზის გავლება. ხალხი და მთავრობა – ეს მთლიანი ერთეულია. საერთო ნებით, მთლიანი მოქმედებით“.⁸⁰ აკაკი ჩხენკელი მიიჩნევდა, რომ მოდელში, რომელიც საფუძვლად დაედო 1921 წლის კონსტიტუციას, უმთავრესი მომენტი სახელმწიფოს უაღრეს სამეურნეო ორგანიზაციად გარდაქმნასთან ერთად იყო მართვა-გამგეობის სრული დემოკრატიზაცია, ე.ი. ხალხის სუვერენობის განმტკიცება ყოველ სფეროში, მისი ჩართვა მართვის საქმეში და, ამდენად, სახელისუფლებლო ორგანოებთან მისი შედუღება.⁸¹ სწორედ ამიტომ დამფუძნებელი კრების წინაშე კონსტიტუციის პროექტის წარდგენისას პავლე საყვარელიძე განაცხადებს: „დღევანდელ საქართველოს საფუძველი არის ხალხის მმართველობა, ხალხის თვითმპყრობლობა.“⁸²

ეს მოგვაგონებს არსებითად იმას, რასაც პაულ ვიდმერი შვეიცარიელ კონფედერანტთა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე საუბრისას ამბობს, კერძოდ, რომ განსხვავებით ნებისმიერი სხვა ორნაწილიანი საზოგადოებრივი ხელშეკრულებისგან (ერთი მხრივ, შეთანხმება პოლიტიკურ ერთობაში გაწვევრიანებაზე და, მეორე მხრივ, შეთანხმება ბატონობის შესახებ), ის ამ შეთანხმების დაცვას ბატონს კი არ აკისრებდა, არამედ ამას ერთობლივ ამოცანად აცხადებდა.⁸³ პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციური ლოგიკითაც, ხალხი თავად ახორციელებდა მართვას. ადამიანები აღჭურვილი იყვნენ მთელი რიგი მექანიზმებით, რომელთა მეშვეობითაც მოქალაქის და სახელმწიფოს გამიჯვნის ლიბერალური პარადიგმა მაქსიმალურად ვიწროვდებოდა. ამომრჩევლების მიმართ მაქსიმალური ანგარიშვალდებულებითა და პასუხისმგებლობით დატვირთული ორგანოების ძალაუფლება მინიმუმამდე მცირდებოდა, საზოგადოების განწყობა პოლიტიკურ პროცესებს განტოლავდა დაბოლოს, მის შუქზე მიღებული კანონები თავად ხალხის მიერ აღსრულდებოდა. ასე უპირისპირდებოდა უმეშვეო დემოკრატია იმას, რასაც პაულ ვიდმერი ხალხის მიერ „სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემპარავ პროცესს“ უწოდებს.⁸⁴ პირდაპირი დემოკრატია საპარლამენტოსგან განსხვავებით უფრო მძლავრად არის მიმართული საზოგადოებისკენ.⁸⁵

⁸⁰ ჟორდანია ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 76.

⁸¹ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 19 დეკემბრის სხდომა, ა. ჩხენკელის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 672-673.

⁸² დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1920 წლის 20 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 579.

⁸³ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 70.

⁸⁴ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 184.

⁸⁵ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 205.

რაჟდენ არსენიძე ამბობს, რომ არსებული სისტემა არ არის პირდაპირი დემოკრატია. მაგრამ უშლის თუ არა ხელს ეს იმას, რომ ის უშუალო დემოკრატიად იდენტიფიცირდეს? ამაზე პასუხს სხვა კითხვაზე პასუხი იძლევა, კერძოდ, ვის ეკუთვნის სუვერენიტეტი? აქ დიდი არჩევანი არ არსებობს, რადგან, ბოლოს და ბოლოს, „სუვერენიტეტი ან ხალხშია, ან მმართველ წრეში“⁸⁶. რაჟდენ არსენიძე ამ კითხვას არგუმენტებით პასუხობს და ამბობს, რომ ერის (ხალხის) უზენაესობის განხორციელების მექანიზმები ქართულ მოდელში იმაზე მეტად დემოკრატიულია, ვიდრე სხვაგან.⁸⁷ ამის დასადასტურებლად მას სამი ფაქტორი მოჰყავს: 1. აღმასრულებელი ხელისუფლების მოწყობა; 2. საკანონმდებლო ხელისუფლების ფართო მანდატი; 3. ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის.⁸⁸ საჭიროა თითოეული მათგანის უფრო წვრილად განხილვა.

V. აღმასრულებელი ხელისუფლების მოწყობა

1. ხელისუფლების დაყოფა (მთავრობის ადგილი)

საჭიროა ხელისუფლების დაყოფის კონცეფციისადმი უმეშვეო დემოკრატიის განწყობის გამოკვლევა. ის მოითხოვს ხალხის ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლობითი ორგანოს შეუზღუდავ ძალაუფლებას. ამის გამოა, რომ აქ შარლ-ლუი მონტესკიეს იდეა არ მუშაობს. პავლე საყვარელიძე ასე ხსნის ამ სისტემას: „მთავრობას და პარლამენტის ურთიერთობაში შეთანხმებისა და ხელისუფლების კოორდინაციის პრინციპს კი არ აქვს ადგილი [...] არამედ ბატონობის პრინციპი [მოქმედებს]. მთავრობა ემორჩილება ყველაფერში სუბორდინაციას, პარლამენტს.“⁸⁹ ასეთი სისტემის მაგალითად მას შვეიცარია მიაჩნდა.⁹⁰ სოციალისტ-ფედერალისტებიც ანალოგიურად ხედავდნენ ამ პრობლემას, სამსონ დადიანი დამფუძნებელი კრების წინაშე ამბობდა, რომ მისი პარტიისთვის მიუღებელი იყო ხელისუფლების აბსოლუტურად დანაწილება.⁹¹ მთელი კონსტიტუციური სისტემა ამ პრინციპით მოეწყო: სათავეში ხალხი იდგა

⁸⁶ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 17.

⁸⁷ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 17 დეკემბრის სხდომა, რ. არსენიძის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 638.

⁸⁸ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 17 დეკემბრის სხდომა, რ. არსენიძის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 638.

⁸⁹ საყვარელიძე პ., წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე, 313.

⁹⁰ საკონსტიტუციო კომისიის კრება, 11 ივნისი, 1918 წელი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 26.

⁹¹ დამფუძნებელი კრება, 8 დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 613.

და მას პარლამენტი მოსდევდა. პარლამენტის ძალაუფლების წინაშე მთავრობა იმდენად სუსტად გამოიყურებოდა, რომ ერთ-ერთ მკვლევარს საყვედურნარევი ტონით ათქმევინა: „კონსტიტუცია მმართველობის უჩვეულო სისტემის შექმნას გულისხმობდა – იგი არსებითად მხოლოდ – საკანონმდებლო და სასამართლო ორი შტოსგან შედგებოდა. არ იყო მძლავრი აღმასრულებელი შტო, მით უფრო, ისეთი, დანარჩენ ორს სტატუსით რომ გათანაბრებოდა, როგორც ზოგიერთ დემოკრატიულ ქვეყანაშია.“⁹² ან კიდევ:

პირველი ქართული კონსტიტუციით განსაზღვრული მმართველობის სისტემა იმ პერიოდისთვის პოპულარულ, ევროპული ტიპის საპარლამენტო სისტემათა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ, თუმცა მრავალი თავისებურების გათვალისწინებით. მაგალითად, ვერ ვიტყვით, რომ კონსტიტუციით თანაბრად იყო დაბალანსებული ხელისუფლების სამივე შტო, რადგან მის კონსტრუქციაში არ იყო ჩადებული პარლამენტზე აღმასრულებელი ხელისუფლების ან, *პირიქით*, პარლამენტის აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოქმედების სრულყოფილი მექანიზმები. მმართველობის სისტემის თავისებურებათა შორის, რაც განასხვავებდა მას იმ დროის სხვა საპარლამენტო სისტემებისაგან, შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე პრეზიდენტის (ან მონარქის, კონსტიტუციური მონარქიის შემთხვევაში) ნეიტრალური ინსტიტუტის არარსებობა; მთავრობის მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაწესება; მთავრობის მიერ კრიზისების დროს პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობის არარსებობა და ა.შ.⁹³

ყველა უკმაყოფილება ერთი კონცეპტუალური საკითხის გაცნობიერების შემდეგ ბათილდება. ეს უკავშირდება სახელმწიფო მოწყობის მარქსისტულ გაგებას, რომელიც უპირისპირდება საპარლამენტო მოდელს და რომელიც ჰგავს შვეიცარიულ სისტემას, რაც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ქართულ კონტექსტს მოარგეს, გააუმჯობესეს. ცხადია, რაც საპარლამენტო მოდელი არ არის, ვერც მის სისტემურ ჩარჩოებში მოთავსდება (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ავტორი 1921 წლის მოდელს სუპერსაპარლამენტო სისტემას უწოდებს⁹⁴). ეს გამოუსადეგარი საზომია, ის ვერ შეაფასებს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციას, მას უმეშვეო დემოკრატიის კონცეფციიდან უნდა შეხედოს მკითხველმა.

⁹² ლი ე., ექსპერიმენტი, საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921წწ., 2018, 252.

⁹³ პაპუაშვილი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, გამოცემიდან: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მე-2 გამოცემა, 2013, 20.

⁹⁴ გეგენავა დ., პაპაშვილი თ., ვარდოსანიძე ქ., გორაძე გ., ბრეგაძე რ., თევზაძე თ., ცანავა ლ., ჯავახიშვილი პ., მაჭარაძე მ., სიორიძე გ., ლოლაძე ბ., შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, 2019, 41.

2. აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა

კარლ მარქსი ნაშრომში „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ არ მალავს საკუთარ სიმპათიებს პარიზის კომუნის მიმართ, აღწერს რა კომუნარების განზრახვას, მოეწყოს ახალი რესპუბლიკა. ამ აღწერიდან ცხადი ხდება მისი კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების დანაწილების მონტესკიესეული იდეის მიმართ. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც კარლ მარქსი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართებას უთმობს ყურადღებას და არჩევანს ისეთი სტრუქტურის სასარგებლოდ აკეთებს, სადაც კანონმდებელი და აღმასრულებელი ერთია, სადაც არ არსებობს პარლამენტარული რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი მიმართებები ხელისუფლების პოლიტიკურ შტოებს შორის. „კომუნა უნდა ყოფილიყო არა პარლამენტური დაწესებულება, არამედ მომუშავე კორპორაცია, ერთსა და იმავე დროს კანონმდებელიცა და კანონების აღსრულებელიც“ – წერს ის.⁹⁵ კარლ მარქსი გულისხმობს კომუნის სპეციფიკურ მოწყობას, რომელიც მას საპარლამენტო სისტემისგან განასხვავებდა. კომუნამ თავისი შემადგენლობიდან გამოყოფა ათი კომისია.⁹⁶ თითოეულში 5-8 წევრი შედიოდა.⁹⁷ „იგი კომუნის ნამდვილ მთავრობას წარმოადგენდა.“⁹⁸ ნოე ჟორდანი კონსტიტუციაზე მსჯელობის დასაწყისში, ჯერ კიდევ 1918 წლის ივნისში ავითარებს იდეას, რომელიც ძალიან ახლოს დგას კომუნის მოწყობასთან. ის ფიქრობს, რომ პარლამენტი უნდა იყოს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების მატარებელი.⁹⁹

კარლ მარქსის მიერ „პარლამენტარულ დაწესებულებაში“ მოაზრებული სისტემის უკეთ გასაგებად საჭიროა, ითქვას ამ სისტემისთვის დამახასიათებელი მთავარი ნიუანსის შესახებ, რომელიც კაბინეტს პოლიტიკურ ერთეულად მოიაზრებს. ამის საპირისპიროდ არსებობს შეხედულება, რომ მთავრობა ტექნიკური აღსრულებელია საკანონმდებლო ორგანოს გადაწვეტილებებისა და მისი ცალკე კონსტიტუციურ ინსტიტუტად გამოყოფა სრულიად არ გულისხმობს მის პოლიტიკურ აქტურობას.

ნოე ჟორდანი უკვე მრავალჯერ ციტირებულ 1918 წლის მოხსენებაში მკვეთრ ზღვარს ავლებს ორი ტიპის მთავრობას შორის. მისი აზრით,

⁹⁵ მარქსი კ., სამოქალაქო ომის საფრანგეთში, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 599.

⁹⁶ მთვარელიძე დ., პარიზის კომუნა, მე-2 შესწორებული გამოცემა, 1931, 60.

⁹⁷ მთვარელიძე დ., პარიზის კომუნა, მე-2 შესწორებული გამოცემა, 1931, 60.

⁹⁸ მთვარელიძე დ., პარიზის კომუნა, მე-2 შესწორებული გამოცემა, 1931, 60.

⁹⁹ საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 22 ივნისის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 31.

რესპუბლიკური მოწყობის დემოკრატიული ფორმისთვის ნიშანდობლივია მთავრობის არაპოლიტიკური ხასიათი, რაც საპარლამენტო უმრავლესობისა და ბურჟუაზიის დასუსტებას ემსახურება.¹⁰⁰ პარლამენტარული კაბინეტი დამოკიდებულია უმრავლესობაზე, რომელიც გამუდმებით იცვლება¹⁰¹ და მხოლოდ მას ექვემდებარება. ამისგან განსხვავებით, დემოკრატიულ რესპუბლიკაში კაბინეტი არის „საქმიანი კოლეგია“.¹⁰² ის ემორჩილება არა მხოლოდ ხალხის წარმომადგენლების, არამედ თავად ხალხის გადაწყვეტილებებს და ეს მორჩილება უპირობოა.¹⁰³ იმავე პრინციპზე საუბრობს რაჟდენ არსენიძე კონსტიტუციის პროექტის განმარტებაში. ის ამბობს, რომ პროექტში მთავრობის პარლამენტისადმი მორჩილების (ანუ დავალების აღსრულების) პრინციპია გატარებული.¹⁰⁴ ნოე ჟორდანიას ამატებს, რომ მთავრობა ხალხის გარეშე ორგანიზაციულად ვერ მოეწყობა, მით უმეტეს ვერც ხალხის წინააღმდეგ ვერ იმოქმედებს.¹⁰⁵ სწორედ იმის გამო, რომ არსებობს ბმა ხალხსა და მთავრობას შორის. მთავრობას უმრავლესობა საკუთარი პოლიტიკური შეხედულების მიხედვით არ ითხოვს, არამედ მხოლოდ საქმიანი მოსაზრებებით.¹⁰⁶ ამ სისტემაში კაბინეტი არ იცვლება უმრავლესობის ცვლილებასთან ერთად.¹⁰⁷ ერთხელ არჩეული მინისტრი საკუთარ მოვალეობას ასრულებს მომდევნო პარლამენტის არჩევამდე.¹⁰⁸ ნოე ჟორდანიასთვის ისინი არ

¹⁰⁰ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 76.

¹⁰¹ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 76.

¹⁰² ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 76.

¹⁰³ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 76.

¹⁰⁴ აღმასრულებელი ხელისუფლება, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 849. სავარაუდოდ ეს დოკუმენტი სანიმუშო პროექტის განმარტებაა და ის რაჟდენ არსენიძეს ეკუთვნის.

¹⁰⁵ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 76.

¹⁰⁶ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 76.

¹⁰⁷ საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 22 ივნისის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 31.

¹⁰⁸ საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 22 ივნისის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 31.

წარმოადგენენ „არც მეთაურებს და არც პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ მოღვაწეებს“, არამედ მხოლოდ ადმინისტრატორებს.¹⁰⁹

ნოე ჟორდანიას პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობაზე უფრო ვრცლად წელიწად-ნახევრის შემდეგ, 1920 წლის დეკემბრის მოხსენებაშიც საუბრობს. აქ ის ავლებს განსხვავებას მთავრობის პოლიტიკური და საქმიანი წესით დაშლას შორის. მას მიაჩნია, რომ პარლამენტარიზმის მახასიათებელია ის, რომ მთავრობა გადადგება უმრავლესობის ნების თანახმად.¹¹⁰ რაჟდენ არსენიძეც, პროექტის კომენტარებში შემოთავაზებული სისტემის დახასიათებისას, მთავრობის პასუხისმგებლობას პარლამენტარიზმის თავისებურებად აფასებს და მიიჩნევს, რომ ამ ელემენტით განსხვავდება ის შვეიცარიული სისტემისგან.¹¹¹

მეორე საკითხი ნოე ჟორდანიასთვის მთავრობის გადადგომის პროცედურაა. პარლამენტარიზმი, მისი აზრით, უშვებს შესაძლებლობას, მთავრობა არასაკმარისი მიზეზით გადადგეს. „აქ შეიძლება, მაგალითად, პარლამენტს მოსწონდეს მთავრობის პოლიტიკის საერთო ხაზი, მაგრამ ამა თუ იმ საქმეში დაინახოს შეცდომა და როგორც იტყვიან, ფორმულაში უსაყვედუროს მთავრობას და მთავრობა იძულებულია გადადგეს.“¹¹² პავლე საყვარელიძეც პარლამენტარიზმის საპირისპიროდ შვეიცარიაზე საუბრისას ამბობს, რომ აქ მთავრობა არ გადადგება კანონპროექტის ჩავარდნის გამო.¹¹³ ნოე ჟორდანიას მიაჩნია, რომ არც მთავრობა და არც ცალკეული მინისტრი არ უნდა გადადგეს, თუ მის ცალკეულ ქმედებას იწუნებს პარლამენტი; გადადგომა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ ამის შესახებ თავად უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება.¹¹⁴

პარლამენტარიზმისა და დემოკრატიული რესპუბლიკის განსხვავებისას ნოე ჟორდანიასთვის გადამწყვეტია, რა მიმართებაშია ერთმანეთთან

¹⁰⁹ საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 22 ივნისის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 31.

¹¹⁰ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 606.

¹¹¹ აღმასრულებელი ხელისუფლება, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 849.

¹¹² მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 606.

¹¹³ საყვარელიძე პ., საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 314.

¹¹⁴ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 606.

სამი საკითხი:¹¹⁵ 1) საერთო პოლიტიკური ხაზი, 2) კერძო პრაქტიკული კითხვები და 3) მთავრობის კრიზისი.

მისი აზრით, თუ დემოკრატიულ რესპუბლიკაში საერთო პოლიტიკურ დღის წესრიგზე თანხმობა არსებობს, კონკრეტულ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა კრიზისებს ვერ გამოიწვევს.¹¹⁶ ამას ე.წ. „მორჩილების პრინციპი“ უზრუნველყოფს, რომლის მიხედვითაც, მთავრობა ვალდებულია, დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და ადასრულოს ის, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მას.¹¹⁷ მაშინ, როცა პარლამენტარიზმში ასეთი წინააღმდეგობის დროს იგი ვალდებულია, გადადგეს, რაც კრიზისს იწვევს.¹¹⁸ ნოე ჟორდანიას ასკვნის, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა გამორიცხავს „კრიზისების პრინციპს“.¹¹⁹ სოციალ-დემოკრატი ალექსანდრე მდივანიც იზიარებს აზრს, რომ უშუალო დემოკრატიის მთავრობას არ აქვს პოლიტიკური როლი, ხოლო, როცა აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მთავრობა ადასრულებს პარლამენტის ნებას.¹²⁰ მაგრამ რა მოხდება, თუ მთავრობა არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას? პასუხი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა.¹²¹ ამგვარ სისტემას ხელისუფლების დანაწილებას არ უწოდებენ, არამედ „ხელისუფლების სუბორდინაციას“.¹²² სისტემის სათავეში დგას ხალხი, რომელიც პარლამენტის და სხვა ინსტიტუტების მეშვეობით იმორჩილებს მთელ სახელმწიფო აპარატს.

ნოე ჟორდანიას დემოკრატიული რეჟიმის მახასიათებელ ნიშნებად მოხელეებისგან შემდგარ მთავრობას და მინისტრთა უცვლელობას

¹¹⁵ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 606.

¹¹⁶ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 606.

¹¹⁷ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 606-607.

¹¹⁸ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 607.

¹¹⁹ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 607.

¹²⁰ მდივანი ა., მთავრობა და მისი პასუხისმგებლობა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 294.

¹²¹ ჟორდანიას ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენჭოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 83-86.

¹²² საყვარელიძე პ., წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე, 126.

გამოყოფს.¹²³ ამ უკანასკნელის მაგალითი შვეიცარიაა, სადაც ფედერალური საბჭოს წევრების უნდობლობით გადაყენება დაუშვებელია.¹²⁴ შვეიცარიაზე საუბრობს პავლე საყვარელიძეც, რომელიც წერს, რომ აქ „მთავრობა არ არის პოლიტიკურად პასუხისმგებელი [...] ვადის გასვლამდე მთავრობის თუ მისი წევრის გადაყენების უფლება [პარლამენტს] არ აქვს“.¹²⁵ ამის მიზეზი ის არის, რომ მთავრობა ანუ ფედერალური საბჭო ადმინისტრაციული ორგანოა.¹²⁶ ამასვე ადასტურებს პაულ ვიდმერი, რომელიც წერს: შვეიცარიის მთავრობა უბრალოდ ადმინისტრაციაა.¹²⁷ უშუალო დემოკრატიაში ხალხი მართავს, ხოლო მთავრობა დროებითი მრჩეველებისგან შედგება. მაგრამ ნოე ჟორდანიას მიაჩნია, რომ წმინდა შვეიცარიული სისტემა საქართველოს არ გამოადგება და, რომ მოხელეებისგან შემდგარი მთავრობის ნაცვლად, საჭიროა პოლიტიკური მთავრობა.¹²⁸ ამის მიზეზად ის განსაკუთრებულ საგარეო-პოლიტიკურ გამოწვევებს ასახელებს.¹²⁹ აკაკი ჩხენკელიც არსებითად ეთანხმება ამ ხედვას.¹³⁰ თუმცა, რაც ნოე ჟორდანიას აზრით, საქართველომ უნდა გაიზიაროს, მთავრობის თავმჯდომარის შვეიცარიული გამოცდილებაა. მთავრობას უნდა ჰყავდეს თავმჯდომარე, რომელიც მინისტრების მიერ ვალდებულებების შესრულებას მეთვალყურეობს.¹³¹ აქედან მას გამოჰყავს აზრი, რომელსაც სთავაზობს დამფუძნებელ კრებას. იდეის თანახმად, მთავრობის თავმჯდომარე უნდა აირჩიონ განსაზღვრული ვადით, რომლის განმავლობაშიც მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ დაიშვება.¹³² „შეიძლება მინისტრები შეიცვალონ, ან ყველა წავიდენ, მაგრამ ერთი პირი, რომელსაც ექნება ფუნქცია

¹²³ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 608.

¹²⁴ ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 160-161.

¹²⁵ საყვარელიძე პ., წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე, 124.

¹²⁶ საყვარელიძე პ., წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე, 124.

¹²⁷ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 232.

¹²⁸ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 609.

¹²⁹ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 609.

¹³⁰ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 19 დეკემბრის სხდომა, ა. ჩხენკელის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 662.

¹³¹ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 608.

¹³² მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 608.

პრეზიდენტისა, სახელმწიფო წარმომადგენლობისა თავის ადგილზე უნდა იყოს.¹³³ ამას იზიარებს აკაკი ჩხენკელიც, თუმცა ამბობს, რომ პროექტი უკვე გულისხმობს პასუხისმგებელიან მთავრობას და უპასუხისმგებლო მთავრობის თავმჯდომარეს.¹³⁴ ამ ხედვისგან განსხვავებული მოწესრიგებაა გათვალისწინებული საკონსტიტუციო კომისიის მიერ დამფუძნებელი კრებისთვის 1920 წლის მაისში წარდგენილ პროექტში, სადაც მთავრობა (პრემიერის ჩათვლით) კოლეგიურად ექვემდებარება პოლიტიკურ უნდობლობას¹³⁵, მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის ვადა კი განსაზღვრული არ არის¹³⁶.

საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი მიიჩნევს, რომ კონსტიტუცია ითვალისწინებდა მთავრობის თავმჯდომარის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას,¹³⁷ მაგრამ, გარდა ზემოაღნიშნული განმარტებებისა, თავად კონსტიტუციის ტექსტიდანაც იკითხება, რომ *ნოე ჟორდანიას* ხედვა, საბოლოოდ, აისახა უზენაეს კანონში, რომლის მიხედვითაც, პარლამენტს მთავრობის თავმჯდომარის გადაყენების უფლება არ აქვს,¹³⁸ განსხვავებით ცალკეული მინისტრების მიმართ უნდობლობის პროცედურისგან, რა დროსაც ისინი სავალდებულო

¹³³ მთავრობის თავმჯდომარე *ნ. ჟორდანიას* სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 608-609.

¹³⁴ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 19 დეკემბრის სხდომა, *ა. ჩხენკელის* სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 670.

¹³⁵ საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, 1920 წლის მაისი, 83-ე მუხლი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 442.

¹³⁶ საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, 1920 წლის მაისი, 76-ე მუხლი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 440.

¹³⁷ პაპუაშვილი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, გამოცემიდან: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მე-2 გამოცემა, 2013, 26.

¹³⁸ ამას ავლენს კონსტიტუციის სისტემური ანალიზი. მეხუთე თავი (აღმასრულებელი ხელისუფლება) თანმიმდევრობით ჩამოთვლის მთავრობის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მთავრობისა და მინისტრების მარეგულირებელ ნორმებს. 70-ე მუხლი მთავრობის თავმჯდომარეს ეხება და იქ არაფერია ნათქვამი მისი გადაყენების მექანიზმზე. 71-ე მუხლი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ეხება და მხოლოდ იმას ამბობს, რომ ეს პირი მთავრობის თავმჯდომარეს ანაცვლებს. 72-ე მუხლი მთავრობის უფლება-მოვალეობებს ჩამოთვლის. 73-ე მუხლის პირველი აბზაცი მინისტრებს ეხება. აქ წერია, რომ: „თვითოეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას.“ გამოდის, მთავრობის თავმჯდომარეს ეს დებულება არ ეხება, რადგან მას არცერთი უწყება არ აქვს მინდობილი. 73-ე მუხლის მეორე აბზაცში ნახსენები სიტყვა „პასუხისმგებლობაც“, რომელიც პარლამენტის და მთავრობის თავმჯდომარის მიმართებას აღწერს, არ უნდა გულისხმობდეს პოლიტიკური უნდობლობის შესაძლებლობას და უფრო მეტად მორჩილების პრინციპზე მიუთითებს, რაც სამართლებრივი პასუხისმგებლობას მოიაზრებს.

წესით ტოვებენ თანამდებობას.¹³⁹ ამგვარად, *ჟორდანიასეული* ხედვა გაითვალისწინა დამფუძნებელმა კრებამ და მინისტრთა პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპი შემოიტანა უშუალო დემოკრატიაში. ამ მოდელის მიხედვით, მთავრობის თავმჯდომარის მიმართება პარლამენტთან „მორჩილების პრინციპს“ ეფუძნებოდა. ის ვალდებული იყო, შეესრულებინა პარლამენტის ყველა დადგენილება,¹⁴⁰ მიუხედავად იმისა, ეთანხმებოდა თუ არა. უთანხმოება კი ავტომატურად ვერ გამოიწვევდა მის გადადგომას. როგორც ჩანს, კონსტიტუციის მიღებამდე, რეალურადაც ასე იყო. როგორც თავად *ნოე ჟორდანია* ამბობს: „ხშირად მთავრობა და მე თქვენი მორჩილი მონა არა ვართ თანახმა თქვენი დადგენილებისა, მაგრამ ჩვენ მას ვასრულებთ“¹⁴¹ (როგორც ეს, *პავლე საყვარელიძის* თქმით, შვეიცარიაში¹⁴²). საინტერესო ისაა, რომ მთავრობის თავმჯდომარეს საკუთარი ვალდებულება, პარლამენტის მოთხოვნისთანავე გამოცვალოს მინისტრი (მინისტრის ინდივიდუალური პოლიტიკური პასუხისმგებლობა), გამოჰყავს მორჩილების პრინციპიდან ანუ დემოკრატიზმიდან. ამ ხედვას იზიარებს *რაჟდენ არსენიძეც*, მთავრობის თავმჯდომარის არჩევა მისთვის პარლამენტის მიერ პოლიტიკური მიმართულების მიცემას ნიშნავს: „მთავრობის თავმჯდომარე უნდა იყოს მორჩილი პარლამენტის ყოველი გადაწყვეტილებისა. სამინისტროები რჩება აღმასრულებლად ამ ხაზისა და მის ასრულებაში აძევთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა. [...] ყოველივე გადახვევა ამ პოლიტიკიდან, აუსრულებლობა ამ პოლიტიკურ ხაზისა იწვევს პასუხისმგებლობას.“¹⁴³ ეს ფაქტი ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს. ფორმალურად, პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტარიზმის მექანიზმია, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის სისტემაში მისი მოთავსება არსებითად გარდაქმნის მას და პირველად ფესვებს წყვეტს. პარლამენტარიზმში პოლიტიკური პასუხისმგებლობა პოლიტიკურ ძალას სძენს მთავრობას; მას უთანხმოების მიზეზით გადადგომის პრივილეგია აქვს, ამით შეუძლია კრიზისი წარმოქმნას, ხოლო კრიზისის შანტაჟით პარლამენტზე ზემოქმედება მოახდინოს; ქართულ მოდელში კი ეს იარაღი ჩამორთმეული აქვს.

¹³⁹ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, 73-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადება, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [15.7.2021].

¹⁴⁰ მთავრობის თავმჯდომარე *ნ. ჟორდანიას* სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 609.

¹⁴¹ მთავრობის თავმჯდომარე *ნ. ჟორდანიას* სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 607.

¹⁴² *საყვარელიძე პ.*, წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე, 125.

¹⁴³ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 17 დეკემბრის სხდომა, *რ. არსენიძის* სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 644.

დაზუსტებით ძნელია თქვა, მმართველმა პარტიამ როდის გადაწყვიტა ინდივიდუალურ პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე თანხმობა განეცხადებინა. შესაძლოა, მმართველობის სისტემის ეს მოდიფიცირება რაჟდენ არსენიძის ძველი იდეების გავლენით გაიზიარეს სოციალ-დემოკრატებმა. ის ჯერ კიდევ 1917 წელს წერდა, რომ საჭიროა პარლამენტის წიაღიდან არჩეული და მის წინაშე პასუხისმგებელი სამინისტრო, რადგან ასეთ პირობებში, ორივე, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლების მატარებელი ხდება პარლამენტი და მისი მეშვეობით – ხალხი.¹⁴⁴ ამდენად, პარლამენტარიზმის ეს ინსტიტუტი (პოლიტიკური პასუხისმგებლობა) ექცევა რა უმეშვეო დემოკრატიის სისტემაში, ერწყმის მას და მისი ბუნებრივი ნაწილი ხდება, წარმოიქმნება არა შერეული სისტემა, რომელიც ნაწილობრივ პარლამენტარიზმია და ნაწილობრივ უმეშვეო დემოკრატია, არამედ სრული დემოკრატიზმია, რომელსაც ეს დამატება კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის, მეტად უქვემდებარებს ხალხის პოლიტიკურ ნებას მთავრობას და ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ვადიანი მთავრობის პირობებში, გამოუსადეგარი მინისტრის ვადის ამოწურვამდე, იძულებით თმენაში უნდა გამოხატულიყო. სავარაუდოდ, ეს გახდა სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე უარის თქმის საფუძველი და არა ბიკამერალიზმის ან სახელმწიფოს მეთაურის არარსებობა, როგორც ამას მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს.¹⁴⁵

თუმცა საჭიროა ამ საკითხის კიდევ ერთხელ და დეტალური განხილვა. აღსანიშნავია, რომ *ნოე ჟორდანიას* ეს მიდგომა უპირისპირდება მის თავდაპირველ ხედვას, რომლითაც, პოლიტიკური პასუხისმგებლობა სწორედაც რომ პრემიერზე უნდა გავრცელებულიყო (საშინაო და საგარეო მინისტრებთან ერთად).¹⁴⁶ *ნოე ჟორდანიამ* იდეას წარმოადგენდა როგორც გარდამავალ საფეხურს.¹⁴⁷ როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდის შემდეგ *ნოე ჟორდანიამ* მიდგომა შეცვალა და დემოკრატიის პრინციპისკენ მეტად გადაიხარა. ყოველ შემთხვევაში, 1920 წლის დეკემბრის გამოსვლაში ის აშკარად უკმაყოფილოა შემოთავაზებული პროექტით (რომელიც

¹⁴⁴ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 59.

¹⁴⁵ პაპუაშვილი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, გამოცემიდან: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მე-2 გამოცემა, 2013, 27; აგრეთვე იხ. გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაშვილი მ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, 2016, 40.

¹⁴⁶ საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 22 ივნისის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 31.

¹⁴⁷ ჟორდანია ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 85.

ითვალისწინებდა კოლექტიურ პასუხისმგებლობას და პრემიერის უნდობლობას¹⁴⁸). ის აცნობიერებს, რომ მისი თანამებრძოლები პარლამენტარიზმის მიმართულებით მოძრაობენ და ცდილობს მათ ძველ რელსებზე დაბრუნებას. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პროექტში ამ ხედვის პრინციპები გატარებულია, შედეგები გარანტირებული არ არის და თანამებრძოლებს პარლამენტარიზმისკენ გადადგმული ნაბიჯებისთვის საყვედურობს,¹⁴⁹ რასაც მოსდევს საშინელი წინასწარმეტყველება: „თუ ამ კონსტიტუციას ჩვენ ავაგებთ ისე, როგორც ამაში სწერია, ის ერთ თვეში ან თვითონ დაირღვევა, ან სახელმწიფოს დაარღვევს.“¹⁵⁰ ამდენად, კითხვის ნიშანი უნდა დაესვას *ნოე ჟორდანიას* ამ გამოსვლის იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელიც დეკემბრის მიმართვას დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპიდან საპარლამენტოსკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს.¹⁵¹ საქმე სწორედ რომ პირიქით არის.

საინტერესოა, რომ სოციალისტ-ფედერალისტი *სამსონ დადიანი* ეწინააღმდეგებოდა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და სოლიდარულს მოითხოვდა,¹⁵² რაც, თავდაპირველად, ასეც გადაწყდა. ამ საკითხზე დისკუსია 1920 წლის 21 აპრილს გაიმართა კომისიაში, სადაც მთავრობის შესახებ *რაჟდენ არსენიძის* მიერ მომზადებულ თავზე იმსჯელეს, რომელშიც სოლიდარული პასუხისმგებლობის იდეა იყო განვითარებული.¹⁵³ *სერგი ჯაფარიძე* იცავდა უპასუხისმგებლო მთავრობის მოდელს, თუმცა მისი ეს იდეა არ გავიდა.¹⁵⁴ დისკუსიის ბოლოს შენარჩუნდა სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი. *რაჟდენ არსენიძე* პროექტის განმარტებისთვის დაწერილ დოკუმენტში (სავარაუდოდ, ისაა ამ ტექსტის ავტორი) გაამხელს საკონსტიტუციო კომისიის განზრახვას, „კაბინეტის ბედილბალი დაემორჩილებია პარლამენტის უმრავლესობის

¹⁴⁸ საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, 1920 წლის მაისი, 83-ე მუხლი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 442.

¹⁴⁹ მთავრობის თავმჯდომარე *ნ. ჟორდანიას* სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 605.

¹⁵⁰ მთავრობის თავმჯდომარე *ნ. ჟორდანიას* სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 605.

¹⁵¹ *ქანთარია ბ.*, დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, 2012, 144.

¹⁵² დამფუძნებელი კრება, 8 დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 615-616.

¹⁵³ აღმასრულებელი ხელისუფლება, სანიმუშო პროექტი *რაჟდენ არსენიძის*, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 848.

¹⁵⁴ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1920 წლის 21 აპრილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 381.

ვოტუმისათვის,¹⁵⁵ რაც გულისხმობდა სანქციას კოლექტიური პასუხისმგებლობის სახით.¹⁵⁶

აკაკი ჩხენკელი, დამფუძნებელი კრებისადმი თავის მიმართვაში, ამ საკითხზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მთავრობის ვალდებულებაზე, გადადგეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მის კოლექტიურ პასუხისმგებლობას პარლამენტი დააყენებს.¹⁵⁷ მისი აზრით, ეს მორჩილების პრინციპის გავლენაა.¹⁵⁸ ხოლო როგორც პროექტის კომენტარშია აღნიშნული, სოლიდარული კაბინეტი პარლამენტარული კაბინეტია¹⁵⁹, რომელიც უპირისპირდება აღმასრულებელი ძალის ორგანიზების უშუალო დემოკრატიის მოდელს. „უშუალო დემოკრატია მიიღტვის იქითკენ, რომ მთავრობის სათავეში დააყენოს აღმასრულებელი კოლეგია მოხელეთა.“¹⁶⁰ საბოლოოდ, რაჟდენ არსენიძე ასკვნის, რომ პროექტით შემოთავაზებულია შერეული ტიპის შვეიცარულ-ფრანგული სისტემა, სადაც ერთმანეთს ერწყმის პარლამენტარიზმი და უშუალო დემოკრატია.¹⁶¹

კომისიის თავმჯდომარეს პავლე საყვარელიძეს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ორი პრინციპის შერევა ქვეყანას მისცემს საუკეთესო მმართველობის ფორმას,¹⁶² მაგრამ სისტემას საპარლამენტო სისტემისკენ გადახრის. პავლე საყვარელიძე საკუთარ მოსაზრებებს 1920 წელს ავითარებს გამოქვეყნებული პროექტის გარშემო, სადაც იცავს მთავრობის კოლექტიური პასუხისმგებლობის საჭიროებას, რაც პროექტშია მითითებული¹⁶³ (თუმცა, როგორც უკვე ითქვა, საბოლოოდ კონსტიტუციაში არ ასახულა¹⁶⁴). მას მიაჩნია, რომ საქართველოს,

¹⁵⁵ აღმასრულებელი ხელისუფლება, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 864.

¹⁵⁶ აღმასრულებელი ხელისუფლება, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 864.

¹⁵⁷ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 19 დეკემბრის სხდომა, ა. ჩხენკელის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 662.

¹⁵⁸ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 19 დეკემბრის სხდომა, ა. ჩხენკელის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 662.

¹⁵⁹ აღმასრულებელი ხელისუფლება, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 860.

¹⁶⁰ აღმასრულებელი ხელისუფლება, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 849.

¹⁶¹ აღმასრულებელი ხელისუფლება, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 849.

¹⁶² საყვარელიძე პ., საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 318.

¹⁶³ საყვარელიძე პ., საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 314.

¹⁶⁴ საყვარელიძის თქმით: „ჩვენი კონსტიტუციით მთავრობა კოლექტიურად პასუხისმგებელი უნდა იყოს პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისთვის [...] როგორც ამბობს კონსტიტუციის პროექტი“, (საყვარელიძე პ., საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან იმ დრომდე, პარლამენტარული მთავრობა ყავდა,¹⁶⁵ მაგრამ დაბალანსებული „საკონსტიტუციო პროექტით განზრახული რეფერენდუმ ინიციატივით, თავმჯდომარის ყოველწლიური არჩევით, მთავრობის თავმჯდომარის იმავე დროს მთელი რესპუბლიკის წარმომადგენლის როლის მინიჭებით, ერთი და იმავე პირის მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე ზედიზედ აურჩევლობით და სხვ“.¹⁶⁶ თუმცა საქმე ის არის, რომ კოლეგიური პასუხისმგებლობის პრინციპი პირველ რესპუბლიკაში არასდროს ყოფილა, ეს ჩანს *ნოე ჟორდანიას* ზემოთ მოყვანილი გამოსვლიდან. საბოლოოდ, როგორც ჩანს, საყვარელიძემ *ნოე ჟორდანიას* და *რაჟდენ არსენიძეს* თეორიაში ფეხი ვერ აუწყო. თეორიული შეუთავსებლობა რომ არსებობდა, ამას ამტკიცებს, მაღევე, 1921 წლის დასაწყისში, *პავლე საყვარელიძის* მიერ პარტიის დატოვება და „დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია – სხივის“ შექმნა.¹⁶⁷

კრიტიკულად უნდა განვიხილოთ რამდენიმე თანამედროვე ავტორის მოსაზრებაც: მათი შეფასებით, პირველი რესპუბლიკის დამფუძნებლები „პარლამენტარიზმის გზას დაადგინენ“.¹⁶⁸ ისინი მიიჩნევენ, რომ „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მოწყობა ეფუძნებოდა [...] პარლამენტარიზმს – პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და პარლამენტის უზენაესობის იდეას“.¹⁶⁹ გვხვდება უფრო თამამი კვალიფიკაციაც: „საქართველო ამ პერიოდში იყო საპარლამენტო რესპუბლიკა“¹⁷⁰, მაგრამ ეს შეფასება პარლამენტარიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნების ზედაპირული მიმოხილვის შემდეგ, რამდენიმე სტრიქონშივე კარგავს უწინდელ თავდაჯერებულობას და 1921 წლის კონსტიტუციურ მოდელს საპარლამენტო მართვის კონსტრუქციასთან „გარკვეულწილად დაახლოებულს“ უწოდებს.¹⁷¹ ამგვარი შეხედულება მართებულია, როდესაც პარლამენტის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობის

ქრონიკები, 2016, 316) თუმცა საბოლოოდ კონსტიტუციაში საერთო პოლიტიკისთვის კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი არ ასახულა.

¹⁶⁵ *საყვარელიძე პ.*, საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 316.

¹⁶⁶ *საყვარელიძე პ.*, საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 315.

¹⁶⁷ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დებუტატთა ბიოგრაფიების კრებული, <<http://firstrepublic.ge/ka/biography/174>>, [1.7.2021].

¹⁶⁸ *გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაშვილი ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ.*, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, 2016, 39.

¹⁶⁹ *გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაშვილი ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ.*, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, 2016, 41.

¹⁷⁰ *ქანთარია ბ.*, დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, 2012, 10.

¹⁷¹ *ქანთარია ბ.*, დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, 2012, 10.

პრინციპი პარლამენტარიზმის მთავარ მახასიათებლად ისახება,¹⁷² მაგრამ მცდარია, როდესაც უმეშვეო დემოკრატიის მოდელში მის ინტეგრირებას საპარლამენტო რესპუბლიკისკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს. ის ანგარიშს არ უწევს იმ გაუმჯობესებას, უმეშვეო დემოკრატიის თეორიაში გადადგმულ იმ ნაბიჯს, რაც მინისტრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დანერგვამ მოიტანა.

სოციალ-დემოკრატების მიერ „პასუხისმგებლიანი მთავრობის“ შემოტანა (მინისტრთა – გარდა მთავრობის თავმჯდომარისა – ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დანერგვის სახით) კომპრომისი კი არ იყო, არამედ პირიქით, უშუალო დემოკრატიის გაძლიერება, მთავრობის პარლამენტზე დაქვემდებარების თვალსაზრისით. უმეშვეო დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანია მთავრობის ფუნქციები, მისი „საქმიანი“ ბუნებაა და არა ის, იქნება თუ არა ის პასუხისმგებელი პოლიტიკურად.

3. კოლეგიური მმართველობა

სუბორდინაციის (ბატონობის) გარდა უშუალო დემოკრატიას კიდევ ერთი პრინციპი ახასიათებს. ეს ხელისუფლების გაზიარებაა (power sharing), რომელსაც პაულ ვიდმერი ხელისუფლების დანაწილების საპირწონედ გვთავაზობს.¹⁷³ აქ გადაწყვეტილების მიღება კოლეგიურად ხდება, შესაბამისად, შეცდომაც გადაზღვეულია და პასუხისმგებლობაც განაწილებული. საკონსტიტუციო კომისიის მოწვეული წევრი კონსტანტინე მიქელაძე მიიჩნევდა, რომ კოლეგიალურობა აღმასრულებელი ხელისუფლების დამახასიათებელი თვისებაა მმართველობის იმგვარ სისტემებში „სადაც ხალხს აქვს პირდაპირი უშუალო გავლენა სახელმწიფოს უფლებაშემოქმედებაზე, მართვა-გამგეობაზე“.¹⁷⁴

როდესაც უმეშვეო დემოკრატიის სასარგებლოდ აკეთებდნენ არჩევანს, ეს ფაქტორი კონსტიტუციის ავტორებს სრულიად ჰქონდათ გაცნობიერებული. ამაზე საუბრობს საკონსტიტუციო კომისიის ორი აქტიური წევრი, რაჟდენ არსენიძე („ჩვენი კონსტიტუცია არ ქმნის პიროვნულ ორგანიზაციას, არამედ მხოლოდ კოლეგიურ ორგანიზაციას“¹⁷⁵) და კონსტანტინე ჯაფარიძე („დემოკრატიზმი მოითხოვს კოლეგიალურ მართვა-გამგეობას. ეს სისტემა

¹⁷² გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაშვილი ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, 2016, 39.

¹⁷³ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 353.

¹⁷⁴ მიქელაძე კ., დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 44.

¹⁷⁵ ქანთარია ბ., დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, 2012, 62.

ჩვენმა სამი წლის პრაქტიკამ გაამართლა და იგი უნდა დარჩეს¹⁷⁶). რაჟდენ არსენიძე დამფუძნებელ კრებას როცა მიმართავდა, ხაზს უსვამდა იმას, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ნიშან-თვისება აღმასრულებელი ხელისუფლების კოლეგიალობაა.¹⁷⁷ შვეიცარიაში ამგვარმა მიდგომამ გამოიწვია ის, რასაც *პაულ ვიდმერი იურგენ ჰაბერმასზე* დაყრდნობით, დეციზიონისტური (გადამწყვეტი) დემოკრატიის დელიბერაციულ (სათათბირო) დემოკრატიად გარდაქმნას უწოდებს.¹⁷⁸

4. პრეზიდენტის უარყოფა

პირველი რესპუბლიკის დაწესებულებებში კონსტიტუციის შესახებ დისკუსიებს წრფივ ხაზად გასდევს სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობის რაიმენაირი გამოვლინების ლამის ინსტიტუტურ უარყოფამდე მისული ნეგატიური დამოკიდებულება. სოციალ-დემოკრატები, როცა კი ამის საშუალება მიეცემათ, დაუბარლად აკრიტიკებენ პრეზიდენტის თანამდებობას (მონარქია არ იყო აქტუალური). ეს განწყობა სათავეს კარლ მარქსიდან იღებს. ტექსტში „კლასთა ბრძოლაში საფრანგეთში“ კარლ მარქსი უპირისპირდება პრეზიდენტის ინსტიტუტს, ის წინააღმდეგობრივს უწოდებს ერთდროულად ორი სუვერენის, პრეზიდენტისა და ეროვნული კრების არსებობას.¹⁷⁹ ხოლო, „თვრამეტ ბრიუმერში“ კარლ მარქსი წერს, რომ კონსტიტუცია აუქმებს საკუთარ თავს, როდესაც შემოაქვს პირდაპირ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც პირად ურთიერთობაშია ერთან,¹⁸⁰ რის შედეგადაც „ეროვნული კრების პირისპირ პრეზიდენტი ერთგვარი ღვთაებრივი უფლებით არის მოსილი“.¹⁸¹ „მუდმივი, არაპასუხისმგებლიანი, მემკვიდრეობითი სამეფო ხელისუფლების წარმავალი, პასუხისმგებლიანი და არჩევითი ხელისუფლებით – ოთხწლიანი პრეზიდენტობით – შეცვლას“ ის დიქტატურის დაკანონებად მიიჩნევდა.¹⁸²

¹⁷⁶ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 15 დეკემბრის სხდომა, კ. ჯაფარიძის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 624.

¹⁷⁷ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 17 დეკემბრის სხდომა, რ. არსენიძის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 641.

¹⁷⁸ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 262.

¹⁷⁹ მარქსი კ., კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, კრებულში: *მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები*, I ტომი, 1963, 177.

¹⁸⁰ მარქსი კ., კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, კრებულში: *მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები*, I ტომი, 1963, 184-185.

¹⁸¹ მარქსი კ., კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, კრებულში: *მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები*, I ტომი, 1963, 185.

¹⁸² მარქსი კ., კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, კრებულში: *მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები*, I ტომი, 1963, 175.

პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხი საკონსტიტუციო კომისიაში თავიდანვე აქტუალური იყო. 1918 წლის 14 ივნისს განიხილეს აღმასრულებელი ხელისუფლების თემა და, ცხადია, პირველი, რაზეც იმსჯელეს, პრეზიდენტის ინსტიტუტი იყო, რომელსაც უმთავრესად ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ლობირებდა გიორგი გვაზავას მეშვეობით. თუმცა ეს წინადადება უარყვეს,¹⁸³ ისევე როგორც მისი მომდევნო ინიციატივა მთავრობის თავმჯდომარის ხალხის მიერ არჩევის შესახებ.¹⁸⁴ აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი პროექტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო არა მთავრობის, არამედ „საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარის“ თანამდებობა, მაგრამ კომისიამ ესეც უარყო.¹⁸⁵ ლეო ნათაძეს ჰქონდა იდეა, რომლის მიხედვითაც, მთავრობის თავმჯდომარე პარლამენტის თავმჯდომარეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ კომისიამ, როგორც ჩანს, ესეც არ მოიწონა.¹⁸⁶ პრეზიდენტის პოსტის წინააღმდეგია ნოე ჟორდანიაც, იგი დეკემბრის მიმართვაში ხაზგასმით ამბობს, რომ საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტის პოსტს არ გაითვალისწინებს.¹⁸⁷

ამ ინსტიტუტს ეწინააღმდეგობდნენ სოციალისტ-ფედერალისტებიც, სამსონ დადიანი დამფუძნებელი კრების სხდომაზე კონსტიტუციის განხილვისას ასეთი სიტყვით გამოვიდა: „ჩვენი ფრაქციისათვის მიუღებელია პრეზიდენტი და ის უფლებები, რომელსაც მას ანიჭებენ. პრეზიდენტი თავისი უფლებებით იგივე მეფეა.“¹⁸⁸ რაჟდენ არსენიძე მოითხოვდა რესპუბლიკას უპრეზიდენტოდ, მას „არჩეულ მეფეს“ უწოდებდა¹⁸⁹ და გამოსავლად შვეიცარიულ მოდელს სახავდა.¹⁹⁰

კარლ მარქსი იყო პირველი ბურჯი, რასაც სოციალ-დემოკრატების პრეზიდენტისადმი პროტესტი ეფუძნებოდა, მეორე კი შვეიცარიული გამოცდილება გახლდათ. პრეზიდენტის ნაწილში კონსტიტუციის ავტორებს

¹⁸³ საკონსტიტუციო კომისია, ოთხშაბათი, 1919 წლის 14 ივნისი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 87-88.

¹⁸⁴ საკონსტიტუციო კომისია, ოთხშაბათი, 1919 წლის 14 ივნისი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 88.

¹⁸⁵ საკონსტიტუციო კომისია, ოთხშაბათი, 1919 წლის 14 ივნისი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 88.

¹⁸⁶ საკონსტიტუციო კომისია, ოთხშაბათი, 1919 წლის 14 ივნისი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 88.

¹⁸⁷ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 609, 212.

¹⁸⁸ დამფუძნებელი კრება, 8 დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 613.

¹⁸⁹ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 49.

¹⁹⁰ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 51.

ამ ქვეყნის მიდგომის ასახვა სურდათ.¹⁹¹ *პაულ ვიდმერი* შვეიცარიულ მოდელს იმით ხსნის, რომ ამ ხალხს არ სურდა, ყოლოდა სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური, რადგან „არავის, გარდა ხალხისა, არ უნდა ენიჭებოდეს, გადამწყვეტი სიტყვის უფლება“.¹⁹² *ალექსანდრე მდივანი* მიიჩნევდა, რომ ამის მიზეზი მათი შიშია, ერთი პირის ხელში მოაქციონ მთელი ძალაუფლება, რის გამოც კოლეგიური ორგანო, ფედერაციული საბჭო შექმნეს.¹⁹³

ერიკ ლი პრეზიდენტის პოსტის გაუზიარებლობას ორი არგუმენტით ხსნის:¹⁹⁴ 1. ცარიზმთან დაპირისპირების ინერცია (მას ეთანხმება *გიორგი პაპუაშვილი*;¹⁹⁵ პრეზიდენტის მონარქად გარდაქმნის შიშზე საუბრობს ავტორთა ჯგუფიც¹⁹⁶); 2. პარტიის შიგნით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ლიდერობის კულტურა, რაც კოლეგიური მართვის წესებს უკავშირდება. *გიორგი პაპუაშვილი* ამასაც ეთანხმება¹⁹⁷ და იქვე ამ არგუმენტებს კიდევ ერთს, *ნოე ჟორდანიას* ქარიზმის ნაკლებობას ამატებს. ის ამბობს, „გაითვალისწინა რა პარტიაში არსებული უარყოფითი დამოკიდებულება ამ ინსტიტუტისადმი, თვითონ [*ნოე ჟორდანია*] წავიდა საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღების წინააღმდეგ, რაც, საბოლოო ჯამში, საპრეზიდენტო ინსტიტუტის არშემოღების გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა“.¹⁹⁸ ისე ჩანს, თითქოს *ნოე ჟორდანიას* სურდა სახელმწიფოს მეთაურის პოსტის არსებობა და პარტიის წარმომადგენლების წინააღმდეგობის შემდეგ დაიხია უკან, მაშინ, როდესაც არც ერთი დოკუმენტი არ ადასტურებს (არც ამ მოსაზრების ავტორს აქვს რაიმე წყარო დამოწმებული), რომ *ნოე ჟორდანია* ამ ინსტიტუტის არსებობას ემხრობა. რაც შეეხება პირველ ორ არგუმენტს, ისინი ფაკულტატურია; მთავარი ის არის, რომ უმეშვეო დემოკრატია ვერ ჰგუობს პრეზიდენტის ინსტიტუტს.

¹⁹¹ *ქანთარია ბ.*, დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, 2012, 85.

¹⁹² *ვიდმერი პ.*, შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 158-159.

¹⁹³ *მდივანი ა.*, მთავრობა და მისი პასუხისმგებლობა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 295.

¹⁹⁴ *ლი ე.*, ექსპერიმენტი, საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921წწ., 2018, 254.

¹⁹⁵ *პაპუაშვილი გ.*, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, გამოცემიდან: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მე-2 გამოცემა, 2013, 24.

¹⁹⁶ *გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაშვილი მ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ.*, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, 2016, 37.

¹⁹⁷ *პაპუაშვილი გ.*, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, გამოცემიდან: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მე-2 გამოცემა, 2013, 24.

¹⁹⁸ *პაპუაშვილი გ.*, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, გამოცემიდან: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მე-2 გამოცემა, 2013, 24.

სოციალისტ-ფედერალისტებიც ეწინააღმდეგებოდნენ ამას, მაგრამ ისინი არც სოციალ-დემოკრატების მიერ წარმოდგენილ მოდელს ეთანხმებოდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ მთავრობის თავმჯდომარის პროექტით განსაზღვრული სტატუსი ფაქტობრივად პრეზიდენტისას უთანაბრებოდა, უბრალოდ სახელს იყენებდა სხვას (მთავრობის თავმჯდომარეს). ეს არგუმენტი ლეო შენგელიამ გააჟღერა დამფუძნებელ კრებაზე.¹⁹⁹ უნდა შემოწმდეს, რამდენად საფუძვლიანი იყო მათი ეს პოზიცია.

5. მთავრობის თავმჯდომარე და კაბინეტი

პრეზიდენტის ინსტიტუტის უარყოფის შემდეგ დღის წესრიგში დადგა მთავრობის თავმჯდომარის საკითხი. თავდაპირველად განიხილებოდა ვერსია, რომლის მიხედვითაც, ის ერთჯერადად ერთი წლით უნდა არჩეულიყო. ამ პრინციპს პავლე საყვარელიძე ლობირებდა.²⁰⁰ თუმცა როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 1920 წლის მაისის პროექტში ვადა საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. შემდგომი საკონსტიტუციო განხილვებისას 18 ივნისის სხდომაზე კომისიამ მხარი დაუჭირა რაჟდენ არსენიძის იდეას მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიური არჩევის შესახებ (ორჯერ არჩევის ლიმიტით).²⁰¹ ამავე პრინციპს იცავს ვიქტორ თევზაია დამფუძნებელ კრებაზე. თავის გამოსვლაში ის მიემხრო ორი ვადით არჩეული მთავრობის თავმჯდომარეს, რასაც სახელმწიფოს სამეურნეო საქმიანობაზე ზედამხედველობით ამართლებდა.²⁰² საბოლოოდ, კონსტიტუციამ რაჟდენ არსენიძის შესწორება გაითვალისწინა და მთავრობის თავმჯდომარეს ერთი წლით არჩევის უფლება მიენიჭა ვადის კიდევ ერთხელ განახლების პრივილეგიით.

სამაგიეროდ, კომისიამ არ გაითვალისწინა რაჟდენ არსენიძის მეორე შესწორება, რომელიც მან 1920 წლის 21 აპრილის სხდომაზე წარადგინა. წინადადების მიხედვით, ფრაზა „არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი“, რომელიც მთავრობის თავმჯდომარეს მიემართებოდა, უნდა შეცვლილიყო სიტყვებით „არის პირველი თანასწორთა შორის“.²⁰³ ეს იდეა, სავარაუდოდ, შთაგონებული

¹⁹⁹ დამფუძნებელი კრება, ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 677.

²⁰⁰ საყვარელიძე პ., საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 310.

²⁰¹ საკონსტიტუციო კომისია, 18/VI – ოთხშაბათი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 100.

²⁰² დამფუძნებელი კრება, 14 დეკემბრის სხდომა, კონსტიტუციის განხილვა, ვ. თევზაიას სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 621.

²⁰³ საკონსტიტუციო კომისია, ოთხშაბათი, 28 მაისი, 77; დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1920 წლის 21 აპრილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 379–380.

იყო შვეიცარიული სისტემით. საბოლოოდ და სამწუხაროდ, კონსტიტუციაში ოდნავ მოდიფიცირებული ვერსია აისახა და მთავრობის თავმჯდომარეს მიენიჭა რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა.²⁰⁴ *ლეო შენგელიას* ზემოაღნიშნული კრიტიკის საფუძველს სწორედ ეს ნაწილი აძლევდა.²⁰⁵ მისი ეს არგუმენტი *ვიქტორ თევზაიამ* უარყო. ის ჯერ დაუპირისპირდა არა მარტო პრეზიდენტის ინსტიტუტს, არამედ მთლიანად სისტემას, შემდეგ კი განაცხადა: „ჩვენ მხოლოდ გვსურს, რომ მთავრობის ადგილი არ იყოს ცალიერი და ამიტომ მთავრობის თავმჯდომარეს ვანიჭებთ ისეთ უფლებებს, რომელიც ამ სიცალიერიდან უზრუნველყოფს სახელმწიფოს.“²⁰⁶ მისი აზრით, სწორედ ამიტომ იყო, რომ მთავრობის თავმჯდომარეს შვეიცარიის ფედერალური საბჭოს თავმჯდომარეზე უფრო მეტი „მნიშვნელობა და ძალაუფლება“ ენიჭებოდა.²⁰⁷

ამ დისკუსიაში ერთი ფაქტორია მნიშვნელოვანი: სოციალისტ-ფედერალისტების კრიტიკის ობიექტი მთავრობის თავმჯდომარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ფუნქციებია, მაგრამ *ლეო შენგელიას* კრიტიკა არასწორ დაშვებას ეყრდნობა. შვეიცარიის ფედერალური პრეზიდენტის ფუნქციები მოიცავს კონფედერაციის წარმოდგენას ქვეყნის შიგნით და გარეთ.²⁰⁸ ეს არ არის ის ასპექტი, სადაც ქართული მოდელი შვეიცარიულს სცდება. სოციალ-დემოკრატების პროექტში პრემიერს მთავრობის წევრების დანიშვნის ფუნქცია აძლიერებს და სწორედ ამაზე საუბრობენ *ვიქტორ თევზაიაც* და *ალექსანდრე მდივანიც*. დანარჩენ ნაწილში მთავრობის თავმჯდომარის და მთავრობის დანარჩენ წევრთა უფლებამოსილებები იდენტურია (უბრალოდ იურისდიქცია აქვთ განსხვავებული), – როგორც ამას *რაჟდენ არსენიძე* წერს.²⁰⁹ მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენციაში არ შედიოდა „არც მოხელეების დანიშვნა, არც საერთაშორისო ხელშეკრულების დადება, არც პარლამენტის დათხოვა და მოწვევა, არც სახელმწიფოს ადმინისტრაციის უმაღლესი გამგეობა [...] თავმჯდომარეს შეუძლიან მხოლოდ სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკების გამართვა“.²¹⁰

²⁰⁴ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, 70-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადება, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [15.7.2021].

²⁰⁵ დამფუძნებელი კრება, ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 677.

²⁰⁶ დამფუძნებელი კრება, 8 დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 615-616.

²⁰⁷ *მდივანი ა.*, მთავრობა და მისი პასუხისმგებლობა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 296.

²⁰⁸ *ჭაფელიანი უ., ჰალერი ვ., კელერი ჰ., ტურნჰერი დ.*, შვეიცარიის ფედერალური სახელმწიფო სამართალი, სრულიად გადამუშავებული და გაფართოებული მე-9 გამოცემა, 2019, 574.

²⁰⁹ აღმასრულებელი ხელისუფლება, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 854-855.

²¹⁰ აღმასრულებელი ხელისუფლება, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 855-856.

როდესაც საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა დაიწყო, მთავრობის დაკომპლექტების რამდენიმე ვერსია განიხილებოდა. *ნოე ჟორდანიას* ჰქონდა იდეა, მინისტრები დაენიშნა პარლამენტს (და არა პრემიერს) როგორც მოხელენი, პოლიტიკური პასუხისმგებლობის გარეშე.²¹¹ ეს შვეიცარიულ მოდელს ჰგავდა, სადაც ასამბლეა ირჩევს ფედერალური საბჭოს წევრებს.²¹² *რაჟდენ არსენიძე* კომისიას სთავაზობდა, კაბინეტი ერთიანად წარდგენოდა პარლამენტს, მაგრამ მან მხარდაჭერა ვერ მოიპოვა²¹³ (ის ამ იდეის მომხრე ადრიდანვე იყო²¹⁴). კომისია მსჯელობდა მინისტრთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრაზეც, მაგრამ ეს ვერსიაც ჩავარდა.²¹⁵ საბოლოო ჯამში, გადაწყდა ის პრინციპი დაეტოვებინათ, რაც იქამდე მოქმედებდა ქვეყანაში: წარმომადგენლობითი ორგანო ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარეს და ის ადგენდა კაბინეტს.²¹⁶ ამას აკრიტიკებს სოციალისტ-რევოლუციონერი *სამსონ დადიანი* და მას „სამსართულიანი“ არჩევნების წესს უწოდებს, რა დროსაც „მინისტრები შორს არიან ხალხისგან“.²¹⁷ სოციალ-დემოკრატები ამ არგუმენტს მინისტრთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობით პასუხობდნენ.

VI. პარლამენტი

1. კომპეტენცია და ვადა

„სუვერენობა ეკუთვნის ხალხს: პარლამენტი ამ კონსტიტუციით დადებულ ფარგლებში ახორციელებს ხალხის სუვერენობას.“²¹⁸ – ეს სიტყვები ეწერა *რაჟდენ არსენიძის* მიერ მომზადებულ სანიმუშო პროექტში. საბოლოოდ კონსტიტუციაში ისინი შემდეგნაირად აისახა: „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს

²¹¹ საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 22 ივნისის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 31.

²¹² *ჰალერი ვ.*, შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 157.

²¹³ საკონსტიტუციო კომისია, ოთხშაბათი, 1919 წლის 14 ივნისი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 87-88.

²¹⁴ *არსენიძე რ.*, დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 59.

²¹⁵ საკონსტიტუციო კომისია, ოთხშაბათი, 1919 წლის 14 ივნისი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 87.

²¹⁶ მთავრობის თავმჯდომარე *ნ. ჟორდანიას* სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 608; აღმასრულებელი ხელისუფლება, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 849-850.

²¹⁷ *დადიანი ს.*, ჩვენი კონსტიტუცია – განხილული ხალხოსნური სახელმწიფოს უფლების თვალსაზრისით, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 269.

²¹⁸ აღმასრულებელი ხელისუფლება, სანიმუშო პროექტი *რაჟდენ არსენიძის*, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 803.

ერის ხელმწიფებას.²¹⁹ პარლამენტის ფაქტობრივად განუსაზღვრელი უფლებამოსილებები აჩვენებს იმას, რომ უზენაესი კანონის არქიტექტორები ხელმძღვანელობდნენ პრინციპით, რომლის მიხედვითაც უმეშვეო დემოკრატია მოითხოვს არამხოლოდ ხალხის უშუალო მონაწილეობას გადაწვეტილების მიღების პროცესში, არამედ პარლამენტის ფართო უფლებამოსილებებსაც.²²⁰ რაჟდენ არსენიძე იმისთვისაც იბრძოდა, რომ საბჭოს უფლებამოსილებები კონსტიტუციაში არ ჩაწერილიყო, რადგან ისედაც ყველა უფლებამოსილება მას ეკუთვნის, გარდა იმისა, რასაც გადასცემს მთავრობას.²²¹ საბოლოოდ, ეს ასე არ მოხდა და დოკუმენტში მაინც არის ჩამოთვლილი პარლამენტის კომპეტენციები, მაგრამ ეს ნორმა იმდენად ზოგადია, რომ საკანონმდებლო ორგანოს ფაქტობრივად ყოველსომცველი მანდატით აღჭურავს.²²² პარლამენტის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარეობს აღმასრულებელი ვეტოს უარყოფაც.²²³

საკანონმდებლო ორგანოს სამწლიანი, მოკლე ვადაც პარლამენტის ამომრჩევლის განწყობასთან დაახლოების მოტივით ჩაიწერა უზენაეს კანონში. თუმცა, თავდაპირველად, მიიჩნევდნენ, რომ წარმომადგენლებს თანამდებობა უფრო მოკლე ვადით უნდა დაეკავებინათ. რაჟდენ არსენიძე სანიმუშო პროექტის კომენტარებისას წერს, რომ „ამით წარმომადგენლობითი ორგანო უფრო სწორი გამომხატველი გახდება ერის. ამისთვის მისი ნამუშევარი დაუახლოვდება პირდაპირ დემოკრატიის რეალურ შედეგებს“.²²⁴ მაგრამ ის აღიარებს, რომ წარმომადგენლობით დემოკრატიას რეპრეზენტაციის პრობლემები მაინც აქვს. მისთვის ამ პრობლემის აღმოფხვრის მექანიზმი ხალხის კონტროლია, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს ვადაში გამოიხატება. რაჟდენ არსენიძის აზრით, ეს ვადა ორი წელი უნდა იყოს.²²⁵ თავდაპირველად, რაჟდენ არსენიძის მიერ შედგენილი ვერსიით ასეც იყო.²²⁶ სპირიდონ კედია და

²¹⁹ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 52, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [15.7.2021].

²²⁰ ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 155.

²²¹ საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 3 აგვისტოს სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, 56.

²²² საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 54, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [15.7.2021].

²²³ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 15 დეკემბრის სხდომა, კ. ჯაფარიძის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 624.

²²⁴ პარლამენტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 808. სავარაუდოდ ეს დოკუმენტი სანიმუშო პროექტის განმარტებაა და ის რაჟდენ არსენიძეს ეკუთვნის.

²²⁵ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 53.

²²⁶ საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 28 თებერვალი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, 209.

სერგი ჯაფარიძე სამ წელს ანიჭებდნენ უპირატესობას, გიორგი ნანეიშვილი საერთოდაც ვადის შემცირების მომხრე იყო.²²⁷ შემდეგ სანიმუშო პროექტში ორწლიანი ვადა განსაზღვრული.²²⁸ კომისიამ ეს საკითხი კიდევ ერთხელ 1919 წლის 4 ივლისს განიხილა და იქვე გადაწყვიტა, რომ საკანონმდებლო ამ ვადით არჩეულიყო.²²⁹

ეს საკითხი რამდენიმე თვის შემდეგ კომისიის 1920 წლის 14 აპრილის სხდომაზე სერგი ჯაფარიძემ ხელახლა დააყენა. ის მიიჩნევდა, რომ ვადა მოკლე იყო, პარლამენტი ვერ მოასწრებდა შეპირებული პოლიტიკის გატარებას, ხოლო ხალხს ხშირი არჩევნები გადალღიდა; ანგარიშგასაწევი იყო ხარჯებიც.²³⁰ თუმცა ეს საკითხი აღარ განხილულა კვორუმის არარსებობის გამო. საბოლოოდ, პარლამენტის ვადის სამ წლამდე გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მომდევნო სხდომაზე მიიღეს.²³¹ ეს უშუალო დემოკრატიის თავლსაზრისით აშკარა უკანდახევა იყო.

2. ბიკამერალიზმი და დათხოვნა

შემდეგი სადავო საკითხი პარლამენტის სტრუქტურას უკავშირდებოდა. ერთპალატიანი, ხალხის მიერ დემოკრატიული წესით არჩეული პარლამენტი სოციალ-დემოკრატების იდეალი იყო.²³² რაჟდენ არსენიძის უნიკამერალური საკანონმდებლო ორგანოა მისაღები. მას ზედა პალატა არადემოკრატიულად, ბურჟუაზიის ინტერესების წარმომადგენლად მიაჩნია, უმთავრესად, მისი არჩევის ორსაფეხურიანი სისტემის გამო.²³³ პავლე საყვარელიძეც ამ პოზიციას იცავდა და მაგალითად მოჰყავდა შვეიცარიული კანტონები, სადაც საკანონმდებლო ორგანო ჩვეულებრივ ერთპალატიანია.²³⁴ სერგი ჯაფარიძემ ზედა პალატას რეაქციონერული მოვლენაც კი უწოდა,²³⁵ ხოლო რაჟდენ არსენიძე ამაში

²²⁷ საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 28 თებერვალი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, 210-211.

²²⁸ პარლამენტი, სანიმუშო პროექტი რაჟდენ არსენიძის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, 226.

²²⁹ საკონსტიტუციო კომისია, ოთხშაბათი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 79-80.

²³⁰ დამუშავებული კრების საკონსტიტუციო კომისია, 1920 წლის 14 აპრილი, სხდომის ჟურნალი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 369-370.

²³¹ დამუშავებული კრების საკონსტიტუციო კომისია, 1920 წლის 17 აპრილი, სხდომის ჟურნალი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 370.

²³² საკონსტიტუციო კომისიის კრება, 11 ივნისი, 1918 წელი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 29.

²³³ სხდომის ჟურნალი 2/IV-19, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 47.

²³⁴ საყვარელიძე პ., წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე, 127.

²³⁵ საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 28 თებერვალი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 212.

ერობების გაპოლიტიკურების შესაძლებლობას ხედავდა და, ამდენად, ეწინააღმდეგებოდა მას.²³⁶ ეროვნულ-დემოკრატი სპირიდონ კეღია კი მომხრე იყო ორპალატიანი სისტემის.²³⁷

კიდევ ერთი საკითხი პარლამენტის დათხოვნაა. კონსტიტუციის ავტორები მთელი პროცესის განმავლობაში გამორიცხავდნენ ამ ინსტიტუტის კონსტიტუციაში შეტანას და საბოლოოდ ასეც დარჩა. პარლამენტის დათხოვნის მექანიზმი არ არსებობდა. მიზეზი ის იყო, რომ ამის დაშვებანიშნავდა მასზე „მაღალი ორგანოს ხელისუფლების დაწესებას. ეს კი ზღუდავს პარლამენტის სუვერენობას.“²³⁸ რაჟდენ არსენიძე წერდა, რომ ერთადერთი მექანიზმი პარლამენტის სახლში გაშვებისა, ხალხის მიერ რეფერენდუმზე ამ გადაწყვეტილების მიღებაა.²³⁹ ხალხს როგორც ხელისუფლების წყაროს პარლამენტის გამოცვლა შეეძლო, როგორც რეგულარული ისე რიგგარეშე არჩევნების მეშვეობით.²⁴⁰ ეს მონაკვეთი გარკვეულ ბუნდოვანებას წარმოშობს. ამის შესახებ არც ერთ პროექტში და არც თავად კონსტიტუციაში არაფერი წერია, მაგრამ, როგორც ჩანს, რაჟდენ არსენიძე ამგვარი რეფერენდუმის შესაძლებლობას, კონსტიტუციის ტექსტის განმარტების შემდეგ, უშვებდა და მნიშვნელოვან მექანიზმადაც მიიჩნევდა.²⁴¹ ამ კუთხით, ქართველი სოციალ-დემოკრატები შთაგონებულები იყვნენ რამდენიმე კანტონის მაგალითით.²⁴² შვეიცარიაში ეს ინსტრუმენტი დღემდეა შემორჩენილი, მაგრამ „მიუხედავად ამისა, ამას იშვიათად აქვს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა“.²⁴³

3. საარჩევნო სისტემა

კარლ მარქსი არჩევნებს ხედავს როგორც საზოგადოების განსხვავებული ინტერესების საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენის მექანიზმს,

²³⁶ საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 28 თებერვალი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, 210-213.

²³⁷ საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 28 თებერვალი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, 214.

²³⁸ პარლამენტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 823.

²³⁹ პარლამენტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 824.

²⁴⁰ პარლამენტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 824.

²⁴¹ პარლამენტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 824.

²⁴² საყვარელიძე პ., საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 310.

²⁴³ ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 127.

ამ ამოცანას კი ყველაზე ზუსტად პროპორციული სისტემა ასრულებს. ის მიიჩნევს, რომ არჩევნებს შეუძლია, „გამოააშკარაოს ნამდვილი ხალხი, ე.ი. წარმომადგენლები სხვადასხვა კლასისა“.²⁴⁴ ის მხარს უჭერს საყოველთაო საარჩევნო უფლებას, როგორც „მებრძოლი პროლეტარიატის ერთ-ერთ პირველ და უმნიშვნელოვანეს ამოცანას“,²⁴⁵ როგორც „გათავისუფლების იარაღს“.²⁴⁶ მეტიც, კარლ მარქსს მიაჩნდა, რომ ამ მექანიზმმა არსებითად შეცვალა სახელმწიფოს შესახებ წარმოდგენა, ისევე როგორც პროლეტარიატის საბრძოლო სტრატეგია. თუ ადრე ბურჟუაზია სახელმწიფო დაწესებულებების დახმარებით აწყობდა თავისი ბატონობის ორგანიზაციას, ახლა მუშათა კლასი იყენებს მას თავად ამ დაწესებულებების წინააღმდეგ საბრძოლველად.²⁴⁷ თავად კარლ მარქსისთვის პარიზის კომუნა იყო იმგვარი საზოგადოებრივი წყობის ნიმუში, რომელიც იმ ამოცანებს ჭრიდა, რასაც სახელმწიფოებრივ ერთობას სოციალიზმის იდეა უსახავდა. მას მიაჩნდა, რომ პარიზის კომუნამ შექმნა იმგვარი „პოლიტიკური ფორმა, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო შრომის ეკონომიური გათავისუფლება მომხდარიყო“.²⁴⁸ პარალელურად, ფრიდრიხ ენგელსი²⁴⁹ საყოველთაო არჩევნებს (იმპერატიულ მანდატთან ერთად) მიიჩნევს ორიდან ერთ-ერთ უტყუარ ღონისძიებად იმისათვის, რომ სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები საზოგადოების ბატონებიდან მის მსახურებად იქცნენ.²⁵⁰ თავის მხრივ, კარლ მარქსი კომუნის რეფორმებიდან საყოველთაო არჩევნებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.²⁵¹ თავის დროზე სოციალისტები შვეიცარიას სწორედ, არჩევნების ფორმას, პროპორციული სისტემის არქონას უწუნებდნენ,²⁵² სანამ 1918 წელს კონსენსუსი არ შედგა და სახალხო ინიციატივის შედეგად შვეიცარიის კონსტიტუციაში ცვლილებები არ შევიდა,

²⁴⁴ მარქსი კ., კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 160.

²⁴⁵ მარქსი კ., კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 124.

²⁴⁶ მარქსი კ., კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 125.

²⁴⁷ მარქსი კ., კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 126.

²⁴⁸ მარქსი კ., სამოქალაქო ომის საფრანგეთში, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 603.

²⁴⁹ საყოველთაო არჩევნების მნიშვნელობას ფ. ენგელსი უსვამს ხაზს ო. ბისმარკის შემდგომი გერმანიის კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც საპარლამენტო გზა გახდა სოციალ-დემოკრატიის ორგანიზების წარმართველი ფორმა.

²⁵⁰ ენგელსი ფ., შესავალი, სამოქალაქო ომის საფრანგეთში, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 558.

²⁵¹ მარქსი კ., სამოქალაქო ომის საფრანგეთში, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 599.

²⁵² ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 111.

რამაც „დასაბამი დაუდო მშრომელთა მძლავრ მოძრაობას რათა მიეღწია უფრო მეტად ადეკვატური წარმომადგენლობისთვის ფედერალური ხელისუფლების ორგანოებში“.²⁵³

ბუნებრივია, ქართველი მარქსისტები, ვისაც ისტორიული ბედის ჩარხმა სახელმწიფოს ინსტიტუციური ჩარჩოების გამოჭრა არგუნა, იზიარებენ ამ პოზიციას. გაზეთი „კვალი“ ჯერ კიდევ XIX და XX საუკუნის მიჯნაზე წერდა შვეიცარიულ პროპორციულ წარმომადგენლობაზე როგორც სამართლიანობის მექანიზმზე ჩაგრულებისთვის.²⁵⁴ რაჟდენ არსენიძე გამოყოფს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას და კონსტიტუციური რეფორმებით ბურჟუაზიისთვის სწორედ ამ უკანასკნელის ჩამორთმევას ესწრაფვის.²⁵⁵ ამისთვის, პირველ რიგში, საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება მიაჩნია სწორად.²⁵⁶ რაჟდენ არსენიძეს იდეალად გადაწყვეტილების პირდაპირ ხალხის მიერ მიღება ესახება, მაგრამ ის აცნობიერებს, რომ „მრავალი ხალხის“ (ანუ ბევრი ადამიანის) პირობებში ეს შეუძლებელია, ამიტომ წერს: „ერთადერთი საშვალეა კანონმდებლობისა [...] ჩვენში არის წარმომადგენლების (დეპუტატების) საშვალეებით კანონმდებლობა.“²⁵⁷ თუმცა ის ამავდროულად აღიარებს, რომ „არჩეული ხალხი, როგორც საარჩევნო წესიც არ უნდა შემოვიღოთ, მაინც ვერ იქნება უნაკლულო გამომხატველი ხალხის ნება-სურვილისა“.²⁵⁸ ამ ხარვეზს მისთვის პარტიების არსებობა ავსებს, რადგან პარტიას აქვს პროგრამა, პარტიის წევრები ამ დოკუმენტის მიხედვით მოქმედებენ, რადგან ისინი პარტიის წინაშე არიან პასუხისმგებელნი, მაშინ, როცა უპარტიო არავის წინაშე პასუხისმგებელი არ არის.²⁵⁹

კომისიამ პარლამენტის საკითხი 1919 წლის 4 ივლისს განიხილა და იქვე გადაწყვიტა, რომ საკანონმდებლო ორგანო პროპორციული წესით არჩეულიყო.²⁶⁰ პროპორციულ სისტემას ემხრობოდნენ სოციალისტ-რევოლუციონერებიც. სამსონ დადიანი წერს, „რომ მართლაც მთელი

²⁵³ ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 146.

²⁵⁴ ჯონსი ს., სოციალიზმი ქართულ ფერებში, სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917წწ., მე-2 ქართული გამოცემა, 2018, 88.

²⁵⁵ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 45.

²⁵⁶ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 45.

²⁵⁷ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 52.

²⁵⁸ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 52.

²⁵⁹ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 52-53.

²⁶⁰ საკონსტიტუციო კომისია, ოთხშაბათი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 79-80.

ერი იყოს წარმოდგენილი პარლამენტში, ამისთვისაა შემოღებული პროპორციული სისტემა არჩევნებში. პროპორციული სისტემის წყალობით უმცირეს ჯგუფსაც საშუალება ეძლევა იყოს წარმომადგენელი პარლამენტში“.²⁶¹ ასე რომ, დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, ისე დამტკიცდა უშუალო დემოკრატიის ეს უპირველესი ნიშანი. ის ავსებს ნაკლს, რასაც თანამედროვე სახელმწიფოების ფართობის და მოსახლეობის რაოდენობა წარმოშობს. ეს ორი ფაქტორი შეუძლებელს ხდის მოქალაქეთა შეკრებას და საერთო საკითხებზე მსჯელობას, ამიტომ საჭიროა საზოგადოების განწყობების ზუსტად ასახვა წარმომადგენლობით ორგანოში, რათა ამ უკანასკნელში განხილვები მაქსიმალურად მიუახლოვდეს იმ განხილვებს, რაც აგორაზე გაიმართებოდა. შვეიცარიის კონტექსტის გათვალისწინებით თუ შეხედავს მკითხველი, შვეიცარიელებმა 1874 წელს მოიპოვეს საკონსტიტუციო რეფერენდუმის უფლება, ხოლო 1891 წელს – ინიციატივის, დაბოლოს, 1918 წელს მესამე ბიძგი მოხდა – ეროვნული საბჭო პროპორციული სისტემით აირჩა.²⁶² 1919 წელს საქართველოშიც ჩატარდა პროპორციული არჩევნები.

მეორე საკითხი საარჩევნო ოლქებია. კონსტიტუციის ავტორები განიხილავდნენ ერთი ან რამდენიმე ოლქის შექმნის შესაძლებლობას პროპორციული სისტემის პირობებში. თეორიულად მათ იცოდნენ, რომ ერთი საარჩევნო ოლქი მეტად შეესაბამებოდა უშუალო დემოკრატიის იდეას, მაგრამ წააწყდნენ პრაქტიკულ დაბრკოლებას, რაც ქვეყნის გეოგრაფიულ მდგომარეობას, მთა-ბარიან ადგილებს, მრავალი ეროვნების და სარწმუნოების ხალხის არსებობას უკავშირდებოდა.²⁶³ რაჟდენ არსენიძე პროექტის კომენტარში წერდა, რომ საარჩევნო სისტემა უნდა იძლეოდეს პროვინციული ინტერესების წარმოდგენის შესაძლებლობას, „ეს კი შეიძლება მხოლოდ რესპუბლიკის რამოდენიმე საარჩევნო ოლქათ დაყოფით“.²⁶⁴ მის მიერ მომზადებულ სანიმუშო პროექტშიც იგივე პრინციპი იყო ასახული.²⁶⁵ თუმცა საბოლოოდ, კონსტიტუციაში ოლქების საკითხი ღიად დარჩა,²⁶⁶ იქამდე კი, დამფუძნებელი კრების არჩევნები ერთიან ოლქში ჩატარდა.

²⁶¹ დადიანი ს., ჩვენი კონსტიტუცია – განხილული ხალხოსნური სახელმწიფოს უფლების თვალსაზრისით, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 264.

²⁶² ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 285.

²⁶³ პარლამენტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 808-809.

²⁶⁴ პარლამენტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 808-809.

²⁶⁵ პარლამენტი, სანიმუშო პროექტი რაჟდენ არსენიძის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, 802.

²⁶⁶ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, 46, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [15.7.2021].

VII. ცენტრი და ადგილობრივი თვითმმართველობა

1. აღმასრულებელი ძალაუფლება დემოკრატიულ რესპუბლიკაში

დემოკრატებს მშვიდად ძილის უფლება მანამ არ აქვთ, სანამ აღმასრულებელი ძალაუფლების საკითხი არ გადაწყდება. პასუხისმგებლობის საკითხის გადაჭრა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ კაბინეტი დემოკრატიულია; საჭიროა გაირკვეს, ის აღმასრულებელი ხელისუფლების ერთადერთი გამოვლინებაა თუ არა.²⁶⁷ მთავარი, რაც საპარლამენტო რესპუბლიკასა და უმეშვეო დემოკრატიას ერთმანეთისგან განასხვავებს, აღმასრულებელი ძალის ფლობის საკითხია. *ნოე ჟორდანიას* თვის საპარლამენტო სისტემის ერთ-ერთი მახასიათებელია სამინისტროს მიერ აღმასრულებელი ძალის ექსკლუზიურად ფლობა.²⁶⁸ ასეთ დროს მთავრობა იმდენად ძლიერდება, რომ აცამტვერებს ყველა დემოკრატიულ მიღწევას.²⁶⁹ ამის საპირისპიროდ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ეს პასუხისმგებლობა ნაწილდება ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის (ამ აზრს იზიარებს *რაჟდენ არსენიძე*).²⁷⁰ მას მაგალითად მოჰყავს შვეიცარია, სადაც აღმასრულებელი მოხელეები კანტონალურ დონეზე დანიშნულნი არიან კანტონის მიერ ან პირდაპირ, ასევე საფრანგეთის 1793 წლის მოდელი, სადაც ადმინისტრატორებს ხალხი ირჩევდა რწმუნებულთა მეშვეობით.²⁷¹ *ნოე ჟორდანიას* აზრით, საქართველომ უნდა არჩიოს „კონვენტის სისტემა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ აღმასრულებელი ადმინისტრატორების დანიშვნის უფლება თვითმმართველობებს ენიჭება და ადმინისტრატორებიც პირდაპირ თვითმმართველობებს ემორჩილებიან, ხოლო არაპირდაპირ – შესაბამის მინისტრს (კანონიერების კონტროლი).²⁷² *რაჟდენ არსენიძე* კონსტიტუციის განხილვის დროს თავის გამოსვლაში ყურადღებას აღმასრულებელი ხელისუფლების ამ ორსაფეხუროვნობაზე

²⁶⁷ *ჟორდანიას ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 83.

²⁶⁸ *ჟორდანიას ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 83.

²⁶⁹ *ჟორდანიას ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 85-86.

²⁷⁰ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 17 დეკემბრის სხდომა, *რ. არსენიძის* სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 642.

²⁷¹ *ჟორდანიას ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 84.

²⁷² *ჟორდანიას ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 86.

ამახვილებს და აცხადებს, რომ აღმასრულებელი ძალა ეყრდნობა თემს.²⁷³ კონსტიტუციაში ამ საკითხს ეხება ერთი უცნაური ჩანაწერი, რომელიც ამბობს, რომ მართვა-გამგეობის საქმეში თვითმმართველობა ემორჩილება ცენტრალურ ორგანოებს.²⁷⁴ ერთი შეხედვით საკვირველია, რომ თვითმმართველობის საკითხებში ისეთმა მონდომებულმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, როგორც სოციალ-დემოკრატები იყვნენ, უზენაეს კანონში ასეთი ტექსტი ჩაწერა. მაგრამ სინამდვილეში, ტერმინში „მართვა-გამგეობა“ ისინი გულისხმობენ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციებს. პროექტის კომენტარში აღნიშნულია, რომ თვითმმართველობა „ერთად-ერთი წარმომადგენელია სახელმწიფოსი მართვა გამგეობის საქმეში. მის გარეშე არ არსებობს სხვა ორგანო გამტარებელი ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკისა მართვა გამგეობის სფეროში“.²⁷⁵ ამ სფეროში მთავრობის აქტები სავალდებულოა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის.²⁷⁶ კომენტარი ამბობს, რომ აქ ჩანს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების ის ერთსულოვნება, რაც მართვა-გამგეობას უნდა ახასიათებდეს.²⁷⁷ მაშასადამე, ადგილობრივი ორგანოები ადმინისტრირებენ, როგორც საკუთარი, ისე მთავრობის გადაწყვეტილებების აღსრულებას. მათგან პირველში სრულიად დამოუკიდებლები არიან, მეორეში კი ცენტრს ემორჩილებიან. ამიტომ კონსტიტუციის საბოლოო ტექსტში ჩაიწერა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ამავდროულად არის ადგილობრივი მმართველობის ორგანო.²⁷⁸ საბოლოოდ, *ნოე ჟორდანი* საკუთარ გამოსვლაში აცალიბებს სისტემას, რომელიც კონსტიტუციაში აისახა და რომლის მიხედვითაც, მთავრობა მმართველობს „ნაკლებს [მის ადგილს იჭერს თვითმმართველობა] ხალხზე და მეტს ნივთებზე“.²⁷⁹ ამ ხედვის შესაბამისად, კაბინეტის საქმე არის ეკონომიკის მართვა.²⁸⁰

²⁷³ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 17 დეკემბრის სხდომა, *რ. არსენიძის* სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 645.

²⁷⁴ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 104, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [15.7.2021].

²⁷⁵ ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 842. სავარაუდოდ ეს დოკუმენტი სანიმუშო პროექტის განმარტებაა და ის *მ. რუსიას* ეკუთვნის.

²⁷⁶ ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 843.

²⁷⁷ ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 842-843.

²⁷⁸ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 98, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [15.7.2021].

²⁷⁹ *ჟორდანი ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 86.

²⁸⁰ *ჟორდანი ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4

2. ადგილობრივი თვითმმართველობა

დემოკრატიის პირველი თეორეტიკოსები მოქალაქეთა სიმცირეს დემოკრატიისთვის აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ. არისტოტელე და ჟან-ჟაკ რუსო წერდნენ, რომ აუცილებელია, მოქალაქეები ერთმანეთს იცნობდნენ, რაც ხელს უწყობს მსჯელობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას და ურთიერთკონტროლს.²⁸¹ თანამედროვე სახელმწიფოებს მოსახლეობის სიჭარბით გამოწვეული ნაკლის შესავსებად ძლიერი თვითმმართველობები სჭირდებათ.

თვითმმართველობის სასარგებლოდ ფიქრობს კარლ მარქსიც. „თვრამეტ ბრიუმერში“ ის ერთმანეთისგან განასხვავებს (1) საერთო და (2) საყოველთაო ინტერესს. პირველი მისთვის საზოგადოების წევრთა თვითშემოქმედებას ახალისებს, ხოლო მეორე საფუძველს აცლის მას და მთავრობის საქმიანობის საგნად ხდის იმას, რაც წესით თემის საქმეა, ხელს უწყობს სახელმწიფო ცენტრალიზაციას, რომელიც, მასვე თუ დავესხებით, უნდა დაიმსხვრეს.²⁸² სხვა ტექსტში ის მიესალმება ცენტრალური მთავრობის ნაცვლად მწარმოებელთა თვითმმართველობების ჩამოყალიბებას.²⁸³ კარლ მარქსის მიხედვით, კომუნალური სისტემა კი არ სპობდა ერის მთლიანობას, არამედ აორგანიზებს მას.²⁸⁴ ეს „წესწყობილება საზოგადოებრივ ორგანიზმს დაუბრუნებდა ყველა ძალას, რასაც დღემდე ნთქავდა ეს პარაზიტული ხორცმეტი – „სახელმწიფო“, რომელიც საზოგადოების ხარჯზე საზრდოობს და მის თავისუფალ მოძრაობას აფერხებს“.²⁸⁵ კარლ მარქსი თავდაპირველად 1848-1852 წლების საფრანგეთის გამოცდილებას ეყრდნობა (მოდერნული სახელმწიფო ცენტრალიზებული აპარატის ჩამოყალიბება), „სამოქალაქო ომში“ კი უკვე 20 წლის შემდგომ პარიზის კომუნის გამოცდილებაზე დაყრდნობით ავითარებს მსჯელობას. საბოლოოდ, ის, რაც საერთო ინტერესი იყო 1848 წლის პერიოდის საფრანგეთში და ცალკეულ თემებს მეტ-ნაკლებად ავტონომიურობას უტოვებდა საკუთარი ინტერესების მართვაში, ცენტრალიზაციასთან ერთად ეროვნულ-საყოველთაო ინტერესად გარ-

ავგისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 86.

²⁸¹ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 127, 133.

²⁸² მარქსი კ., თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 369.

²⁸³ მარქსი კ., სამოქალაქო ომის საფრანგეთში, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 600.

²⁸⁴ მარქსი კ., სამოქალაქო ომის საფრანგეთში, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 600-601.

²⁸⁵ მარქსი კ., სამოქალაქო ომის საფრანგეთში, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 602.

დაიქმნება, რომელიც პარიზიდან იმართება და რომელიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიას. პარიზის კომუნა ამ ცენტრალიზაციას სპობს, მაგრამ ამით ცენტრალიზაციამდელ მოცემულობას კი არ უბრუნდება, არამედ რაღაც არსებითად ახალს ქმნის, რაც კარლ მარქსისთვის არის კიდევ კომუნის მიერ ნაჩვენები მანამდე არნახული ისტორიული გაკვეთილი და ახალი შესაძლებლობა.

თვითმმართველობა ერთ-ერთი მთავარი თემაა ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის. ისინი დიდ გათვლას აკეთებენ კომუნალურ ხელისუფლებაზე, იგივე „ერობაზე“, როგორც ხალხთან ყველაზე ახლოს მყოფ ორგანიზაციაზე. მეორე ყრილობაზე ისინი პლურალისტური და დეცენტრალიზებული სოციალიზმის მოდელის მომხრენი იყვნენ.²⁸⁶ გარდა მცირე საზოგადოებაში დემოკრატიული პროცესების ტექნიკურად ადვილად წარმართვის შესაძლებლობისა და კარლ მარქსისგან მიღებული იდეოლოგიური საფუძვლისა, მათ საკუთარი გამოცდილებაც მნიშვნელოვან არგუმენტს აძლევდა. ყველაფერი ე.წ. „გურიის რესპუბლიკით“ იწყება, როდესაც XX საუკუნის გარიჟრაჟზე გურულმა გლეხებმა იმპერიას დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს და თანასწორობასა და თავისუფლებაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობა დაიწყეს. თვითმმართველობის მდიდარ გამოცდილებაზე წერს ამ საკითხის მკვლევარი ირაკლი მახარაძე სწორედ 1902-1906 წლების გურული რევოლუციური მოძრაობის კონტექსტში.²⁸⁷ ამ დროს საქართველოს სხვა კუთხეებშიც მრავლად არსებობდა თვითმმართველობის მაგალითები, მაგალითად ზემო იმერეთში.²⁸⁸ მოგვიანებით, უკვე ცარიზმის მოსპობის შემდგომ პერიოდზე კარლ კაუცკი წერდა: „რევოლუციამ საქართველოს ერობებს და მამრებს სრული თვითმმართველობა მოუტანა. [...] [ეს] კოოპერატიულ საზოგადოებებზეც ვრცელდება.“²⁸⁹ კონსტიტუციაზე მუშაობისას საქართველოში უკვე არსებობდა ის გამოცდილება, რასაც ვილჰელმ ჰალერი „ცოცხლად განცდილ დემოკრატიას უწოდებს“, რომელმაც „მოუქნელი საკანონმდებლო მანქანა უნდა ჩაანაცვლოს“.²⁹⁰

კონსტიტუციის ავტორებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი ერთ-ერთი მთავარი წყალგამყოფი იყო საპარლამენტო და

²⁸⁶ ჯონსი ს., სოციალიზმი ქართულ ფერებში, სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917წწ., მე-2 ქართული გამოცემა, 2018, 145.

²⁸⁷ ვრცლად იხ. მახარაძე ი., გურიის რესპუბლიკა, გურიის გლეხთა მოძრაობა 1902-1906 წწ., 2016, 37, 61-62, 74-76, 98, 100, 105-106, 110-119, 202.

²⁸⁸ აბდუშელიშვილი შ., სამი მეგობრის ხსოვნას (გურული მ., ფხალაძე გ. და გაფრინდაშვილი გ.), წიგნში: გურული მ., მოგონება, 2005, 97.

²⁸⁹ კაუცკი კ., საქართველო. გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა. შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, 2018, 94.

²⁹⁰ ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 154.

დემოკრატიული რესპუბლიკების მოდელებს შორის განსხვავების გასაკეთებლად. მაგალითად, *ნოე ჟორდანიასთვის*, საპარლამენტო რესპუბლიკაში ბურჟუაზია აკონტროლებდა ცენტრალურად მთელს ძალაუფლებას და ვერ ითმენდა ადგილობრივ თავისუფლებას.²⁹¹ უმეშვეო დემოკრატიაში საპარლამენტო უმრავლესობის კონტროლიდან ცალკეული მექანიზმების დისტანცირების მიზანს ემსახურება თვითმმართველობის შექმნა. „აქ ძალა-უფლება მართო ცენტრში არ არის მოგროვილი, არამედ – განაწილებულია ცენტრსა და პერიფერიების შორის.“²⁹² როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ მოდელის მიხედვით, ცენტრი გამოცემდა კანონებს, ხოლო ხალხი, ანუ მის მიერ კონტროლირებადი ადგილობრივი ხელისუფლება აღასრულებდა. ეს ნიშნავდა უმოხელეოდ დარჩენილ კაბინეტს და ხალხის მიერ შეზღუდულ პარლამენტს.²⁹³

ეს ხედვა პირდაპირ აისახა კონსტიტუციის სანიმუშო პროექტის კომენტარში, რომელიც, სავარაუდოდ, *მელიტონ რუსიას* ეკუთვნის. ის წერს, რომ პროექტი უარყოფს მიდგომას, სადაც სახელმწიფო ინტერესები და ადგილობრივი საჭიროებები განცალკევდება, სადაც ცალკე იარსებებენ თვითმმართველობის და ცალკე ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები.²⁹⁴ მისი ხედვით, პროექტი ერთმანეთისგან არ არჩევს თვითმმართველობისა და სახელმწიფო საქმეებს, მეტიც, იმის გარდა, რომ თვითმმართველობა ადგილობრივი მეურნეობის და მართვა-გამეობის საქმეებს უძღვება, ის „ერთად-ერთი ადგილობრივი ორგანოა ცენტრალური ხელისუფლებისა“.²⁹⁵ რაჟდენ არსენიძე განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა თვითმმართველობის საკითხს და მან ამაზე დამფუძნებელი კრებისადმი მიმართვაშიც ისაუბრა, სადაც საგანგებოდ გამოყო თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთმიმართება, როგორც კონსტიტუციის პროექტის თავისებურება.²⁹⁶ ის კონსტიტუციურ სისტემას კომუნალურ წყობილებას უწოდებს, რადგან

²⁹¹ *ჟორდანია ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 74-75.

²⁹² *ჟორდანია ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 75.

²⁹³ *ჟორდანია ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 76.

²⁹⁴ ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 840.

²⁹⁵ ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 840.

²⁹⁶ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 17 დეკემბრის სხდომა, რ. არსენიძის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 641.

„მთავარი საფუძველი, საიდანაც გამომდინარეობს საერთოდ შემოქმედება და ძალა რესპუბლიკის ყოველ აღმასრულებელ მუშაობისა, – ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი კომუნა“.²⁹⁷

კონსტიტუციის ავტორებს უნდოდათ შეექმნათ შვეიცარიის მსგავსი სისტემა, სადაც სახელმწიფოებრივი სტრუქტურა აგებულია პრინციპით, „ქვემოდან ზემოთ“ და არა ზემოდან ქვემოთ.²⁹⁸ ესმოდათ ის, რასაც მოგვიანებით პაულ ვიდმერი წერს, რომ უშუალო დემოკრატია ყველაზე ძლიერი თემების დონეზეა.²⁹⁹ ეს ღრმად მემარცხენე იდეა იყო, რადგან სოციალისტები „ყოველთვის უნდობლობას უცხადებდნენ ძალთა კონცენტრაციის იდეას“.³⁰⁰

პირველ რესპუბლიკაში თვითმმართველობები ხალხის მიერ ირჩეოდნენ.³⁰¹ უზენაესი კანონი აქაც პროპორციონალიზმს ანიჭებდა უპირატესობას.³⁰²

VIII. სასამართლო სისტემა

მას შემდეგ, რაც ყველაზე რთული და საკამათო თემები უკან მოვიტოვეთ (აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი მართვის მიმართების გარკვევა), შესაძლებელია, შედარებით ნაკლებად სადავო და მკაფიო საკითხებზე გადასვლა. ცხადია, სასამართლო სისტემის გამოტოვება წინამდებარე ანალიზს ნაკლებს გახდიდა. მართლმსაჯულება ხელისუფლება მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა სოციალ-დემოკრატების მსჯელობაში. მართალია, კონსტიტუციის ავტორები აქ იმდენ სირთულეს არ წაწყდომიან, რამდენსაც ზემოთ განხილული პრობლემების გადაწყვეტისას, მაგრამ ეს მისი გამოტოვების უფლებას არ იძლევა, უფრო პირიქით, აჩვენებს, რომ კონსტიტუციის ავტორები აქ ერთსულოვნად მიჰყვნენ ძირითად პოსტულატებს. მით უმეტეს, რომ ლიბერალური სასამართლო სისტემის მარქსისტული კრიტიკა ისეთივე ძველია, როგორც მარქსიზმი. კარლ მარქსი მოსამართლეთა კორპორაციას „ძველი სახელმწიფოს გახელებულ და ფანატიკურ დამცველს“ უწოდებს და უპირისპირდება

²⁹⁷ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 17 დეკემბრის სხდომა, რ. არსენიძის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 645.

²⁹⁸ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 151-152.

²⁹⁹ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 161.

³⁰⁰ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 74.

³⁰¹ ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 841.

³⁰² საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 101, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [15.7.2021].

მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპს.³⁰³ კარლ მარქსი წერს, რომ მეფის ჩამოგდების შემდეგ, ის „მრავალჯერ აღსდგა კანონიერების ამ უცვლელი ინკვიზიტორების სახით“.³⁰⁴ საქართველოს კონსტიტუციის ავტორები აშენებდნენ რა უმეშვეო დემოკრატიას, სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე მიიჩნევდნენ, რომ „იქ, სადაც ხელმწიფება ხალხს ეკუთვნის და ხალხია გამგებელი და ბატონ-პატრონი თავისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, თავისი წევრთა მოქმედების განსჯა მას უნდა ჰქონდეს“.³⁰⁵

ქართველი სოციალ-დემოკრატების წინაშე იდგა ამოცანა: როგორ გადაეჭრათ სასამართლოს საკითხი ისე, რომ სამართლის დამდგენი ინსტიტუტი ქვეყანას ჰყოლოდა, მაგრამ ის არ გადაქცეულიყო ბურჟუაზიის ბასტიონად. ამ პრობლემის გადაჭრა მათ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებების შემთხვევაში ნაცადი გზით გადაწყვიტეს. როგორც იქ, აქაც საჭირო იყო ძალაუფლების გაზიარება: მოსამართლეების ნაწილს ხალხი საკუთარი ორგანოების მეშვეობით აირჩევდა, ნაწილს კი პარლამენტი დანიშნავდა და ამგვარად სასამართლო ცენტრსა და ხალხს შორის გადანაწილდებოდა.³⁰⁶ უმეშვეო დემოკრატიაში მოსამართლეთა არჩევის პრინციპს კონსტანტინე მიქელაძეც დამკვიდრებულ წესს უწოდებდა.³⁰⁷ ამ პოზიციას კარლ მარქსისგანაც ჰქონდა საფუძველი. პარიზის კომუნაზე საუბრისას, ის მხარს უჭერს მოსამართლეთა პირდაპირ არჩევას (გადარჩევის შესაძლებლობით, – რაც განაპირობებს მათ პასუხისმგებლობას მოქალაქეთა წინაშე).³⁰⁸

ხალხის მთავარი იარაღი გარკვეული ვადით არჩეული მოსამართლეები და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იყო.³⁰⁹ კარლ მარქსი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ანიჭებს უპირატესობას.³¹⁰ როგორც ერიკ ლი მიიჩნევს, ეს უკანასკნელი გურიის რესპუბლიკის „ირიბი გამოძახილი“ და ამ

³⁰³ მარქსი კ., კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 177.

³⁰⁴ მარქსი კ., კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 177.

³⁰⁵ სასამართლო, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 915. სავარაუდოდ ეს პროექტის განმარტებაა.

³⁰⁶ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 603-605.

³⁰⁷ მიქელაძე კ., დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 100.

³⁰⁸ მარქსი კ., სამოქალაქო ომის საფრანგეთში, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 600.

³⁰⁹ საქართველო, ტერიტორია და მოსახლეობა – ისტორია – ლიტერატურა და ხელოვნება – პოლიტიკური მდგომარეობა, ერთა ლიგის ქართული ასოციაცია, პირველი გამოცემა (პარიზი), 1937, 88.

³¹⁰ მარქსი კ., თვრამეტი ბრიუმიერი ლუი ბონაპარტისა, კრებულში: მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, I ტომი, 1963, 365.

გამოცდილებაზე დაფუძნებული იდეა იყო.³¹¹ მართლაც, 1903-1905 წლებში გურიაში ფართოდ იყო გავრცელებული გლეხური სასამართლოების პრაქტიკა.³¹² აკი საკონსტიტუციო კომისიის მიერ მომზადებული პროექტის კომენტარის ავტორი დანაწიებით აღნიშნავდა, რომ იმ დროისთვის სახალხო გასამართლება („ვეჩე“³¹³) ტექნიკურად იყო შეუძლებელი, თუმცა ამის გამოსასწორებლად საზოგადოებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სთავაზობდა, რომლებიც თავიანთ მხრივ საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ.³¹⁴ აქვე, რაჟდენ არსენიძე ყოველთვის ღიად ამბობდა, რომ ემხრობოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.³¹⁵

სასამართლოს შესახებ მსჯელობას 1919 წლის 25 ოქტომბრის სხდომა მიეძღვნა. მომხსენებელი იოსებ ბარათაშვილი იყო. მისი პროექტის მიხედვით, ყველა სისხლის სამართლის საქმე ნაფიც მსაჯულებს უნდა განეხილათ და სისხლის სამართლის პალატა უქმდებოდა (გათვალისწინებული იყო მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი).³¹⁶ იქამდე გიორგი ნანეიშვილს მიაჩნდა, რომ ყველა საქმე ნაფიც მსაჯულთა მიერ უნდა გარჩეულიყო, თუმცა მაშინ საბოლოოდ მიიღეს დებულება, რომლის მიხედვითაც, ამ წესით მხოლოდ მძიმე სისხლის სამართლის, პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულების საქმეები განიხილებოდა.³¹⁷ კონსტიტუციაშიც ეს რედაქცია აისახა.³¹⁸

პირველი რესპუბლიკის ავტორების მიდგომის მიხედვით, ცენტრალური ხელისუფლება უზენაეს სასამართლოს აკომპლექტებდა. თუმცა ამ საკითხის კონსტიტუციაში ასახვა პროცესის ბოლოს გადაწყდა. იქამდე, 1920 წლის 3 აპრილის სხდომაზე დადგინდა, რომ სენატს უზენაეს კანონში არ მოიხსენიებდნენ.³¹⁹ თუმცა ბოლოს პავლე საყვარელიძისა და აკაკი ჩხენკელის მეცადინეობით, სენატის შესახებ ჩანაწერი მასში მაინც შევიდა.³²⁰

³¹¹ ლი ე., ექსპერიმენტი, საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921წწ., 2018, 252.

³¹² ჯონსი ს., სოციალიზმი ქართულ ფერებში, სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917წწ., მე-2 ქართული გამოცემა, 2018, 172.

³¹³ „ვეჩე“ სახალხო-სათემო კრების სლავური ვარიანტია, მას სასამართლოს ფუნქციებიც ქონდა.

³¹⁴ სასამართლო, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 916.

³¹⁵ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 65.

³¹⁶ საკონსტიტუციო კომისია, 1919 წლის 25 ოქტომბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 139.

³¹⁷ საკონსტიტუციო კომისიის სხდომის შურნალი, 1919 წლის 8 იანვარი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 163.

³¹⁸ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 81, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [15.7.2021].

³¹⁹ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის შურნალი, 1920 წლის 3 აპრილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 364-367.

³²⁰ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის შურნალი, 1920 წლის 20 მაისი,

საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას თან სდევდა ედპ-ეს მცდელობა, დაერწმუნებინა სოციალ-დემოკრატები კონსტიტუციური კონტროლის იდეის გამოსადეგობაში,³²¹ მაგრამ მმართველი პარტიის წევრები ამ მოსაზრებას ყოველ ჯერზე უკუაგდებენ. რაჟდენ არსენიძემ სასამართლო ხელისუფლების კონცეპტუალური ჩარჩო მოხაზა დამფუძნებელი კრებისადმი მიმართვაში როცა განაცხადა: „სასამართლო არ არის კონტროლი, იგი მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოა.“³²² გასაგები იყო, რომ სასამართლო სისტემას უშუალო დემოკრატიაში ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის შემაკავებელი როლი ვერ ექნებოდა. ის მხოლოდ კანონის შეფარდებით შემოიფარგლებოდა. აქაც უმეშვეო დემოკრატის პრინციპებით და გამოცდილებით სარგებლობდნენ სოციალ-დემოკრატები. სასამართლო სისტემას კონსტიტუციური კონტროლის უფლება შვეიცარიაშიც არ გააჩნდა. პაულ ვიდმერი ამას იმით ხსნის, რომ შვეიცარიელები თვლიდნენ, რომ „არავის, გარდა ხალხისა, არ უნდა ენიჭებოდეს, გადამწყვეტი სიტყვის უფლება“.³²³ ამ მოსაზრებას კონსტიტუციის ქართველი არქიტექტორები უპირობოდ დაეთანხმებოდნენ. დასკვნას პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციური სისტემის მკვლევართა ერთი ნაწილი იზიარებს. მიჩნეულია, რომ ქართული კონსტიტუციის პროექტის ავტორებმა უარყვეს საკონსტიტუციო ზედამხედველობის ინსტიტუტი.³²⁴

ამ ფონზე, საფუძველს მოკლებულია მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ „ვინაიდან კონსტიტუციაში მრავლად მოიპოვებოდა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პრინციპები და იდეები, ეს გვაფიქრებინებს, რომ ცალკე ამგვარი კონსტიტუციური ორგანოს სამომავლოდ შექმნა ან საერთო სასამართლოებისათვის კონსტიტუციური კონტროლის ფუნქციის მინიჭება ლოგიკური იქნებოდა, დამოუკიდებელ საქართველოს არსებობა რომ დასცლოდა“.³²⁵ არც დისკუსიები, რომლებიც

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 413-414.

³²¹ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 15 დეკემბრის სხდომა, კ. ჯაფარიძის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 625.

³²² კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 17 დეკემბრის სხდომა, რ. არსენიძის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 640.

³²³ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 158-159.

³²⁴ გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაშვილი ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გამოცემა, 2016, 36. კინერი რ., მირარხი დ., საერთო დემოკრატიული მიზნები – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია და შვეიცარიის კონფედერაციის 1874 წლის ფედერალური კონსტიტუცია, კრებულში: უგრეხელიძე მ., ქანთარია ბ. (რედ.), კონსტიტუციონალიზმი მიღწევები და გამოწვევები, 2019, 404.

³²⁵ პაპუაშვილი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, გამოცემიდან: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, მე-2 გამოცემა, 2013, 31.

ამ თემაზე გაიმართა, არც მაშინდელი პოლიტიკურ ძალთა ბალანსი არ იძლევა ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ცხადია, სამომავლოდ შესაძლებელია ისე შეცვლილიყო ვითარება, რომ კონსტიტუციაშიც შეეტანათ ცვლილება, საკონსტიტუციო სასამართლოც შემოეღოთ. მეტიც, შეიძლებოდა საერთოდ კონსტიტუციური წესრიგიც შეცვლილიყო, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია, რომლებიც არ ეფუძნება მყარ ნიადაგს, ლოგიკურ ძაფს, რომელიც ამგვარ განვითარებას გარდაუვლად დასახავდა.

IX. რეფერენდუმი და სახალხო ინიციატივა

1. ზოგადი საფუძვლები

უმეშვეო დემოკრატიის მთავარი იდეა სახალხო სუვერენიტეტის პირდაპირი გატარებაა. ყველაფერი ხალხისგან გამომდინარეობს და მისით ისაზღვრება. ის არის ხელისუფლების წყარო. მაგრამ პოლიტიკურ მოქმედებად რომ იქცეს, ამ პრინციპს ინსტიტუციური მექანიზმები სჭირდება. მას სჭირდება ისეთი ინსტრუმენტები, რითაც ხალხი ხელისუფლების განხორციელებაში მიიღებს პირდაპირ მონაწილეობას.³²⁶ საქმეს ის ართულებს, რომ ტერიტორიული და რაოდენობრივი დაბრკოლებები თანამედროვე სახელმწიფოს არ აძლევს მოქალაქეთა შეკრების და გადაწყვეტილების ამ გზით მიღების შესაძლებლობას, რის გამოც საჭიროა ახალი მეთოდების ძიება, ეს მეთოდები კი სახალხო ინიციატივა და რეფერენდუმი.³²⁷ პაულ ვიდმერი მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის სწორედ ამ ორ მთავარ მექანიზმს გამოჰყოფს შვეიცარიისთვის.³²⁸

მაგრამ რეფერენდუმის იდეა, მაშინ თავისთავად ცხადი სულაც არ იყო, ისე როგორც ეს დღეს გვეჩვენება. თანამედროვე ლიბერალურმა კონსტიტუციონალიზმმა იგი დემოკრატიული სახელმწიფოს კონცეფციიდან აიღო. ეს, კიდევ ერთხელ, მკაფიოდ უსვამს ხაზს იმ რადიკალურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ქართველებმა 1921 წელს მიიღეს. შვეიცარიაშიც კი რეფერენდუმი ხანგრძლივი, ერთობლივი ბრძოლის შედეგად მოიპოვა სოფლის მოსახლეობამ, ხელოსანთა ფენამ და მუშათა კლასმა, ჯერ კანტონალურ, შემდეგ კი ფედერაციის დონეზე.³²⁹ 1874 წელს მათ მიიღეს რეფერენდუმის, ხოლო 1891 წლის სახალხო ინიციატივის

³²⁶ პარლამენტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 825.

³²⁷ კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში, 19 დეკემბრის სხდომა, ა. ჩხენკელის სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 667; საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 24 თებერვლის სხდომის ჟურნალი, რ. არსენიძის გამოსვლა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 192-193.

³²⁸ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 153.

³²⁹ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 166.

უფლება.³³⁰ პაულ ვიდმერის მიხედვით, „ეს არის ყველაზე ორიგინალური სიახლე, რომელიც შვეიცარიამ პოლიტიკაში შექმნა“.³³¹ ის მალევე გადაიღეს ცალკეულმა შტატებმა აშშ-ში³³² (პირველად სამხრეთ დაკოტამ – 1898 წელს³³³).

ქართველი სოციალ-დემოკრატები დაჟინებით უსვამდნენ ხაზს ამ მექანიზმებზე, ისინი მიაჩნდათ ბურჟუაზიასთან და ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან ბრძოლის მთავარ ინსტრუმენტად. საინტერესოა, რომ *ნოე ჟორდანი* თავიდან სიფრთხილით ეკიდებოდა რეფერენდუმის იდეას, ეშინოდა, რომ „ავანტურისტები“ მას საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებდნენ და ხალხი ამ სიკეთით ვერ ისარგებლებდა,³³⁴ მაგრამ მალევე შეცვალა პოზიცია და 1918 წლის 4 აგვისტოს გამოსვლაში მხარი დაუჭირა მას.³³⁵ მთავრობის ხელმძღვანელს ამაში ფრანგული გამოცდილება დაეხმარა, კომპრომისი, რომელიც ამ ქვეყნის 1793 წლის კონსტიტუციამ დაუშვა და რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, ერთი მხრივ, რეფერენდუმს (სავალდებულო³³⁶ ან ფაკულტატური³³⁷) და, მეორე მხრივ, საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციას დაქვემდებარებული საკითხები.³³⁸ გარკვეულ საკითხებზე სავალდებულო რეფერენდუმის იდეას *რაჟდენ არსენიძე* ემხრობოდა³³⁹ (რომელიც ასევე სახალხო ინიციატივის მხარდამჭერია³⁴⁰). მოგვიანებით, 1920 წლის 1-ელ დეკემბერს დამფუძნებელი კრების წინაშე *ნოე ჟორდანი* მხოლოდ ფაკულტატურ რეფერენდუმზე საუბრობს. ეთანხმება ხალხის უფლებას, საკუთარი აზრი დააფიქსიროს ნებისმიერ კანონზე, რომელიც პარლამენტმა მიიღო – „ან

³³⁰ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 166; ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 12-13.

³³¹ ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 166.

³³² ვიდმერი პ., შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, 2012, 160.

³³³ ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 2.

³³⁴ საკონსტიტუციო კომისიის კრება, 11 ივნისი, 1918 წელი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 27.

³³⁵ *ჟორდანი ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 81-82.

³³⁶ სავალდებულო რეფერენდუმი – ეს ის შემთხვევაა, როდესაც პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ხალხს დასამტკიცებლად სავალდებულოდ წარედგინება.

³³⁷ ფაკულტატური რეფერენდუმი – ეს ის შემთხვევაა, როდესაც კანონი ხალხს დასამტკიცებლად ამომრჩევლის გარკვეული რაოდენობის მოთხოვნის შემდეგ გადაეცემა.

³³⁸ *ჟორდანი ნ.*, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: *ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ.* (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 82.

³³⁹ *არსენიძე რ.*, დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 53.

³⁴⁰ *არსენიძე რ.*, დემოკრატიული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 54.

მოიწონოს, ან დაიწუნოს ის“.³⁴¹ ის მხარს უჭერს სახალხო ინიციატივის უფლებას.³⁴² სავალდებულო რეფერენდუმის იდეას არ ემხრობა არც *პავლე საყვარელიძე*,³⁴³ განსხვავებით სოციალისტ-რევოლუციონერი *ივანე ჩერქეზიშვილისგან*.³⁴⁴ რეფერენდუმს ეწინააღმდეგება ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.³⁴⁵

მიუხედავად ამ დისკუსიებისა, როგორც ფაკულტატიური რეფერენდუმი, ისე ინიციატივა ყველა პროექტშია შეტანილი, სავალდებულო რეფერენდუმი კი არც ერთში. პირველ სანიმუშო პროექტში მითითებული იყო, რომ საკანონმდებლო ინიციატივისა და ფაკულტატიური რეფერენდუმის მოთხოვნის უფლება 50 000 ამომრჩეველს ჰქონდა.³⁴⁶ მეორე სანიმუშო პროექტში ინიციატივისთვის საჭირო ხელმოწერების რაოდენობა 5 000-მდე, ხოლო რეფერენდუმისთვის 20 000-მდეა შემცირებული³⁴⁷ (პროექტშიც იდენტური ციფრებია³⁴⁸). სავალდებულო რეფერენდუმზე უარს *რაჟდენ არსენიძე* პროექტის განმარტებებში ასე ხსნის: „სავალდებულო რეფერენდუმი არ მიიღო კომისიამ იმის გამო, რომ, როცა კანონპროექტები ხშირ-ხშირათ სდგება ხალხის წინაშე დასტურისათვის, ეს იწვევს მოქალაქეების მოღალავას და ინდიფერენტიზმს.“³⁴⁹ საბოლოოდ, კონსტიტუციის მიხედვით ინიციატივისთვის საჭირო ხელმოწერების რაოდენობა შენარჩუნდა, ხოლო რეფერენდუმისთვის 30 000-მდე გაიზარდა. სავალდებულო რეფერენდუმზე უარის თქმა მნიშვნელოვანი კომპრომისი იყო. *რაჟდენ არსენიძე* არ იზიარებს არგუმენტს, რომ სავალდებულო რეფერენდუმი მეტად იცავს ხალხის ინტერესს; მისი

³⁴¹ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 604.

³⁴² მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას სიტყვა, დამფუძნებელი კრება, პირველი დეკემბრის სხდომა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 605.

³⁴³ *საყვარელიძე პ.*, საქართველოს კონსტიტუციისთვის, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 314.

³⁴⁴ საკონსტიტუციო კომისიის კრება, 11 ივნისი, 1918 წელი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 28.

³⁴⁵ საკონსტიტუციო კომისიის კრება, 11 ივნისი, 1918 წელი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 27.

³⁴⁶ პარლამენტი, სანიმუშო პროექტი რ. *არსენიძის*, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, 228.

³⁴⁷ პარლამენტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 804.

³⁴⁸ საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ, 1920 წლის მაისი, 71-ე და 72-ე მუხლები, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 439.

³⁴⁹ პარლამენტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 831.

თქმით, თუ ხალხი არ ითხოვს რეფერენდუმს, ე.ი. ეთანხმება მიღებულ კანონს.³⁵⁰ აქ მას ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გამორჩება. ეს ორგანიზების საკითხია. რამდენიმე ათეული ათასი ხელმოწერის მოგროვება მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა, რაც ცხადია, ფაკულტატიურ რეფერენდუმს სავალდებულოსთან შედარებით, ნაკლებად ქმედით იარაღად აქცევს. ეს გახლდათ შვეიცარიული მოდელიდან გადახვევაც, რადგან იქ კონსტიტუცია პირდაპირ ითვალისწინებს საკითხებს, რაზეც სავალდებულო რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს.³⁵¹

მიუხედავად ამისა, არასავალდებულო რეფერენდუმის მნიშვნელობა არ უნდა დაკნინდეს. იგივე ვილჰელმ ჰალერი მიიჩნევს, რომ სწორედ ამ მექანიზმის შემოღებამ არსებითი ზეგავლენა იქონია შვეიცარიის პოლიტიკურ სისტემაზე.³⁵² რეფერენდუმმა აიძულა მმართველი კლასი, ხალხის ხედვისთვის ანგარიში გაეწია. საკანონმდებლო მუშაობა „კომპრომისების ძიების უწყვეტ პროცესად“ იქცა და ხელი შეუწყო შვეიცარიის „კონკორდატულ დემოკრატიად“ (ან „კონსენსუსზე ორიენტირებულ დემოკრატიად“) ჩამოყალიბებას.³⁵³ საქართველოში რეფერენდუმის შემოღება არა მხოლოდ ხალხის ძალაუფლების განმტკიცებისთვის იყო მნიშვნელოვანი; ნოე ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ამას ხალხის და სახელმწიფოს ერთიანობის განმტკიცებისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის კრავდა საზოგადოებასა და პარლამენტს, მათ ერთიან ორგანიზმად აქცევდა.³⁵⁴ დეპუტატებს ყოველთვის უნდა გაეთვალისწინებინათ ის ფაქტორი, რომ მათ მიერ მიღებული კანონი შესაძლოა, რეფერენდუმზე გადამოწმებულიყო. რაც მათ აიძულებდა, დაკვირვებით და დინჯად ემუშავათ.³⁵⁵ რეფერენდუმი და ინიციატივა საზოგადოების ჩართულობის და გააქტიურების მექანიზმია ვილჰელმ ჰალერისთვისაც, „მაშინ როდესაც არჩევნები პასიური შესაძლებლობაა და მხოლოდ მაშინ ითვალისწინებს მონაწილეობას, როცა მოქალაქეს დაუძახებენ“.³⁵⁶ ის ასევე იზიარებს მმართველთა ანგარიშვალდებულებისა და ხალხის მიერ დაბალანსების არგუმენტსაც.³⁵⁷

³⁵⁰ პარლამენტი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 831.

³⁵¹ ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 125.

³⁵² ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 128.

³⁵³ ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 128.

³⁵⁴ ჟორდანია ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენჭოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 82-93.

³⁵⁵ ჟორდანია ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენჭოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 82-93.

³⁵⁶ ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 33.

³⁵⁷ ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, 2012, 4.

2. კონსტიტუციური რეფერენდუმი და დამფუძნებელი ძალაუფლება

სახალხო სუვერენიტეტი, ხალხის ძალაუფლება და უმეშვეო დემოკრატია მჭიდროდ უკავშირდება კონსტიტუციის გადასინჯვის წესს. ნოე ჟორდანიას საკონსტიტუციო რეფერენდუმი (რატიფიკაცია) მიაჩნდა დამფუძნებელი კრების ძალაუფლების შეზღუდვის ერთადერთ შესაძლებლობად და ემხრობოდა მას.³⁵⁸ პავლე საყვარელიძე განსაკუთრებული მონდომებით იცავდა საკონსტიტუციო რეფერენდუმის იდეას.³⁵⁹ ალექსანდრე მდივანი კიდევ უფრო რადიკალურად აყენებდა საკითხს და ამბობდა, რომ „კონსტიტუციის გადასინჯვის ხალხის ხელში ჩაგდება არის უკანასკნელი საფეხური მისი ბატონობისა“.³⁶⁰

კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ დისკუსია კომისიაში გაიმართა 1919 წლის 5 ნოემბრის სხდომაზე.³⁶¹ სანიმუშო პროექტი გიორგი ნანეიშვილის მიერ მომზადდა, რომლის მიხედვით, ინიციატივის უფლება დეპუტატთა 1/4-სა და 50 ათას ამომრჩეველს ჰქონდა.³⁶² გიორგი გვაზავას მიაჩნდა, რომ ინიციატივის უფლება 20 ათას ამომრჩეველს უნდა ჰქონოდა, რეფერენდუმს ისიც ემხრობოდა.³⁶³ მუხრან ხოჭოლაგაც ფიქრობდა, რომ შემოთავაზებული რიცხვი დიდი იყო, ამავდროულად, თვლიდა, რომ პარლამენტი 3/4-ით უნდა მიეღო გადაწვეტილება.³⁶⁴ მისი აზრით, სარეფერენდუმოდ უნდა გასულიყო ინიციატივა იმ შემთხვევაშიც, თუ პარლამენტი მას უარყოფდა; თუ აღმოჩნდებოდა, რომ ხალხი თანახმა იყო, ხოლო პარლამენტი წინააღმდეგი, პარლამენტი უნდა დათხოვნილიყო.³⁶⁵ მელიტონ რუსია 2/3-ს უჭერდა მხარს.³⁶⁶ სოციალისტ-რევოლუციონერი ივანე გობეჩიას აზრით, ინიციატივის უფლება 20-25 ათას ადამიანს

³⁵⁸ ჟორდანია ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, 1918 წლის 4 აგვისტო, კრებულში: ჯგერენაია ე., კენტოშვილი თ. (რედ.), საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 81-82.

³⁵⁹ საკონსტიტუციო კომისიის კრება, 11 ივნისი, 1918 წელი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, I ტომი, 2015, 27.

³⁶⁰ მდივანი ა., საკონსტიტუციო საკითხები, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 365.

³⁶¹ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 5 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 156.

³⁶² დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 5 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 151-152.

³⁶³ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 5 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 152-153.

³⁶⁴ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 5 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 153.

³⁶⁵ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 5 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 154.

³⁶⁶ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 5 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 154.

უნდა ჰქონოდა, ის ემხრობოდა მუხრან ხოჭოლაგას და მიიჩნევდა, რომ ინიციატივა პარლამენტის მიერ უარყოფის მიუხედავად უნდა გასულიყო რეფერენდუმზე.³⁶⁷ გიორგი გვაზავას დიფერენცირებული მიდგომა ჰქონდა საკითხისადმი: „თუ პარლამენტმა ეს ინიციატივა არ დაადასტურა, იგი ჰქრება და აღარსად მიდის; მხოლოდ თუ პარლამენტმა იგი დაადასტურა მაშინ გადაეცემა ხალხს სარეფერენდუმით. თუ ამომრჩეველთა ინიციატივა შემოდის პარლამენტში, მაშინ პარლამენტი მხოლოდ დაადასტურებს, რომ შემოვიდა ესა და ეს წინადადება კონსტიტუციის გადასინჯვისა და გადასცემს ხალხს სარეფერენდუმით. თუ ხალხი მიიღებს – პარლამენტი შეუდგება შესაფერისი კანონის შემუშავებას.“³⁶⁸ ამ სხდომაზე გადაწყვეტილება ვერ მიიღეს და საკითხის განხილვის გაგრძელება შემდეგი შეხვედრისთვის გადადეს. 26 ნოემბერს ისევ განახლდა კონსტიტუციის გადასინჯვაზე მსჯელობა. საბოლოოდ, კენჭისყრაზე ორმა ვარიანტმა (25 ათასი – ინიციატორი გიორგი გვაზავა და 50 ათასი – გიორგი ნანეიშვილი) თანაბარი ხმები დააგროვა, გადამწყვეტი აღმოჩნდა თავმჯდომარის, რაჟდენ არსენიძის პოზიცია, რომელმაც მხარი მეორე ვერსიას დაუჭირა (თავად 100 ათასს ემხრობოდა, მაგრამ მისი ინიციატივა ჩავარდა).³⁶⁹ პავლე საყვარელიძეს ჰქონდა იდეა ინიციატივის უფლება ერობათა და ქალაქთა თვითმართველობათა უმრავლესობისთვის მიეცათ,³⁷⁰ თუმცა ის საბოლოო ვერსიაში არ აისახა.

საბოლოოდ კონსტიტუციამ ინიციატივის შესაძლებლობა მხოლოდ დეპუტატთა 50%+1-სა და 50 ათას ამომრჩეველს მისცა.³⁷¹ ცვლილებების მისაღებად საჭირო იყო პარლამენტის 2/3 და რეფერენდუმი.³⁷²

X. დასკვნა

თუ მკითხველი ანგარიშს არ გაუწევს ადაპტაციის იმ სამუშაოს, რომელიც პირველი რესპუბლიკის დამფუძნებლებმა ქვეყნის ძირითად კანონის შექმნისას გასწიეს, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის გაცნობის

³⁶⁷ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 5 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 154–155.

³⁶⁸ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 5 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 155.

³⁶⁹ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 5 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 159.

³⁷⁰ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ჟურნალი, 1919 წლის 5 ნოემბერი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები, II ტომი, 160.

³⁷¹ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 145, <https://matsne.gov.ge/document/view/4801430?p_publication=0> [15.7.2021].

³⁷² საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 147, <https://matsne.gov.ge/document/view/4801430?p_publication=0> [15.7.2021].

შემდეგ, მისთვის ქართველი სოციალ-დემოკრატები უტოპისტებად გამოჩნდნენ. მათ გარემო-პირობების გათვალისწინებით არა მხოლოდ საკუთარ იდეალზე, სოციალისტურ რესპუბლიკაზე უარის თქმა მოუწიათ, არამედ დემოკრატიული მოდელის მორგებაც. ეს ცვლილებები სოციალური რესპუბლიკისკენ მიმავალ გზაზე, გარდამავალ ვერსიად რომ წარმოედგინათ, ზოგჯერ უკანდახევა იყო (მაგალითად, სავალდებულო რეფერენდუმი, ან მთავრობის თავმჯდომარის სტატუსი), თუმცა ხშირად მის გაუმჯობესებასა და სახელისუფლებლო ორგანოებზე სახალხო კონტროლის განმტკიცებას ემსახურებოდა. ამ რიგის გადაწყვეტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მინისტრების ინდივიდუალური პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმსახურებს. ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისთვის დამახასიათებელი უნდობლობის ინსტიტუტი ისე ჩასვეს დემოკრატიულ სისტემაში, რომ ამით ეს უკანასკნელი ლიბერალურ სახელმწიფო მოწყობას კი არ დაუახლოვეს, არამედ, პირიქით, მის საპირისპიროდ გადადგმულ ნაბიჯად აქციეს. არგუმენტის ამგვარი პარადოქსული შემობრუნება დღესაც თავგზას ურევს კონსტიტუციონალისტებს და განაპირობებს იმგვარ მცდარ კლასიფიკაციებს, როგორც პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური წესრიგის საპარლამენტო სისტემად მიჩნევა ან უშუალო დემოკრატიისა და საპარლამენტო მოდელებს შორის მოქცევაა, მაშინ, როცა ცალსახაა, რომ კონსტიტუცია არჩევანს პირველის სასარგებლოდ აკეთებდა. გარდა ზემოთ თქმულისა, ის ოსტატურად უმკლავდებოდა ისეთ პოლიტიკურსამართლებრივ პრობლემებს, როგორებიცაა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობა, სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი, წარმომადგენლობის საკითხი, საარჩევნო სისტემა, პარლამენტის ძალაუფლება, მართლმსაჯულება და კონსტიტუციური კონტროლი.

თვალისმომჭრელია სითამამე, რომლითაც საუკუნეზე ცოტა მეტის წინ, ქართველი სოციალ-დემოკრატები და კონსტიტუციის სხვა ავტორები უზენაესი კანონის შესაქმნელად გამზადებულ დაზგას შემოუსხდნენ. მათი ენთუზიაზმი, შეექმნათ იმჟამინდელ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული პოლიტიკური ერთობა, ბუნებრივი პატივისცემით განაწყობს მკითხველს. მათ კონსტიტუციურ ნაბიჯებს თანადროულად განსაზღვრავს მსოფლიო გამოცდილება და მისი კრიტიკა. ისინი ახერხებენ, რომ მყარ კომპარატივისტულ ნიადაგზე, იქამდე გამოუცდელი პოსტულატები დააფუძნონ. ამ სიახლეებს, ანდა მოდიფიკაციებს ისინი საფუძვლად არსებული კონტექსტის ღრმა ანალიზს უდებენ და თეორიულ მოდელებს მას არგებენ. სისტემის სიცოცხლისუნარიანობა სამწლიანმა გამოცდამ დაადასტურა. მაგრამ ყველაზე ამაღელვებელი ამ ისტორიაში ფატალიზმია, რომელიც ყველა ჭეშმარიტ დემოკრატიულ გონებას მოსვენებას არ აძლევს.

პირველი ქართული კონსტიტუციის ავტორებს შემუშავებული მოდელი დროებით დოკუმენტად მიაჩნდათ; მათი აზრით, ის მომავალში სოციალისტურ წესრიგს უნდა ჩაენაცვლებინა. უზენაესი კანონი იწერებოდა იმ განცდით, რომ ის, ადრე თუ გვიან და, რაც უფრო ადრე, მით უკეთესი, დემონტაჟს დაექვემდებარებოდა. დოკუმენტის კიდევ ერთი პარადოქსი სწორედ ეს იყო, რომ ექსპერიმენტის წარმატებას მისი განადგურება განაპირობებდა. თითქოს, ის ჩართული წამბომით დაიბადა მიღევად რეჟიმში, მას დრო რევოლუციისკენ მიაქანებდა, როგორც *პაულ კლეეს* ანგელუს ნოვუსს ქარბუქი *ბენიამინისეულ* ინტერპრეტაციაში.³⁷³ კონსტიტუციის არქიტექტორებს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ სასიკვდილოდ განწირულ დოკუმენტს ქმნიდნენ, მაგრამ ამას ისეთი შემართებითა და გულმოდგინებით აკეთებდნენ, რომლის წინაშეც დღევანდელი მკვლევარი რთულად თუ დარჩება გულგრილი. ამას ნების სიმტკიცე სჭირდება – იცოდე, რომ გაქრობა ემუქრება იმას, რასაც ქმნი, მაგრამ ეს შენს მოტივაციაზე უარყოფითად არ აისახოს. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა კი პირიქით, მთელი ძალისხმევა იმისაკენ მიმართეს, რომ დროებითი დოკუმენტი „შეცდომით“ ქვეყნის განვითარების სამუდამო პროექტად არ ქცეულიყო.

ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ოკუპაციას რომ არ დაესვა წერტილი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. არც ის ვიცით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის სიტყვებს რომ ნორმატიული შინაარსი შეეძინათ, როგორ იმუშავებდა ეს დოკუმენტი 70 წლის შემდეგ. ჩვენ მხოლოდ მელანქოლიური მზერა შეგვიძლია მივაპყროთ მოქმედი კონსტიტუციის ნეოლიბერალურ უდაბნოში აქა-იქ მიმოფანტულ ნაფლეთებს, რაც პირველი კონსტიტუციის ტექსტიდან შემორჩა.³⁷⁴ *ბორხე ლუის ბორხესის* მეტაფორა რომ გამოვიყენოთ, ამ კონტექსტისთვის უაღრესად ზუსტი სათაურის მქონე კრებულიდან „მუზეუმი“, ახლანდელ წესრიგში ამ ნაფლეთებს მხოლოდ საზოგადოებრივი სისტემიდან მოკვეთილთა შეფარების მარგინალური ფუნქციალა შეუძლიათ იტვირთონ.

³⁷³ *ბენიამინი ვ.*, ისტორიის ცნების შესახებ, კრებულში: ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპრო-დუცირებადობის პირობებში. ისტორიის ცნების შესახებ, 2008, 99.

³⁷⁴ *ბორხესი ბ. ლ.*, სიზუსტე მეცნიერებაში, კრებულში: „მოთხრობები“, 2012, 351.

უცვლელი ნორმის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში

აბსტრაქტი

საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი პირველი საკონსტიტუციო მნიშვნელობის აქტია, რომლითაც საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა განისაზღვრა. ძირითადი ფაქტორები, რამაც საქართველოში ტრადიციული მონარქიული მმართველობის ფორმის ცვლილება განაპირობა, თავად მონარქიის აღდგენის შიში და სახელმწიფოს ისეთ მმართველობის ფორმაზე გადასვლის აუცილებლობა იყო, რომელიც სახელმწიფო მმართველობის სისტემაში სახალხო წარმომადგენლობის პრინციპის დამკვიდრებას, ხალხის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს იდეის რეალიზაციას უზრუნველყოფდა. აღსანიშნავია, რომ ეს არჩევანი მტკიცე და გაცნობიერებული იყო პოლიტიკური ხელისუფლების მიერ, რასაც ადასტურებს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც საქართველოს პოლიტიკური წყობილების უცვლელი ფორმის აღიარება და გარანტირება.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს საქართველოს პირველი კონსტიტუციით განსაზღვრული სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმის განხილვას, საკონსტიტუციო ნორმის ძირითადი ნორმატიული თავისებურებების შეფასებას, დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც კონსტიტუციის მუდმივ და უცვლელ ნორმად ჩამოყალიბების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზს. ნაშრომში განხილულია დემოკრატიული რესპუბლიკის უცვლელ ნორმად ჩამოყალიბების პოლიტიკურსამართლებრივი წინაპირობები, მიზნები და აღნიშნული საკონსტიტუციო ნორმის სამართლებრივი ბუნება. პარალელურად გავლენიანი თანამედროვე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში არსებულ უცვლელ ნორმებთან და წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები.

* სამართლის დოქტორანტი, იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი [paata.javakhishvili@tsu.ge]

I. შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღებიდან 100 წელი გავიდა. საუკუნოვანი ჟამთასვლის კვალდაკვალ დღესაც გაოცებას იწვევს დემოკრატიული ღირებულებები, რომელთაც კონსტიტუცია განამტკიცებს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული მრავალი ინსტიტუტი, არა მხოლოდ იმ პერიოდის კონსტიტუციონალიზმის ყველაზე თანამედროვე იდეებს შეესაბამებოდა, არამედ „დამფუძნებელთა“ პროგრესული ხედვა და სახელმწიფოს მოწყობის შესახებ ამ ხედვის საკონსტიტუციოსამართლებრივი ხორცშესხმა თანამედროვე დემოკრატიული ფასეულობების თავსებადია. ჰუმანიზმი, სახელმწიფოებრივი აზროვნების სიღრმე და განვითარებული სამართლებრივი კულტურა ის ძირითადი ნიშნებია, რომლითაც კონსტიტუციის ტექსტია განმსჭვალული.

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი საკონსტიტუციო ღირებულებების დაცვას უკავია. სახელმწიფო მმართველობის სისტემისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასთან ერთად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობისა და საზოგადოების განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტსა და შემდგომ, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში პოლიტიკური წყობილების ფორმის ჩამოყალიბება. აღნიშნული საკითხი ერთ-ერთია, რომელზეც იმ პერიოდის პოლიტიკურ სპექტრს, მსოფლმხედველობრივი განსხვავების მიუხედავად, მკაფიო და მტკიცე საერთო პოზიცია გააჩნდა, თუმცა აღნიშნული არა მხოლოდ არჩევანის საკითხი იყო, არამედ ერთგვარი „შიშისა და აღიარების“¹ შედეგიც.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს პირველი კონსტიტუციით განსაზღვრული სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმის განხილვას, საკონსტიტუციო ნორმის ძირითადი ნორმატიული თავისებურებების შეფასებას, „დემოკრატიული რესპუბლიკის“, როგორც კონსტიტუციის „მუდმივ და უცვლელ“ ნორმად ჩამოყალიბების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზს. ცხადია, საკვლევი თემის შინაარსი მოითხოვს ისტორიული წყაროების ანალიზს, ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა და საქართველოს კონსტიტუციის განსაზღვრულ ნორმათა სისტემურ და შედარებითსამართლებრივ მიმოხილვას, რის გამოც კვლევა წარმართება ისტორიული, შედარებითსამართლებრივი და ტელეოლოგიური მეთოდების გამოყენებით.

¹ ტერმინის „შიშისა და აღიარების“ შესახებ იხ. შაიო ა. [ნინიძე თ. (რედ.)], ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, 2003.

II. პოლიტიკური წყობილების საკითხი საქართველოს სადამფუძნებლო აქტებში

საქართველოში, ტრადიციულად, მონარქიული მმართველობის ფორმა იყო დამკვიდრებული, თუმცა სამართლებრივი და ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ ფეოდალიზმის პერიოდშიც კი მეფის ძალაუფლებას არასდროს მიუღწევია იმ უმაღლესი ნიშნულისთვის, რომელიც საქართველოში არსებულ მმართველობის ფორმას აბსოლუტური მონარქიის კატეგორიაში დააყენებდა.² ამ ფონზე მმართველობის რესპუბლიკურ საწყისებზე გადასვლა საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმა სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით განისაზღვრა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველ საკონსტიტუციონალურ სამართლებრივ აქტად მიიჩნევა.³

1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი, მართალია, მოიცავდა დეკლარაციული ხასიათის ნორმებს, თუმცა მასში, უფრო მეტად, ნორმატიული მნიშვნელობის ნორმები გვხვდება,⁴ რის გამოც, იგი, რეალურად, ქმედითი დოკუმენტი იყო.⁵ მასში გადმოცემული იყო ის ძირითადი იდეები, რომელთა აღსრულებაც ქართულმა საზოგადოებამ სამომავლოდ დაისახა მიზნად. დამოუკიდებლობის აქტის მიღებით, ეროვნულმა საბჭომ ფაქტობრივად „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალზე გააკეთა აქცენტი“.⁶ ძირითად საკითხებს შორის, რომელიც 1918 წლის აქტმა გაითვალისწინა, განსაკუთრებული ყურადღება მმართველობის ფორმაზე გამახვილდა და პოლიტიკური წყობილების ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა.⁷

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.⁸ მისი მიღება თანამედროვე ცივილიზაციისთვის საკმაოდ კრიზისულ, ქართველებით სავსე პერიოდში

² ქანთარია ბ., მმართველობის ფორმის უცვლელობის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 63.

³ შენგელია რ. (რედ.), ქართული სამართლის საფუძვლები, 2004, 70.

⁴ ცნობილაძე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, I ტომი, 2005, 94.

⁵ გეგენავა დ. (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, 2019, 36.

⁶ კვერენჩილაძე გ., აღმასრულებელი ხელისუფლება და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 166.

⁷ საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მე-2 მუხლი.

⁸ მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 36.

მოხდა⁹ და მიზნად ისახავდა არა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ძირითადი კანონის არსებობას, არამედ „ევროპისა და ცივილიზებული მსოფლიოსთვის საქართველოს მიერ დემოკრატიული არჩევანის გაკეთებას“.¹⁰ ამასთან, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო „ქართველი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფსიქიკა, ყოფა, ზნე-ჩვეულება, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა“.¹¹

საქართველოს დამფუძნებელ კრებას შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების გამო, მართალია, არ დასცალდა კონსტიტუციის ყველა სტრუქტურული ელემენტის დეტალური განხილვა¹² და კონსტიტუცია დაჩქარებულ რეჟიმში იქნა მიღებული,¹³ თუმცა ამ პროცესს წინ ორი კომისიის მიერ სამწლიანი დეტალური განხილვა უძღოდა. აღნიშნული პროცესის ნაყოფიერებაზე კონსტიტუციაში მოცემული ის ინსტიტუტები მეტყველებენ, რომლებიც მაშინდელი თანამედროვე სამყაროს სახელმწიფო ცხოვრებაში ყველაზე პროგრესულ იდეებს წარმოადგენდა. ფასდაუდებელია თავად იმ პირთა დამსახურება, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში. მაგალითად, ცნობილია, რომ *პავლე საყვარელიძე* კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის პარალელურად სისტემატურად აქვეყნებდა პროექტის დებულებების კომენტარებს და აცნობდა საზოგადოებას მათ შინაარსს.¹⁴ თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში, 1921 წლის კონსტიტუციის დამფუძნებელთა უმთავრეს დამსახურებად, სამართლიანად მიიჩნევა იმის გაცნობიერება და კონსტიტუციონალიზება, რომ ადამიანი ძირითადი სოციალური ღირებულებაა.¹⁵ ამ თვალსაზრისით, იგი „ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე აქტია, ვიდრე უბრალოდ უახლესი წარსულის ისტორიული მემკვიდრეობა“.¹⁶

⁹ *მაგაბერიძე მ.*, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 22.

¹⁰ *დემეტრაშვილი ა.*, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია 2011 წლის გადასახედიდან, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 10.

¹¹ *გურგენიძე ე.* (რედ.), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918–1921), 1990.

¹² *დემეტრაშვილი ა.*, *კობახიძე ი.*, კონსტიტუციური სამართალი, 2010, 51.

¹³ *გეგენავა დ.*, *პაპაშვილი თ.*, კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი – ნორმატიული მოწესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა, 2015, 14.

¹⁴ *მაგაბერიძე მ.*, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 36.

¹⁵ *დემეტრაშვილი ა.*, *კობახიძე ი.*, კონსტიტუციური სამართალი, 2010, 52.

¹⁶ *დავითური გ.*, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი – საკონსტიტუციო

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პირველი მუხლით, საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმად განისაზღვრა დემოკრატიული რესპუბლიკა, თუმცა საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის მე-2 მუხლთან შედარებით, ნორმის ფორმულირება უფრო მკაფიო და კატეგორიული იყო – დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც „უცვლელი და მუდმივი“ პოლიტიკური წყობილების ფორმა, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში ერთადერთი საკითხია, რომელიც არ ექვემდებარება გადასინჯვას. უფრო მეტიც, 1921 წლის კონსტიტუცია, დემოკრატიულ რესპუბლიკას, არა მხოლოდ პოლიტიკური წყობილების უცვლელ ფორმად განიხილავდა, არამედ კრძალავდა დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმების თაობაზე კონსტიტუციური კანონის ინიცირების შესაძლებლობას.¹⁷ რაც, კიდევ ერთხელ, ხაზს უსვამს კონსტიტუციის „დამფუძნებელთა“ განზრახულობას და მათთვის ამ საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

III. პოლიტიკური წყობილების საკითხი პოლიტიკურ პარტიათა დღის წესრიგში

სხვადასხვა საკითხზე ქართული საზოგადოებისათვის დამახიანებელი რადიკალური დისკუსიისაგან განსხვავებით, 1921 წლის კონსტიტუციაში პოლიტიკური წყობილების ფორმის უცვლელობის საკითხი საერთო პოლიტიკური კონსენსუსის შედეგია.¹⁸ საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას მხარს უჭერდნენ მაშინდელ პოლიტიკურ ლანდშაფტში არსებული ყველაზე ძლიერი პოლიტიკური სუბიექტები: სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები.¹⁹ აღნიშნული განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის, მონარქიის აღდგენის შიშით. იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეთა შრომებსა და მოგონებებში მკაფიოდ იკითხება რესპუბლიკური მმართველობისა და, ზოგადად, დემოკრატიული რესპუბლიკისადმი დადებითი დამოკიდებულება. ამის საპირისპიროდ, მონარქია გაიგივებულია მმართველობის ისეთ ფორმასთან, რომელიც აბსოლუტურად ზღუდავს ადამიანების

რეფორმის პერსპექტივა, კრებულში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, 2013, 147.

¹⁷ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 148, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [1.7.2021].

¹⁸ მაგაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 37-38.

¹⁹ მაგაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 37-38.

თავისუფლებას და „სახელმწიფო საქმის“ განხორციელებაში „ხალხის“ ჩართულობას. ამასთან, დემოკრატიულ რესპუბლიკაზე არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. კონსტიტუციის შემქმნელებმა მონარქიის იდეას დაუპირისპირეს „არა უბრალოდ „რესპუბლიკა“, არამედ „დემოკრატიული რესპუბლიკა“, პოლიტიკური წყობილების ისეთი ფორმა, როდესაც ხელისუფლება ხალხის მიერ არჩეულ უმრავლესობას“ ეკუთვნის.²⁰

დამფუძნებელი კრების წევრთა ხედვა, მართალია, მიზნად ისახავდა დემოკრატიული ღირებულებების ინტეგრაციას საზოგადოებაში, თუმცა გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ რესპუბლიკური ღირებულებების გადაჭარბებულმა შეფასებამ, რაც, ძირითადად, მონარქიული მმართველობის ფორმის რესტავრაციის შიშით იყო ნასაზრდოები, არაერთი ისეთი საკონსტიტუციო პრინციპი შეიწირა, რომელთა არარსებობასაც სახელმწიფოს სტაბილური ფუნქციონირებისთვის შესაძლოა, საფრთხე შეექმნა.²¹ მაგალითად, სახელმწიფო მეთაურის ინსტიტუტის არარსებობა.

უფრო დეტალურად თუ განვიხილავთ, ცხადია, რომ სოციალ-დემოკრატებისთვის მონარქიის აღდგენის საკითხი სრულად გამოირიცხებოდა.²² მეტიც, მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ რესპუბლიკური მმართველობის მუდმივობა, უმაღლეს სამართლებრივ დონეზე ყოფილიყო გარანტირებული.²³ ზოგადად, სოციალ-დემოკრატების პოზიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან დამფუძნებელი კრების მანდატების კვალიფიციურ უმრავლესობას სწორედ ეს პოლიტიკური ძალა ფლობდა. უნდა ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც, თავდაპირველად, რუსეთში არსებული პოლიტიკური პარტიის განაყოფად ჩამოყალიბდა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პოლიტიკური კურსი სრულად იცვალეს და ეროვნული იდეების გახმოვანებასა და გატარებაში აქტიური როლის შესრულება დაიწყო.²⁴ მონარქიული წყობილების აღდგენის შიშით, სწორედ სოციალ-დემოკრატებმა საკონსტიტუციო კომისიაში დააყენეს საკითხი საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმის კონსტიტუციაში

²⁰ ქანთარია ბ., მმართველობის ფორმის უცვლელობის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 64.

²¹ დავითური გ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი – საკონსტიტუციო რეფორმის პერსპექტივა, კრებულში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, 2013, 157.

²² ხეცურიანი ვ., სახელმწიფო მმართველობის ფორმები და მონარქიის აღდგენის პერსპექტივები საქართველოში, წიგნში: ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, 2011, 35.

²³ გეგენავა დ. (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, 2019, 37.

²⁴ ქემამზადე ფ. [ქანთარია ქ. (თარგ.), მამულია გ. (რედ.)], ბრძოლა ამიერკავკასიისთვის 1917-1921, 2016, 230.

დამოუკიდებელ მუხლად შეტანისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად ჩამოყალიბების თაობაზე.²⁵

1921 წლის კონსტიტუციაში პოლიტიკური წყობილების საკითხის გადაწყვეტას იურიდიულ ლიტერატურაში ორ მთავარ ფაქტორს უკავშირებენ: დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო ფესვებისა და მონარქიული მმართველობის ფორმის აღდგენის შიშს. თუმცა მკაფიოდ გამოსაკვეთია „დამფუძნებელთა“ განზრახვა, საქართველოს ჰქონოდა თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსათვის დამახასიათებელი ღირებულებების მქონე ძირითადი კანონი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მათი ლტოლვა ევროპული ქვეყნების ძირითადი კანონიდან პროგრესული ნორმების გადმოტანის თაობაზე. კონსტიტუციის დამფუძნებლები პოლიტიკური წყობილების ფორმის უცვლელობის არგუმენტად მოიხმობდნენ იმ პერიოდის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს – საფრანგეთის 1875 წლის კონსტიტუციას და 1917 წლის პორტუგალიის ძირითად კანონს.²⁶ თუმცა არსებითი გავლენა საქართველოს კონსტიტუციასა და მისი შემქმნელების განწყობაზე საფრანგეთის 1875 წლის კონსტიტუციაში 1884 წლის კონსტიტუციურმა ცვლილებებმა მოახდინა, რომლითაც რესპუბლიკური მმართველობა საფრანგეთში მმართველობის უცვლელ ფორმად განისაზღვრა.²⁷

უნდა აღიშინოს, რომ პოლიტიკური მოწყობის მიმართ განწყობა იმდენად მკაფიო იყო, რომ გამოირიცხებოდა კლასიკური რესპუბლიკური მმართველობის ფორმისთვის თანამედროვე პირობების დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები. მაგალითად, რაჟდენ არსენიძის მოსაზრებით, საქართველოში უნდა დამკვიდრებულიყო რესპუბლიკური მმართველობის ფორმა პრეზიდენტის ინსტიტუტის გარეშე.²⁸ იგი მიიჩნევდა, რომ „რესპუბლიკურ წყობილებაში აღმასრულებელი ძალა პრეზიდენტის განკარგულებაშია და ეს, მასაც ისეთივე უფლებით მოსავს, როგორც მეფეს მონარქიაში.“²⁹ მისივე მოსაზრებით, რესპუბლიკური მმართველობის ფორმა ისეთ პოლიტიკურ რეჟიმს განეკუთვნებოდა, როდესაც მეფის ძალაუფლება გაუქმებული იყო და მთელი მართვა-გამგეობა ხალხისაგან არჩეული

²⁵ ქანთარია ბ., მმართველობის ფორმის უცვლელობის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 66.

²⁶ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ბათუმი, მე-2 გამოცემა, 2013, 16.

²⁷ ქანთარია ბ., მმართველობის ფორმის უცვლელობის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 67.

²⁸ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, ქართული სამართლის კლასიკა, მე-2 გამოცემა, 2014, 16.

²⁹ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, ქართული სამართლის კლასიკა, მე-2 გამოცემა, 2014, 17.

პირების ხელში იყო მოქცეული.³⁰ რესპუბლიკური მმართველობის ფორმის მომხრე იყო ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავაც, რომელიც დემოკრატიას თანამედროვე „კულტურული დონის“ შესაბამისად მიიჩნევდა და მოწინავე სახელმწიფოთა ძირითად მახასიათებლად განიხილავდა.³¹ აღსანიშნავია საკონსტიტუციო კომისიის მოწვეული წევრის, ცნობილი ქართველი იურისტის კონსტანტინე მიქელაძის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევდა, რომ „რესპუბლიკა არის ერთადერთი ფორმა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისა, რომელიც წარმოადგენს ფართო ნიადაგს ხალხის ბუნებრივი უფლებების გამომჟღავნებისას და განმტკიცებისას“.³²

განხილული მოსაზრებები, ცხადია, ასახავს რესპუბლიკური მმართველობის ფორმის მიმართ არა მხოლოდ საზოგადოების ცალკეული წევრების პოზიციას, არამედ ისინი საფუძვლად დაედო საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური პარტიების შეთანხმებას პოლიტიკური წყობილების ფორმასთან მიმართებით. ერთადერთი საკითხი, რომელიც გადასაწყვეტი იყო მომავალი კონსტიტუციის შემუშავებისას, უკავშირდებოდა ქვეყნის ძირითად კანონში პოლიტიკური წყობილების ფორმის „მუდმივობისა“ და „უცვლელობის“ განსაზღვრას.³³ თუმცა ჩნდება შეკითხვა, არსებობდა კი რეალური „საფრთხე“ მონარქიული წყობილების აღდგენისა? ამ კითხვაზე პოლიტიკურ კონტექსტში მსჯელობა მხოლოდ თეორიულ ვარაუდებს შეიძლება დაეფუძნოს და აღნიშნული არც არის კვლევის მიზანი. სამართლებრივად უფრო საინტერესოა, საკონსტიტუციო დონეზე პოლიტიკური წყობილების ფორმის „უცვლელობაზე“ მითითება, რამდენად ტოვებდა მისი შესაძლო შეცვლის სამართლებრივ გზას? ამ თვალსაზრისით საინტერესოა არსებული პრაქტიკა „მუდმივ“ საკონსტიტუციო ნორმებთან მიმართებით.

³⁰ არსენიძე რ., დემოკრატიული რესპუბლიკა, ქართული სამართლის კლასიკა, მე-2 გამოცემა, 2014, 17.

³¹ გვაზავა გ., ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, ქართული სამართლის კლასიკა, 2014, 27; გვაზავა გ., სიტყვა წარმოთქმული დამფუძნებელ კრებაზე, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 130.

³² მიქელაძე კ., დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტური რესპუბლიკა (ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების პროცესში), კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 70.

³³ ქანთარია ბ., მმართველობის ფორმის უცვლელობის საკითხი საქართველოს პირველ კონსტიტუციაში, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 65.

IV. „მუდმივი“ საკონსტიტუციო ნორმები „უცვლელობის“ გარანტია?

თანამედროვე სახელმწიფოთა მცირე ნაწილი კონსტიტუციურად განამტკიცებს „უცვლელ“ ნორმებს. მაგალითად, იტალიისა³⁴ და საფრანგეთის³⁵ კონსტიტუციების შესაბამისად, რესპუბლიკური მმართველობის ფორმა არ შეიძლება იყოს კონსტიტუციის გადასინჯვის საგანი. გერმანიის ძირითადი კანონი ფედერალიზმს, როგორც გერმანიის ტერიტორიული მოწყობის ფორმას, მუდმივ და უცვლელ ნორმად განიხილავს.³⁶ თუმცა მიიჩნევა, რომ აღნიშნული კონსტიტუციონალიზმის ძველი ელემენტია და თანამედროვე კონსტიტუციები უპირატესობას, ცალკეული ნორმების დაცვისათვის, კონსტიტუციის ხისტი გადასინჯვის მექანიზმის ჩამოყალიბებას ანიჭებენ.³⁷ მუდმივი ნორმების გამოყენების პრაქტიკა მიზნად ისახავს კონსტიტუციის დაცვას გაუმართლებელი ცვლილებებისგან,³⁸ თუმცა მას, უფრო მეტად, დეკლარაციული დანიშნულება აქვს, ვიდრე კონსტიტუციით ლეგალური შეზღუდვების დაწესება კანონმდებლისათვის.³⁹ საკითხთა წრე, რომელთა მუდმივობაც უზრუნველყოფილია კონსტიტუციით, მრავალფეროვანია და უკავშირდება მმართველობის ფორმას, ტერიტორიულ მოწყობას, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტს და ა.შ. ვენეციის კომისია ამგვარი „მუდმივი“ ნორმების განხილვისას ერთმანეთისგან მიჯნავს „უცვლელ“ დებულებებსა და პრინციპებს. პირველ შემთხვევაში, სრულად გამოირიცხება ისეთი ცვლილებების განხორციელება კონსტიტუციაში, რომელიც ითვალისწინებს „უცვლელ“ დებულებაში ნებისმიერი ტიპის ცვლილებას, ხოლო კონსტიტუციური პრინციპების „უცვლელობის“ პრაქტიკა ცვლილების შესაძლებლობას იძლევა იმ დონემდე, სადამდეც კონკრეტული პრინციპის ძირითადი ელემენტები დაცულია.⁴⁰ ამ ტიპის ცვლილებას დაქვემდებარებულ ცნებებს შეიძლება მივაკუთვნოთ „რეს-

³⁴ Constitution of the Italian Republic, 1947, Article 139, <https://www.senato.it/documenti/repository/istituzione/costituzione_inglese.pdf> [1.7.2021].

³⁵ Constitution of France, 1958, Article 89, <https://www.conseil-constitutionnel.fr/sites/default/files/as/root/bank_mm/anglais/constiution_anglais_oct2009.pdf> [1.7.2021].

³⁶ Basic Law for the Federal Republic of Germany, 1949, Article 79, para. 3, <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_gg/englisch_gg.pdf> [1.7.2021].

³⁷ Report on Constitutional Amendment, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD (2010)001, 2009, para. 203, <[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=cdl-ad\(2010\)001-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=cdl-ad(2010)001-e)> [1.7.2021].

³⁸ Barak A., Unconstitutional Constitutional Amendments, Israel Law Review 44, 2011, 333.

³⁹ Report on Constitutional Amendment, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD (2010)001, 2009, para. 203, <[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=cdl-ad\(2010\)001-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=cdl-ad(2010)001-e)> [1.7.2021].

⁴⁰ Report on Constitutional Amendment, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), CDL-AD (2010)001, 2009, para. 204, <[https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=cdl-ad\(2010\)001-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=cdl-ad(2010)001-e)> [1.7.2021].

პუბლიკანიზმი“, „სუვერენიტეტი“, „დემოკრატია“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“ და ა.შ.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული პოლიტიკური წყობილების ფორმის საკითხიც ის საკონსტიტუციო პრინციპია, რომელიც შესაძლოა, ცვლილებას დაქვემდებარებოდა, თუმცა გარკვეულ ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუციის 148-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვამგებობის ფორმის ცვლილება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების „საგნად“, არ გამორიცხავდა კონსტიტუციაში მმართველობის ფორმის თაობაზე შესაბამისი ცვლილების ინიცირების შესაძლებლობას. კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა მხოლოდ ზღუდავდა იმგვარი რადიკალური კონსტიტუციური ცვლილებების ინიცირების შესაძლებლობას, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის ცნებას შეცვლიდა. კერძოდ, კონსტიტუციის ეს ნორმა გამორიცხავდა კონსტიტუციის იმგვარად გადასინჯვას, რომლის მიზანიც მონარქიული მართველობის ფორმის დამკვიდრება შეიძლება ყოფილიყო, თუმცა შესაძლებელი იყო იმ ტიპის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ცნება „რესპუბლიკურის“ შინაარსობრივ ელემენტს არ შეცვლიდა.

კონსტიტუციის „უცვლელ“ ნორმებს თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის დადგენა უკავშირდება. კონსტიტუციაში „მუდმივი“ ნორმების არსებობა კონსტიტუციურ ნორმათა ერთგვარ იერარქიზაციას იწვევს,⁴¹ რაც შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს საკონსტიტუციო ცვლილებების კონსტიტუციასთან თავსებადობა. მაგალითად, გერმანიის ძირითად კანონში ადამიანის ღირსება და დემოკრატია ისეთი ფასეულობებია, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, რის გამოც, მასთან შეუსაბამო აქტის, მათ შორის, კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის განხილვაა შესაძლებელი.⁴² მაშინ, როცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენიმე შემთხვევაში უარი თქვა ამ უფლებამოსილების განხორციელებაზე იმ მოტივით, რომ კონსტიტუციური კანონი, მიღების შემდეგ კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი ხდება და მასზე საკონსტიტუციო კონტროლი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს სცილდება.⁴³ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული უფლებამოსილება საკონსტიტუციო

⁴¹ შეად. *ერემაძე ქ.*, კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შეფასების პერსპექტივები, კრებულში: ადამიანის უფლებების და სამართლის უზენაესობა, 2013, 75.

⁴² *გვეგნავა დ.*, *პაპაშვილი თ.*, კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი – ნორმატიული მოწესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა, 2015, 62.

⁴³ *ხეცურიანი ჯ.*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, 2020, 99.

კონტროლის სფეროს განეკუთვნება, ხოლო პირველი კონსტიტუცია საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს არ ითვალისწინებდა, ამგვარი ცვლილებებისაგან კონსტიტუციის დაცვის მექანიზმიც არ არსებობდა.⁴⁴

დაბოლოს, არსებობდა კი 1921 წლის კონსტიტუციაში დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც პოლიტიკური წყობილების ფორმის „მუდმივობასა“ და „უცვლელობაზე“ მითითების გარდაუვალი აუცილებლობა? პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ კონსტიტუციაში მოცემული რესპუბლიკანიზმის იდეა დემოკრატიის პრინციპთან ერთად არის განხილული, ამ თვალსაზრისით, 1921 წლის კონსტიტუციამ არა მხოლოდ მმართველობის რესპუბლიკური ფორმა დაამკვიდრა, არამედ დემოკრატიის პრინციპიც შემოიღო როგორც პოლიტიკური რეჟიმი. 1921 წლის კონსტიტუციის შინაარსისა და საერთო სულისკვეთების გათვალისწინებით კი, რომელიც სრულად ეფუძნებოდა ამ პრინციპებს, ცხადია, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე მითითება და, მით უმეტეს, მის პოლიტიკური წყობილების „მუდმივ და უცვლელ“ ფორმად გამოცხადებას უფრო დეკლარაციული ხასიათი გააჩნდა, ვიდრე კონსტიტუციის დაცვისა. ამდენად, ამ პრინციპის ცვლილება, მხოლოდ ნორმის შეცვლა არ იქნებოდა, არამედ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა მთლიანად კონსტიტუციის შინაარსზე და ხელს შეუშლიდა სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს იდეის დანერგვას.⁴⁵

V. დასკვნა

1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით, საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმად განისაზღვრა დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო 1921 წლის კონსტიტუციით, იგი „უცვლელ და მუდმივ“ ნორმად განმტკიცდა. ამ არჩევანის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი საქართველოში მონარქიის აღდგენის შიში იყო, რამაც განსაზღვრა კიდევ საქართველოს პირველ კონსტიტუციაში, რესპუბლიკანიზმის იდეის მუდმივობა. თუმცა ისტორიული წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართველი ხალხის ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ამ ფაქტორით არ იყო ნასაზრდოები და არჩევანი მიზანმიმართულად გაკეთდა სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ისეთ ფორმაზე, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხია. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ საკით-

⁴⁴ ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო კონტროლის ელემენტები საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, კრებულში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია, 2013.

⁴⁵ გეგენავა დ., პაპაშვილი თ., კონსტიტუციის გადასინჯვის ქართული მოდელი – ნორმატიული მოწესრიგების ხარვეზები და პერსპექტივა, 2015, 71.

ხზე პოლიტიკურ სპექტრს შორის სრული კონსენსუსი არსებობდა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკანიზმისა და დემოკრატიის კონსტიტუციური პრინციპების დანერგვისთვის.

დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც პოლიტიკური წყობილების ფორმის ჩამოყალიბებამ არსებითი გავლენა მოახდინა საქართველოს პირველი კონსტიტუციის შინაარსზე. მასში გადმოცემული იდეები და პრინციპები სრულ შესაბამისობაში იყო პოლიტიკური წყობილების დეკლარირებულ ფორმასთან, აღნიშნულის გამო, დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივ ნორმად აღიარებას, საკანონმდებლო შეზღუდვასთან შედარებით, უფრო დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა და განამტკიცებდა ქართული საზოგადოების განვითარების გზას. სწორედ ამ დემოკრატიული ღირებულებებისა და ჰუმანიზმის იდეების გამო, საქართველოს პირველ კონსტიტუციას გამორჩეული ადგილი უკავია მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი: საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სოციალურ საკითხებზე

აბსტრაქტი

სოციალური უფლებები ქართული კონსტიტუციონალიზმის ტრადიციაში ისტორიულად მნიშვნელოვან როლს იკავებს. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-13 თავი, „სოციალ-ეკონომიური უფლებანი“, მოიცავდა ისეთ პროგრესულ დებულებებს, როგორებიცაა უმუშევრობის შემცირების, შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის სოციალური დახმარების, შრომის უფლებების ნორმები და ხაზს უსვამდა ეროვნული უმცირესობებისათვის ამ უფლებათა გარანტიებს. 1921 წლის კონსტიტუციის ტრადიციის შესაბამისად, კონსტიტუციის თანამედროვე რედაქციის მე-5 მუხლი აცხადებს, რომ საქართველო სოციალურ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს კონსტიტუციური პრინციპი პროგრესული სოციალური მიზნების ფართო სპექტრს მოიცავს და კონსტიტუციის მე-2 თავში განთავსებული სოციალური უფლებების საფუძველს წარმოადგენს.

მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციაში ტრადიციულად მნიშვნელოვანი როლისა, სოციალური უფლებების სასამართლო აღსრულება სხვადასხვა თეორიულ თუ პრაქტიკულ სირთულესთანაა დაკავშირებული. სტატია განიხილავს თუ როგორი მიდგომა აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სოციალურ უფლებებთან. ამ მიზნით სტატია მიმოიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას და ასკვნის, რომ, მართალია, სასამართლოს ცალკეულ საქმეებში ჩამოყალიბებული აქვს გაბედული სტანდარტები, თუმცა მისი საერთო მიდგომა სოციალურ უფლებებთან ფრთხილი და თავშეკავებულია.

სტატია ასევე განიხილავს თუ რა თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს აწყდება სასამართლო სოციალური უფლებების განხილვისას კონკრეტულ საქმეებში. იგი ასკვნის, რომ სასამართლოს მიერ იდენტიფიცირებული საკითხები როგორც სოციალური უფლებების ბუნებას, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატსა და ფუნქციას შეეხება. ეს კითხვები არა მარტო საქართველოს კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში, არამედ ასევე საერთაშორისო პრაქტიკასა და სოციალური უფლებების თეორიაშიც დიდი

* მკვლევარი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, ლუნდის უნივერსიტეტი; ადამიანის უფლების თეორიისა და პრაქტიკის ფილოსოფიის მაგისტრანტი, ოსლოს უნივერსიტეტი [nikaa@uio.no]

ხანია არსებობს. შესაბამისად, სტატია განიხილავს ამ კონცეპტუალურ საკითხებს და აყალიბებს მათი გადაჭრის თეორიულ და პრაქტიკულ გზებს სხვა სასამართლოების პრაქტიკის მაგალითზე.

I. შესავალი

ადამიანის სოციალურ უფლებებს ქართულ კონსტიტუციონალიზმში ისტორიული მნიშვნელობის როლი აქვს. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია მოიცავდა მე-13 თავს – „სოციალურ-ეკონომიკური უფლებები“, რომელიც ითვალისწინებდა ისეთ პროგრესულ დებულებებს, როგორცა უმუშევრობის შემცირება, შებღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება, შრომითი უფლებები და განსაკუთრებულად ხაზს უსვამდა ამ დებულებათა ეროვნული უმცირესობებისათვის გარანტირებას. ამ ტრადიციის კვლადაკვალ, საქართველოს თანამედროვე კონსტიტუცია განსაზღვრავს სოციალური (კეთილდღეობის) სახელმწიფოს პრინციპს, როგორც პრეამბულის ერთ-ერთ ფუნდამენტურ დებულებას, და ჩამოთვლის სოციალური ხასიათის უფლებებს ადამიანის სხვა უფლებებსა და თავისუფლებებთან ერთად კონსტიტუციის მე-2 თავში. კონსტიტუცია განმარტავს ამ პრინციპის მნიშვნელობას მე-5 მუხლში, რომელიც საქართველოს სოციალურ სახელმწიფოდ აცხადებს. ეს პრინციპი მოიცავს სოციალური დებულებების ფართო სპექტრს და წარმოადგენს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული სოციალური უფლებების საფუძველს.

გარდა კონსტიტუციაში პირდაპირი ინკორპორირებისა, სოციალური უფლებები საქართველოს კონსტიტუციურ კონსტრუქციაში შემოდის მე-4 მუხლის მეშვეობით. ეს დებულება აღიარებს „საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ პირდაპირ მითითებული არ არის, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან“ და ადგენს, რომ „საქართველოს კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს“. სოციალური უფლებები, როგორც ისინი გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (UDHR), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით (ICESCR) და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შესაბამის მოთხოვნებს უწესებს ქართულ სამართლებრივ სისტემასაც.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში ჩამოყალიბებულია ადამიანის აღსრულებადი უფლებები და თავისუფლებები. კონსტიტუციური ტრადი-

ციისა და მისი მკვეთრი განცხადებების საპირისპიროდ, კონსტიტუციას მინიმალისტური მიდგომა აქვს სოციალური უფლებების მიმართ. ეს მიდგომა განსაკუთრებით განმტკიცდა, 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, რომლებმაც სოციალური დებულებები ამოიღო მე-2 თავიდან. ეს ნიშნავს, რომ არსებობს მხოლოდ რამდენიმე სოციალური ხასიათის ადამიანის უფლება, რომელსაც სასამართლოს წესით, მათ შორის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ინდივიდუალურ უფლებად აღსრულების პოტენციალი აქვს. შესაბამისად, არც საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაა მდიდარი სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საქმეებით და, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას მას ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია ყოვლისმომცველი სტანდარტი სოციალური უფლებების მიმართ. თუმცა, სასამართლოს განხილული აქვს რიგი საქმეები მატერიალური სოციალური უფლებებისა და სოციალურ საკითხებში დისკრიმინაციის შესახებ. ამ საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ სასამართლო სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში ჩარევას განიხილავს როგორც საფრთხეს, რომელიც ემუქრება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და, შესაბამისად, ჩამოყალიბებული აქვს სოციალური უფლებების დაცვის კუთხით ფრთხილი მიდგომა. ეს სავსებით შეესაბამება მოძველებულ კონსტიტუციონალისტურ მიდგომას, რომელიც განასხვავებს, ერთი მხრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ (ESC) უფლებებს, ხოლო მეორე მხრივ, სამოქალაქო და პოლიტიკურ (CP) უფლებებს და პირველს აღიქვამს როგორც მეორეხარისხოვანს. ეს გამოწვევები არ არის მხოლოდ ქართული კონსტიტუციური პრაქტიკისათვის დამახასიათებელი, არამედ ათწლეულების განმავლობაში წარმოადგენდა სასამართლოების პრაქტიკის დილემასა და აკადემიური განხილვის საგანს. კოვიდ-19-ის პანდემიამ და მისმა მწვავე სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა განაახლა ეს დისკუსია ჯანმრთელობის, განათლების, სამუშაოს, გარემოს, ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტებთან, კეთილდღეობის თანასწორ განაწილებასა და ამ სფეროებში ადამიანის უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტების მიერ სამართლებრივი დაცვა ცენტრალურ როლს ასრულებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის, პატივისცემისა და შესრულების ვალდებულებებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებამოსილებითა და გახმაურებული საქმეების მდიდარი ნუსხით აუცილებლად დადგება იმ საჭიროების წინაშე, რომ შეიმუშავოს არსებითი მიდგომები სოციალური უფლებებისა და სოციალურ საკითხებში დისკრიმინაციასთან დაკავში-

რებულ საკითხებზე. წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის, მისი მიდგომებისა და სტანდარტების საერთაშორისო კონტექსტში განხილვას და სოციალური უფლებების, სასამართლოს წესით აღსრულების შესაძლებლობასთან დაკავშირებული სირთულეების გადაჭრის კონცეპტუალურ და პრაქტიკულ შესწავლას. ამ მიზნით, სტატია ანალიზებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს სხვადასხვა მიმართულებით: საქმეები, რომლებიც ეხება მატერიალურ სოციალურ დებულებებს¹ და საქმეები, რომლებიც ეხება სოციალურ საკითხებში თანასწორობისა და ღირსების უფლებებს. სტატია იყენებს ამ ანალიზის მიზნებს იმის დასადგენად, თუ რა შეიძლება გააკეთოს სასამართლომ სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად და მათი სრული და ეფექტური აღსრულებისთვის. ეს გულისხმობს, მსგავსი მანდატის მქონე სასამართლოების კარგი მაგალითების თეორიულ და შედარებით ანალიზს.

ამ მიზნით, სტატიის II ნაწილი გვთავაზობს კონსტიტუციის არსებული შინაარსისა და სოციალური უფლებების მინიმალისტური მიდგომის კონტექსტის ანალიზს; III ნაწილი განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს სოციალურ საკითხებთან მიმართებით და იკვლევს ძირითად გამოწვევებს, ისევე როგორც, სამომავლო პერსპექტივაში განვითარების პოტენციურ ძლიერ მხარეებს; სტატიის IV ნაწილი აყალიბებს სასამართლოს მიდგომას კონცეპტუალურ კონტექსტში და წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული გამოწვევების დაძლევის გზებს; V ნაწილი აჯამებს სტატიას.

II. კონსტიტუცია და სოციალური უფლებები

ეს თავი მიზნად ისახავს, მიმოიხილოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სოციალური უფლებების სასამართლოს გზით დაცვაზე. თუმცა ასევე აუცილებელია სასამართლოს როლის კონტექსტის, ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუციაში სოციალური უფლებების შინაარსის განხილვა. საქართველოს კონსტიტუციის თანამედროვე² ტექსტი ძალაშია 2018 წელს განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ, რომლებმაც კონსტიტუციაში სოციალური უფლებების შინაარსი არსებითად შეცვალა. ამჟამად, სოცია-

¹ ამ ნაწილში, სტატია განიხილავს იმ საქმეებს, რომლებიც მოიცავს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის დებულებებს როგორც 2018 წლის კონსტიტუციურ ცვლილებებამდე, ასევე მის შემდეგ.

² საქართველოს კონსტიტუცია, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [1.7.2021].

ლურ უფლებებთან დაკავშირებულ დებულებებსკონსტიტუციის ორი თავი შეიცავს.

პირველი თავის მე-5 მუხლი („ზოგადი დებულებები“) აცხადებს საქართველოს როგორც „სოციალურ სახელმწიფოს“ და გამოყოფს ყოვლისმომცველ პოლიტიკის მიზნებს, რომლებიც კავშირშია სოციალური სამართლიანობის, თანასწორობის, სოლიდარობისა და სამართლიან სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. მე-5 მუხლი სახელმწიფოს აძლევს ასევე ინსტრუქციას, რომ „გაუფრთხილდეს“ კონკრეტულ მატერიალურ სოციალურ საკითხებს, როგორცაა ჯანმრთელობა და სოციალური მზრუნველობა, საარსებო მინიმუმი და ღირსეული საცხოვრებელი, უმუშევრობა, გარემოს დაცვა და სხვა. მეორე მხრივ, II თავი („ადამიანის ფუნდამენტური უფლებები“) შეიცავს აღსრულებად სოციალურ უფლებებს, როგორცაა შრომითი უფლებები (მუხლი 26), განათლების უფლება (მუხლი 27), ჯანმრთელობის უფლება (მუხლი 28), ჯანსაღი გარემოს უფლება (მუხლი 29), ასევე თანასწორობის უფლება (მუხლი 11), რაც წარმოადგენს სოციალური უფლებების უზრუნველყოფის შეუცვლელ მექანიზმს.

ცვლილებების შეტანამდე,³ კონსტიტუციის II თავი მოიცავდა ზოგიერთ ისეთ დებულებას, რომლებიც ახლა მე-5 მუხლის ფარგლებშია მოქცეული. მაგალითად, 2018 წლამდე კონსტიტუციის 32-ე მუხლი ითვალისწინებდა, რომ „სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს უმუშევრად დარჩენილ დასაქმების მოძიებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევართათვის სტატუსი უნდა განისაზღვროს კანონით“; კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებული იყო „თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ქვეყნის ყველა რეგიონისთვის“, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი ავალდებულებდა სახელმწიფოს, რომ ხელი შეეწყოს ოჯახის კეთილდღეობისთვის. ამჟამად, ეს დებულებები შეცვლილია და გადატანილია I თავში. ზოგიერთი არსებული სოციალური დებულება კი შეზღუდულია: ჯანმრთელობის უფლების სფერო ახლა მოიცავს მხოლოდ მოქალაქეებს, მაშინ როდესაც 2018 წლამდე, ეს ფორმულირებული იყო როგორც „ყველას“ უფლება.

გარდა ადამიანის უფლებების პოლიტიკის მიზნებამდე დაყვანის დეკლარაციული და კონცეპტუალური შედეგებისა, ცვლილებებს პრაქტიკული შედეგები ჰქონდა ასევე ამ დებულებების სასამართლო განხილვის გზით აღსრულებისთვის. კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც

³ საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლამდე ვერსია, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=34>> [1.7.2021].

საქართველოში კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს, უფლებამოსილება აქვს განიხილოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული პირის ან სახალხო დამცველის საჩივრები მხოლოდ კონსტიტუციის II თავში ჩამოთვლილ უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებით. ამრიგად, სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული დებულებების კონსტიტუციის II თავიდან გატანით ისინი ფაქტობრივად გარდაიქმნენ სასამართლოს გზით არაგანხილვად და არააღსრულებად პოლიტიკურ მისწრაფებებად. უფრო მეტიც, კონსტიტუციაში მატერიალური სოციალური უფლებების ჩარჩოს შესუსტების გარდა, 2018 წლის ცვლილებებმა ასევე გაიტანა ინსტრუმენტული 39-ე მუხლი მეორე თავიდან და, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებიდან. ეს დებულება პოტენციურ მოსარჩელებს უფლებას აძლევდა მოეხმოთ „სხვა საყოველთაოდ აღიარებული უფლებები“, რომლებიც მეორე თავში არ იყო მოცემული, მაგრამ გამომდინარეობდა კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპებიდან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში საყოველთაოდ აღიარებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ფართო სპექტრია გათვალისწინებული, თუმცა მწირია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ჩამონათვალი. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ეს კონსტიტუციური ცვლილება მიზნად ისახავდა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ამ სოციალური უფლებების ჩამონათვალის საერთაშორისო ჩარჩოს მეშვეობით გაფართოებაში ხელის შეშლას.

რამდენიმე ქართულმა სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, შესწორებების პროექტზე კომენტარის გაკეთებისას⁴ გააპროტესტა ეს ადვილად განჭვრეტადი ეფექტები და პარლამენტს შესთავაზა ცვლილებების ალტერნატიული ტექსტი, რომელიც მეორე თავში მოიცავდა ადეკვატური საცხოვრებლის უფლებას, უმუშევრობის პროგრამების შექმნას, უმუშევართა სოციალურ დახმარებას და სხვა სოციალური უფლებების გაფართოებულ ვერსიებს.⁵ თუმცა, ვინაიდან ცვლილებები გულისხმობდა ასევე სერიოზულ შედეგებს პოლიტიკურ სისტემასა და ხელისუფლების დანაწილებასთან მიმართებით, სოციალური უფლებები ყურადღების მიღმა დარჩა და ცვლილებები ძალაში შევიდა მხოლოდ მოკლე განმარტების

⁴ *Jowell J.*, Review of Amendments to the Constitution of Georgia in Respect of Human Rights and Judiciary Matters, USAID and East-West Management Institute, 2017, <<http://ewmi-prolog.org/images/files/2106PROLoGReviewofConstitutionalAmendmentstoHRandJudiciaryrelatedmattersJeffreyJowellENG.pdf>> [15.6.2021]; Social Justice Center, EMC Assesses the Work of the Constitutional Commission and the Project of Constitutional Changes, 2017, <<https://socialjustice.org.ge/en/products/emc-assesses-the-work-of-the-constitutional-commission-and-the-project-of-constitutional-changes-5>> [8.4.2021].

⁵ *Natsvlishvili V. and others*, The Draft Constitutional Amendments on Social Rights, 2017.

სახით კანონპროექტის განმარტებით ბარათში, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს ზოგად სოციალურ ვალდებულებასთან დაკავშირებულმა დებულებამ გადაინაცვლა პირველ თავში, ხოლო უფლებების გაფართოება (მათ შორის სოციალური უფლებების) კვლავ იქნებოდა შესაძლებელი ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის უფლებისა და მეორე თავში არსებული სხვა უფლებების საშუალებით.⁶

საქართველოს კონსტიტუციაში აღსრულებადი სოციალური უფლებების შინაარსის შეზღუდვა უკავშირდებოდა კონსერვატიულ არგუმენტს, რომ სოციალური უფლებების სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობა სასამართლოს მხრიდან იწვევს სოციალური პოლიტიკისა და საბიუჯეტო რესურსების განაწილების კომპეტენციაში შეღწევას, რაც საკანონმდებლო შტოს ექსკლუზიური სფეროა.⁷ თუმცა, აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ფრთხილობდა არ შეჭრილიყო გემოთ ხსენებულ კომპეტენციაში, შეესაბამებოდა ამ არგუმენტს და წინ უსწრებდა 2018 წლის ცვლილებებს. მაგალითად, 2008 წელს⁸ სასამართლომ განსაზღვრა საკონსტიტუციო დებულების ფარგლები, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის რეგიონებში თანაბარ სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას, განსაკუთრებული პირობების შექმნით „მაღალი მთის რეგიონების სოციალ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად“.⁹ ნორმა განთავსებული იყო კონსტიტუციის მეორე თავში, მაგრამ სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს ფაქტი, თავისთავად, არ გულისხმობდა მის აღსრულებადობას და, ამდენად, ეს დებულება იყო სოციალური სახელმწიფოს პრინციპის მანიფესტაცია და არა ადამიანის უფლება.¹⁰ სხვა მაგალითში¹¹ სასამართლომ განიხილა, რამდენად მოიაზრებოდა 39-ე მუხლის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის

⁶ კონსტიტუციური კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, 4.

⁷ Jowell J., Review of Amendments to the Constitution of Georgia in Respect of Human Rights and Judiciary Matters, USAID and East-West Management Institute, 2017, 5-6, <<http://ewmi-prolog.org/images/files/2106PROLoGReviewofConstitutionalAmendmentstoHRandJudiciaryrelatedmattersJeffreyJowellENG.pdf>> [15.6.2021].

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1/392 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=304>> [1.7.2021].

⁹ საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლამდე ვერსია, მუხლი 31, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=34>> [1.7.2021].

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1/392 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 11-9-21, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=304>> [1.7.2021].

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივლისის N2/11/663 საოქმო ჩანაწერი „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=954>> [1.7.2021].

სოციალური დახმარება, რაც განმცხადებელს საშუალებას მისცემდა კონსტიტუციური განხილვის ფარგლებში მოეხმო სხვა უნივერსალური უფლებები. კონსტიტუციის 2018 წლამდე ვერსიასთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა, რომ სოციალური დახმარების საკითხი ექცეოდა 32-ე მუხლის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას უმუშევართა დახმარების განწესა და მინიმალური საარსებო სტანდარტის უზრუნველსაყოფად, რაც გამომდინარეობს სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან. აქედან გამომდინარე, არ არსებობდა იმის საჭიროება, რომ 39-ე მუხლის საშუალებით, საქმეში შემოეტანათ სხვა საერთაშორისოდ აღიარებული უფლებები.¹²

ორივე მაგალითში განხილულ მატერიალურ დებულებებს, რომლებიც უკავშირდება მთიანი რეგიონების სოციალ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების მინიმალური დონისა და უმუშევართა დახმარების უზრუნველყოფის სახელმწიფო ვალდებულებას, 2018 წლის ცვლილებების შედეგად ჩამორთმეული აქვს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების კონსტიტუციური სტატუსი, რადგან ამჟამად ისინი განთავსებულია კონსტიტუციის პირველ თავში იმ ინსტრუმენტულ დებულებასთან ერთად, რომელიც მოსარჩელეს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადამიანის საერთაშორისო უფლებების გამოყენების საშუალებას აძლევდა (ყოფილი 39-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის შესწორებებით სოციალური უფლებათა ფარგლების შეზღუდვა და სოციალური ხასიათის ნორმებისადმი სასამართლოს ფრთხილი მიდგომა თანხვედრაში იყო და, შესაძლოა სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა განსაზღვრა კიდევ ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ რომელ დებულებებს უნდა გადაენაცვლა კონსტიტუციის მეორე თავიდან 2018 წლის ცვლილებებით.

სტატიის მომდევნო ნაწილი, გვთავაზობს სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის უფრო სიღრმისეულ განხილვას და აანალიზებს სასამართლოს მიდგომის საერთო გამოწვევებსა და ტენდენციებს.

III. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

საკონსტიტუციო სასამართლო, მისი უფლებამოსილებით განიხილოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შეტანილი სარჩელები, წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრალურ ინსტიტუტს.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივლისის N2/11/663 საოქმო ჩანაწერი „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, 8-22, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=954>> [1.7.2021].

ამას ადასტურებს საკონსტიტუციო სარჩელების¹³ ყოველწლიური ზრდა და ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების სასარგებლოდ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების სია.

თუმცა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სოციალური უფლებებისა და საკითხების მიმართ მწირია, ნაწილობრივ კონსტიტუციის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებისადმი მინიმალისტური მიდგომის გამო, რომელიც არსებობდა ცვლილებების განხორციელებამდეც. მიუხედავად ამისა, სასამართლომ განიხილა სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საქმეები და ჩამოაყალიბა შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა. სტატიის ეს ნაწილი გვთავაზობს სოციალურ უფლებებთან მიმართებით სასამართლოს მიდგომებისა და მოსაზრებების მოკლე მიმოხილვას. სასამართლო საქმეების შემდეგი ტიპოლოგიის მიხედვით: (1) სასამართლო საქმეები სოციალური უფლებების ზოგადი განხილვით; (2) სასამართლო საქმეები, რომლებიც მოიცავს მატერიალურ სოციალურ უფლებებს (2018 წლის ცვლილებებამდე და მას შემდეგ); და (3) სასამართლო საქმეები სოციალურ საკითხებში თანასწორობისა და ღირსების შესახებ.

1. სასამართლო სოციალური უფლებების ბუნების შესახებ

სასამართლოს სოციალური უფლებების ზოგად ხასიათი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში აქვს განხილული. 2009 წლის¹⁴ ერთ-ერთ ასეთ საქმეზე სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით განიხილა იმ სამართლებრივი ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი, რომელიც შეფასების მეთოდოლოგიის, სოციალური დახმარების დონისა და ოდენობის საკითხთან მიმართებით ინდივიდებს არ აძლევდა წვდომას სასამართლოს დაცვის საშუალებებზე. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სოციალური დახმარების, უზრუნველყოფისა და დაცვის უფლებები საქართველოს კონსტიტუციის ნაწილს წარმოადგენდა, მისი სოციალური ბუნების დებულებების, სოციალური სახელმწიფოს პრინციპისა და საერთაშორისოდ აღიარებული სოციალური უფლებების საფუძველზე. შესაბამისად, ამ საკითხებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედება მოექცეოდა კანონიერი უფლებების მარეგულირებელ კატეგორიაში და უნდა დაქვემდებარებოდა სასამართლო კონტროლს.

¹³ Constitutional Court of Georgia, Information on Constitutional Justice in Georgia, 2019, 96, <<https://constcourt.ge/files/4/Report%6202019%620ENG.pdf>> [1.7.2021].

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=366>> [1.7.2021].

სასამართლომ ამ საქმეზე იმსჯელა ორი მიმართულებით: პირველ რიგში, დაარღვია თუ არა სადავო ნორმამ სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების უფლებები და, მეორე, დაარღვია თუ არა მან სამართლიანი სასამართლოს უფლება და თანასწორობისა და სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან მიმართ სასამართლო კონტროლის ხელმისაწვდომობა, რაც შესაძლოა, სადავო ნორმით შეზღუდულიყო. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ერთხმად გამოაცხადა სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ამ უკანასკნელ საფუძველზე, იგი არ აღმოჩნდა ასეთივე მტკიცე პირველ საკითხთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, სოციალური დახმარებისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებათა სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობაზე მოსამართლეთა მოსაზრება თანაბრად გაიყო (2-2) და სასამართლომ ვერ მიაღწია შეთანხმებას, რის გამოც საქმე გადაუწვეტელი დარჩა.¹⁵

მოსამართლე ქეთევან ერემაძისა და მოსამართლე ბესარიონ ზოიძის განსხვავებულმა აზრმა მტკიცე პოზიცია დაიკავა სხვა მოსამართლეთა იმ მოსაზრების წინააღმდეგ, რომ სოციალური უფლებების სასამართლო წესით განხილვა შეუძლებელია. ისინი მიუთითებდნენ სახელმწიფოს სოციალური უფლებების პროგრესული განხორციელების ვალდებულებაზე არსებული რესურსების გათვალისწინებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩარჩოზე დაყრდნობით.¹⁶ მოსაზრებამ ასევე აღიარა, რომ სოციალურ უფლებების სასამართლო განხილვა ქმნიდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევის რისკებს და ასეთი საქმეები სასამართლოსგან მოითხოვდა თავშეკავებასა და სიფრთხილეს. თუმცა, ამასთან ერთად, განსხვავებული მოსაზრების ავტორებმა კატეგორიულად უარყვეს პოზიცია, რომ სოციალური უფლებები არ წარმოადგენს სასამართლო წესით დაცვად უფლებებს და მიუთითეს იმ სოციალური საკითხების პოლიტიკურ და სამართლებრივ განზომილებებს შორის განსხვავებებზე. მოსაზრებამ ასევე აღნიშნა, რომ სასამართლო წესით განხილვის შეუძლებლობა სახელმწიფოს მისცემს აბსოლუტურ თავისუფლებას იმ ძირითადი მოთხოვნების წინააღმდეგ, რაც უკავშირდება ხელისუფლების დანაწილებასა და მისგან გამომდინარე ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების პრინციპს.¹⁷

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=366>> [1.7.2021].

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემაძის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 6-10, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=366>> [1.7.2021].

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემაძის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434

სოციალური უფლებების ბუნებაზე უახლესი მსჯელობა მოცემულია 2017 წლის საოქმო ჩანაწერში¹⁸ საქმეზე *თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ*.¹⁹ მოსარჩელემ სადავო გახადა იმ ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც გამოირიცხავდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობის უკანონოდ მფლობელი პირების, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაციას. საქმეში ნახსენები რეესტრი წარმოადგენდა ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზას სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის და იგი იყო სოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ერთადერთი გზა სახელმწიფოსგან სოციალური დახმარების მიღებისთვის. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ეს ნორმა სოციალურად დაუცველ ადამიანებს არ აძლევდა სოციალური დახმარების მიღების საშუალებას და, ფაქტობრივად, აიძულებდა არჩევანი გაეკეთებინათ თავზე სახურავსა და მაგიდაზე პურს შორის. უფრო მეტიც, იდენტურ სიტუაციაში მყოფი პირები, რომლებმაც სადავო ნორმის ძალაში შესვლამდე მოახერხეს დარეგისტრირება, დახმარებას იღებდნენ შეუფერხებლად. ამ გარემოებებზე დაყრდნობით, მოსარჩელე აცხადებდა, რომ სადავო ნორმა არღვევდა მის კონსტიტუციურ უფლებას, სიცოცხლის, თანასწორობის, ღირსებისა და სამართლიანი სასამართლოს, ისევე, როგორც საყოველთაოდ აღიარებული სოციალური შემწეობის და დახმარების უფლებას.²⁰

საოქმო ჩანაწერის საშუალებით, სასამართლომ ნაწილობრივ მიიღო ეს საქმე არსებითად განსახილველად თანასწორობისა და ღირსების უფლებებთან მიმართებით, და არ მიიღო სიცოცხლის, სამართლიანი სასამართლოს, ასევე სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების უფლებებთან მიმართებით.²¹ დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების ეტაპზე სასამართლომ განიხილა სოციალური უზრუნველყოფის უფლების ბუნება კონსტიტუციის დებულების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს მხრიდან უმუშევართა საარსებო მინიმუმის გარანტირებაზე პასუხისმგებლობას. სასამართლომ განიხილა განსხვავება „ფუნდამენტურ უფლებებსა“ და სოციალურ უფლებებს

გადაწყვეტილება „*საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, 17, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=366>> [1.7.2021].

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივლისის N2/11/663 საოქმო ჩანაწერი „*საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ*“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=954>> [1.7.2021].

¹⁹ უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან სოციალურ უფლებებთან მიმართებით ეს წარმოადგენს სასამართლოს პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს სასამართლო საქმეს, მისი ანალიზი მოცემულია სტატიის სხვადასხვა ნაწილში.

²⁰ ამ საკითხზე სასამართლოს მსჯელობა განხილულია ზემოთ, კონსტიტუციის 32-ე და 39-ე მუხლებთან მიმართებით (2018 წლის ცვლილებებამდე) და აქ არ განმეორდება.

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივლისის N2/11/663 საოქმო ჩანაწერი „*საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ*“, III-1, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=954>> [1.7.2021].

შორის და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირველი უმეტესწილად თვითგანხორციელებადია, სოციალური უფლებების რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული სახელმწიფო რესურსებზე და მოითხოვს მნიშვნელოვანი სახსრების დაგროვებას და განაწილებას. ამ მსჯელობის თანახმად, სოციალური უფლებები სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ელემენტებია და კონსტიტუცია, ამ მხრივ, სახელმწიფოს მიმართ ნაკლებად მომთხოვნია, ვიდრე „ფუნდამენტური უფლებების“ შემთხვევაში.²² უნდა აღინიშნოს, რომ ეს მსჯელობა ეხება სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების უფლებებს და არა, ზოგადად, სოციალურ უფლებებს. მიუხედავად ამისა, ამ მსჯელობის ფორმულირება და შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს იერარქია „ფუნდამენტურ“ უფლებებსა და სოციალურ დებულებებს შორის და იგულისხმება, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს პოლიტიკის მიზნებს და არა ადამიანის რეალურ უფლებებს.

ორივე საქმეზე სასამართლო მსჯელობიდან ჩანს, რომ იგი თავს იკავებს სოციალური უზრუნველყოფის საკითხების არსებითი განხილვისგან, რაც ავლენს კონსერვატიულ მიდგომებს სოციალური უფლებების სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობასთან მიმართებით, კერძოდ, იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ უზრუნველყოფასა და დახმარებასთან.

ეს მიდგომა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ადამიანის უფლებების განუყოფლობას და ქმნის არასწორ იერარქიას, სადაც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები წარმოადგენს ადამიანის „რეალურ“ და აღსრულებად უფლებებს, ხოლო სოციალური უფლებები კი წარმოადგენენ სოციალური მართლმსაჯულების და თანასწორობის ზოგადი პრინციპების დეკლარაციულ ან პროგრამულ გამოვლინებას ან სოციალური სახელმწიფოს პრინციპის გამოძახილს, როგორც ეს მითითებულია საქართველოს კონსტიტუციაში. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა ეფუძნება იმ არგუმენტებს, რომლებიც ასევე დისკუსიის საგანია საერთაშორისო დონეზე და უკავშირდება სოციალური უფლებების აღსრულების საკითხს, კერძოდ, მათ პირდაპირ საბიუჯეტო შედეგებს, სასამართლოს არაკომპეტენტურობას ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტაში და რისკებს ხელისუფლების დანაწილების მიმართ. თუმცა სტატიის IV ნაწილი გვიჩვენებს, რომ ეს გამოწვევები შეიძლება გადაილახოს სოციალურ უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლო კონტროლის განხორციელებით.

²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივლისის N2/11/663 საოქმო ჩანაწერი „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-17,18, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=954>> [1.7.2021].

2. სასამართლო მატერიალური სოციალური უფლებების შესახებ, რომლებიც ამოღებულ იქნა კონსტიტუციის მეორე თავიდან

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი შეიცავს აღსრულებად და დაცვად ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებმა, მეორე თავის რიგი დებულებები გადაიტანა პირველ თავში. ეს დებულებები მოიცავდა სახელმწიფოს ვალდებულებებს ოჯახის კეთილდღეობისთვის ხელშეწყობას, უმუშევართა დახმარებას სამსახურის ძიებაში, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფას, თანაბარი სოციალ-ეკონომიკური განვითარების გარანტირებას ყველა რეგიონისთვის (მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის განსაკუთრებულ პირობებზე ხაზგასმით) და შრომით უფლებებთან დაკავშირებით მოიცავდა უფრო ვრცელ ფორმულირებას, მათ შორის, სამართლიან შრომით ანაზღაურებასთან და ჯანსაღ სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ დებულებებს, განსაკუთრებული ხაზგასმით არასრულწლოვნებსა და ქალებზე. 2018 წლიდან მოყოლებული სასამართლოს არ განუხილავს არც ერთი საქმე ამ დებულებებთან დაკავშირებით, რადგან სასამართლოს უფლებამოსილებიდან ამოღებულია ამ საკითხებზე ინდივიდუალური საჩივრების განხილვა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური დებულებების ამ ჯგუფზე მსჯელობისას სასამართლო ხშირად ეყრდნობოდა სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს პრინციპი გამოყენებული იყო იმის ხაზგასასმელად, რომ სოციალური უფლებები დამოკიდებულია საბიუჯეტო გადაწყვეტილებებზე და მოითხოვს სასამართლოს თავშეკავებას (*judicial restraint*) ან სახელმწიფოსთვის მინიჭებული მიხედულების ზღვარის ფართო ფარგლებს.²³ სხვა შემთხვევებში, სასამართლომ პირდაპირ გამოაცხადა არააღსრულებად პოლიტიკის მიზნებად, მაგალითად, კონსტიტუციური დებულება ქვეყნის ყველა რეგიონის თანაბარი სოციალ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის თაობაზე.²⁴

სასამართლომ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში განიხილა ნორმა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს ვალდებულია, დაეხმაროს უმუშევარ პირებს სამსახურის მოძიებასა და საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფაში. 2003 წლის²⁵ ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივლისის N2/11/663 საოქმო ჩანაწერი „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=954>> [1.7.2021].

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1/392 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18-21, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=304>> [1.7.2021].

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 მარტის N1/3/301 გადაწყვეტილება

უმუშევრის სტატუსის განსაზღვრასთან და უმუშევართათვის სამსახურის ძიებაში დახმარებასთან ერთად, ნორმა ასევე იცავს სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ კომპენსაციის მიღების უფლებას. სხვა, 2016 წლის საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ სოციალური კომპენსაციის სამუშაო გამოცდილების საფუძველზე მიღება არ ექცეოდა აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის ფარგლებში.²⁶ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ საქმის საოქმო ჩანაწერში სასამართლომ მიუთითა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სოციალური დახმარება ექცეოდა კონსტიტუციის დებულების ფარგლებში და, ამგვარად, იმპლიციტურად განასხვავა ნორმის „საარსებო მინიმუმის სტანდარტის“ ნაწილი უმუშევრობასთან დაკავშირებული პირობებისგან.²⁷ მანამდე არსებული მწირი სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ კონსტიტუციურ დებულებას პირდაპირ უკავშირებდა უმუშევრობას და ამ საოქმო ჩანაწერმა გააფართოვა ამ კონსტიტუციური ნორმის ფარგლები.²⁸ თუმცა, შედეგად, ამან ხელი შეუშალა მოსარჩელის მიერ სხვა საერთაშორისოდ აღიარებული სოციალური უფლებების გამოყენებას და არ დაუშვა ამ პანდორას ყუთის გახსნა სასამართლოში მსგავს კონსტიტუციურ განცხადებებთან მიმართებით.

სასამართლოს ასევე განხილული აქვს საქმეები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფოს მიერ ოჯახის კეთილდღეობის ხელშეწყობის ვალდებულებას. 2014 წლის საქმეში²⁹ სასამართლომ განსაზღვრა ამ კონსტიტუციური დებულების ფარგლები და აღნიშნა, რომ იგისა ხელმწიფოს ავალდებულებდა ოჯახის კეთილდღეობის მხარდაჭერას და ამ კუთხით გარკვეული ზომების მიღებას. შესაბამისად, „ოჯახის კეთილდღეობის კონსტიტუციური უფლების სრული რეალიზაცია მოითხოვს სათანადო საკანონმდებლო გარანტიებს, რაც უზრუნველყოფს ოჯახური ურთიერთობების სრულ დაცვას“.³⁰ სასა-

„საქართველოს მოქალაქეები – დავით სილაგაძე, ლიანა დარსანია და ეკატერინე წოწონავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1213>> [1.7.2021].

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბრის N2/6/322 გადაწყვეტილება „მოქალაქეები – კახაბერ ძვანია და გიორგი გუგავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=270>> [1.7.2021].

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივლისის N2/11/663 საოქმო ჩანაწერი „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, III-1, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=954>> [1.7.2021].

²⁸ საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლამდე ვერსია, მუხლი 32, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=34>> [1.7.2021].

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 ნოემბრის N2/9/603 საოქმო ჩანაწერი „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=655>> [1.7.2021].

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 ნოემბრის N2/9/603 საოქმო ჩანაწერი „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-4, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=655>> [1.7.2021].

მართლომ დაადგინა, რომ ეს სახელმწიფოსგან მოითხოვს ოჯახურ ურთიერთობებში დაუსაბუთებელი ჩარევისგან თავის შეკავებას და ოჯახური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ეფექტური ღონისძიებების გატარებას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ აღიარა ოჯახის კეთილდღეობა, როგორც კონსტიტუციური დებულება თავისი ნეგატიური და პოზიტიური ელემენტებით. თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ამ უფლების შემდგომი არსებითი განმარტება ან გამოყენება არ მოიძებნება.

ამ სასამართლო საქმეებსა და დებულებებს არ გააჩნიათ პირდაპირი მნიშვნელობა სასამართლოს პრაქტიკისთვის, რადგან ეს არსებითი დებულებები და ინსტრუმენტული დებულება, რომელიც განმცხადებელს საშუალებას აძლევდა, გამოეყენებინა სხვა საერთაშორისოდ აღიარებული სოციალური უფლებები, 2018 წლის ცვლილებების შედეგად ტრანსფორმირდა იმ ზოგად პრინციპებად, რომლებიც სასამართლო წესით განხილვას არ ექვემდებარება. თუმცა ამ საქმეებში დადგენილმა სტანდარტებმა შესაძლოა, შექმნას დღეს არსებულ დებულებებთან მიმართებით სოციალური საკითხების კონსტიტუციური განხილვის საფუძველი. ასეთი დებულებები კონსტიტუციის თანამედროვე რედაქციაში შეიძლება იყოს თანასწორობის უფლება, ღირსების უფლება ან არსებული სოციალური ხასიათის მუხლები.

სტატიის მომდევნო ნაწილი განიხილავს იმ სოციალურ უფლებებთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალს, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში.

3. სასამართლო კონსტიტუციის მეორე თავში არსებული, მოქმედი სოციალური უფლებების შესახებ

ამჟამად, კონსტიტუციის მეორე თავი მოიცავს რამდენიმე არსებით სოციალურ ადამიანის უფლებას. ასეთია შრომითი უფლებები, მათ შორის, უსაფრთხო სამუშაო პირობები, გაერთიანებისა და გაფიცვის უფლება (მუხლი 26), განათლების უფლება (მუხლი 27), ჯანმრთელობის უფლება (მუხლი 28), ჯანსაღი გარემოს უფლება (მუხლი 29) და დედებისა და შვილების უფლებები (მუხლი 30). სტატიის ეს ნაწილი მიმოიხილავს სოციალურ უფლებებთან მიმართებით სასამართლოს ინტერპრეტაციებს.

სასამართლოს განხილული აქვს შრომითი უფლებების შესახებ არაერთი საქმე და, შედეგად, განსაზღვრულია ამ უფლების ფარგლები. 2007 წლის საქმეზე *ნათაძე პარლამენტის წინააღმდეგ* სასამართლომ განაცხადა,

რომ შრომის თავისუფლება უნდა განიმარტოს სოციალური სახელმწიფოს პრინციპის გათვალისწინებით და მიიჩნია, რომ კონსტიტუცია იცავს არა მხოლოდ სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლებას, არამედ სამუშაოს შესრულების, შენარჩუნებისა და სამსახურიდან გათავისუფლების უფლებას, უმუშევრობისა და იმ რეგულაციებისგან დაცვას, რომელიც სამსახურიდან უსამართლო, თვითნებურ და უსაფუძვლო გათავისუფლების საშუალებას იძლევა.³¹ სასამართლო გადაწყვეტილებაში ასევე განიმარტა, რომ მხოლოდ ის საქმიანობა, რომელიც ემსახურება პირის ფინანსურ უსაფრთხოებასა და პიროვნულ განვითარებას (თვითრეალიზებას), შეიძლება შეფასდეს კონსტიტუციის ფარგლებით დაცულ შრომად.³² შედეგად, სასამართლომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის საბჭოს თანამდებობები არ მოიაზრა კონსტიტუციით გათვალისწინებულ შრომის დეფინიციაში, რადგან ისინი წარმოადგენდნენ არა პირველად, არამედ დამატებითი და საპატიო ხასიათის თანამდებობებს.

შრომის უფლებებთან დაკავშირებული კიდევ ერთი გახმაურებული საქმეა *ლეჟავა და როსტომაშვილი პარლამენტის წინააღმდეგ*,³³ სადაც სასამართლოს უნდა განეხილა ნორმა, რომლის მიხედვითაც, გარკვეულ სამუშაო ადგილებზე (სპეციფიკური სამუშაო რეჟიმით) დადგენილი 40 საათიანი სამუშაო კვირის ნაცვლად მაქსიმალურ სამუშაო საათების ოდენობად განისაზღვრებოდა 48 საათი. გადაწყვეტილებაში სასამართლომ შრომის თავისუფლება დაუკავშირა პიროვნების სიცოცხლეს, ღირსებას და მის სოციალურ განვითარებას და განსაზღვრა, რომ იგი მოიცავდა იძულებითი შრომის აკრძალვას. თუმცა, ამავე დროს ის დაუკავშირა სახელმწიფოს ვალდებულებას, შექმნას სამართლებრივი გარანტიები შრომის თავისუფლების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ განიხილა ეს დებულება დასაქმებულთა და დამსაქმებელთა შორის ფაქტობრივი დისბალანსის გათვალისწინებით და იმაზე ხაზგასმით, რომ დამსაქმებლებს გააჩნიათ უფრო მეტი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ სამსახურიდან გამომდინარე სახელშეკრულებო პირობებზე, როდესაც დასაქმებულთა ღირსეული ცხოვრება ხშირად „მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სამუშაოს შესრულებასა და ანაზღაურების მიღებაზე“. ამ დისბალანსის აღმოსაფხვრელად შრომის თავისუფლება სახელმწიფოსგან

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/389 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-19, <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=301>> [1.7.2021].

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/389 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-20, <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=301>> [1.7.2021].

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის N2/2/565 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1077>> [1.7.2021].

მოითხოვს დაარეგულიროს შრომის სამართალთან დაკავშირებული ურთიერთობები და დაიცვას დასაქმებულთა ინტერესები, მათ შორის, უზრუნველყოს სათანადო, არადისკრიმინაციული და ღირსეული სამუშაო გარემო და სამართლიანი სამუშაო პირობები.³⁴ სასამართლომ განიხილა სამუშაო დრო, როგორც შრომის თავისუფლების ელემენტი, და აღნიშნა, რომ სამუშაო დრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის სოციალურ ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე, შესაბამისად, დაცვის ღონისძიებების არარსებობის შემთხვევაში, დასაქმებულები შეიძლება იძულებული გახდნენ, სამსახურის შესანარჩუნებლად მსხვერპლად გაიღონ საკუთარი სოციალური რეალიზაცია და ჯანმრთელობა. შესაბამისად, სახელმწიფოს მოეთხოვება, განსაზღვროს გონივრული მაქსიმალური სამუშაო დრო და დანერგოს აღსრულების მტკიცე რეგულაციები.³⁵ თუმცა სასამართლომ არ მიიჩნია 48 საათიანი სამუშაო კვირა არაგონივრულად ხანგრძლივად და აღნიშნა, რომ არ დარღვეულა ბალანსი შრომის თავისუფლებასა და მენარმეობის თავისუფლებას შორის.

განათლების უფლების არსებითი განხილვა განხორციელდა მხოლოდ ერთ საქმეში – *დარბინიანი და სხვები პარლამენტის წინააღმდეგ*, სადაც განმცხადებელმა წარმატებით გაასაჩივრა წესი, რომელიც მხოლოდ მოქალაქეებისათვის ითვალისწინებდა დაწყებითი განათლების სახელმწიფოს მიერ დაფინანსებას. თანასწორობის უფლებასთან ერთად, სასამართლომ მიმოიხილა ეს წესი განათლების უფლებასთან მიმართებით და იგი არაკონსტიტუციურად ცნო. სასამართლომ განიხილა განათლების უფლების ბუნება და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ განათლება არის სოციალური ცხოვრების და ადამიანის განვითარების განუყოფელი ნაწილი და წარმოადგენს პიროვნების თავისუფლების, თავისუფალი განვითარებისა და საზრიანი ინტეგრაციის საფუძველს. გარდა ამისა, განათლების უფლების სრული რეალიზაცია სცილდება ინდივიდუალურ სარგებელს და წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის საჯარო მიზანს, რადგან განათლებული საზოგადოება ქმნის დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების საფუძველს. ამიტომ განათლების დაფინანსება არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ პრივილეგიად ან დახმარებად და განათლების უფლების სრული რეალიზაცია, უფასო დაწყებითი განათლების ჩათვლით,

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის N2/2/565 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30-36, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1077>> [1.7.2021].

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის N2/2/565 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38-43, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1077>> [1.7.2021].

წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველეს ვალდებულებას.³⁶ თუმცა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ განათლების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და ის შეიძლება შეიზღუდოს, თუ ჩარევა ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერია. ამ შემთხვევაში მითითებულ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა ამონაწერი რესურსების ანუ საბიუჯეტო სახსრების შენარჩუნება. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს გააჩნია ფართო მიხედვლების ზღვარი როდესაც საქმე ეხება შეზღუდულ რესურსებს და ეკონომიკური სტრატეგიის დაგეგმვას, მაგრამ ასეთი რესურსები, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ეფექტური განხორციელებისკენ. შეზღუდვის კონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლომ განიხილა დაწყებითი განათლების მიღებისგან გარკვეული ჯგუფების გამორიცხვის საკითხი, მისი მნიშვნელობა და თანმდევი რისკები და შეაფასა ეს გარემოებები რეზიდენტი მოქალაქეობის არმქონე პირთა დაწყებითი განათლების დაფინანსების ტვირთთან მიმართებით. სასამართლომ არ ჩათვალა, რომ ლეგიტიმური მიზანი ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ინტერესების თანაზომიერი იყო და წესი არაკონსტიტუციურად ცნო.³⁷

სასამართლომ არაერთხელ განიხილა ჯანსაღი გარემოს უფლება. საქმე *გაჩეჩილაძე პარლამენტის წინააღმდეგ*, სასამართლომ გადაწყვიტა იმ წესის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, რომელიც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საშუალებას აძლევდა, დაედო ხელშეკრულება, რომელიც მას გარემოსა და ბუნებრივი რესურსებთან მიმართებით უფლებას აძლევდა, მის მიერ ჩადენილი/განხორციელებული ყველა ქმედება ჩათვლილიყო ლეგიტიმურად, რაც სამინისტროს სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ძალაუფლებას ანიჭებდა.³⁸ სასამართლომ დაადგინა, რომ ჯანსაღი გარემოს კონსტიტუციური უფლებას გააჩნდა პოზიტიური და ნეგატიური ელემენტები, რომლებიც მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება პროექტების განხორციელებისას და დაიცვას იგი მავნე ზემოქმედებისგან. პოზიტიური ვალდებულება

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15-21, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=907>> [1.7.2021].

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27-35, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=907>> [1.7.2021].

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 4 ოქტომბრის N2/1/524 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=433>> [1.7.2021].

გულისხმობს სათანადო სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბებას მესამე პირების მიხრიდან გარემოსდაცვითი ზიანის თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების მიზნით. სასამართლომ განმარტა, რომ, ერთი მხრივ, საჭიროა ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაბალანსება, მეორე მხრივ, გარემოს დაცვა საზოგადოების კეთილდღეობისთვის და დაადგინა სადავო წესი ამ ბალანსის საწინააღმდეგოდ, რის გამოც, იგი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.³⁹

სასამართლომ ასევე განიხილა სახელმწიფოს ვალდებულება, შეაგროვოს და დაამუშავოს ინფორმაცია გარემოს დაცვის შესახებ და, ადამიანის უფლება, მიიღოს ასეთი ინფორმაცია. *გაჩეჩილაძის* საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს უფლება იყო უმნიშვნელოვანესი მონაწილეობითი უფლება და დაავალდებულა სახელმწიფო, შეეგროვებინა ინფორმაცია გარემოს შემადგენელი ელემენტებისა და იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მასზე და უზრუნველყოფენ მასზე წვდომას.⁴⁰ საქმეში *მწვანე ალტერნატივა პარლამენტის წინააღმდეგ*,⁴¹ სასამართლომ განიხილა მესაკუთრის თანხმობის გარეშე წიაღისეულთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის აკრძალვა და გადაწყვიტა, რომ წესის არარსებობა არაპროპორციულად დააზიანებდა მფლობელი კომპანიების ინტერესებს.⁴²

სასამართლოს ჯერ ამომწურავად არ უმსჯელია ჯანმრთელობის უფლებაზე და 2020 წლის საქმეში მხოლოდ მცირედით შეეხო დედებისა და შვილების უფლებებს.⁴³ სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა, რომლის მიხედვითა განსახილველი დებულება მოიცავდა სახელმწიფოს ვალდებულებას, დასაქმებასთან მიმართებით უზრუნველყოს სოციალური ხელშეწყობა და დახმარება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ექცვიან ამ დებულებით დაცულ ფარგლებში.

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 4 ოქტომბრის N2/1/524 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1-15, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=433>> [1.7.2021].

⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 4 ოქტომბრის N2/1/524 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=433>> [1.7.2021].

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილება „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1192>> [1.7.2021].

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N3/1/752 გადაწყვეტილება „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1192>> [1.7.2021].

⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 5 ივნისის N1/7/1320 საოქმო ჩანაწერი „ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9517>> [1.7.2021].

4. სასამართლო სოციალურ საკითხებთან მიმართებით თანასწორობისა და ღირსების შესახებ

არსებით სოციალურ უფლებებთან და დებულებებთან შედარებით, სასამართლოს ჩამოყალიბებული აქვს მნიშვნელოვანი მოცულობის სტანდარტები სოციალური ხასიათის საკითხებში თანასწორუფლებიანობის თაობაზე.

მრავალი საქმე, რომელშიც განხილულია არსებითი სოციალური დებულებების შესახებ საკითხები, ასევე მოიცავს დისკრიმინაციის შესახებ მოთხოვნებს, მაგალითად, *დარბინიანისა და სხვების* საქმეში სადავო იყო იმ წესის კონსტიტუციურობა დისკრიმინაციის აკრძალვის ნორმასთანაც, რომელიც მოქალაქეობის არმქონე პირებს უქმნიდა ბარიერს პირველადი განათლების დაფინანსების მიღებაში.⁴⁴ სასამართლომ დაადგინა, რომ ეს დიფერენციაცია ხასიათდებოდა მაღალი ინტენსივობით და გამოიყენა მკაცრი შეფასების ტესტი, რომელიც შეზღუდული საბიუჯეტო რესურსების დაცვის ლეგიტიმურმა მიზანმა ვერ გადალახა. შედეგად, წესი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.⁴⁵ ანალოგიურად, საქმეში *ლეჟავა და როსტომაშვილი პარლამენტის წინააღმდეგ*, მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ გარდა შრომითი უფლებებისა, წესი, რომელიც ითვალისწინებდა კვირაში განსხვავებული სამუშაო დროის მაქსიმუმის დადგენას სპეციფიკური სამუშაოს რეჟიმის მქონე საწარმოებისა (48 საათი) და ჩვეულებრივი სამუშაოებისთვის (40 საათი) იწვევდა მათი თანასწორობის უფლების დარღვევასაც. ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ ნორმა ახდენდა დიფერენციაციას სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე და ამ დიფერენციაციის ინტენსივობა არ იყო მაღალი. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა რაციონალური დიფერენციაციის ტესტი. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს სადავო წესი სპეციფიკური საწარმოების (სპეციფიკური სამუშაო რეჟიმით) ობიექტური მოთხოვნილებების საფუძველზე არსებობდა და არ მიიჩნია ნორმა დისკრიმინაციულად.⁴⁶

⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება „*რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=907>> [1.7.2021].

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება „*რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-36-55, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=907>> [1.7.2021].

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის N2/2/565 გადაწყვეტილება „*საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-1-31, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1077>> [1.7.2021].

დისკრიმინაციის შესახებ კიდევ ერთი საქმე, რომელიც განხილულია ამ სტატიის სხვადასხვა ნაწილებში, არის *თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ*. ამ საქმეზე გადაწყვეტილება ეხებოდა იმ წესს, რომელიც გამორიცხავდა იმ პირთა რეგისტრაციას სოციალურად დაუცველი ოჯახების რეესტრში, რომლებიც უკანონოდ ცხოვრობდნენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სივრცეებში. ეს წესი არ ეხებოდა უკვე რეგისტრირებულ პირებს და ვრცელდებოდა მომავალ რეგისტრაციებზე, მათ შორის, გემოაღნიშნული საქმის მოსარჩელის რეგისტრაციაზე. თანასწორობის უფლებაზე მსჯელობისას სასამართლომ დაადგინა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების რეესტრში რეგისტრაცია იყო სოციალური დახმარებისა და ამ სტატუსთან დაკავშირებული სხვა სოციალური დახმარების მიღების ერთადერთი გზა და გამოიყენა მკაცრი შეფასების ტესტი. სახელმწიფო საკუთრების დაცვის ლეგიტიმური მიზნის განხილვისას სასამართლომ შესადარებელ ჯგუფებს შორის დიფერენცირება არ მიიჩნია მიზნის მიღწევის გამოსაძეგ და აუცილებელ საშუალებად და აღნიშნა, რომ ორივე – უკვე დარეგისტრირებული პირებისთვის ჩამორთმევას და მომავალი რეგისტრაციების შეზღუდვას ექნებოდა ანალოგიურად მძიმე ეკონომიკურ შედეგები. ამიტომ, სასამართლომ ნორმა მიიჩნია დისკრიმინაციულად და იგი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.⁴⁷ თუმცა ამ გადაწყვეტილების სიახლეს წარმოადგენდა სოციალური კეთილდღეობის საკითხებთან მიმართებით ღირსების უფლების გამოყენება. საქმეში ცხადი იყო, რომ სახელმწიფომ სოციალური დახმარება გამოიყენა ბერკეტად, რათა გაეძევიბინა მოსარჩელე და მსგავს სიტუაციაში მყოფი სხვა პირები სახელმწიფო საკუთრებიდან. შედეგად, ამ წესმა ფაქტობრივად დააწესა ამორალური არჩევანი – ამ ადამიანთა საარსებო სახსრებსა და საცხოვრებელს შორის. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს არღვევდა ღირსების უფლებას და მის მთავარ მოთხოვნას, რომ არ შეიძლება ადამიანების გამოყენება ინსტრუმენტებად მიზნის მისაღწევად.⁴⁸

სასამართლოს ასევე განხილული აქვს სხვაობა ბავშვთა სოციალური დახმარების ოდენობასთან მიმართებით. ერთი მხრივ, სასამართლომ გამოიკვლია განსხვავება რეინტეგრაციის შემწეობასა და მინდობით აღზრდის ანაზღაურებას შორის და, მეორე მხრივ, შეისწავლა ბავშვებზე ზრუნვისთვის განსხვავებული ანაზღაურების საკითხი ბიოლოგიურ და

⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის N2/3/663 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-2-38, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=960>> [1.7.2021].

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის N2/3/663 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-39-54, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=960>> [1.7.2021].

მიმღებ ოჯახებს შორის.⁴⁹ საკითხის მასშტაბის განსაზღვრისას სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი (IHL) და განაცხადა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს მინიმალური პირობები ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის და მისი არსებობისთვის, მაგრამ დახმარების ფორმა დამოკიდებულია ბავშვის საჭიროებებზე, რომელიც ემყარება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.⁵⁰ ამ მსჯელობაში, გონივრულად იქნა მიჩნეული სოციალურ დახმარებებთან მიმართებით არსებული განსხვავებები, რადგან მიზანი იყო გაჭირვებული ბავშვებისთვის ოჯახური პირობების შექმნა და, შესაბამისად, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ ასევე განიხილა დიფერენცირების წესი, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, ზოგიერთი პირისთვის სოციალური უზრუნველყოფის სრულ პაკეტზე წვდომის უფლებას უზრუნველყოფდა, ზოგიერთისთვის კი ნაწილობრივის.⁵¹ სასამართლომ განიხილა ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური რეალობა და აღნიშნა, რომ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა აუცილებელია, რადგან ამ თვალსაზრისით წარუმატებლობამ შეიძლება მძიმე ან შეუქცევადი შედეგები გამოიწვიოს.⁵² სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მინიჭებული აქვს შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლები ჯანდაცვის პოლიტიკის განსაზღვრისას, თუმცა ვალდებულია, უზრუნველყოს მისი შერჩევა თანასწორობის საფუძველზე.⁵³ სახელმწიფოს მიერ შეზღუდული და ამონურვადი საბიუჯეტო რესურსების არგუმენტის საპასუხოდ, სასამართლომ აღნიშნა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მნიშვნელობა და განაცხადა, რომ რამდენადაც ეს შეიძლება ზოგჯერ წარმოადგენდეს გამართლებულ ლეგიტიმურ მიზანს, მხოლოდ საბიუჯეტო ვარაუდები

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის N2/4/603 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=661>> [1.7.2021].

⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის N2/4/603 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=661>> [1.7.2021].

⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის N1/11/629, 652 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/constc/public/ka/judicial-acts?legal=1091>> [1.7.2021].

⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის N1/11/629, 652 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-13, <<https://constcourt.ge/constc/public/ka/judicial-acts?legal=1091>> [1.7.2021].

⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის N1/11/629, 652 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-13, <<https://constcourt.ge/constc/public/ka/judicial-acts?legal=1091>> [1.7.2021].

არ შეიძლება იქცეს გამართლებად.⁵⁴ მოსარჩელეთა ჯანმრთელობაზე პოტენციური ზემოქმედების გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს დიფერენცირება არ იყო გამართლებული და ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო.

თუმცა, სასამართლომ სხვა საქმეზე გონივრულ დასაბუთებად მიიჩნია საბიუჯეტო მიზნები და ხარჯების მინიმიზაცია. მაღალმთიანი რეგიონების მაცხოვრებლების კეთილდღეობისა და სხვა სახის შეღავათების შესახებ საქმეში⁵⁵ სასამართლომ დაადგინა, რომ მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების გამორიცხვა ამ შეღავათებისგან კონსტიტუციური იყო. ამ შემთხვევაშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ საბიუჯეტო ხარჯების გაზრდა არ შეიძლება დიფერენცირების გამამართლებელი არგუმენტი იყოს.⁵⁶ თუმცა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოქალაქეობის მჭიდრო სამართლებრივი კავშირები უზრუნველყოფს მოქალაქეთა მიმართ უფრო მეტ ნდობას ქვეყანაში დარჩენასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც მუდმივი ბინადრობის მქონე პირები შეიძლება გაძევებულ იქნენ. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ დიფერენცირება იყო გონივრული, რადგან სახელმწიფოს ჰქონდა უფრო მყარი მოლოდინი, რომ მოქალაქეები დარჩებოდნენ ამ ტერიტორიაზე და, ამრიგად, მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის ამ ინვესტიციების შედეგი უკეთესი იქნებოდა.

5. სასამართლო სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით (ჯამში)

მიუხედავად სოციალურ უფლებებზე კონსტიტუციის მინიმალისტური მიდგომისა, სასამართლოს სოციალური ბუნების კონსტიტუციურ დებულებებზე განვითარებული აქვს საკუთარი მიდგომა. ეს სტანდარტები უფრო კონკრეტული და ჩამოყალიბებულია იმ საქმეებზე, რომლებიც ნეგატიური ბუნებისაა და არ მოითხოვს სახელმწიფოსგან დამატებით ქმედით ნაბიჯებს. ამის მაგალითებია საქმეები, რომელებიც ეხება შრომის

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის N1/11/629, 652 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-31-37, <<https://constcourt.ge/constc/public/ka/judicial-acts?legal=1091>> [1.7.2021].

⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/9/810, 927 გადაწყვეტილება „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1174>> [1.7.2021].

⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/9/810, 927 გადაწყვეტილება „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-24, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1174>> [1.7.2021].

უფლებებს ან ჯანსაღი გარემოს უფლებებს. ამავდროულად, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი შედარებით ვრცელია სოციალურ საკითხებში ინკლუზიის შესახებ და, გარდა მცირე გამონაკლისისა, სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული დისკრიმინაციული ნორმები, რომლებიც გამორიცხავდა ისეთ ჯგუფებს, როგორებიცაა მოქალაქეობის არმქონე პირები, ან პირები, რომლებიც საჭიროებენ ჯანმრთელობაზე ზრუნვას ან ეკონომიკურ დახმარებას, და ამ გზით უზრუნველყო სოციალურ უფლებათა დაცვა სოციალურად მოწყვლადი პირებისთვის. *თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ* საქმემ მომავლისთვის დათესა მარცვალი სოციალური უფლებებისა და საკითხებზე ღირსების უფლების კუთხით სასამართლო დავების წარმოებისთვის.

თუმცა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სოციალური უფლებებისადმი ასევე ადასტურებს ფრთხილ მიდგომას, რაც მოიაზრებს სახელმწიფოს ფინანსურ ტვირთს: სასამართლოს არასდროს ავიწყდება სახელმწიფოს მიხედულების ფართო ზღვარზე მითითება და ასეთი საქმეებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების გამოხატვა. ამავდროულად, სასამართლო პრაქტიკა თითქმის ყოველთვის აკავშირებს სოციალურ დებულებებს სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპთან და, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი ლოგიკურად უნდა წარმოაჩენდეს სოციალური დებულებების მნიშვნელობას, სასამართლო ზოგჯერ ამ კავშირს იყენებს ფუნდამენტურ უფლებებსა და სოციალურ დებულებათა შორის იერარქიის დასადგენად, და მიანიშნებს, რომ ისინი არ წარმოადგენენ ნამდვილ უფლებებს. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკა თანასწორობისა და ღირსების შესახებ სოციალური კეთილდღეობის საკითხებში პერსპექტიულია, სოციალური უფლებების დაცვასთან მიმართებით მას მნიშვნელოვანი შეზღუდვები აქვს.

კონსტიტუციაში თანასწორობის უფლება მოიცავს დისკრიმინაციის ანალიზს და ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ არსებითი სოციალური გარანტიებიდან დაუცველი ჯგუფების გამორიცხვის აღმოფხვრის გზით. უფრო მეტიც, დიფერენცირების შესამოწმებლად სასამართლო იყენებს რაციონალური დიფერენცირების და მკაცრი შეფასების ტესტებს, და მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს კლასიკურ პროპორციულობის ტესტს, რაციონალური დიფერენცირების ტესტის გადასალახად სახელმწიფომ, უბრალოდ უნდა უზრუნველყოს დიფერენცირების გონივრული ახსნა. შეზღუდულ ბიუჯეტურ რესურსებთან დაკავშირებული მიზეზები შეიძლება გამოყენებული იყოს გონივრული დიფერენცირების დემონსტრირებისთვის და სასამართლოს პრაქტიკაში ასეთ არგუმენტებს შედეგად გამოუწვევია *არსებული რეალობის შენარჩუნება* და ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების გამორიცხვა სოციალური უზრუნველყოფისა და სარგებლისგან.

მეორე მხრივ, იმისთვის, რომ არასათანადო მოპყრობა განიხილებოდეს ღირსების უფლების ფარგლებში, ის უნდა ხასიათდებოდეს უკიდურესად მაღალი ინტენსივობით და აღწევდეს იმ დონეს, რომ სადავო ნორმა ადამიანს იყენებდეს როგორც მიზნის მისაღწევის საშუალებას. ამიტომ, რამდენადაც ღირსებისა და თანასწორობის კონსტიტუციურ ნორმებს შეუძლიათ გაუმკლავდნენ სოციალური საკითხების ნაწილს, ისინი ვერ უზრუნველყოფენ სოციალური უფლებების სრულყოფილ რეალიზაციას.

სასამართლოს სოციალური უფლებებისა და საკითხებისადმი ფრთხილი და წინდახედული მიდგომა კარგად არის გამოხატული 2009 წლის საქმეზე მოსამართლეების *ქეთევან ერემაძისა და ბესარიონ ზოიძის* განსხვავებულ აზრში.⁵⁷ ისინი ხაზს უსვამენ იმ კონცეპტუალურ და პრაქტიკულ გამოწვევებს, რომელთა წინაშე სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას დგებიან სასამართლოები. მოსაზრებაში ისინი ადასტურებენ, რომ სასამართლოები შეიძლება დადგნენ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევისა და ეკონომიკური პოლიტიკის სივრცეში შეღწევის რისკების წინაშე და აღნიშნავენ, რომ მოსამართლეები ხშირად არ არიან კომპეტენტურები სოციალური ხასიათის საკითხებზე მსჯელობისას. სოციალური უფლებების სასამართლოს გზით დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართული კონსტიტუციური ტრადიციით და ის ათწლეულების მანძილზე მოსამართლეებისა და მეცნიერების განხილვის საგანს წარმოადგენდა. სტატიის შემდეგი ნაწილები განიხილავს ამ გამოწვევებს, მათ ეფექტებს და გვთავაზობს მათი გამკლავებისა და დაძლევის გზებს.

IV. სოციალური უფლებების დასაბუთება

1. გამოწვევები

სასამართლო პრაქტიკოსებისა და მეცნიერთა შორის, მათ შორის ამ ჟურნალშიც, ეკონომიკური და სოციალური უფლებები დიდი ხანია დისკუსიის ცენტრშია. 2019 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში⁵⁸ ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე პატივცემულ კონსტიტუციონალისტ ანდრეაშ შაიოს მოჰყავს არგუმენტები სოციალურ საკითხებში სასამართლოს ფართო

⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების *ქეთევან ერემაძის* და *ბესარიონ ზოიძის* განსხვავებული აზრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება „*საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, 6-10, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=366>> [1.7.2021].

⁵⁸ *Sajó A.*, Possibilities of Constitutional Adjudication in Social Rights Matters, *Journal of Constitutional Law* 1, 2019, 7. სტატია გამოქვეყნდა 2019 წელს, მაგრამ ის მომზადდა და წარმოდგენილი იქნა 2009 წელს და შესაძლოა არ ასახავდეს ავტორის თანამედროვე შეხედულებებს.

ჩარევის წინააღმდეგ და მიუთითებს სასამართლო წესით განხილვის რისკებზე, რომელიც ქმნის პირდაპირი საბიუჯეტო შედეგების მქონე პოლიტიკას.⁵⁹ ანდრაშ შაიოს თქმით, ეს არის მკაცრად საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქცია, რომელიც შეზღუდულია დემოკრატიული ანგარიშვალდებულების პრინციპით და სპეციფიკურ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებზე დამოკიდებულებით. სასამართლო ხელისუფლება არ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, ვინაიდან დემოკრატიული ანგარიშვალდებულება, წესის სახით, არ ვრცელდება მოსამართლეებზე და მათ არ აქვთ გამოცდილება პოლიტიკასა და საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით.⁶⁰ ამის საფუძველზე, სტატია არ აღიარებს არსებითი სოციალური უფლებების სასამართლოს წესით განხილვის ინდივიდუალური შესაძლებლობის მიზანშეწონილობას და მოუწოდებს სასამართლოებს, გამოიყენონ სხვა სტრატეგიები გადაწყვეტილების მიღებისას, როგორცაა, მაგალითად, დისკრიმინაციის ანალიზი.⁶¹ სტატიაში ასევე მოცემულია ზოგიერთი მყიფე არგუმენტიც,⁶² თუმცა სტატიაში აღწერილი სოციალური უფლებების სასამართლო გზით განხილვის შესაძლებლობის ამ გამოწვევების წინაშე რამდენჯერმე დადგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც. ამასთან, სტატიის გადაწყვეტასოციალურსაკითხების სასამართლო აღსრულებასთან დაკავშირებით ასევე ეხმიანება იმ ტენდენციებს, როგორც კონსტიტუციის ტექსტი და სასამართლოს მიდგომები ჩამოყალიბდა უკანასკნელ წლებში.

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ სოციალური უფლებების დასაბუთებასა და აღსრულებასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები გამომდინარეობს უფლებების იმ ფიქტიური გამიჯვნიდან, რომელიც არსებობს სამოქალაქო და პოლიტიკურ და სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა შორის.⁶³ ეს შეხედულება აყალიბებს უფლებათა ამ ორ ჯგუფს შორის იერარქიას და აცხადებს, რომ სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები წარმოადგენს არა ფუნდამენტურ უფლებებს, არამედ დირექტივებს და პოლიტიკის მიზნებს.

⁵⁹ Sajó A., Possibilities of Constitutional Adjudication in Social Rights Matters, *Journal of Constitutional Law* 1, 2019, 13-14.

⁶⁰ Sajó A., Possibilities of Constitutional Adjudication in Social Rights Matters, *Journal of Constitutional Law* 1, 2019, 14-15.

⁶¹ Sajó A., Possibilities of Constitutional Adjudication in Social Rights Matters, *Journal of Constitutional Law* 1, 2019, 25.

⁶² მაგალითად, სტატია აცხადებს, რომ სოციალური უფლებების ფართო განხორციელება ეწინააღმდეგება თავისუფალი ბაზრისა და ერთი ადამიანის მეორესადმი არდაქვემდებარების პრინციპს. Sajó A., Possibilities of Constitutional Adjudication in Social Rights Matters, *Journal of Constitutional Law* 1, 2019, 11-12.

⁶³ Tinta M. F., Justiciability of Economic, Social, and Cultural Rights in the Inter-American System of Protection of Human Rights: Beyond Traditional Paradigms and Notions, *Human Rights Quarterly* 2(29), 2007, 431, 432-438.

კეტი ბოილი⁶⁴ ამას უწოდებს „ცრუ დიქტომიას“ და მიუთითებს უფლებების უნივერსალურობისა და განუყოფლობის ფუნდამენტურ პრინციპებზე, რომ ხაზი გაუსვას, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არ აწესებს უფლებათა ამ იერარქიას.⁶⁵ გარდა ამისა, ის განიხილავს სოციალური უფლებების სასამართლოს გზით განხილვის შესაძლებლობასთან დაკავშირებულ თეორიულ წინააღმდეგობას და მათ სამ ძირითად ეტაპად ყოფს:⁶⁶ 1) ანტიდემოკრატიული კრიტიკა – კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სოციალურ უფლებებში სასამართლოს ჩარევას და რესურსების განაწილებას ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით; 2) განუსაზღვრელობის კრიტიკა – მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების ბუნდოვანებაზე და მოითხოვს, რომ არსებითი ინტერპრეტაციები არ იყოს სასამართლოზე დამოკიდებული; 3) შესაძლებლობის კრიტიკა – ამტკიცებს, რომ სასამართლოებს კომპლექსურ სოციალ-ეკონომიკური საკითხებისა და მათთან დაკავშირებული მართვის სფეროებში არ გააჩნიათ უნარი და გამოცდილება.

თუმცა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებიც შეიძლება იყოს ასევე ძვირადღირებული და საჭიროებდეს რესურსების განაწილებას. მაგალითად, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ან სხვა უფლებები შეიძლება მოითხოვდეს ძვირადღირებული აღსრულების მექანიზმების შექმნას. გარდა ამისა, სასამართლოები ხშირად მიმართავენ ინფორმაციისა და ექსპერტიზის გარე რესურსებს, რათა შეძლონ სხვადასხვა ტიპის საქმის განხილვა. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ექსპერტები ჩართო ნარკოდანაშაულის და სისხლის დონაციის საქმეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გარდა ამისა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არ გულისხმობს სრულ გამიჯვნას. მისი ძირითადი მოთხოვნებია სხვადასხვა შტოს შორის შექმნას ურთიერთკონტროლისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების სათანადო სისტემა. ამ თვალსაზრისით, სასამართლო ზედამხედველობა სოციალურ საკითხებზე არის ამ პრინციპის აუცილებელი მოთხოვნა, როგორც ეს განმარტებულია მოსამართლეების ქეთევან ერემაძისა და ბესარიონ ზოიძის განსხვავებულ აზრში.⁶⁷ ბოლოს, მიუხედავად

⁶⁴ Boyle K., *Economic and Social Rights Law: Incorporation, Justiciability and Principles of Adjudication*, 2019.

⁶⁵ Boyle K., *Economic and Social Rights Law: Incorporation, Justiciability and Principles of Adjudication*, 2019, 46-48.

⁶⁶ Boyle K., *Economic and Social Rights Law: Incorporation, Justiciability and Principles of Adjudication*, 2019, 13-16.

⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემაძის და ბესარიონ ზოიძის

გამოწვევებისა, სოციალური საკითხებისა და უფლებების სასამართლოს გზით დაცვა არის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს აუცილებელი მოთხოვნა: სოციალური უფლებები არის ადამიანის უფლებები და მათი სრული რეალიზაცია მოითხოვს სასამართლო ზედამხედველობას და ინდივიდებისთვის შესაბამის სასამართლო დაცვის საშუალებებზე წვდომას.⁶⁸

ამრიგად, თანამედროვე შეკითხვა არ მდგომარეობს იმაში, არის თუ არა სოციალური უფლებები სასამართლოს გზით განხილვადი, არამედ ის, თუ როგორ შეუძლიათ სასამართლოებს, გადალახონ ზემოთ ხსენებული გამოწვევები და გადაწყვიტონ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული საქმეები. სტატიის შემდეგ პარაგრაფში მოცემულია იმ პოტენციური მიდგომების მიმოხილვა, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მიზნით შეუძლია გამოიყენოს.

2. გამოწვევების დაძლევის პოტენციური მეთოდები

კითხვას, თუ როგორ უნდა მიუდგეს სასამართლო სოციალურ საკითხებს, არ გააჩნია საბოლოოდ განსაზღვრული პასუხი და სასამართლოებს შორის არ არსებობს კონსენსუსი ამ საკითხზე. მეცნიერები განასხვავებენ სასამართლო განხილვის სამ ძირითად მიდგომას: ძლიერ, სუსტ და შუალედური განხილვის სისტემებს. ძლიერი განხილვის სისტემები აღიარებენ სოციალურ უფლებებს როგორც დასაბუთებულ, უშუალოდ აღსრულებად ადამიანის უფლებებს, ხოლო სუსტი განხილვის სისტემები პატივს სცემენ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების შტოებს.⁶⁹ შუალედური განხილვის სისტემები აღიარებენ სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობას და აღსრულებას, მაგრამ ისინი ასევე მოიცავს განხილვის უფრო მოქნილ ინსტრუმენტებს.⁷⁰ სხვები განასხვავებენ დიფერენციალურ და მენჯერულ სასამართლო განხილვის სისტემებს.⁷¹ ეს

განსხვავებული აზრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 6-10, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=366>> [1.7.2021].

⁶⁸ UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 9: The domestic application of the Covenant, 3 December 1998, E/C.12/1998/24, para. 4, <<https://www.refworld.org/docid/47a7079d6.html>> [1.7.2021].

⁶⁹ *Tushnet M.*, *Weak Courts, Strong Rights: Judicial Review and Social Welfare Rights*, *Comparative Constitutional Law*, 2009, 22–31.

⁷⁰ *Rodríguez-Garavito C., Rodríguez-Franco D.*, *Radical Deprivation on Trial: The Impact of Judicial Activism on Socioeconomic Rights in the Global South*, 2015, 10–12, <<https://www.cambridge.org/core/books/radical-deprivation-on-trial/E5288EDB3B74666BBD62542C5B256F0F>> [15.6.2021].

⁷¹ *Young K. G.*, *Constituting Economic and Social Rights*, 2012, 142–166, <<https://oxford.university-pressscholarship.com/view/10.1093/acprof:oso/9780199641932.001.0001/acprof-9780199641932>> [15.6.2021].

ტიპოლოგიები ემსახურება განხილვის სხვადასხვა სისტემის თეორიულად უკეთ გააზრებას, მაგრამ რეალურად, მიდგომები თითოეული საქმიდან გამომდინარეც შეიძლება განსხვავდებოდეს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აჩვენებს მიდგომათა ცვალებადობას, ზოგიერთ საქმეში სასამართლომ საერთოდ უარყო, რომ სოციალური უფლებების მის განსჯადობას ექვემდებარება, ხოლო სხვა საქმეებზე, სოციალურად დაუცველი პირებისთვის სოციალურ საკითხებთან მიმართებით მან საჭიროდ მიიჩნია მკაცრი შეფასების ტესტი და გამოიყენა ღირსების აბსოლუტური უფლება. ამ კონტექსტში შესაძლოა, უფრო მიზანშეწონილი იყოს პოტენციური თეორიებისა და ცნებების იდენტიფიცირება, რომლებიც სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სოციალური საკითხების გადაწყვეტისას.

როგორც სოციალურ უფლებებზე საქართველოს კონსტიტუციის ჩარჩოს ანალიზითაა განსაზღვრული, კონსტიტუციაში რჩება მხოლოდ რამდენიმე არსებითი უფლება, რომელთა განხილვა შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე. კონსტიტუციური მიდგომის გამოსწორების მთავარი საშუალება არის თანასწორობის უფლება და სასამართლომ განავითარა ახალი მიდგომა, როდესაც მან განიხილა სოციალური ბუნების ნორმა ღირსების უფლებასთან მიმართებით და არაკონსტიტუციურად ცნო იგი. ქვემოთ არსებული მსჯელობა იყენებს ამას როგორც საფუძველს – საერთაშორისო დონეზე აღიარებული თეორიების, ცნებებისა და ინტერპრეტაციის მეთოდების შემდგომი ანალიზისათვის.

მინიმალური ძირითადი ვალდებულების (MCO) კონცეფცია გაჩნდა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შინაარსის ინტერპრეტაციებისას. მინიმალური ძირითადი ვალდებულება მიმართულია სახელმწიფოს ვალდებულებისკენ, უზრუნველყოს სულ მცირე, არსებითი სოციალური უფლებების მინიმალური საარსებო დონე და თუ ის ვერ შეძლებს ამის გაკეთებას, სახეზე იქნება არსებითი სოციალური უფლებების დარღვევა. თუმცა მინიმალური ძირითადი ვალდებულება პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოს რესურსებთან, მაგრამ სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ რესურსების ნაკლებობის გამო მას არ შეუძლია, კონკრეტულ უფლებასთან მიმართებით, დააკმაყოფილოს ეს მინიმალური ძირითადი ვალდებულება.⁷² მაგალითად, განათლების უფლება მოიცავს საჯარო განათლების ხელმისაწვდომობას დისკრიმინაციის გარეშე, დაწყებითი

⁷² UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 3: The Nature of States Parties' Obligations (Art. 2, para. 1 of the Covenant), 14 December 1990, E/1991/23, para. 10, <<https://www.refworld.org/pdfid/4538838e10.pdf>> [15.6.2021].

განათლების უზრუნველყოფას ყველა მიმღები პირისთვის, ეროვნული საგანმანათლებლო სტრატეგიის მიღებას და განათლების თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფას „მინიმალური საგანმანათლებლო სტანდარტების“ შესაბამისად.⁷³ მინიმალური ძირითადი ვალდებულება სამუშაოს სამართლიან და ხელსაყრელ პირობებთან მიმართებით მოიცავს: დისკრიმინაციის აკრძალვას, მინიმალური ხელფასის დადგენას, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებას, დასვენებას, თავისუფალ დროს, სამუშაო დროის გონივრულ შეზღუდვას, ანაზღაურებად შვებულებას, უქმე დღეებს და ასე შემდეგ.⁷⁴ მინიმალური ძირითადი ვალდებულება, ჯანმრთელობის უფლების უმაღლესი სტანდარტის მისაღწევად, მათ შორის, დისკრიმინაციის გარეშე ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, საარსებო აუცილებელ საკვებზე წვდომა და შიმშილისგან ყველას თავისუფლება, თავშესაფრის, საცხოვრებლისა და უსაფრთხო სასმელი წყლის ადეკვატური მიწოდება, აუცილებელი მედიკამენტების მიწოდება და სხვა.⁷⁵ გარდა მინიმალური ძირითადი ვალდებულებისა, კონკრეტული უფლებების ფარგლების განსაზღვრისას შეიძლება სასარგებლო იყოს შესაბამისი საერთაშორისო დებულებების ავტორიტეტული განსაზღვრებები, როგორცაა არსებობა, ხელმისაწვდომობა, მისაღებობა და ხარისხი (AAAQ) – ძირითადი ელემენტები ჯანმრთელობის უფლებისთვის.⁷⁶

საკონსტიტუციო სასამართლო პრეცედენტულ სამართალში არ არის ვალდებული, მოახდინოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტანდარტების იმპლემენტაცია, პირიქით, ის შეზღუდულია მხოლოდ კონსტიტუციით. თუმცა, საერთაშორისო სამართლის სტანდარტებსა და შედარებით ანალიზს ხშირად შეუძლია დაეხმაროს ეროვნულ სასამართლო განხილვას პრეცედენტული სამართლის არარსებობისას, უფლებათა ფარგლების ინტერპრეტაციისა და განსაზღვრისას. ეს უჩვეულო არ არის არც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, რადგან მას ხსენებული და გამოყენებული აქვს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო

⁷³ UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 13: The Right to Education (Art. 13 of the Covenant), 8 December 1999, E/C.12/1999/10, para. 57, <<https://www.refworld.org/docid/4538838c22.html>> [15.6.2021].

⁷⁴ UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General comment No. 23 (2016) on the right to just and favourable conditions of work (Article 7 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), 7 April 2016, E/C.12/GC/23, para. 65, <<https://www.refworld.org/docid/5550a0b14.html>> [15.6.2021].

⁷⁵ UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health (Art. 12 of the Covenant), 11 August 2000, E/C.12/2000/4, para. 43, <<https://www.refworld.org/pdfid/4538838d0.pdf>> [15.6.2021].

⁷⁶ UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health (Art. 12 of the Covenant), 11 August 2000, E/C.12/2000/4, para. 12, <<https://www.refworld.org/pdfid/4538838d0.pdf>> [15.6.2021].

ხელშეკრულებები, მათ შორის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. ამავე დროს, არ არის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტების უცვლელი ფორმით გადმოტანა და მათი მორგება შესაძლებელია ეროვნულ კონტექსტზე. მაგალითად, კოლუმბიის საკონსტიტუციო სასამართლომ ეკონომიკური სოციალურ და კულტურულ უფლებებთან მიმართებით მიიღო მოდიფიცირებული მინიმალური ძირითადი ვალდებულების სტანდარტი „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მინიმუმის“ სახით.⁷⁷ იგივე შინაარსისა და პრინციპის გადმოსაცემად ინდოეთის უზენაესი სასამართლო იყენებს ფრაზას „უფლების არსებითი მინიმუმი“.⁷⁸

სხვა მაგალითებში, სასამართლოებმა გადაწყვიტეს, არ გამოეყენებინათ მინიმალური ძირითადი ვალდებულების სტანდარტი საკუთარ სამართალწარმოებაში, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე *გროტბოომი მთავრობის წინააღმდეგ*,⁷⁹ მკაფიოდ განაცხადა უარი მინიმალური ძირითადი ვალდებულების სტანდარტის იმპლემენტაციაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადეკვატური საცხოვრებლის კონსტიტუციური უფლება განსხვავდებოდა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამისი დებულებისგან, რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებს უფრო ფართო გარანტიებს. სასამართლომ გამოიყენა გონივრული აუცილებლობის ტესტი იმის გასარკვევად, იყო თუ არა სახელმწიფოს ქმედებები საკმარისად დასაბუთებული კონსტიტუციური ვალდებულებების შესასრულებლად. დადგინდა, რომ სახელმწიფომ დაარღვია უფლების პროგრესული რეალიზების ვალდებულება.⁸⁰ თუმცა ეს საქმე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული, რადგან იგი არ ითვალისწინებდა ინდივიდის დაცვის სამართლებრივ საშუალებაზე წვდომას.⁸¹

⁷⁷ Landau D., The Reality of Social Rights Enforcement, Harvard International Law Journal 1(53), 2012, 207–209.

⁷⁸ Chowdhury J., Judicial Adherence to a Minimum Core Approach to Socio-Economic Rights – A Comparative Perspective, Cornell Law School Inter-University Graduate Student Conference Paper 27, 2009, 9, <https://scholarship.law.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1055&context=lps_clacp> [15.6.2021].

⁷⁹ Judgment of the Constitutional Court of South Africa of 4 October 2000 – *Government of the Republic of South Africa and Others v. Grootboom and Others*, 2000 (11) BCLR 1169 (CC), case CCT11/00, <<https://collections.concourt.org.za/handle/20.500.12144/2107>> [1.7.2021].

⁸⁰ Boyle K., Economic and Social Rights Law: Incorporation, Justiciability and Principles of Adjudication, 2019, 122–124.

⁸¹ Boyle K., Economic and Social Rights Law: Incorporation, Justiciability and Principles of Adjudication, 2019, 124; Fuo O., In the Face of Judicial Deference: Taking the “Minimum Core” of Socio-Economic Rights to the Local Government Sphere, Law, Democracy & Development 19, 2015, 1.

არსებითი სოციალური უფლებების მიღმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, დაიცვას სოციალური უფლებები თანასწორობის უფლებით. ამ მიმართულებით სასამართლოს აქვს კარგად შემუშავებული და პერსპექტიული სასამართლო პრაქტიკა, მაგრამ შესაძლოა, იდენტიფიცირებულ იქნეს გარკვეული ხარვეზები, განსაკუთრებით, როდესაც საქმის შეფასება ხდება რაციონალური დიფერენცირების ტესტის გამოყენებით. ამასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ საქმე, რომელიც უკავშირდება მაღალმთიან რეგიონებში მაცხოვრებლების კეთილდღეობასა და სხვა სარგებელს⁸². შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმეში სასამართლომ არ გაითვალისწინა მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებთან მიმართებით სისტემური უთანასწორობის სრული კონტექსტი, მასშტაბები და გავლენა.⁸³ იმისთვის, რომ უზრუნველყოთ თანასწორობის ფაქტორი სრულ სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტში, სასამართლოს შეუძლია, თავისი ანალიზი მოარგოს არსებითი თანასწორობის თეორიას.

ამ თეორიის უპირატესობაა, რომ მას ყურადღება გადააქვს მოწყვლად ჯგუფებზე და მიზნად ისახავს უთანასწორობის სრული რეალობის გათვალისწინებას. მისი ძირითადი პრინციპი შეიძლება შეჯამდეს როგორც „ძირითადი პრინციპი, რომ თანასწორობის უფლება უნდა მოექცეს სოციალურ კონტექსტში, ითვალისწინებდეს მათ, ვინც მოწყვლადია, დამცირებულია, გარიყულია ან იგნორირებულია“.⁸⁴ სამხრეთ აფრიკის, კანადის და დიდი ბრიტანეთის სასამართლოებს გამოყენებული აქვთ თანასწორობის არსებითი სტანდარტი სხვადასხვა საქმეებში, განსაკუთრებით სოციალური ხასიათის საკითხებთან მიმართებით დისკრიმინაციის გადაწყვეტისას.⁸⁵

ბოლოს, თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ საქმემ შექმნა ახალი გზა სოციალურ საკითხებთან მიმართებით საჩივრის დაკმაყოფილებაზე. ამ თვალსაზრისით, ღირსება მჭიდროდ არის დაკავშირებული არსებით თანასწორობასთან, აღდგენით სამართლიანობასთან და უზრუნველყოფს ადეკვატური ცხოვრების უფლების ყველაზე ძირითად ელემენტებს. მაგალითად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა ღირსების უფლება (სოციალური სახელმწიფოს

⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/9/810, 927 გადაწყვეტილება „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1174>> [1.7.2021].

⁸³ *Arevadze N.*, Substantively Close, Legislatively Afar: Disparities between Citizens and Permanent Residents in Georgia, 48–50.

⁸⁴ *Fredman S.*, Substantive equality revisited, *International Journal of Constitutional Law* 3(14), 2016, 712–713.

⁸⁵ *Fredman S.*, Providing Equality: Substantive Equality and the Positive Duty to Provide, *South African Journal on Human Rights*, 2(21), 2005, 163, 172–184.

პრინციპთან ერთად) საარსებო მინიმუმთან მიმართებით და განმარტა, რომ ადამიანის ღირსება მოიცავს მატერიალურ პირობებს, რომლებიც აუცილებელია ფიზიკური არსებობისა და სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მინიმალური მონაწილეობისათვის.⁸⁶ ღირსების უფლების ამგვარმა პროგრესულმა სასამართლო განმარტებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ყველაზე არსებითი სოციალური უზრუნველყოფისა და კეთილდღეობის უფლებების დაცვას, რომლებიც არ არის საქართველოს კონსტიტუციაში გათვალისწინებული.

V. დასკვნა

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შექმნის დღიდან სოციალური უფლებების სასამართლოს გზით განხილვის შესაძლებლობა და აღსრულება ყოველთვის სადავო კონცეპტუალური და პრაქტიკული საკითხი იყო. კლასიკური კრიტიკა – არის თუ არა სოციალური უფლებები ადამიანის უფლებები, უკვე დიდი ხანია განიხილება და ის მოსაზრება, რომ სოციალური უფლებები არ ექვემდებარება სასამართლოს გზით განხილვას, მოძველებულია.⁸⁷ თუმცა სასამართლოები კვლავ დგანან გამოწვევების წინაშე, როდესაც მსჯელობენ სოციალურ უფლებებზე და მთავარი საკითხი კვლავ გადაუწყვეტელია: რა წარმოადგენს ადეკვატურ და საჭირო სასამართლო ჩარევას სოციალურ პოლიტიკაში და როდის ხდება ის ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საწინააღმდეგო? ამ კითხვაზე პასუხის არქონის პირობებში სასამართლო ინსტიტუტები სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ საქმეებზე ხშირად იკავებენ ფრთხილ მიდგომას, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება ისეთ რესურს-ინტენსიურ საკითხებს, როგორცაა სოციალური დახმარება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის გამონაკლისი ამ ზოგადი წესიდან – მასაც მოკრძალებული მიდგომა აქვს განვითარებული სოციალურ საკითხებთან მიმართებით.

სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფო სარგებლობს ფართო დისკრეციით სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და რესურსების გამოყოფისას. თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასევე გვხვდება პერსპექტიული და პროგრესული სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფს მოწყვლად და სოციალურად დაუცველ პირთა სოციალურ უფლებებს.

⁸⁶ Boyle K., *Economic and Social Rights Law: Incorporation, Justiciability and Principles of Adjudication*, 2019, 135.

⁸⁷ Boyle K., *Economic and Social Rights Law: Incorporation, Justiciability and Principles of Adjudication*, 2019, 18.

სოციალური უფლებების მინიმალისტური კონსტიტუციური მიდგომის ფონზე საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართალი შეიძლება გახდეს საფუძველი მომავალი საქმეებისა და ინტერპრეტაციებისთვის, რომლებიც ინტენსიურად იცავს ყველაზე მოწყვლადი პირების სოციალურ უფლებებს. თუმცა სასამართლოს სოციალურ საკითხებთან მიმართებით დასჭირდება თანმიმდევრულად თამამი პოზიციის დამკვიდრება, რომელთა მაგალითები მის რამდენიმე საქმეში ზემოთ იქნა განხილული. ეს მოითხოვს მეტად სტანდარტიზებულ და ყოვლისმომცველ მიდგომას და ამ სტატიით შემოთავაზებული ცნებები და თეორიები შეიძლება გახდეს ამის ამოსავალი წერტილი. არსებითი სოციალური უფლებების საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართლის შესაბამისად ინტერპრეტაციით, არსებითი თანასწორობის პერსპექტივის შემოღებითა და ღირსების უფლებების ფარგლების გაფართოებით სასამართლო შეძლებს გადალახოს ის გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება სოციალური უფლებების სასამართლოს გზით დაცვას, და მაღალ დონეზე აიყვანოს სოციალური უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა.

აკადემიური თავისუფლება
როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება
(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის,
აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე)

აბსტრაქტი

პოლიტიკური მოტივებით საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე კონტროლი ჩვეული პრაქტიკა იყო საბჭოთა კავშირში. შედეგად, არსებული სინამდვილე ჩანაცვლდებოდა ხოლმე პოლიტიკური პროპაგანდით. ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც შეეწინააღმდეგებოდა დამკვიდრებულ რეჟიმს, იკრძალებოდა, ისჯებოდა და განიკვეთებოდა სასწავლო დაწესებულებიდან.

იძულებით გასაბჭოებამდე, საქართველოში განათლების სფეროს თავისუფლებისთვის პროგრესული გარანტიები შეიქმნა. სწავლების თავისუფლება აღიარებულ იქნა კონსტიტუციით. თუმცა აკადემიური თავისუფლების შესახებ პირველი კონსტიტუციით გათვალისწინებული ნორმა პრაქტიკაში არც ამოქმედებულა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო.

დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ, 1995 წელს მიღებული კონსტიტუციით გარანტირებულ იქნა განათლების მიღების უფლება. თუმცა პირველი კონსტიტუციისგან განსხვავებით, სწავლებისა და კვლევის თავისუფლების შესახებ ნორმა კონსტიტუციაში არ იქნა მითითებული. ბოლო პერიოდში, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, აკადემიური თავისუფლება აღიარებულ იქნა კონსტიტუციურ უფლებად და, შესაბამისად, მეტი დატვირთვა შეიძინა აკადემიური თავისუფლების სამართლებრივი შინაარსის გააზრებამ.

სტატიაში განხილულია აკადემიური თავისუფლების როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლების მნიშვნელობა, მისი შინაარსი და შეზღუდვის სტანდარტები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს კანონმდებლობის, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

* სამართლის დოქტორი, LLM, სამართლის სკოლის დეკანი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი [rkhoperia@gmail.com]

I. შესავალი

პოლიტიკური მოტივებით საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე კონტროლი ჩვეული პრაქტიკა იყო. ასეთ კონტროლს ხან შედარებით უმნიშვნელო, ხანაც კი მეტად შემზღუდველი – არსებული სინამდვილის პოლიტიკური პროპაგანდით ჩანაცვლების შედეგები მოჰქონდა. როცა განათლება კონტროლირებულია პოლიტიკური შეხედულებებით, სინამდვილე ხდება ის, რასაც მმართველი პოლიტიკური ძალა იტყვის და ნებისმიერი სხვა მოსაზრება, რომელიც შეეწინააღმდეგება დამკვიდრებულ რეჟიმს, შესაძლოა, აიკრძალოს, დაისაჯოს და განიკვეთოს, მიუხედავად იმისა, რამდენად სასარგებლოა ასეთი შეხედულება. აკადემიურ თავისუფლებაში ჩარევის შედეგების საილუსტრაციოდ *ტროფიმ ლისენკოს* მაგალითი გამოდგება. *ტროფიმ ლისენკო* იყო პოლიტიკური დოგმების და შეხედულებების განუხრელი მიმდევარი. გადაუმოწმებელი და დაუდასტურებელი, მაგრამ პოლიტიკურად ხელსაყრელი თეორიებით, მან მოიპოვა იოსებ სტალინის ნდობა. ძალაუფლების გამოყენებით, მან დანერგა თავისი თეორიები მთელ საბჭოთა კავშირში და მიუხედავად კატასტროფული შედეგებისა, საბჭოთა მედიამ *ტროფიმ ლისენკო* გენიოსად წარმოაჩინა. *ტროფიმ ლისენკოს*, მისი საქმიანობისა და მოსაზრებების უტყუარობის დამადასტურებელ დამატებით ფასადურ საშუალებად „გამოუყვეს“ საკუთარი „სამეცნიერო ჟურნალი“. ნებისმიერ მეცნიერს, რომელიც გაბედავდა *ტროფიმ ლისენკოს* თეორიების სისწორის შემოწმებას, თავს ესხმოდნენ როგორც დასავლეთისადმი სიმპატიით განწყობილს. საწინააღმდეგო მოსაზრებების მქონე მეცნიერი განიკვეთებოდა მთავრობის მიერ კონტროლირებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. *ტროფიმ ლისენკოს* თეორიების შეცვლა საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა უკანონოდ. მეცნიერებს, რომლებიც ეწეოდნენ განსხვავებულ პრაქტიკას ან აღიარებდნენ განსხვავებულ მოსაზრებას, იჭერდნენ და სიკვდილით სჯიდნენ. *ტროფიმ ლისენკოს* მთავარი აკადემიური მოწინააღმდეგე ციხეში შიმშილით მოკლეს.¹

„ლისენკოიანიზმამდელ“ საქართველოში მეტად პროგრესული გარანტიები შეიქმნა, მათ შორის, განათლების სფეროსთვის. სწავლების თავისუფლება კონსტიტუციით იქნა აღიარებული. თუმცა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხანმოკლე არსებობის პერიოდის და იძულებითი გასაბჭოების გამო, აკადემიური თავისუფლების შესახებ კონსტიტუციური ნორმა პრაქტიკაში არ ამოქმედებულა.

¹ Dayton J., Education Law – Principles, Policies, and Practice, 2012, 185-188.

საბჭოთა კავშირის დანგრევისა და დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ, ახლად მიღებული კონსტიტუციით გარანტირებულ იქნა განათლების მიღების უფლება. მაგრამ, პირველი კონსტიტუციისგან განსხვავებით, სწავლებისა და კვლევის დამოუკიდებლობა კონსტიტუციაში არ იყო მითითებული. ამიტომ, ჩნდებოდა კითხვა, არსებული კონსტიტუციური ნორმები იმპლიციტურად მაინც ხომ არ გულისხმობდა აკადემიურ თავისუფლებასაც? მაგალითად, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ქართული განათლების სისტემის ჰარმონიზაციის და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის ვალდებულება ხომ არ მოიცავდა აკადემიური თავისუფლების დანერგვის და ხელშეწყობის ვალდებულებასაც? აღნიშნულმა კითხვებმა მას შემდეგ დაკარგა აქტუალობა, რაც ბოლო პერიოდში კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, აკადემიური თავისუფლება აღიარებულ იქნა კონსტიტუციურ უფლებად.

ამიტომ, კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა აკადემიური თავისუფლების სამართლებრივი შინაარსის გააზრებამ. სტატია მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს აკადემიური თავისუფლების, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლების მნიშვნელობა, შინაარსი და შეზღუდვის სტანდარტები შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდის საფუძველზე. სტატიაში განხილულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს კანონმდებლობა, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებები და სასამართლო პრაქტიკა.

II. აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობა

აკადემიური თავისუფლება სპეციფიკური უფლებაა და დაკავშირებულია სწავლების, სწავლის და კვლევის პროცესში სინამდვილის მეცნიერულ ძიებასთან. აკადემიური თავისუფლება არ არის ახლად აღმოჩენილი სიკეთე და, სულ მცირე, პლატონის აკადემიის ტრადიციებიდან მომდინარეობს.² აკადემიური თავისუფლების გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებას არ შეუძლია საზოგადოებისთვის სასარგებლო რესურსის შექმნა. აკადემიური პერსონალი დაცული უნდა იყოს იდეოლოგიური ზეგავლენისაგან. სასარგებლო რესურსი იქმნება მხოლოდ ისეთ გარემოში, რომელიც თავისუფალია ადმინისტრაციული, პოლიტიკური ან რელიგიური მოტივებით აკადემიური პერსონალის მოსაზრებებსა და გამოხატვის ფორმებში ჩარევისა და შეზღუდვისაგან.³

² Dayton J., *Education Law – Principles, Policies, and Practice*, 2012, 185.

³ “Academic Freedom”, *Harvard Law Review* 81 (5), 1968, 1048.

ხარისხიანი განათლება დამკვიდრებული მოსაზრებების გამოწვევაა, არსებული შეხედულებების ეჭვქვეშ დაყენებაა. არსებობს მოსაზრება, რომ კარგ მასწავლებელს ყოველთვის შეიძლება საზოგადოების კონსერვატიული ნაწილი იმის გამო, რომ ის არსებულ შეხედულებებს აკრიტიკებს. თუმცა ასევე არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, განათლების ფუნქცია არის არსებულის შეცნობა და შენარჩუნება. და ამ პროცესში მასწავლებლის როლი სწორედ ის არის, რომ ახალგაზრდა თაობას გადასცეს უფროსი თაობის მიერ დამკვიდრებული ღირებულებები. შედეგად, საზოგადოება ინარჩუნებს თავის თავს. ის კი, ვინც გამოწვევების წინაშე დააყენებს საზოგადოების ძირითად ღირებულებებს, გაირიყება და დაისჯება არა მარტო იმისთვის, რომ დაიცვან ახალგაზრდა თაობა, არამედ სხვათა გაფრთხილების მიზნითაც. ამ ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულებებით გამოწვეული დაძაბულობა თავს იჩენს ამერიკულ საგანმანათლებლო სისტემაში, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივ შეფასებებშიც.⁴

აკადემიური თავისუფლება შედგება სამი კომპონენტისაგან: 1. კვლევის თავისუფლება; 2. სწავლების თავისუფლება; 3. აზრის გამოხატვის და ქმედების თავისუფლება საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ. აკადემიური თავისუფლება ნიშნავს აზრის, კვლევის, ანალიზის, დისკუსიის, პრობლემების პრეზენტაციის, კონკრეტულ ან მომიჯნავე, მონათესავე სფეროებში არსებული თეორიების გამოკვლევის თავისუფლებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის უფლება, საკუთარი ინტერესის და კვლევის სფეროში აზრი გამოხატო თავისუფლად. აკადემიური თავისუფლება მასწავლებელს და მკვლევარს უფლებას ანიჭებს, იკვლიოს და განსაჯოს თავისი ინტერესის სფეროს პრობლემები და გამოაქვეყნოს დასკვნები მათ შესახებ, საკუთარი მოსაზრებები და დასკვნები წარუდგინოს სტუდენტებს. დაუშვებელია ამ პროცესში ნებისმიერი სახის გარე ჩარევა. აკადემიური თავისუფლება არის სტუდენტის უფლება, ისწავლოს და მასწავლებლის უფლება, ასწავლოს შეზღუდვისგან თავისუფალ სასწავლო აუდიტორიაში და ამ უფლებებით ისარგებლოს აუდიტორიის ფარგლებს გარეთ. აკადემიური თავისუფლება სტუდენტს უფლებას ანიჭებს, მოისმინოს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები, ისწავლოს, თუ როგორ განასხვავოს ერთმანეთისგან ფაქტები და მოსაზრებები და განიმსტვავლოს სინამდვილის ძიების სურვილით. აკადემიური თავისუფლება არის უფლება, ასწავლო თავისუფლად, გარე ჩარევების გარეშე. აკადემიური თავისუფლება შესაძლებელს ხდის, რომ მასწავლებელმა გამოთქვას თავისი შეხედულებები ცენზურისა და გათავისუფლების შიშის გარეშე. აკადემიურ თავისუფლებასთან ერთად

⁴ Sheppard S., Academic Freedom: A Prologue, Arkansas Law Review 2, 2012, 177-178.

მასწავლებელს გარანტირებული აქვს სიტყვის, პუბლიკაციის და შეკრების თავისუფლება, ასევე მას უფლება აქვს, მხარი დაუჭიროს ორგანიზებულ მოძრაობას, რაც შესაძლოა, მისი მოსაზრებით, ემსახურებოდეს საკუთარ ან საზოგადოების ინტერესებს.⁵

III. აკადემიური თავისუფლება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

1. ძირითადი კანონით [კონსტიტუციით] გათვალისწინებული რეგულაცია

აკადემიური თავისუფლების თანამედროვე კონცეფცია მე-19 საუკუნის გერმანიაში ჩამოყალიბდა ორი კონცეფციის გაერთიანების საფუძველზე: სწავლის თავისუფლება (Lernfreiheit) და სწავლების თავისუფლება (Lehrfreiheit). გერმანიაში აკადემიური თავისუფლება პროფესორს ანიჭებდა უფლებას, გამოეთქვა თავისი მოსაზრებები შიშის გარეშე და, ამავდროულად, ქმნიდა ჰარმონიისა და ურთიერთთანხმობის ატმოსფეროს კვლევისა და სწავლების პროცესში.⁶

გერმანიის მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, მეცნიერება, კვლევა და სწავლება თავისუფალია.⁷ კონსტიტუციის ეს ნორმა იცავს მეცნიერებაზე დაფუძნებულ სწავლებას. თუმცა, „არამეცნიერული“ სწავლება არ რჩება კონსტიტუციური დაცვის მიღმა. ასეთი დაცვა გარანტირებულია გერმანიის კონსტიტუციის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით ან მე-2 მუხლის პირველი პუნქტით. მეცნიერებაზე დაფუძნებულ სწავლებაში იგულისხმება უნივერსიტეტის ფარგლებში ან მის ფარგლებს გარეთ სწავლება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც, ამავდროულად, ახორციელებენ სამეცნიერო კვლევას. მეცნიერებისა და სწავლების ასეთი დაკავშირება ემსახურება სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდების მიზანს. სტუდენტების ინტერესშია, რომ საუნივერსიტეტო სწავლებაში ჩართული იყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც შეუძლიათ მეცნიერების კონკრეტულ დარგში არსებული სიახლეების შესწავლა და ცოდნის გადაცემა.⁸

გერმანიის კონსტიტუციით გარანტირებული მეცნიერების თავისუფლების (Wissenschaftsfreiheit) ადრესატი, პირველ რიგში, სახელმწიფო ორ-

⁵ *Johnsen J. E.*, Freedom of Speech, 1936, 131-135.

⁶ *Tisdell R. P.*, Academic Freedom – Its Constitutional Context, University of Colorado Law Review 40 (4), 1968, 600-601.

⁷ *Jarass H. D., Pieroth B.*, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 10. Auflage, 2009, 173 (მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი).

⁸ *Hartmer M., Detmer H.*, Hochschulrecht, Ein Handbuch für die Praxis, 2004, 29.

განოებია. ეს უფლება სწორედ სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებებს აქცევს ჩარჩოში. ცალკეულ მეცნიერს კი შეუძლია (სახელმწიფო), უნივერსიტეტებთან ან მათ ორგანოებთან ურთიერთობაში დაეყრდნოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ ნორმას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მეცნიერების, კვლევისა და სწავლების თავისუფლების შესახებ კონსტიტუციური ნორმა უნდა განვიხილოთ როგორც *lex specialis* კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, ხოლო პროფესიის თავისუფლად არჩევის უფლებასთან მიმართებით კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი გამოყენებულ უნდა იქნეს უპირატესად. თუმცა, თუ მთავარი სადავო საკითხი პროფესიის თავისუფლებას ეხება, მაშინ უპირატესად გამოყენებული იქნება პროფესიის თავისუფლად არჩევის შესახებ კონსტიტუციური ნორმა მეცნიერების თავისუფლების კონსტიტუციური ნორმის გათვალისწინებით.⁹

კონსტიტუციის მსგავსი ნორმა მოცემულია გერმანიის ფედერაციული მიწების კონსტიტუციებსა და უმაღლესი განათლების კანონებში.¹⁰

2. უფლებით დაცული სფერო და უფლების სუბიექტები

მეცნიერების თავისუფლების კონსტიტუციური უფლებით დაცული სფეროა მეცნიერულ საქმიანობაზე დაფუძნებული პროცესები, მოქმედებები და გადაწყვეტილებები, რაც მიზნად ისახავს შემეცნებას, განმარტებასა და ცოდნის გავრცელებას. მეცნიერებისთვის დამახასიათებელია მეთოდურად მოწესრიგებული აზროვნება და კრიტიკული დაკვირვება. ამასთანავე, ეს არ გულისხმობს, რომ სამეცნიერო მეთოდები და შედეგები აუცილებლად უნდა იყოს სწორი. აღსანიშნავია, რომ მეცნიერების ცნება განმარტება ფართოდ და მოიცავს როგორც კვლევას, ისე სწავლებას.¹¹ მეცნიერების თავისუფლების კონსტიტუციური უფლების დაცვის სფეროა მეცნიერული განსჯა და ქმედება და არა პოლიტიკური მიზნების მეცნიერული მხარდაჭერა, რაც, თავის მხრივ, საკმარისად არის დაცული აზრის გამოხატვის თავისუფლებით.¹²

აკადემიური თავისუფლების უფლების სუბიექტია ნებისმიერი პირი, რომელიც საკუთარი პასუხისმგებლობით ეწევა სამეცნიერო საქმიანობას ან აქვს ასეთი საქმიანობის სურვილი. ამ უფლებით დაცულ სფეროში ექცევიან არა მარტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები.

⁹ Jarass H. D., Pieroth B., Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 10. Auflage, 2009, 219.

¹⁰ Richter I., Recht im Bildungssystem, 2006, 157.

¹¹ Jarass H. D., Pieroth B., Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 10. Auflage, 2009, 219-220.

¹² Richter I., Recht im Bildungssystem, 2006, 157.

სტუდენტებსაც შეუძლიათ აღნიშნული უფლებით სარგებლობა, თუ ისინი ეწევიან სამეცნიერო საქმიანობას, მაგალითად, სადიპლომო ნაშრომებისა და დისერტაციების შექმნის პროცესში. ტუტორები არ მიეკუთვნებიან უფლების სუბიექტებს, რადგან ისინი საქმიანობას არ ეწევიან საკუთარი პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად. მეცნიერების თავისუფლება იცავს ასევე იურიდიულ პირებს, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო საქმიანობას. ეს განსაკუთრებით ეხება კერძო უმაღლეს სასწავლებლებს, თუმცა, პირველ რიგში, სწორედ საჯაროსამართლებრივი ორგანიზაციული ფორმით შექმნილ უმაღლეს სასწავლებლებსა და ფაკულტეტებზე ვრცელდება. დაწესებულებებთან მიმართებით გადამწყვეტია არა ამ დაწესებულების ფორმალური დასახელება და პოზიციონირება სისტემაში, არამედ ის გარემოება, რომ დაწესებულება თავისი სტრუქტურითა და რესურსებით ორიენტირებულია სამეცნიერო კვლევის წარმართვაზე. ეს ლოგიკა ვრცელდება ასევე არასაუნივერსიტეტო სახელმწიფო დაწესებულებებზე. სახელმწიფო ფონდები, რომლებიც თავად არ არიან ჩართული სამეცნიერო კვლევაში, მხოლოდ მაშინ ხდებიან უფლების სუბიექტები, როცა ავტონომიურად საქმიანობენ და განიხილებიან მეცნიერების ხელშემწყობ დაწესებულებად.¹³

მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერების თავისუფლება იცავს მეცნიერთა მიერ „მეცნიერების განმარტების“ უფლებასაც. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ მეცნიერს შეუძლია, განსაზღვროს, თუ რა არის მეცნიერება. ამიტომ, სახელმწიფოს არ აქვს უფლება, აკრძალოს კონკრეტული ღონისძიება იმ დასაბუთებით, რომ ის „არამეცნიერულია“. ცხადია, არ იგულისხმება, რომ ნებისმიერი სახის მოსაზრება მეცნიერებად უპირობოდ უნდა იქნეს აღქმული. თუმცა ასეთი ფარგლების დადგენის უფლებამოსილება თავად მეცნიერებას აქვს.¹⁴

მეცნიერების თავისუფლებით გარანტირებულია სამეცნიერო ცოდნის შექმნისა და გავრცელების პროცესში სახელმწიფოს ჩარევისაგან დაცვის უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფს უფლების სუბიექტების საქმიანობაში სახელმწიფო ორგანოების და, ასევე, საუნივერსიტეტო მმართველობითი ორგანოების ჩარევისაგან დაცვას. ჩარევა შესაძლოა მიმართული იყოს და ეხებოდეს ცალკეულ მეცნიერს ან, აგრეთვე, მიმართული იყოს სამეცნიერო ერთეულის და ინსტიტუციების წინააღმდეგ. გარანტირებულია დაცვა მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიაში ნებისმიერი სახის ჩარევისაგან. ფაქტობრივი ჩარევაც კი შესაძლოა, ამ კონსტიტუციური უფლების შეზღუდვად იქნეს მიჩნეული. ორგანიზაციული ხასიათის რეგულაციები იმ შემთხვევაში ზღუდავს

¹³ Jarass H. D., Pieroth B., Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 10. Auflage, 2009, 221.

¹⁴ Richter I., Recht im Bildungssystem, 2006, 158.

კონსტიტუციურ უფლებას, თუ ასეთი რეგულაციით შესაძლოა, საფრთხე შეექმნას კვლევისა და სწავლების თავისუფლად განხორციელებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეზღუდვა გარდაუვალია სამეცნიერო სფეროში, სხვათა კონსტიტუციური უფლებებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ მეცნიერების დაცვის, ხელშეწყობისა და მხარდაჭერის ვალდებულების შეუსრულებლობა შესაძლოა, განხილულ იქნეს კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევად. კონსტიტუციური ნორმის ობიექტური შინაარსი მოითხოვს სახელმწიფოს პოზიტიურ ქმედებებს თავისუფალი მეცნიერების განვითარებისთვის და მის თანამონაწილეობას ამ იდეის განხორციელებაში.¹⁵

როგორც ყველა კონსტიტუციური უფლება თუ თავისუფლება, მეცნიერების, კვლევისა და სწავლების თავისუფლება, პირველ რიგში, სახელმწიფოს ჩარევისაგან დაცვის უფლებაა. ამასთანავე, გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების ობიექტური შინაარსი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას მეცნიერების თავისუფლება სამეცნიერო კვლევისა და სასწავლო დაწესებულებებში, ასევე ხელი შეუწყოს მათ ორგანიზაციული, პროცედურული თუ ფინანსური დახმარებებით.¹⁶

3. სასამართლო პრაქტიკა

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ მეცნიერების თავისუფლებაზე იმჯელა 1973 წელს მიღებულ საკვანძო გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფომ სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებებით უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ სამეცნიერო საქმიანობის თავისუფლად წარმართვის კონსტიტუციური უფლება ხელშეუხებელი დარჩეს იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს შესაძლებელია სამეცნიერო დაწესებულებების სხვა ლეგიტიმური ამოცანების მისაღწევად და სხვა მონაწილეთა კონსტიტუციური უფლებების გასათვალისწინებლად. კანონმდებლის მიერ სფეროს მოწესრიგების დისკრეცია, ერთი მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს უმაღლესი სასწავლებლის პერსონალის მიერ კვლევის თავისუფლად განხორციელების უფლების უზრუნველყოფას, მეორე მხრივ, უმაღლესი სასწავლებლებისა და მათი ორგანოების ფუნქციების ეფექტიანად შესრულების შესაძლებლობას.¹⁷

¹⁵ Jarass H. D., Pieroth B., Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 10. Auflage, 2009, 222.

¹⁶ Magers U., Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019, 9.

¹⁷ BVerfGE 35, 79 in: Magers U., Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019, 9.

1995 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებელს აკადემიური თვითმმართველობის მოწესრიგების საქმეში ფართო დისკრეცია აქვს იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი იქნება კონსტიტუციური უფლების ცალკეული სუბიექტის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი სფეროს თვითრეგულირების უფლება.¹⁸

2004 წლის გადაწყვეტილებაში გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საორგანიზაციო წესებით, განსაკუთრებით, უფლებამოსილებათა განაწილებით, არ უნდა შეიქმნას სამეცნიერო საქმიანობის თავისუფლად წარმართვისთვის სტრუქტურული საფრთხე, იგულისხმება ისეთი ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც სტრუქტურულად ქმნის მეცნიერების თავისუფლებაში ჩარევის საფუძველს.¹⁹

2010 გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელშიც აღნიშნა, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი პირების მონაწილეობა საჯარო რესურსების განკარგვის და სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზების პროცესში. კონსტიტუციური უფლების სუბიექტების მონაწილეობა აუცილებელია სამეცნიერო საქმიანობის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველყოფისა და დაცვისთვის. ეს გარანტია ეხება ისეთი შინაარსის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიღებით და აღსრულებით შესაძლოა, საფრთხე შეიქმნას სამეცნიერო საქმიანობისა და სწავლების თავისუფლებას. სამეცნიერო საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფა, ორგანიზაციული წესებით მოითხოვს, რომ კონსტიტუციური უფლების სუბიექტებმა თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით შეძლონ, უმაღლესი სასწავლებლების მართვის ორგანოებში მონაწილეობის მიღება და მეცნიერების თავისუფლების სავარაუდო შეზღუდვისაგან დაცვა და, თავიანთი საგნობრივი კომპეტენციის გამოყენებით, უნივერსიტეტში მეცნიერების თავისუფლების რეალიზება. შესაბამისად, კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კონსტიტუციური უფლების სუბიექტების სათანადო დონეზე მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული უნდა შემოწმდეს ე.წ. „je-desto“ [„რაც უფრო-მით უფრო“] ფორმულით: რაც უფრო მეტი და ძლიერი ფუნქციებით აღჭურავს კანონმდებელი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს, მით უფრო უნდა გაძლიერდეს კოლეგიური ორგანოების პირდაპირი

¹⁸ BVerfGE 93, 85 in: *Magers U.*, Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019, 9.

¹⁹ BVerfGE 111, 333 in: *Magers U.*, Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019, 9-10.

და არაპირდაპირი თანამონაწილეობის, გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები.²⁰

2014 წელს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ თანამონაწილეობის უფლება არ გულისხმობს მხოლოდ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება კონკრეტული სამეცნიერო კვლევის მიზნებს ან სასწავლო შეთავაზებებს, არამედ მოიცავს აგრეთვე ორგანიზაციის სამომავლო განვითარების დაგეგმვას და ყველა სხვა გადაწყვეტილებას, რაც უკავშირდება სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზაციულ მოწესრიგებას, სტრუქტურას და ბიუჯეტს. კონსტიტუციური უფლება გახდება უშინაარსო, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი ჩარჩო ორგანიზაციული პირობები და სათანადო რესურსები, რაც ამ კონსტიტუციური უფლების განხორციელების ფაქტობრივი წინაპირობაა.²¹

IV. აკადემიური თავისუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში

1. დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლება თუ კონსტიტუციური ინტერესის სფერო?

გერმანული უნივერსიტეტების გავლენა აშშ-ის განათლების სფეროზე თვალსაჩინო იყო მე-19 საუკუნის ბოლოს. 1880 წლისთვის 2000 ამერიკელზე მეტი სწავლობდა გიოტინგენში, ბერლინსა და სხვა გერმანულ სასწავლებლებში. ამ ადამიანებმა აშშ-ში დაბრუნების შემდეგ, განათლების სფეროს ცვლილებებს ჩაუყარეს საფუძველი. ახალი ცვლილებების ყველაზე მეტად თვალსაჩინო და პირველი შედეგი გახლდათ ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი, რომელიც გაიხსნა 1876 წელს გერმანული საუნივერსიტეტო მოდელის მიხედვით. უნივერსიტეტს ბალტიმორის გიოტინგენსაც [„Göttingen at Baltimore“] უწოდებდნენ. გერმანიიდან ჩამოტანილი ერთ-ერთი ინოვაცია გახლდათ აკადემიური თავისუფლება. თუმცა აკადემიური თავისუფლების ამერიკული ვერსია სულაც არ იყო გერმანიის მუსტი ასლი. აღსანიშნავია სამი ძირითადი განსხვავება: 1. ამერიკაში დამკვიდრებული და მხარდაჭერილი *in loco parentis* [„ისე, როგორც მშობელი“] თეორია გამორიცხავდა გერმანელი სტუდენტისთვის კარგად ნაცნობი სწავლის თავისუფლების [Lernfreiheit] დანერგვას. მეორე განსხვავება იყო პრობელიტიზმის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება. პროფესორის მიერ სტუდენტის

²⁰ BVerfGE 127, 87 in: *Magers U.*, Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019, 10.

²¹ BVerfGE 136, 338 in: *Magers U.*, Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht, 2019, 9-11.

დარწმუნებისა და საკუთარ ფილოსოფიურ შეხედულებებსა თუ სისტემაზე სტუდენტის გადმობირების გერმანული იდეა არ იქნა გაზიარებული აშშ-ში. ამერიკელ პროფესორს, ურთიერთსაწინააღმდეგო იდეების შესახებ დისკუსიაში ნეიტრალური პოზიცია უნდა დაეკავებინა. მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება იყო საკუთრივ კონსტიტუციური სისტემა, რომელიც არსებითად განსხვავებულია გერმანული სისტემისაგან. მაგალითად, გერმანიაში ამ პერიოდის საზოგადოებას, საერთოდ არ ჰქონდა ან მეტად შეზღუდული ჰქონდა სიტყვის თავისუფლება. პროფესორის აკადემიური თავისუფლება მხოლოდ აკადემიით იყო შემოფარგლული. აშშ-ში კი პირიქით – უფლებების დიდი ნაწილი, რომელშიც შეიძლება მოიხრებოდეს აკადემიური თავისუფლება, ვრცელდებოდა ყველა ადამიანზე. შედეგად, ასეთი კონსტიტუციური ინკორპორაციის და სისტემის გამო მოსაზრებამ, რომ აკადემიური თავისუფლება აშშ-შიც უნდა აღიარებულიყო როგორც დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლება, ვერ დაიმკვიდრა ადგილი.²² მართალია, აკადემიური თავისუფლება არ არის აღიარებული როგორც დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლება, თუმცა მიჩნეულია კონსტიტუციით დაცული ინტერესის სფეროდ.²³

2. სასამართლო პრაქტიკა

სამეცნიერო საზოგადოების უმცირესობის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, აკადემიური თავისუფლება არის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება სიტყვის თავისუფლებასთან ერთად, ეყრდნობა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ორ გადაწყვეტილებას: *Sweezy v. New Hampshire* და *Keyshian v. Board of Regents of the University of the State of New York*. ორივე საქმე ეხება რეგულაციას, რომლის მიზანი იყო საჯარო თანამდებობზე კომუნისტების გამოვლენა და ჩამოცილება. უზენაესმა სასამართლომ მსჯელობის დროს ხაზგასმით მიუთითა იმ საფრთხეზე, რაც ემუქრებოდა აკადემიურ თავისუფლებას. აკადემიურ თავისუფლებაზე მსჯელობისას, ამაღლებული რიტორიკის მიუხედავად, სასამართლომ ექსპლიციტურად არ აღიარა, რომ აკადემიური თავისუფლება არის დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლება. საქმეში *Sweezy v. New Hampshire* სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობამ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია აკადემიური თავისუფლება, თუმცა აკადემიური თავისუფლება არ მოიხსენია როგორც კონსტიტუციური უფლება. სასამართლოს განმარტებით, ამერიკული უნივერსიტეტების

²² *Tisdell R. P.*, Academic Freedom – Its Constitutional Context, *University of Colorado Law Review* 40 (4), 1968, 601-603.

²³ *Briggs W. K.*, “Open-Records Requests for Professors” Email Exchanges: A Threat to Constitutional Academic Freedom, *Journal of College and University Law* 39 (3), 2013, 630.

საზოგადოებაში თავისუფლების საჭიროება და მნიშვნელობა თავისთავად ნათელია. არავის აქვს უფლება, დააკნინოს იმ ადამიანების წვლილი დემოკრატიაში, რომლებიც წვრთნიან ახალგაზრდებს. სასწავლო პროცესი ვერ განვითარდება ეჭვისა და უნდობლობის ატმოსფეროში. ამ საქმის მსგავსად, საქმეში *Keyshian v. Board of Regents of the University of the State of New York* სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობას, თუმცა არ მიუთითა, რომ აკადემიური თავისუფლება კონსტიტუციური უფლებაა. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, აკადემიური თავისუფლება ტრანსცენდენტული ღირებულებისაა ყველა ჩვენთაგანისთვის და არა მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ასწავლიან. აკადემიური თავისუფლება კონსტიტუციის პირველი შესწორების სპეციალური ინტერესით დაცული სფეროა. როგორც საქმეში *Sweezy v. New Hampshire*, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა არა აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის არგუმენტს, არამედ იმ გარემოებას, რომ რეგულაციები იყო ბუნდოვანი. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს შემდგომი პრაქტიკაც ზემოაღნიშნული საქმეების მსგავსია და არ შეიცავს რაიმე სახის მითითებას, რომ ფაკულტეტის წევრს აქვს ინდივიდუალური აკადემიური თავისუფლება.²⁴

აკადემიურ თავისუფლებაში ჩარევის შესამოწმებლად გამოიყენება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საქმეებთან მიმართებით დანერგული სტანდარტები, კერძოდ, ე.წ. *Hazelwood*-ისა და *Pickering-Connick-Garcetti*-ის (PCG) ტესტები.²⁵

2.1. HAZELWOOD SCHOOL DISTRICT V. KUHLMEIER

სტუდენტებმა სკოლის მიერ მხარდაჭერილი და დაფინანსებული გაზეთისთვის მოამზადეს და გამოაქვეყნეს ისტორიები, სადაც აღწერეს თინეიჯერობის პერიოდში ფეხმძიმედ ყოფნის გამოცდილება და განქორწინებაზე ამ გარემოების გავლენის ფაქტი. როცა ეს სტატიები გამოაქვეყნეს, სკოლის დირექტორმა პუბლიკაციიდან ისე ამოიღო შესაბამისი გვერდები, რომ სტუდენტებს არ შეატყობინა. სტუდენტებმა მიმართეს სასამართლოს მტკიცებით, რომ სკოლამ დაარღვია კონსტიტუციის პირველი შესწორებით გათვალისწინებული უფლებები. სასამართლოს განმარტებით, სკოლას შეეძლო, პუბლიკაციიდან მოეცილებინა ის სტატიები, რადგანაც შედგენილი იყო სკოლის სასწავლო კურსის ფარგლებში. თუმცა გასაჩივრების შემდეგ, ზემდგომი ინსტანციის

²⁴ *Briggs W. K.*, “Open-Records Requests for Professors” Email Exchanges: A Threat to Constitutional Academic Freedom, *Journal of College and University Law* 39 (3), 2013, 606-607.

²⁵ *Wright R. G.*, The Emergence of First Amendment Academic Freedom, *Nebraska Law Review* 85(3), 2011, 816

სასამართლომ მიუთითა, რომ სტატიები „საჯარო ფორუმზე“ იყო გამოქვეყნებული და სკოლის უფლებამოსილება არ ვრცელდებოდა სკოლის ფარგლებს გარეთ. სკოლის მმართველ ორგანოებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლოთ შინაარსის ცენზურა. სკოლამ მიმართა უზენაეს სასამართლოს. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სკოლის დირექტორს არ შეუზღუდავს სტუდენტთა სიტყვის თავისუფლება. სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოცემა დაფინანსებული იყო სკოლის მიერ და სკოლას ჰქონდა ლეგიტიმური ინტერესი, პრევენციული ზომებით არ გამოექვეყნებინა შეუსაბამო შინაარსის სტატია. სასამართლოს მოსაზრებით, პუბლიკაცია არ იყო განკუთვნილი საჯარო ფორუმისთვის, სადაც ყველა შეძლებდა მოსაზრების გამოთქმას, არამედ ეს იყო ლიმიტირებული ფორუმი ჟურნალისტიკის სტუდენტებისთვის.²⁶

ეს გადაწყვეტილება გაკრიტიკებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. კონსტიტუციური უფლებების განუხრელი დაცვა არსად ისეთ დატვირთვას არ ატარებს, როგორც ამერიკულ სკოლებში. *Hazelwood*-ის საქმეზე გადაწყვეტილება არის მკაფიო შეხსენება, რომ კონსტიტუციის პირველი შესწორებით გათვალისწინებული უფლებები აღარ უნდა იქნეს მიღებული გარანტირებულად.²⁷ სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ, ზოგიერთმა შტატმა „*Anti-Hazelwood*“ რეგულაციებიც კი შემოიღო სტუდენტთა სიტყვის თავისუფლების დეგრადირების ექსპლიციტურად უარყოფის მიზნით.²⁸

2.2. PICKERING-CONNICK-GARCETTI (PCG)

Hazelwood-ის ტექსტის ძირითადი ალტერნატივა არის *Pickering-Connick-Garcetti* საქმეებიდან²⁹ გამომდინარე ტექსტი. PCG ტექსტის მიხედვით, პირველ ეტაპზე უნდა გაირკვეს, მასწავლებლის მიერ გამოხატული აზრი მიემართება თუ არა საჯარო ინტერესთან დაკავშირებულ საკითხს. კურიკულუმთან დაკავშირებული მოსაზრებები ვერ გაუთანაბრდება საჯარო ინტერესის საკითხს. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის მიერ გამოთქმული მოსაზრება ეხება საჯარო ინტერესის სფეროს/საკითხს, მაშინ სასამართლო მიმართავს ინტერესთა დაბალანსების ტესტს. სასამართლო

²⁶ *Hazelwood School District v. Kuhlmeier*, 484 U.S. 260, 1988, <<https://www.uscourts.gov/educational-resources/educational-activities/facts-and-case-summary-hazelwood-v-kuhlmeier>> [1.7.2021].

²⁷ *Bryks H.*, A Lesson in School Censorship: *Hazelwood v. Kuhlmeier*, *Brooklyn Law Review* 55 (1), 1989, 291-326, 325

²⁸ *Tyler J. B.*, The State Response to *Hazelwood v. Kuhlmeier*, *Maine Law Review* 66 (1), 2013, 89-162, 110.

²⁹ *Pickering v. Board of Education*, 391 U.S. 563, 1968, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/391/563/>> [1.7.2021]; *Connick v. Myers* 461 U.S. 138, 1983, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/461/138/>> [1.7.2021]; *Garcetti v. Ceballos*, 547 U.S. 410, 2006, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/547/410/>> [1.7.2021].

აფასებს, მასწავლებელი-დასაქმებულის ინტერესს (აზრი გამოხატოს საჯაროდ) ხელისუფლების-დამსაქმებლის ინტერესთან (ეფექტიანობა, დისციპლინა, მორალი და, ზოგადად, საჯარო დაწესებულების საქმიანობის სათანადოდ განხორციელება) მიმართებაში. იმისთვის, რომ მასწავლებლის მიერ გამოთქმული მოსაზრება იყოს დაცული PCG ტესტის მიხედვით, საჭიროა, სულ მცირე, ეს მოსაზრება ეხებოდეს საჯარო ინტერესის სფეროს და საკითხს, საჯარო პრობლემას და მასწავლებლის მიერ საჯაროდ აზრის გამოხატვა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების – დამსაქმებლის ინტერესს.³⁰

V. აკადემიური თავისუფლება საქართველოში

1. კონსტიტუციით გათვალისწინებული რეგულაცია

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში განათლებას მე-12 თავი (სწავლა-განათლება და სკოლა) დაეთმო. პირველი კონსტიტუციით გარანტირებულ იქნა მეცნიერების და მათი სწავლების თავისუფლება. სახელმწიფოს დაეკისრა მეცნიერებასა და სწავლების პროცესზე ზრუნვის და მათი განვითარების ხელშეწყობის ვალდებულება.³¹ აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიების შექმნა მიუთითებს, თუ რამდენად პროგრესული იყო საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია.

საქართველოს პირველი კონსტიტუციისგან განსხვავებით, 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია არ განამტკიცებდა აკადემიურ თავისუფლებას როგორც კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას.³² 2006 წელს კონსტიტუციის 35-ე მუხლში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, სახელმწიფოს დაეკისრა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჰარმონიზაციის ვალდებულება.³³ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნორმა შესაძლოა, გულისხმობდა კიდევ განათლების სფეროს სხვა პრინციპებთან ერთად, აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის პრინციპების დანერგვის ვალდებულებას და აკადემიური თავისუფლების აღიარებას კონსტიტუციურ უფლებად, აღნიშნულის შესახებ ერთგვაროვანი მოსაზრებები არ არსებობდა.³⁴

³⁰ *Wright R. G.*, The Emergence of First Amendment Academic Freedom, *Nebraska Law Review* 85(3), 2011, 797-798.

³¹ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 109, <<https://matsne.gov.ge/document/view/4801430?publication=0>> [1.7.2021].

³² საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პირველადი რედაქცია, მუხლი 35, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=0>> [1.7.2021].

³³ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/25864?publication=0>> [1.7.2021].

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება

ამასთანავე, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, კონსტიტუციის 35-ე მუხლი მოიცავდა ავტონომიისა და აკადემიური პერსონალის საქმიანობის დამოუკიდებლობასაც. ეს მსჯელობა ეყრდნობოდა კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის განმარტებას, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს ეკისრებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის ვალდებულება კანონით დაგენილი წესით.³⁵

საქართველოს კონსტიტუციაში 2018 წელს შეტანილი ცვლილებებით, აკადემიური თავისუფლება აღიარებულ იქნა კონსტიტუციურ უფლებად.³⁶

2. აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის საკანონმდებლო საფუძვლები

აკადემიური თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და მისი შეზღუდვა დასაშვებია. შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საკანონმდებლო აქტებში და, საგულისხმოა, რომ მათი მიღება წინ უსწრებს აკადემიური თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებად აღიარებას, რაც შეზღუდვის საფუძვლების ხელახალი გააზრების აუცილებლობაზე მიანიშნებს.

2.1. ზოგადი განათლების სფერო

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ იქნა მასწავლებლის აკადემიური თავისუფლება. თუმცა უმაღლესი განათლების სფეროსგან განსხვავებით, ზოგადი განათლების სფეროს და სწავლების შინაარსს სახელმწიფო დეტალურად აწესრიგებს ეროვნული სასწავლო გეგმით. ამიტომ, მასწავლებლის თავისუფლება მოქცეულია ეროვნული სასწავლო გეგმით დაგდგენილ ფარგლებში და მასწავლებლის აკადემიური თავისუფლება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიზნების მიღწევას.³⁷

„საქართველოს მოქალაქე მათა და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=301>> [1.7.2021].

³⁵ ქანთარია ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, 436.

³⁶ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი, <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4110673?publication=0>> [1.7.2021].

³⁷ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=88>> [1.7.2021].

ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში მასწავლებლის აკადემიური ან, სხვაგვარად, პედაგოგიური თავისუფლება, ძირითადად, შემოფარგლულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით და ეროვნული სასწავლო გეგმით.

2.2. პროფესიული განათლების სფერო

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი პოზიტიურად არ აწესრიგებს აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა პროფესიულ სტუდენტსა და პროფესიული განათლების მასწავლებელს ანიჭებს უფლებას, დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული ყველა უფლებით და თავისუფლებით.³⁸ ეს უფლება ასევე მოიცავს აკადემიურ თავისუფლებას.

პროფესიულ განათლებაში აკადემიური თავისუფლების ჩარჩოს ქმნის შესაბამისი პროფესიული სტანდარტები და საგანმანათლებლო პროგრამები.

2.3. უმაღლესი განათლების სფერო

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი იყო პირველი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც მოწესრიგდა აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები. განისაზღვრა აკადემიური თავისუფლების ცნება და, აგრეთვე, შებლუდვის სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, კანონის თანახმად, აკადემიური თავისუფლება დეფინირებულ იქნა როგორც აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა. აკადემიური თავისუფლების შებლუდვა დასაშვებია გახდა მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- სამეცნიერო კვლევის თავისუფლებისთვის – საორგანიზაციო საკითხებსა და პრიორიტეტების განსაზღვრაში;
- სწავლების თავისუფლებისთვის – სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, ლექციების ცხრილისა და სასწავლო კურსის პროგრამების დამტკიცების საკითხებში;
- სწავლის თავისუფლებისთვის – სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფაში.

³⁸ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4334842?publication=5>> [1.7.2021].

ამასთანავე, აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია, როდესაც სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოქვეყნება შეზღუდულია შრომითი ხელშეკრულებით ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას.³⁹

2.4. განათლების ხარისხის რეგულირება

კონსტიტუციით გარანტირებულ აკადემიურ თავისუფლებაში ჩარევის სამართლებრივ ბერკეტს საქართველოში ქმნის განათლების ხარისხის კანონმდებლობა. ჩარევის ძირითადი სამართლებრივი ბერკეტია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურები და სტანდარტები.⁴⁰ აღნიშნული კანონის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტის მიხედვით,⁴¹ სახელმწიფოს დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს შეამოწმოს და შეაფასოს უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალის მიერ შედგენილი სასწავლო კურსების შინაარსი. კონტროლი მოიცავს სრულ სასწავლო პროცესს, მათ შორის, აკადემიური პერსონალის სასწავლო კურსით გათვალისწინებული შეფასების მეთოდებს, კრიტერიუმებს და ლიტერატურას. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი სახის ჩარევა და მითითება სტანდარტის შეუსრულებლობაზე გამომდინარეობდეს ხარისხის განვითარების მიზნებიდან და დეტალურად იყოს დასაბუთებული კონსტიტუციით გარანტირებული აკადემიური თავისუფლების შინაარსის გათვალისწინებით.

VI. დასკვნა

გერმანიაში აკადემიური თავისუფლება დაცულია კონსტიტუციით. ერთმანეთისგან გამიჯნულია კვლევის, სწავლებისა და სწავლის თავისუფლება. სასამართლო პრაქტიკა ადგენს აკადემიური თავისუფლების დაცვის მკაცრ სტანდარტს და სახელმწიფოს აკისრებს უფლების დაცვის როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ვალდებულებებს.

³⁹ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=86>> [1.7.2021].

⁴⁰ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 და მე-4 თავები, <<https://matsne.gov.ge/document/view/93064?publication=20>> [1.7.2021].

⁴¹ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/16 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1320588?publication=0>> [1.7.2021].

გერმანიისგან განსხვავებით, აშშ-ში აკადემიური თავისუფლება არ იქნა აღიარებული დამოუკიდებელ კონსტიტუციურ უფლებად. სასამართლო პრაქტიკაც არაერთგვაროვანია. თუმცა აკადემიური თავისუფლება მიჩნეულია კონსტიტუციური დაცვის ინტერესის სფეროდ. სამეცნიერო ლიტერატურა იყენებს სასამართლო პრაქტიკით განვითარებულ უფლებაში ჩარევის შესამოწმებელ ტესტებს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული და აქტუალურია სიტყვის თავისუფლებაში ჩარევის შეფასების ტესტი – *Pickering-Connick-Garcetti* (PCG).

საქართველოში აკადემიური თავისუფლება კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. ეს უფლება გულისხმობს კვლევის თავისუფლებას, სწავლების თავისუფლებას და სწავლის თავისუფლებას. უფლებაში ჩარევა დასაშვებია და გამართლებული შეიძლება იყოს მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლების და წინა პირობების არსებობის შემთხვევაში. თანამედროვე ქართული კონსტიტუციური ნორმა ითვალისწინებს რა 1921 წლის კონსტიტუციის ტრადიციებს, ორიენტირებულია გერმანულ მოდელზე, თუმცა უფრო მეტად თანამედროვე და არაორაზროვანი ფორმულირებით.

„ლისენკოიანიზმის“ წარსულის მქონე განათლების სისტემაში მნიშვნელოვანია აკადემიური თავისუფლების სწორად გააზრება: ერთი მხრივ, იკვლიო და ასწავლო თავისუფლად, დასჯის შიშის გარეშე და, მეორე მხრივ, არ იქცე პრივილეგირებულ ფენად, რომელიც უფლების საფარქვეშ ავრცელებს დაუსაბუთებელ, სახიფათო და მცდარ იდეებს. ამასთანავე, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის იდეის მოშველიებით, დაუსაბუთებლად არ უნდა მოხდეს ჩარევა ინსტიტუციურ თუ ინდივიდუალურ აკადემიურ თავისუფლებაში. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციური ნორმა მოითხოვს უფრო მეტად დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, ვიდრე პრაქტიკა აქამდე ითვალისწინებდა.

სიცოცხლის უფლება კლიმატის ცვლილების კონტექსტში

აბსტრაქტი

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია პირდაპირ არ ითვალისწინებდა ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებს (განსაკუთრებული აქტუალურობა გარემოსდაცვითმა საკითხმა მთელი მსოფლიოსთვის მხოლოდ მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში შეიძინა), თუმცა მისი მთავარი ღირებულება ადამიანი იყო და სახელმწიფოს მთავარ დანიშნულებას სწორედ მის კეთილდღეობაზე ბრუნვა წარმოადგენდა. ამ დოკუმენტიტ გარანტირებული იყო როგორც ადამიანის სიცოცხლის, ასევე, მისი ღირსეულად ცხოვრების უფლება. თანამედროვეობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს ამ უფლებებით სარგებლობას სწორედ კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემები უქმნის. ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებები უშუალოდ არის გარანტირებული საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით და გამომდინარეობს 1921 წლის კონსტიტუციის ღირებულებებიდან, შესაბამისად, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულებები, უზრუნველყოს ამ უფლებების სათანადო დაცვა და შექმნას ადამიანის ღირსეული ცხოვრებისთვის სათანადო პირობები კლიმატის ცვლილების კონტექსტში.

I. შესავალი

დღესდღეობით, მეცნიერთა შორის ფაქტობრივად არსებობს კონსენსუსი, რომ თანამედროვე კლიმატის ცვლილება – გლობალური დათბობა – ანთროპოგენული ხასიათისაა.¹ ეს ნიშნავს იმას, რომ ბოლო 150 წლის განმავლობაში დედამიწის ატმოსფეროში ტემპერატურის სწრაფი მატება ადამიანის საქმიანობით და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული სათბური გაზების ატმოსფეროში გაფრქვევით არის გამოწვეული, რაც აზიანებს ბუნებრივ ეკოსისტემებს და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და მის ღირსეულ არსებობას.²

* მკვლევარი, გარემოსდაცვითი სამართლის მაგისტრი, დანდის უნივერსიტეტი [annberidzee@gmail.com]

¹ Oreskes N., The Scientific Consensus on Climate Change, Science 306 (5702), 2004, 1686.

² Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC), Climate Change 2014 Synthesis Report Summary for Policymakers, 2014, 2, <https://www.ipcc.ch/site/assets/uploads/2018/02/AR5_SYR_FINAL_SPM.pdf> [1.8.2021].

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ სიღრმისეულად შესასწავლია, თუ კონკრეტულად რა გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილება გარემოზე, უკვე მიიჩნევა, რომ ზღვის დონის მატება, გვალვისა და წყალდიდობის სიხშირის ზრდა, გახშირებული სითბური ტალღები და სხვა ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენები სწორედ გლობალური დათბობის შედეგია.³ ამგვარი უარყოფითი ცვლილებები კლიმატურ სისტემაში და მათგან გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები უშუალოდ უქმნის საფრთხეს ადამიანის არსებობას: წარმოშობს სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ადამიანებს აკარგვინებს საარსებო წყაროს, აზიანებს ინფრასტრუქტურას, ზღუდავს წვდომას არსებობისთვის აუცილებელ მომსახურებებზე, მათ შორის, ართულებს ან შეუძლებელს ხდის წვდომას ელექტროენერჯიაზე, წყალზე, სანიტარულ პირობებსა და ჯანდაცვაზე.⁴

ზოგადად, გარემოსდაცვითმა პრობლემებმა, თუ ისინი სწრაფად და ეფექტურად არ მოგვარდა, შესაძლოა, გამოიწვიოს ადამიანის ისეთი ძირითადი უფლებების დარღვევა, როგორებიც არის: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, წყალსა და საკვებზე წვდომის უფლებები, საკუთრების უფლება, აღმსარებლობისა და კულტურული უფლებები;⁵ შესაბამისად, კლიმატის ცვლილება, რომელიც დღესდღეობით ყველაზე დიდ გარემოსდაცვით საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობისთვის,⁶ ამ უფლებების დაცვისა და განხორციელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დაბრკოლებაა.⁷

თუ ვკონცენტრირდებით უშუალოდ სიცოცხლის უფლებაზე, დღესდღეობით, გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების, არასრულფასოვანი კვებისა და დაავადებებისგან ყოველწლიურად უკვე, დაახლოებით, 400 000 ადამიანი იღუპება.⁸ მსო-

³ *Field C. B. and others*, *Managing the Risks of Extreme Events and Disasters to Advance Climate Change Adaptation: Special Report of the Intergovernmental Panel on Climate Change*, 2012, 167-203.

⁴ Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR), *Safe Climate: A Report of the Special Rapporteur on Human Rights and the Environment*, UN Doc A/74/161, 2019, para. 7, <<https://www.ohchr.org/Documents/Issues/Environment/SREnvironment/Report.pdf>> [1.8.2021].

⁵ United Nations Environment Programme (UNEP), *Factsheet on Human Rights and the Environment*, 2015, <<https://wedocs.unep.org/bitstream/handle/20.500.11822/9933/factsheet-human-rights-environment.pdf?sequence=1&isAllowed>> [1.8.2021].

⁶ *Parry E. J.*, *The Greatest Threat to Global Security: Climate Change Is Not Merely An Environmental Problem*, <<https://www.un.org/en/chronicle/article/greatest-threat-global-security-climate-change-not-merely-environmental-problem>> [20.4.2021].

⁷ United Nations Environment Programme (UNEP), *Climate Change and Human Rights*, 2015, 1-3, <<https://www.unep.org/resources/report/climate-change-and-human-rights>> [20.4.2021].

⁸ United Nations General Assembly (UNGA), *Analytical Study on the Relationship between Climate Change and the Human Right of Everyone to the Enjoyment of the Highest Attainable Standard of Physical and Mental Health: Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (A/HRC/32/23)*, 2016, paras. 4, 8, <<https://digitallibrary.un.org/record/841798/?ln=en>> [20.4.2021].

ფლოო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით კი, კლიმატის ცვლილების გამო ყოველწლიურად, დამატებით, 250 000 ადამიანი დაიღუპება 2030-2050 წლებში.⁹ ეს სტატისტიკა აჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების შეზღუდვა და მის შედეგებთან ადაპტაცია ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, მათი ნაადრევი სიკვდილისაგან დაცვის მიზნით.

კლიმატის ცვლილება უკვე შესამჩნევ უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოზე.¹⁰ ის ზრდის ისეთი ბუნებრივი მოვლენების სიხშირეს, როგორებიც არის: გვალვა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი და, შესაბამისად, დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოსახლეობის სიცოცხლისა და მათი განვითარებისთვის.¹¹ კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მოწყვლად სექტორებს საქართველოსთვის წარმოადგენს სოფლისა და სატყეო მეურნეობები, ტურიზმი, ჯანდაცვა და კულტურული მემკვიდრეობა, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ უკავშირდება ადამიანების ეკონომიკურ განვითარებას, მათ ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და კეთილდღეობას.¹² სწორედ ამიტომ, მოსახლეობის დაცვისა და ადამიანების ღირსეული არსებობისთვის, უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველომ შეძლოს, კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეული რისკების ეფექტური მართვა და მიიღოს ყველა ზომა, რათა თავიდან აიცილოს გლობალური დათბობით გამოწვეული უარყოფითი შედეგები და მოახერხოს ადაპტაცია უკვე შეცვლილ პირობებთან.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, წინამდებარე სტატიის მიზანია, დაადგინოს, წარმოადგენს თუ არა ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვა საქართველოსთვის კონსტიტუციურ ვალდებულებას, კონკრეტულად, კლიმატის ცვლილების კონტექსტში და, ამასთან, განსაზღვროს, თუ სხვა რა სახის სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება შეუძლია ხალხს, რათა მოითხოვოს სახელმწიფოსაგან სათანადო ზომების მიღება. კლიმატის ცვლილების სამართალი და ამ კუთხით სამართალწარმოება ჯერ კიდევ ახალია მთელი მსოფლიოსთვის, მათ შორის, საქართველოსთვის და ხანგრძლივ განვითარებას საჭიროებს. შესაბამისად, სტატია ამ ახალ სამართლებრივ რეჟიმს ძირითადად შეაფასებს საერთაშორისო ტრილში და სამართლებრივი ანალიზისთვის დაეყრდნობა უცხოური სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

⁹ World Health Organization (WHO), Quantitative risk assessment of the effects of climate change on selected causes of death, 2030s and 2050s, 2014, 1, <https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/134014/9789241507691_eng.pdf?sequence=1&isAllowed=y> [31.3.2021].

¹⁰ EU4Climate, Georgia, <<https://eu4climate.eu/georgia/>> [31.3.2021].

¹¹ Climate Forum East (CFE) and Georgia National Network on Climate Change, National Climate Vulnerability Assessment: Georgia, 2014, <<https://climateforumeast.org/uploads/other/0/771.pdf>> [31.3.2021].

¹² EU4Climate, Georgia, <<https://eu4climate.eu/georgia/>> [31.3.2021].

სტატიის პირველი ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, განმარტავს, თუ რას ნიშნავს საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საერთაშორისო აქტებით გარანტირებული სიცოცხლის უფლება და რა ტიპის ვალდებულებებს აკისრებს ის სახელმწიფოებს.

მეორე ნაწილი გამოიკვლევს გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციასა¹³ და პარიზის შეთანხმებას,¹⁴ რომელთა ხელმომწერი მხარეც არის საქართველო და შეაფასებს, აკისრებენ თუ არა ისინი წევრ სახელმწიფოებს ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვას კლიმატის ცვლილების კონტექსტში. ამ ნაწილში ასევე შეფასდება, თუ სხვა რა სახის მექანიზმების გამოყენება შეუძლიათ ადამიანებს, რომ სახელმწიფოებისგან მოითხოვონ ეფექტური ქმედება კლიმატის ცვლილების საფრთხეებისგან დასაცავად.

მესამე ნაწილი განიხილავს უცხოურ სასამართლო პრაქტიკას და შეაფასებს, თუ რა როლი აქვთ სასამართლოებს კლიმატის ცვლილების კონტექსტში, როგორ შეუძლიათ მათ ამა თუ იმ სამართლებრივი ინსტრუმენტის იმგვარად ინტერპრეტაცია, რომ მათ სახელმწიფოებს დააკისრონ ვალდებულება, დაიცვან ადამიანის სიცოცხლის უფლება გლობალური დათბობის პირობებში. ის ასევე შეაფასებს, თუ როგორ შეუძლიათ სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, გავლენა მოახდინონ არსებულ სამართლებრივ და პოლიტიკურ რეჟიმებზე, მათ შორის, საქართველოში.

საბოლოოდ, სტატია შეაჯამებს, თუ როგორ არის დღეს დაცული ადამიანის სიცოცხლის უფლება სხვადასხვა სამართლებრივი ინსტრუმენტითა თუ საქართველოს კონსტიტუციით, კლიმატის ცვლილების კონტექსტში და რა ზომების მიღებაა საჭირო იმისთვის, რომ სახელმწიფომ მოახერხოს ამ ძირითადი უფლების სათანადოდ დაცვა.

II. სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლება ადამიანის ძირითად უფლებად არის აღიარებული სხვადასხვა საერთაშორისო აქტითა და ხელშეკრულებით, მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-

¹³ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, <<https://unfccc.int/resource/docs/convkp/conveng.pdf>> [1.4.2021].

¹⁴ პარიზის შეთანხმება, <<https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/the-paris-agreement>> [31.3.2021].

ერთ უმნიშვნელოვანეს საყრდენ დოკუმენტს წარმოადგენს.¹⁵ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლის მიხედვით:

„ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.“¹⁶

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ, მასში გათვალისწინებული ადამიანის უფლებები, მათ შორის, სიცოცხლის უფლება, სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებისა და დოკუმენტის, ეროვნული კანონმდებლობის, ზოგადი სამართლებრივი პრინციპების, ჩვეულებების, თანამედროვე სამართლებრივი სისტემების განუყოფელი ნაწილი გახდა,¹⁷ მათ შორის, სიცოცხლის უფლება განმტკიცებულია 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლით. ამ მუხლის მიხედვით, სიცოცხლის უფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად უფლებას, რომელიც ადამიანის მიერ მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით სარგებლობისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.¹⁸ სტატიის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ეს უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ღირსებასთან, რომელიც 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით არის გარანტირებული და, ასევე, განმტკიცებული იყო 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციითაც.¹⁹ ამ უფლებებს შორის კავშირი გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს ეკისრება როგორც ადამიანის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, ისე მისი ღირსეულად ცხოვრების უზრუნველყოფაც. ამ ვალდებულებების შინაარსი სიღრმისეულად არის განმარტებული „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“²⁰ ქვეშ, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც მისი ხელმოწერი მხარისთვის.²¹ კონკრეტულად კი, ამ პაქტის ქვეშ სიცოცხლის უფლე-

¹⁵ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, <<https://www.un.org/sites/un2.un.org/files/udhr.pdf>> [31.3.2021].

¹⁶ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 3, <<https://www.un.org/sites/un2.un.org/files/udhr.pdf>> [31.3.2021].

¹⁷ United Nations (UN), The Foundation of International Human Rights Law, <<https://www.un.org/en/about-us/udhr/foundation-of-international-human-rights-law>> [1.7.2021].

¹⁸ გოცირიძე ე., სიცოცხლის უფლება, კრებულში: ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იშორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა, მაჭარაძე მ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტყარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, 72.

¹⁹ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 113, <<https://matsne.gov.ge/document/view /4801430?publication=0>> [1.7.2021].

²⁰ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>> [1.7.2021].

²¹ United Nations Human Rights Committee (UNHRC), General Comment No. 36 on Article 6 of the International Covenant on Civil and Political Rights, on the Right to Life (CCPR/C/GC/36), 2018, para. 2, <https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CCPR/Shared%20Documents/1_Global/CCPR_C_GC_36_8785_E.pdf> [1.4.2021].

ბის დაცვის ვალდებულება განიმარტება არა ვიწროდ, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას ადამიანი მესამე პირთა მიერ სიცოცხლის ხელყოფისაგან,²² არამედ ფართოდ, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ადამიანის ღირსეულად ცხოვრებას.²³ ეს, თავის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფოთა მხრიდან ადამიანის იმ ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომლებიც აუცილებელია სიცოცხლისთვის, მაგალითად, როგორც არის: წვდომა საკვებზე, წყალსა ან თავშესაფარზე.²⁴ შესაბამისად, ვინაიდან კლიმატის ცვლილება უშუალოდ ახდენს უარყოფით გავლენას ადამიანების სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, სიცოცხლის უფლებით დაცული სფერო თავის თავში მოიაზრებს ადამიანის უფლებას, დაცული იყოს ამ უარყოფითი ცვლილებისგან.²⁵

საქართველოს შემთხვევაშიც ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების უფლებები სწორედ ამგვარად უნდა იყოს განმარტებული, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი პირდაპირ განამტკიცებს ადამიანის უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში. ამგვარი განმარტება შეესაბამება არა მხოლოდ 1995 წლის, არამედ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის ღირებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია უშუალოდ არ ითვალისწინებდა გარემოსდაცვით უფლებებს (განსაკუთრებული მნიშვნელობა გარემოსდაცვითმა საკითხებმა მხოლოდ მეოცე საუკუნის მე-2 ნახევარში შეიძინა მთელი მსოფლიოსთვის), ის მოიცავდა ბევრ სოციალურ უფლებას, აღიარებდა ადამიანის ღირსების ხელშეუვალობას და სახელმწიფოსგან მოითხოვდა ისეთი პირობების შექმნას, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანის ძირითადი, სიცოცხლისთვის აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

²² United Nations Human Rights Committee (UNHRC), General Comment No. 36 on Article 6 of the International Covenant on Civil and Political Rights, on the Right to Life (CCPR/C/GC/36), 2018, para. 3, <https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CCPR/Shared%20Documents/1_Global/CCPR_C_GC_36_8785_E.pdf> [1.4.2021].

²³ United Nations Human Rights Committee (UNHRC), General Comment No. 36 on Article 6 of the International Covenant on Civil and Political Rights, on the Right to Life (CCPR/C/GC/36), 2018, para. 3, <https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CCPR/Shared%20Documents/1_Global/CCPR_C_GC_36_8785_E.pdf> [1.4.2021].

²⁴ *Wicks E.*, The Meaning of “Life”: Dignity and the Right to Life in International Human Rights Treaties, *Human Rights Law Review* 12(199), 2012, 5.

²⁵ United Nations Human Rights Committee (UNHRC), General Comment No. 36 on Article 6 of the International Covenant on Civil and Political Rights, on the Right to Life (CCPR/C/GC/36), 2018, para. 30, <https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CCPR/Shared%20Documents/1_Global/CCPR_C_GC_36_8785_E.pdf> [1.4.2021].

იმისთვის, რომ ნათლად გამოჩნდეს, თუ რა სახის ვალდებულებები შეიძლება ჰქონდეთ სახელმწიფოებს, მათ შორის, საქართველოს, სიცოცხლის უფლების დასაცავად კლიმატის ცვლილების კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, განიმარტოს, თუ, ზოგადად, რა ტიპის ვალდებულებები არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ისინი შესაძლოა, რამდენიმე კატეგორიად დაჯგუფდეს, კონკრეტულად კი: ადამიანის უფლებათა პატივისცემის, მათი დაცვის, ხელშეწყობისა და შესრულების ვალდებულებად.

ადამიანის უფლებების პატივისცემა სახელმწიფოს ე.წ. ნეგატიური ვალდებულებაა, რომელიც გულისხმობს მის ვალდებულებას, არ ჩაერიოს პირთა მიერ მათთვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობაში.²⁶ სიცოცხლის უფლების კუთხით, ის გულისხმობს, რომ სახელმწიფო, სახელმწიფო ორგანოები და სტრუქტურები, საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირები არ უნდა ჩაერიონ ამ უფლებით სარგებლობაში, არ უნდა ხელყონ ადამიანთა სიცოცხლე.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვას, ის სახელმწიფოს ე.წ. პოზიტიური ვალდებულებაა, დაიცვას ადამიანის უფლებები სხვა პირთა მხრიდან მათში ჩარევისა და ხელყოფისაგან. ეს გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა ზომა და მექანიზმი იმისთვის, რომ თავიდან აირიდოს და აღკვეთოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები.²⁷ სიცოცხლის უფლების დაცვის კონტექსტში, სახელმწიფომ, მაგალითად, უნდა მიიღოს კონკრეტული კანონები, რომლებიც დაიცავს ადამიანებს სხვა პირთა მხრიდან მათი სიცოცხლის ხელყოფისგან²⁸ და უნდა დანერგოს ისეთი ეფექტური მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს მას, პრაქტიკაში აღასრულოს კანონის მოთხოვნები.²⁹ კლიმატის ცვლილების კუთხით, ეს, ასევე გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ადამიანის სიცოცხლე დაიცვას არა მხოლოდ სხვა პირთა ქმედებებისგან, არამედ უზრუნველყოს მათი დაცვა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფებისგან და მასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგებისგან.³⁰

²⁶ Moeckli D., Shah S., Sivakumaran S. (ed.), International Human Rights Law, 3rd edition, 2018, 97.

²⁷ Tomuschat C., Human Rights: Tensions Between Negative and Positive Duties of States, Austrian Review of International and European Law 19 (14), 2013, 19, 24.

²⁸ Petersen N., Life, Right to, International Protection, Max Planck Encyclopedias of International Law, para. 2, <<https://opil.ouplaw.com/view/10.1093/epil/9780199231690/law-9780199231690-e841#>> [31.3.2021].

²⁹ Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR), Civil and Political Rights: The Human Rights Committee, Fact Sheet No.15 (Rev.1), 2005, 5, <<https://www.ohchr.org/documents/publications/factsheet15rev.1en.pdf>> [1.4.2021].

³⁰ Moeckli D., Shah S., Sivakumaran S. (ed.), International Human Rights Law, 3rd edition, 2018, 97.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და შესრულების ვალდებულებების შინაარსს, ისინი თავიანთი ხასიათით, ასევე პოზიტიურია და უშუალოდ მოითხოვს აქტიურ ქმედებას სახელმწიფოსგან. ამ ვალდებულებების შესრულების მიზნით, სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი გარემოებები, როდესაც ადამიანის უფლებებით სარგებლობა შესაძლებელი და რეალისტური იქნება. მაგალითისთვის, ეს ზომები შესაძლოა, მოიცავდეს აღსრულების ეფექტური მექანიზმების შემუშავებას, საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნას, ადამიანის უფლებებისა თუ კლიმატის ცვლილების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ა.შ.³¹

წინამდებარე სტატია საკვლევი თემიდან გამომდინარე, კონკრეტულად კონცენტრირდება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებზე სიცოცხლის უფლების ფარგლებში და განიხილავს, რას გულისხმობენ ისინი კლიმატის ცვლილების კონტექსტში.

III. კლიმატის ცვლილების საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი და სიცოცხლის უფლება

გაეროს კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი კოლეგიის მიერ 1990 წელს გამოქვეყნებული კლიმატის ცვლილების შეფასების პირველი ანგარიში პირდაპირ მოუწოდებდა სახელმწიფოებს, დაუყოვნებლივ, საერთო ძალებით ემოქმედათ საშიში, ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეული კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ. სწორედ ეს მოხსენება გახდა 1992 წელს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის შექმნის საფუძველი, რომლის ერთ-ერთი ხელმომწერი მხარე, სხვა ქვეყნებთან ერთად, არის საქართველოც.³² ეს საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს გლობალური თანამშრომლობის საფუძველს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის საკითხებში.³³ ამ კონვენციის თანახმად, წევრი სახელმწიფოების „საბოლოო მიზანს“ წარმოადგენს ატმოსფეროში სათბური გაზების კონცენტრაციის იმ დონეზე შენარჩუნება, რომ კაცობრიობამ შეძლოს კლიმატურ სისტემაში საშიში ანთროპოგენული ჩარევის თავიდან აცილება.³⁴

ამ კონვენციაში პირდაპირ არ არის ნახსენები ადამიანის უფლებები და ის უშუალოდ არ აკისრებს ხელმომწერ სახელმწიფოებს ადამიანის უფლებების

³¹ *Coomans F.*, The Ogoni Case Before The African Commission on Human and Peoples' Rights, *International and Comparative Law Quarterly* 52(3), 2003, 749, 753.

³² *Peake S., Smith J.*, *Climate Change: From Science to sustainability*, 2nd edition, 2009, 102.

³³ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, <<https://unfccc.int/resource/docs/convkp/conveng.pdf>> [1.4.2021].

³⁴ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, მუხლი 3, <<https://unfccc.int/resource/docs/convkp/conveng.pdf>> [1.4.2021].

დაცვის ვალდებულებებს. თუმცა იგი აღიარებს, რომ კლიმატის ცვლილებამ შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს ეკოსისტემებზე, მათ მდგრადობასა და პროდუქტიულობაზე, ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებთან.³⁵ თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, გარკვეული ზომების მიღება კლიმატის ცვლილების პრობლემის მოსაგვარებლად და ბუნებრივ გარემოსა და ხალხზე მისი უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად, შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფოების მხრიდან პირველ მცდელობად, დაიცვან ადამიანის უფლებები – ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე – კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური საფრთხეებისგან და, ამგვარად, შეასრულონ ის ვალდებულებები, რომლებიც მათ სხვადასხვა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კონვენციისა თუ სამართლებრივი დოკუმენტის ქვეშ აქვთ ნაკისრი. მიუხედავად იმისა, რომ, დღესდღეობით, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება ჯერ კიდევ არ არის პირდაპირ გარანტირებული და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად უშუალოდ აღიარებული ბევრი საერთაშორისო თუ ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტით, სადაო მაინც აღარაა, რომ გარემოს დაცვა ადამიანის მთელი რიგი სხვა ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს, მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ღირსეულად ცხოვრების უფლებებით სარგებლობისთვის.³⁶ შესაბამისად, დღესდღეობით, კლიმატის ცვლილების როგორც კაცობრიობისთვის ყველაზე საშიში გარემოსდაცვითი პრობლემის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება და მათთან ადაპტაცია ამ უფლებებით დაცული სფეროს ქვეშ მაინც ცალსახად მოიაზრება³⁷ და, ამგვარად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულებები, ერთი მხრივ, დაიცვან ბუნებრივი გარემო და ადამიანები გლობალური დათბობით გამოწვეული ზიანისგან და, მეორე მხრივ, შექმნან იმგვარი პირობები, რომლებიც არსებითია ადამიანის ძირითადი უფლებებით შეუფერხებელი სარგებლობისთვის.³⁸ აღსანიშნავია, რომ ეს ვალდებულება პირდაპირ იკვეთება 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციიდან, რომელიც არა

³⁵ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, მუხლი 1, <<https://unfccc.int/resource/docs/convkp/conveng.pdf>> [1.4.2021].

³⁶ *Carlame C. P., Gray K. R., Tarasofsky R. G.*, The Oxford Handbook of International Climate Change Law, 2016, 216-217.

³⁷ United Nations Environment Programme (UNEP), Responding to Climate Change, <<https://www.unenvironment.org/regions/europe/regional-initiatives/responding-climate-change>> [26.4.2021].

³⁸ Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR), Understanding Human Rights and Climate Change, 2015, 7, <<https://www.ohchr.org/Documents/Issues/ClimateChange/COP21.pdf>> [31.3.2021].

ირიბად, არამედ უშუალოდ აღიარებს ადამიანის გარემოსდაცვით უფლებებს და განამტკიცებს მათ უფლებას ჯანსაღ, უსაფრთხო გარემოზე.

საერთაშორისო კონტექსტში, კლიმატის ცვლილებასთან მიმართებით, ადამიანის უფლებები უშუალოდ პირველად კანკუნის შეთანხმებებში მოიხსენიეს, რომლებიც გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ხელმომწერმა მხარეებმა მხარეთა კონფერენციის მე-16 სესიაზე მიიღეს.³⁹ კერძოდ, ამ შეთანხმებების პრეამბულა პირდაპირ მოიხსენიებს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს #10/4 რეზოლუციას ადამიანის უფლებებისა და კლიმატის ცვლილების შესახებ და, ამგვარად, იგი უშუალოდ აღიარებს ადამიანის უფლებათა მნიშვნელობას კლიმატის ცვლილების კონტექსტში.⁴⁰ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრეამბულაში ადამიანის უფლებები ნახსენებია მხოლოდ სახელმწიფოთა ნეგატიური ვალდებულების კონტექსტში. კონკრეტულად კი, ის გულისხმობს სახელმწიფოთა მხრიდან ადამიანის უფლებების პატივისცემას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მათთან ადაპტაციის კუთხით კონკრეტული ქმედებების განხორციელებისას და არაფერს ამბობს მათ პოზიტიურ ვალდებულებებზე, დაიცვან ადამიანის უფლებები უშუალოდ კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგებისგან.⁴¹ ამ ფაქტის მიუხედავად, ეს შეთანხმება მაინც მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ის წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და კლიმატის ცვლილების ერთმანეთთან დაკავშირების პირველ, პირდაპირ, უშუალოდ სამართლებრივ დოკუმენტში ასახულ მცდელობას.⁴²

ადამიანის უფლებები, ასევე, ნახსენებია პარიზის შეთანხმებაშიც. ის პირდაპირ აკისრებს წევრ სახელმწიფოებს ვალდებულებას, ადამიანის უფლებები გაითვალისწინონ კლიმატის ცვლილების ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მათი იმპლემენტაციის პროცესში.⁴³ თუმცა პარიზის შეთანხმებაშიც, ადამიანის უფლებებთან მიმართებით გამოყენებულია მხოლოდ ისეთი ტერმინები, როგორებიცაა პატივისცემა, პოპულარიზაცია, გათვალისწინება და ისევე არაფერია ნათქვამი

³⁹ Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR), Integrating Human Rights at the UNFCCC, <<https://www.ohchr.org/EN/Issues/HRAAndClimateChange/Pages/UNFCCC.aspx>> [31.3.2021].

⁴⁰ The Cancun Agreements: Outcome of the work of the ad hoc Working Group on Long-term Cooperative Action under the Convention, 2011, Recital 7, <<https://undocs.org/FCCC/CP/2010/7/Add.1>> [31.3.2021].

⁴¹ The Cancun Agreements: Outcome of the work of the ad hoc Working Group on Long-term Cooperative Action under the Convention, 2011, para. 8, <<https://undocs.org/FCCC/CP/2010/7/Add.1>> [31.3.2021].

⁴² Centre for International Environmental Law (CIEL), Analysis of Human Rights Language in the Cancun Agreements, (UNFCCC 16th Session of the Conference of the Parties), 2011, 2, <https://www.ciel.org/wp-content/uploads/2014/11/HR_Language_COP16_Mar11.pdf> [31.3.2021].

⁴³ პარიზის შეთანხმება, დეკლარაციული ნაწილი 11, <<https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/the-paris-agreement>> [31.3.2021].

ამ უფლებების დაცვისა და შესრულების ვალდებულებების შესახებ.⁴⁴ კანკუნის შეთანხმებების მსგავსად, პარიზის შეთანხმების პრეამბულაშიც განმარტებულია, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, გაითვალისწინონ ადამიანის უფლებები კლიმატის ცვლილების შერბილებისა და საადაპტაციო ღონისძიებების გატარების დროს.⁴⁵ ეს ნიშნავს იმას, რომ არც ეს ხელშეკრულება აკისრებს სახელმწიფოებს პირდაპირ ვალდებულებას, დაიცვან ადამიანის უფლებები კონკრეტულად კლიმატის ცვლილებისგან გამომწვეული საფრთხეებისგან, თუმცა ის მაინც ქმნის ერთგვარ საფუძველს იმისთვის, რომ მომავალში მათ უშუალოდ იკისრონ ეს ვალდებულებებიც.⁴⁶ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა უკვე მოუწოდა პარიზის შეთანხმების წევრ სახელმწიფოებს, რომ მათ ადამიანის უფლებები გაითვალისწინონ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შემუშავების პროცესში, დაისახონ კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ამბიციური მიზნები და, ამ გზით, უზრუნველყონ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა და მათი კეთილდღეობა.⁴⁷

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლიმატის ცვლილების დღეს არსებული რეჟიმი პირდაპირ არ აკისრებს სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვან სიცოცხლის უფლება კლიმატის ცვლილებიდან გამომდინარე საფრთხეებისგან. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია და პარიზის შეთანხმება იყენებენ ე.წ. „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომას, რაც საშუალებას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, განსაზღვრონ თავიანთი ვალდებულებების მოქმედების სფერო ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის საშუალებით, დააბალანსონ თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ინტერესები და თავად გადაწყვიტონ, რას აპირებენ კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის კუთხით. თუმცა აღნიშნული ავტომატურად არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს საერთოდ არ აქვთ ვალდებულებები, დაიცვან სიცოცხლის უფლება კლიმატის ცვლილების კონტექსტში. სახელმწიფოთა ვალდებულება, პატივი სცენ და დაიცვან ეს უფლება, გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა სხვა სამართლებრივი დოკუმენტებიდან და რადგან სიცოცხლის უფლება ასევე გულისხმობს ეკოლოგიური საფრთხეებისგან დაცვის უფლებასაც, სახელმწიფოები

⁴⁴ პარიზის შეთანხმება, დეკლარაციული ნაწილი 11, <<https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/the-paris-agreement>> [31.3.2021].

⁴⁵ Bodansky D., Brunnee J., Rajamani L., *International Climate Change Law*, 2017, 228.

⁴⁶ Bodansky D., Brunnee J., Rajamani L., *International Climate Change Law*, 2017, 228.

⁴⁷ Bachelet M., Letter from the United Nations High Commissioner for Human Rights on Integrating Human Rights in Climate Action, 2018, <<https://www.ohchr.org/EN/Issues/Health/Pages/OpenLetters.aspx>> [31.3.2021].

შეიძლება, ადამიანის ფუნდამენტური უფლების დარღვევაში იქნენ დადანიშნულნი, თუ ისინი არ მიიღებენ შესაბამის ზომებს კლიმატის ცვლილების შერბილების ან ადაპტაციის მიზნით.⁴⁸ თუმცა ამ კონტექსტში ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენება დღესდღეობით რთულია და პრაქტიკაში ბევრ სამართლებრივ წინააღმდეგობას აწყდება. მაგალითისთვის, ხშირად რთულია მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა, რომ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა სწორედ კლიმატის ცვლილებამ და მისგან გამოწვეულმა ბუნებრივმა კატასტროფამ თუ სხვა საფრთხეებმა გამოიწვია. მიუხედავად ამისა, პირველ ეტაპზე, ადამიანის უფლებათა სხვადასხვა დოკუმენტის გამოყენება მაინც მნიშვნელოვანია, რათა ადამიანებმა შეძლონ თავიანთი უფლებების დაცვა და სასამართლოებმა შექმნან სამართლებრივი პრეცედენტები, რაც ერთგვარი სამართლებრივი საფუძველი გახდება იმისთვის, რომ მომავალში სახელმწიფოებმა შექმნან უფრო კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმები, კანონები, რომლებიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ეფექტურად დაიცავს უშუალოდ კლიმატის ცვლილების კონტექსტში.⁴⁹

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ გამოიყენება დღესდღეობით ადამიანის უფლებების სამართალი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასამართლო წარმოების დროს და რა სახის პრეცედენტები იქმნება სასამართლოების მიერ, სტატიის შემდეგი ნაწილი უშუალოდ განიხილავს კონკრეტულ სასამართლო საქმეებს. უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ მოყვანილი მაგალითების გამოყენება ეფექტურად შეიძლება საქართველოს კონტექსტშიც, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირ არის განსაზღვრული სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე და შექმნას მისი ღირსეული არსებობისთვის საჭირო პირობები.

IV. სასამართლო პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა სამართალი კლიმატის ცვლილების კონტექსტში

კლიმატის ცვლილების კონტექსტში უმნიშვნელოვანესია სასამართლოების როლი. სწორედ მათ აქვთ რეალური შესაძლებლობა, განმარტონ ესა თუ ის კანონი კლიმატის ცვლილების ჭრილში, დაადგინონ, არღვევენ თუ არა ქვეყნები ვალდებულებებს ამ კონტექსტში, დააკისრონ მათ შესაბამისი

⁴⁸ *Sinder A.*, An Emerging Human Right to Security from Climate Change: The Case Against Gas Flaring in Nigeria, in: *Burns W. G. G., Osofsky H. M.* (ed.), *Adjudicating Climate Change: State, National, and International Approaches*, 2009, 185.

⁴⁹ *Carlane C. P., Gray K. R., Tarasofsky R. G.*, *The Oxford Handbook of International Climate Change Law*, 2016, 224.

პასუხისმგებლობა და მოსთხოვონ, მიიღონ სათანადო ზომები კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის მიზნით და, ამგვარად, განავითარონ კიდევ კლიმატის ცვლილების კანონმდებლობა.⁵⁰

ამ კუთხით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო ნიდერლანდების უმაღლესმა სასამართლომ საქმეში *Netherlands v. Urgenda Foundation*.⁵¹ ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ ნიდერლანდების სახელმწიფოს ჰქონდა პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა ადამიანის უფლებები კლიმატის ცვლილების კონტექსტში.⁵² კონკრეტულად კი, სასამართლომ პირდაპირ აღიარა, რომ კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის და შესაძლოა, მნიშვნელოვნად დააზიანოს ნიდერლანდების მოსახლეობის სიცოცხლე და კეთილდღეობა; მან განმარტა, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო, ყველა ზომა მიეღო, რათა თავიდან აეცილებინა „საშიში კლიმატის ცვლილება“ და უზრუნველყო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ადამიანის სიცოცხლისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებები.⁵³ სასამართლომ დაადგინა, რომ ნიდერლანდების სახელმწიფოს მიერ კლიმატის ცვლილების კონტექსტში მიღებული ზომები არ იყო საკმარისი ადამიანის უფლებების დაცვისთვის და მას პირდაპირ დააკისრა სათბური გაზების გაფრქვევების შემცირება, სულ მცირე, 25%-ით 1990 წლის დონესთან შედარებით 2020 წლამდე.⁵⁴

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ძირითადად ადამიანის უფლებათა სამართალს დააფუძნა, მან ასევე გამოიყენა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, პარიზის შეთანხმება და ის მეცნიერული მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენა გარემოზე, რათა უკეთ განემარტა ადამიანის სიცოცხლის უფლება კლიმატის ცვლილების კონტექსტში

⁵⁰ Preston B. J., The Contribution of the Courts in Tackling Climate Change, *Journal of Environmental Law* 28(11), 2016, 11-17.

⁵¹ Judgment of the Supreme Court of the Netherlands of 20 December 2019 – *The State of the Netherlands v. Urgenda Foundation* (19/00135, ECLI:NL:HR:2019:2006), <<https://uitspraken.rechtspraak.nl/inziendocument?id=ECLI:NL:HR:2019:2007>> [31.3.2021].

⁵² Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR), Bachelet Welcomes Top Court’s Landmark Decision to Protect Human Rights from Climate Change, 2019, <<https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=25450&LangID=E>> [31.3.2021].

⁵³ Judgment of the Supreme Court of the Netherlands of 20 December 2019 – *The State of the Netherlands v. Urgenda Foundation* (19/00135, ECLI:NL:HR:2019:2006), para. 6, <https://uitspraken.rechtspraak.nl/inzien_document?id=ECLI:NL:HR:2019:2007> [31.3.2021].

⁵⁴ Judgment of the Supreme Court of the Netherlands of 20 December 2019 – *The State of the Netherlands v. Urgenda Foundation* (19/00135, ECLI:NL:HR:2019:2006), para. 7.5.1., <<https://uitspraken.rechtspraak.nl/inziendocument?id=ECLI:NL:HR:2019:2007>> [31.3.2021].

და დაედგინა, რომ ნიდერლანდებს, ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვის მიზნით, ჰქონდათ პოზიტიური ვალდებულება, შეემცილებინათ თავიანთი გაფრქვევები. ადამიანის უფლებათა სამართალი ასევე ეფექტურად გამოიყენა კოლუმბიის უზენაესმა სასამართლომ საქმეში *Future Generations v. Ministry of the Environment*.⁵⁵ კონკრეტულად კი, სასამართლომ განმარტა, რომ კლიმატის ცვლილება უარყოფითად აისახება ადამიანის სიცოცხლესა და მის ღირსეულ ცხოვრებაზე, ვინაიდან ის ხელს უშლის თანამედროვე და მომავალ თაობებს, წვდომა ჰქონდეთ სუფთა ჰაერზე, წყალსა და ჯანსაღ გარემოზე. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ ამ კუთხით მიღებული ზომები არ იყო საკმარისი ადამიანის უფლებების დაცვისთვის, ვინაიდან ის აგრძელებდა ამაზონის რეგიონში ტყის გაჩეხვის ნებართვების გაცემას, რაც უშუალოდ უწყობს ხელს ატმოსფეროში სათბური გაზების კონცენტრაციის ზრდასა და, შესაბამისად, კლიმატის ცვლილებას. სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო, შეემუშაებინა და პრაქტიკაში დაენერგა ამაზონის დასაცავად საჭირო პოლიტიკა და, ამგვარად, ხელი შეეწყოს ადამიანის უფლებების სრული რეალიზაციისთვის.

ზემოთ აღნიშნულმა სასამართლო დავებმა შედეგი გამოიღო იმ კუთხით, რომ შეიქმნა ერთგვარი პრეცედენტები და ქვეყნებს დაეკისრათ პირდაპირი ვალდებულება, აღმოფხვრან კლიმატის ცვლილების საფრთხეები და დაიცვან ადამიანის სიცოცხლე. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ძალიან ძნელია მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა ადამიანებისთვის მიყენებულ კონკრეტულ ზიანსა და კლიმატის ცვლილების ფენომენს შორის, ეს გადაწყვეტილებები წარმოადგენს იმის მაგალითებს, თუ როგორ შეიძლება სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილებები, სულ მცირე, შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: ბუნებრივ გარემოზე გლობალური დათბობის შესაძლო გავლენის შესახებ არსებული სამეცნიერო ცოდნა, სახელმწიფოთა ზოგადი ვალდებულებები, რომლებიც მათ იკისრეს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტების საფუძველზე, ადამიანის უფლებათა შესახებ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან ეროვნული კანონმდებლობებით სახელმწიფოებისთვის განსაზღვრული კონკრეტული ვალდებულებები, სხვა ზოგადი სამართლებრივი პრინციპები, მათ შორის, უსაფრთხოებისა და პრევენციის პრინციპები.

სახელმწიფოთა ვალდებულება, დაიცვან სიცოცხლის უფლება, შედარებით უფრო თვალსაჩინო და მარტივად დასადგენია კლიმატის ცვლი-

⁵⁵ Decision of the Supreme Court of Justice of Columbia of 5 April 2018 – *Future Generations v. The Ministry of the Environment* (STC4360-2018), <<https://www.dejusticia.org/en/climate-change-and-future-generations-lawsuit-in-colombia-key-excerpts-from-the-supreme-courts-decision/>> [31.3.2021].

ლებასთან ადაპტაციის კონტექსტში.⁵⁶ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში, უკვე შესამჩნევია კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგები გარემოზე. ეს შესაძლოა გამოიხატებოდეს, მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფებისა თუ ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების გახშირებაში. ამგვარი ნეგატიური ცვლილებები გარემოში საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და მის კეთილდღეობას. შესაბამისად, ამ კონტექსტში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება სახელმწიფოს როლი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ადამიანებს ამ ცვლილებებთან ადაპტაციაში და შექმნას მათთვის უსაფრთხო გარემო. მაგალითად, მან უნდა დანერგოს და განავითაროს წყალდიდობისგან დაცვის თანამედროვე სისტემები, ადამიანები უნდა უზრუნველყოს გვალვაგამძლე მცენარეული კულტურებით, ხელი უნდა შეუწყოს მათ, შეცვალონ თავიანთი ცხოვრების წესი და შეუსაბამონ ის თანამედროვე გარემოსდაცვით გამოწვევებს.⁵⁷

სწორედ ამ კუთხით, პარიზის შეთანხმების მე-7 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, შეიმუშაონ და პრაქტიკაში დანერგონ ადაპტაციის სამოქმედო გეგმები.⁵⁸ იგი ადგენს, რომ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია გლობალური გამოწვევაა და სახელმწიფოები ვალდებულები არიან, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა დაიცვან ადამიანები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ყველაზე მეტად მოწყვლადები არიან გლობალური დათბობის უარყოფითი ზემოქმედების მიმართ.⁵⁹ მიუხედავად იმისა, რომ პარიზის შეთანხმება უტოვებს სივრცეს სახელმწიფოებს, რომ თავად გადაწყვიტონ, რას გააკეთებენ ამ კუთხით,⁶⁰ მათი უმოქმედობის ან არასათანადო მოქმედების შემთხვევაში, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს ადამიანის უფლებების, მათ შორის, სიცოცხლის უფლების დარღვევა,⁶¹ შესაძლებელია ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენება და სახელმწიფოსგან ეფექტური ზომების მიღების მოთხოვნა.⁶²

⁵⁶ *Hall M. J., Weiss D. C., Avoiding Adaptation Apartheid: Climate Change Adaptation and Human Rights Law*, *The Yale Journal of International Law* 37(309), 2012, 345-346.

⁵⁷ United Nations Framework Convention on Climate Change (UNFCCC), *What Do Adaptation to Climate Change and Climate Resilience Mean?*, <<https://unfccc.int/topics/adaptation-and-resilience/the-big-picture/what-do-adaptation-to-climate-change-and-climate-resilience-mean>> [31.3.2021].

⁵⁸ პარიზის შეთანხმება, მე-7 მუხლის მე-9 პარაგრაფი, <<https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/the-paris-agreement>> [31.3.2021].

⁵⁹ პარიზის შეთანხმება, მე-7 მუხლის მე-2 პარაგრაფი, <<https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/the-paris-agreement>> [31.3.2021].

⁶⁰ *Bodansky D., Brunnee J., Rajamani L., International Climate Change Law*, 2017, 237-238.

⁶¹ *McInerney-Lankford S., Climate Change and Human Rights: An Introduction to Legal Issues*, *Harvard Environmental Law Review* 33(2), 2016, 431, 436.

⁶² *Carlane C. P., Gray K. R., Tarasofsky R. G., The Oxford Handbook of International Climate Change Law*, 2016, 227-229.

მაგალითად, საქმეში *Ashgar Leghari v. Federation of Pakistan*, ლაჰორის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პაკისტანის კონსტიტუციის მე-9 და მე-14 მუხლების მიხედვით, პაკისტანს ჰქონდა ვალდებულებები, შეემუშავებინა და პრაქტიკაში დაენერგა კლიმატის ცვლილების ადაპტაციის გეგმა, რათა დაეცვა ადამიანის სიცოცხლისა (რაც, ასევე, გულისხმობს ადამიანის უფლებას ჯანსაღ გარემოზე) და ღირსების უფლებები.⁶³ მან დაადგინა, რომ წყალდიდობებისა და გვალვების სიხშირის ზრდა უკავშირდება კლიმატის ცვლილებას და ის წარმოშობს საკვებსა და წყალზე ხელმისაწვდომობის პრობლემებს.⁶⁴ სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა, დაუყონებლივ დაეწყო კლიმატის ცვლილების ეროვნული პოლიტიკის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.⁶⁵ საქართველოს შემთხვევაშიც, შესაძლებელია საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებების ანალოგიურად გამოყენება იმისთვის, რომ ადამიანებმა სახელმწიფოს მოსთხოვონ, მიიღოს შესაბამისი ზომები, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე და შექმნას ადამიანის ღირსეული ცხოვრებისთვის საჭირო პირობები კლიმატის ცვლილების კონტექსტში.

როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასამართლო დავები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების, კანონმდებლობის შემუშავების, განვითარებისა და მასში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვაში. ამგვარი მექანიზმების გამოყენება ასევე ეფექტურად შეიძლება საქართველოს კონტექსტშიც, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია უშუალოდ განამტკიცებს ადამიანის სიცოცხლის, ღირსებისა და მის გარემოსდაცვით უფლებებს.

⁶³ Decision of the Lahore High Court of 14 September 2015 – *Ashgar Leghari v. Federation of Pakistan*, (W.P. No. 25501/2015), paras. 12-13, <<http://climatecasechart.com/climate-change-litigation/non-us-case/ashgar-leghari-v-federation-of-pakistan/>> [31.3.2021].

⁶⁴ Decision of the Lahore High Court of 14 September 2015 – *Ashgar Leghari v. Federation of Pakistan*, (W.P. No. 25501/2015), para. 11, <<http://climatecasechart.com/climate-change-litigation/non-us-case/ashgar-leghari-v-federation-of-pakistan/>> [31.3.2021].

⁶⁵ Decision of the Lahore High Court of 14 September 2015 – *Ashgar Leghari v. Federation of Pakistan*, (W.P. No. 25501/2015), para. 13, <<http://climatecasechart.com/climate-change-litigation/non-us-case/ashgar-leghari-v-federation-of-pakistan/>> [31.3.2021].

V. დასკვნა

„კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის განმსაზღვრელი საკითხია – და ჩვენ ვართ განმსაზღვრელ მომენტში“, – თქვა გაეროს გენერალურმა მდივანმა და დღეს უკვე აღარ არსებობს ამ სიტყვებში ეჭვის შეტანის საფუძველი.⁶⁶ თანამედროვე საზოგადოება, განსაკუთრებით, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები, უკვე განიცდიან გლობალური დათბობის უარყოფით შედეგებს, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში უკვე თითქმის ყველა სახელმწიფო მონაწილეობს და თანხმდება, რომ დროა გლობალური თანამშრომლობა გახდეს უფრო ეფექტური და ყველა ზომა მიიღოს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციისთვის.

სასამართლოების მიერ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საქმეებში მიღებული სხვადასხვა გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა დოკუმენტის ქვეშაპირი აქვთ პოზიტიური ვალდებულებები, დაიცვან ადამიანის სიცოცხლის უფლება, მათ შორის, კლიმატის ცვლილებისგან მომდინარე საფრთხეებისაგან. შესაბამის გადაწყვეტილებებში სასამართლოებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და პრაქტიკულად აღასრულონ კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმები, თავიდან აიცილონ გლობალური დათბობის უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ გარემოსა და ადამიანებზე და დაეხმარონ მათ, ვინც უკვე განიცდიან მის უარყოფით შედეგებს.

ერთი მხრივ, კლიმატის ცვლილების დღეს არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ რეჟიმში სახელმწიფოები თავად, თავიანთი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტენ, თუ კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადადგან, რათა ხელი შეუწყონ საერთო მიზნის მიღწევას – კლიმატის ცვლილების შერბილებასა და მასთან ადაპტაციას; მაგრამ, მეორე მხრივ, დღესდღეობით, ადამიანის უფლებათა სამართალი მაინც აძლევს ადამიანებს შესაძლებლობას, მოსთხოვონ სახელმწიფოებს იმ ზომების მიღება, რომლებიც ეფექტურად დაიცავს მათ ძირითად უფლებებს. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ კლიმატის ცვლილების არსებული რეჟიმი მეტად უნდა განვითარდეს და მასში გარკვევით უნდა აისახოს ადამიანის უფლებები; სახელმწიფოები პირდაპირ უნდა იყვნენ ვალდებული, გახადონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული კანონები მეტად ეფექტური და პრაქტიკაში მარტივად აღსრულებადი.

⁶⁶ United Nations General Assembly (UNGA), Secretary-General's Remarks on Climate Change, 2018, <<https://www.un.org/sg/en/content/sg/statement/2018-09-10/secretary-generals-remarks-climate-change-delivered>> [31.3.2021].

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, რომელიც დაფუძნებულია 1921 წლის კონსტიტუციის ღირებულებებზე, პირდაპირ განამტკიცებს ადამიანის სიცოცხლის, ღირსებისა და მის გარემოსდაცვით უფლებებს, შესაბამისად, ის, დღეს-დღეობით, შესაძლოა, ეფექტურად გამოიყენებოდეს იმისთვის, რომ სახელმწიფოსგან ხალხმა მოითხოვოს კლიმატის ცვლილების შედეგებთან ეფექტური საადაპტაციო ღონისძიებების გატარება, რაც აუცილებელია მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად და ერთგვარ წინაპირობას წარმოადგენს მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და კეთილდღეობისთვის.

კონსტიტუციური მახსიერება: დაივიწყა თუ არა კანონმდებელმა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლით გაკვალილი გზა ადამიანის უფლებებისთვის?!

აბსტრაქტი

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ, 45-ე მუხლის შინაარსით, მხარი დაუჭირა იდეას, რომ კონსტიტუციაში ექსპლიციტურად ჩამოთვლილი უფლებები არ არის ამომწურავი და საბოლოო, რომ გარკვეული უფლებების ჩამოთვლა არ უარყოფს და არ ამცირებს სხვა უფლებების არსებობას. ამგვარი ჩანაწერი, შესაძლოა, შევადაროთ შაიოსეულ „შიშის და აღიარების“ შედეგს. იქ, სადაც დემოკრატიის მშენებლობას არცთუ ისე დიდი წარსული აქვს, შიში იმისა, რომ სახელმწიფო ეცდება, „საცა ვიწროა“ იქ განყვიტოს, ყოველთვის არსებობს. აშშ-ის კონსტიტუციის IX შესწორების იდეაც სწორედ ის იყო, რომ დამფუძნებელი მამების ნაწილს ეშინოდა, კონსტიტუციაში ჩამოთვლილ უფლებებს სამომავლოდ არ შეემცირებინა ადამიანის უფლებების დაცულობის მასშტაბი.

სამეცნიერო სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს, შემცირდა თუ არა 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლის სამართალმემკვიდრე 1995 წლის კონსტიტუციის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის) 39-ე მუხლის მეორე თავიდან პირველ თავში გადატანით უფლების დაცულობის მატერიალური და საპროცესო გარანტიები. ამის წარმოსაჩენად, სტატია გააანალიზებს აშშ-ის კონსტიტუციის IX შესწორების მნიშვნელობასა და ამასთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკას, ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას 39-ე მუხლთან მიმართებით. სტატია ასევე მიმოიხილავს 45/39-ე მუხლებს „ცოცხალი კონსტიტუციის“ მექანიზმთან კავშირში. დასკვნის სახით, სტატია შეაჯამებს, კანონმდებელმა 2018 წლის ცვლილებებით უარყო თუ არა 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლის სამართალმემკვიდრეობა.

* სამართლის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია [gulikomacharashvili8@gmail.com]

** საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA); საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდის ხელმძღვანელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) [thamaroniani@gmail.com]

I. შესავალი

ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები გვიჩვენებს, რომ 1921 წლის კონსტიტუცია ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე გარდამტეხ როლს ასრულებდა, ვინაიდან ცხადი იყო თითოეული ხელისუფლის სწრაფვა, საკუთარი ლეგიტიმაცია სწორედ 1921 წლის კონსტიტუციაზე დაეფუძნებინა.¹ თუკი გადავხედავთ 1921 წლის კონსტიტუციასთან დაკავშირებით სხვადასხვა ისტორიულ ჩანაწერს, ვნახავთ, რომ ქართველი კონსტიტუციონალისტები დასავლურ სამართლებრივ დოქტრინას დიდ ყურადღებას აქცევდნენ.² აღნიშნულს, სხვა მტკიცებულებათა შორის, ასევე ადასტურებს საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრის, იურისტის, გიორგი გვაზავას მიერ დამფუძნებელ კრებაზე წარმოთქმული შემდეგი სიტყვები: „ჩვენ გვაქვს დიდი გამოცდილება სხვადასხვა ერებისა და აუარებელი მასალა, საჭიროა სახელმძღვანელო იდეა, საჭიროა, რომ გავარკვიოთ გზა და კვალი ამ აუარებელ მასალაში [...], თვით სახელმწიფოს არსებობის გამართლება შეიძლება იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო წარმოადგენს პიროვნული თავისუფლების გარანტიას. [...] ეხლანდელი სახელმწიფო ევროპის და ამერიკისა არის უფლებრივი სახელმწიფო.“³

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციამ, 45-ე მუხლის შინაარსით, მხარი დაუჭირა „უფლებრივი სახელმწიფოს“ ერთ-ერთ ქვაკუთხედს, რომ კონსტიტუციაში ექსპლიციტურად ჩამოთვლილი უფლებები არ არის ამომწურავი და საბოლოო, რომ გარკვეული უფლებების ჩამოთვლა არ უარყოფს და არ ამცირებს სხვა უფლებების არსებობას. მხედველობაშია მისაღები, რომ ეს მუხლი საფუძვლად დაედო საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის შინაარსსაც და იგი 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით, 39-ე მუხლის სახით, ადამიანის უფლებების თავში (კონსტიტუციის II თავი) მოქმედებდა. ამგვარი ჩანაწერი, შესაძლოა, შევადაროთ შაიოსეულ „შიშის და აღიარების“ შედეგს. იქ, სადაც დემოკრატიის მშენებლობას არცთუ ისე დიდი წარსული აქვს, შიში იმისა, რომ სახელმწიფო ეცდება „საცა ვიწროა“ იქ განწყვიტოს, ყოველთვის არსებობს. აშშ-ის კონსტიტუციის IX შესწორების იდეაც სწორედ ის იყო, რომ დამფუძნებელი მამების ნაწილს ეშინოდა, კონსტიტუციაში ჩამოთვლილ უფლებებს სამომავლოდ არ შეემცირებინა ადამიანის უფლებების დაცულობის მასშტაბი.

¹ გეგენავა დ. (რედ.), საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, 2014, 52.

² გეგენავა დ., ქართული კონსტიტუციონალიზმის ევროპული საფუძვლები: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია, ევროპული ღირებულებები და იდენტობა, მოხსენებები, 2014, 119.

³ გვაზავა გ., სიტყვა წარმოთქმული დამფუძნებელ კრებაზე (პირველი დეკემბრის საღამოს სხდომა), წიგნში: კორძაძე ზ., ნემსიწვერიძე თ. (რედ.), ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 130.

სამეცნიერო სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს, შემცირდა თუ არა 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლის სამართალმემკვიდრე 1995 წლის კონსტიტუციის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის) 39-ე მუხლის მეორე თავიდან პირველ თავში გადატანით, უფლების დაცულობის მატერიალური და საპროცესო გარანტიები. ამის წარმოსაჩენად, სტატია გააანალიზებს აშშ-ის კონსტიტუციის IX შესწორების მნიშვნელობას და ამასთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკას, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას 39-ე მუხლთან მიმართებით. დასკვნის სახით, სტატია შეაჯამებს, კანონმდებელმა 2018 წლის ცვლილებებით უარყო თუ არა 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლის სამართალმემკვიდრეობა.

II. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლი – მნიშვნელობა და ისტორიული რაკურსი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია იმდროინდელი მსოფლიო კონსტიტუციურ წესრიგში მკვეთრად ნოვატორული და პროგრესული პოლიტიკურსამართლებრივი დოკუმენტია, ვინაიდან დამფუძნებლებმა სახელმწიფო მოწყობასთან ერთად, დიდი ყურადღება დაუთმეს ადამიანის ძირითად უფლებებს.⁴ ძირითადად კანონმა ასახა შემდგომი პერიოდის კონსტიტუციათა მთავარი მიმართულება და ღირებულებები, უმთავრესად კი, უზენაესი იდეა – ადამიანი, რომელიც ყველა განვითარებული, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შეფასებათა სისტემის ქვაკუთხედი.⁵ „1921 წლის კონსტიტუციის სულისკვეთებიდან ჩანს, რომ მისი ავტორები ცდილობდნენ კონსტიტუციის მიღებით დაემკვიდრებინათ [...] „უფლებრივი სახელმწიფო“, როცა ადამიანისა და მოქალაქის ტრადიციული უფლებები პიროვნული თავისუფლებების პრინციპს ემყარება.“⁶

⁴ გეგენავა დ., ქართული კონსტიტუციონალიზმის ევროპული საფუძვლები: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია, ევროპული ღირებულებები და იდენტობა, მოხსენებები, 2014, 122.

⁵ დემეტრაშვილი ა., საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია 2011 წლის გადასახედიდან, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 12; გეგენავა დ., საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია, ევროპული ღირებულებები და იდენტობა, მოხსენებები, 119.

⁶ პაპუაშვილი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, წიგნში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, 2011, 20; გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, 2017, 34.

მეტიც, 1921 წლის კონსტიტუციამ დოკუმენტის ტექსტში კონკრეტული უფლებებისთვის გარანტიების მინიჭებასთან ერთად, ასევე განჭვრიტა ის, რომ, შესაძლოა, კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის სისტემის მიღმა აღმოჩენილიყო ისეთი სიკეთეები, რომელთა პირდაპირი შესატყვისიც კონსტიტუციით უკვე დაცულ სფეროებში ვერ მოიძებნებოდა, თუმცა, თავისი არსით, გამომდინარეობდნენ კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი პრინციპებისგან.⁷ ეს მიდგომა ფუნდამენტური პრინციპების პრაქტიკული გამოვლინების მაგალითია, რაც კონსტიტუციის ერთგვარი შემავსებლის ფუნქციას ასრულებს.⁸

უფრო კონკრეტულად, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლი ადგენდა, რომ „კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია არ უარყოფს სხვა გარანტიას და უფლებას, რომელიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან“. არსებობს მოსაზრება, რომ, ვინაიდან დამფუძნებლებისთვის ევროპული და ამერიკული კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება კარგად ნაცნობი იყო, 45-ე მუხლი ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის IX შესწორების ანალოგის სახით ჩამოყალიბდა.⁹

III. აშშ-ის კონსტიტუციის IX შესწორება – ფუნქცია და როლი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სამართლის განვითარებაში

1. IX შესწორების მიღების მოკლე ისტორიული რაკურსი

1791 წელს, აშშ-ის კონსტიტუციის რატიფიცირების შესახებ დებატების დროს, ორი ფრაქცია – ფედერალისტები და ანტიფედერალისტები კამათობდნენ უფლებათა ბილის კონსტიტუციის ნაწილად გახდომის თაობაზე. ფედერალისტებმა მხარი დაუჭირეს აშშ-ის კონსტიტუციის რატიფიცირებას და წინააღმდეგი იყვნენ მასში უფლებათა ბილის შეტანის. მათგან

⁷ გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, 2017, 34.

⁸ გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, 2017, 33.

⁹ ფუტკარაძე ნ., 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებები, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, 2011, 58; გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, აკადემიური მაცნე, სპეციალური გამოცემა, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, 2017, 144.

განსხვავებით, ანტიფედერალისტები კონსტიტუციის რატიფიცირებას მხოლოდ მაშინ დათანხმდებოდნენ, თუკი მასში უფლებათა ბილიც იქნებოდა გაერთიანებული.¹⁰

უფრო კონკრეტულად, ანტიფედერალისტები მიიჩნევდნენ, რომ უფლებათა ბილის გარეშე კონსტიტუციის წაკითხვა იმგვარად იყო შესაძლებელი, რომ ფედერალურ ხელისუფლებას განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონოდა. ამის საწინააღმდეგოდ, ფედერალისტებმა წარმოადგინეს სამი სახის არგუმენტაცია: (1) ისინი ამტკიცებდნენ, რომ კონსტიტუციამ ფედერალური მთავრობა დააფუძნა როგორც შეზღუდული, დელეგირებული ხელისუფლება და, ამრიგად, უფლებათა ბილი არ იყო საჭირო, რადგან კონგრესს, პირველ რიგში, არ ჰქონდა უფლებამოსილება, დაერღვია ის უფლებები, რომლებიც აწუხებდათ ანტიფედერალისტებს; (2) ისინი ამტკიცებენ, რომ უფლებათა ბილის კონსტიტუციაში გაერთიანება საშიში იყო, რადგან, შესაძლოა, ირიბად, სახელმწიფოს ჰქონოდა უფლება, ჩარეულიყო ზემოთ ხსენებულ დაცულ სფეროში, ასე მაგალითად: შესწორება, რომელიც გარკვეულ ვითარებაში იცავდა პრესის თავისუფლებას, შეიძლება, იმავდროულად, გულისხმობდა უფრო ზოგად ფედერალურ უფლებამოსილებას გაზეთების რეგულირებისთვის იმ პირობებით, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული შესწორებით; (3) ისინი ამტკიცებდნენ, რომ უფლებების ნებისმიერი ჩამონათვალი აუცილებლად არასრული იქნებოდა და, რომ ჩამოთვლა, შესაძლოა, გულისხმობდა იმას, რომ ნუსხის მიღმა დარჩენილი სხვა უფლებები დაცვის ღირსი არ იყო.¹¹

უფლებათა ბილზე დებატების დროს, დაისვა კითხვა, შესაძლებელი იყო თუ არა პროგრესის კვალდაკვალ, ისეთი მნიშვნელოვანი უფლებების აღმოჩენა, რომელთა არსებობასაც იმ დროს ვერ მოიაზრებდნენ?¹² აშშ-ის კონგრესის ისტორიულ ჩანაწერებში *inter alia*, სწორედ, ამ კითხვასთან კავშირში ვკითხულობთ შემდეგს: *ჯეიმს მედისონი თომას ჯეფერსონს* სწერს, რომ კონსტიტუციაში უფლებათა ბილის გაერთიანება დაამცირებს/უგულებელყოფს იმ უფლებებს, რომლებიც ჩამოთვლილი არ არის, თუმცა იქვე აცხადებს, რომ ამ მოცემულობისგან დაცვაც შესაძლებელია.¹³ *ჯეიმს მედისონი* აქ სწორედ მეცხრე შესწორებაზე საუბრობდა.¹⁴

¹⁰ *Wachtler S.*, Judging the Ninth Amendment, *Fordham Law Review* 59, 1991, 600.

¹¹ *Seidman L. M.*, Our Unsettled Ninth Amendment: An Essay on Unenumerated Rights and the Impossibility of Textualism, *Georgetown Law Faculty Working Papers*, 2010, 134-135.

¹² *Annals of Congress of the United States*, 1789, <<https://memory.loc.gov/ammem/amlaw/lwaclink.html>> [15.7.2021].

¹³ *Annals of Congress of the United States*, 1789, <<https://memory.loc.gov/ammem/amlaw/lwaclink.html>> [15.7.2021].

¹⁴ *Wachtler S.*, Judging the Ninth Amendment, *Fordham Law Review* 59, 1991, 604.

კონგრესმა IX შესწორება 1789 წელს დაამტკიცა და მისი საბოლოო ტექსტი შემდეგნაირია: „კონსტიტუციაში გარკვეული უფლებების ჩამოთვლა არ ნიშნავს ხალხის მიერ შენარჩუნებული სხვა უფლებების უარყოფას ან უგულვებელყოფას.“¹⁵ თავის მხრივ, მეცხრე შესწორება ნაკარნახევი იყო *ჯეიმს უილსონის* ადრეული შეხედულებით, რომლის მიხედვითაც, „ყველაფერი რაც არ არის ჩამოთვლილი, ნაგულისხმევია. შედეგი კი არის ის, რომ ნებისმიერი არასრულყოფილი ჩამოთვლა მთელ ნაგულისხმევ მოცემულობას ხელისუფლებას დაუქვემდებარებდა და, ამრიგად, ხალხის უფლებები არასრულფასოვანი იქნებოდა“.¹⁶

2. მეცნიერთა მოსაზრებები IX შესწორებასთან დაკავშირებით — რას ნიშნავს „შენარჩუნებული უფლებები“?

მიუხედავად იმისა, რომ მეცხრე შესწორება მიუთითებს კონსტიტუციაში ექსპლიციტურად ჩამოთვლის მიღმა დარჩენილი სხვა უფლებების არსებობაზე, ის არანაირ გზამკვლევეს არ გვთავაზობს იმის გასაგებად, თუ რომელია ეს დამატებითი უფლებები ან როგორ უნდა უზრუნველვყოთ მათი განმტკიცება და აღსრულება.¹⁷ მეცნიერებმა სცადეს, ჩამოეყალიბებინათ რამდენიმე თეორია იმის შესახებ, თუ რეალურად რა იგულისხმება ჩამოთვლის მიღმა დარჩენილ უფლებებში. ისინი, ძირითადად, განმარტების ისტორიულ მეთოდს ეყრდნობიან, თუმცა, არა მარტო.

თუკი მიმოხილვას დავიწყებთ ყველაზე ძველი განმარტებებიდან, 1833 წელს გამოცემული აშშ-ის კონსტიტუციის კომენტარების ავტორი *ჯორჯე სტორი* მიიჩნევს, რომ მეცხრე შესწორების დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს კონსტიტუციის სხვა ნაწილების ინტერპრეტაციას, პირველ რიგში კი, პირველი რვა შესწორებისას. სხვა ავტორის აზრით, ამ მტკიცებიდან აშკარად გამომდინარეობს, რომ მეცხრე შესწორება თავისთავად არ არის ინდივიდუალური უფლება. ამავე პოზიციას იზიარებს საკონსტიტუციო სამართლის კიდევ ერთი მეცნიერი, *თომას ქული*, რომელიც საერთოდ ყურადღების მიღმა ტოვებს მეცხრე შესწორებას.¹⁸

¹⁵ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, IX შესწორება, რატიფიცირებულია 1791 წლის დეკემბერში (The enumeration in the Constitution, of certain rights, shall not be construed to deny or disparage others retained by the people), <<https://constitution.congress.gov/constitution/amendment-9/>> [15.7.2021]

¹⁶ *Massey C. R.*, The Natural Law Component of the Ninth Amendment, *University of Cincinnati Law Review* 49, 1992, 85.

¹⁷ *Jackson J. D.*, Blackstone's Ninth Amendment: A Historical Common Law Baseline for the Interpretation of Unenumerated Rights, *Oklahoma Law Review* 62, 2010, 168.

¹⁸ *Ringold A. F.*, The History of the Enactment of the Ninth Amendment and Its Recent Development, *Tulsa Law Review* 8, 2013, 10.

2.1. მეცხრე შესწორება და ბუნებითი უფლებები

მეცხრე შესწორების შექმნისა და მიღების ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით, რენდი ბარნეტის მტკიცებით, მხარდაჭერილია პოზიცია, რომ მეცხრე შესწორების ორიგინალური განმარტება, მიზნად ისახავდა ინდივიდის ბუნებითი უფლებების მოდელის ჩამოყალიბებას, ისევე, როგორც ფედერალიზმის მოდელის მხარდაჭერას, რომელიც საკუთარი ძალაუფლების მკაცრი შეზღუდვით იცავს ამ ინდივიდუალურ ბუნებით უფლებებს.¹⁹ შესაბამისად, მეცხრე შესწორებაში ნახსენები „შენარჩუნებული უფლებები“ ნიშნავს არა ხალხის, როგორც შტატების მოქალაქეების კოლექტიურ უფლებებს, არამედ, იგი ატარებს პირად ხასიათს და ეკუთვნის ადამიანებს, როგორც ინდივიდებს.²⁰ ამრიგად, „შენარჩუნებული უფლებები“ იმავე ხასიათისაა, როგორც უფლებათა ბილით განმტკიცებული და უზენაესი სასამართლოს მიერ აღიარებული სხვა უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები.²¹

მეცხრე ნაწილი, ასევე, ფიქრობს, რომ „შენარჩუნებული უფლებები“ ჭეშმარიტად ბუნებითი უფლებებია, რომლებიც ნასაზრდოებია ბუნებითი უფლებების ისეთი თეორეტიკოსების ნაშრომებისგან, როგორიც იყო, ჯონ ლოკი.²² მაგალითად, მარკ ნაილსი მიიჩნევს, რომ მეცხრე შესწორება ეფუძნება ჯონ ლოკის მოძღვრებას და, რომ იგი პიროვნულ თავისუფლებასა და ავტონომიას ეხება. მეცხრე შესწორებით განმტკიცებულია უფლება, იმოქმედო თავისუფლად იმ ფარგლებში, რომ არ ავნო სხვას ან მთლიანად, საზოგადოებას. მეცხრე შესწორება ითვალისწინებს უფლებას, იყო თავისუფალი ხელისუფალის არალეგიტიმური ჩარევისგან, რომელიც მიზნად ისახავს პიროვნული თავისუფლების, ნებისმიერი მიზეზით (გარდა საზოგადოებრივი/საჯარო სიკეთის დაცულობისა), შეზღუდვას.²³

ჯეფრი ჯექსონი მიიჩნევს, რომ მეცხრე შესწორებით განმტკიცებული „შენარჩუნებული უფლებები“ არის ინდივიდუალური უფლებები, თუმცა ავითარებს მოსაზრებას, რომ მიუხედავად იმისა, დამფუძნებლები, შესაძლოა „შენარჩუნებულ უფლებებს“ განიხილავდნენ როგორც „ბუნებით უფლებებს“ იმ თვალსაზრისით, რომ ისინი წინმსწრებად არსებობდნენ, ეს უფლებები არ იყო ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსების ნაშრომებიდან

¹⁹ Barnett R. E., The Ninth Amendment: It Means What It Says, Texas Law Review 85, 2006, 79-80.

²⁰ Barnett R. E., The Ninth Amendment: It Means What It Says, Texas Law Review 85, 2006, 79-80.

²¹ Jackson J. D., Blackstone's Ninth Amendment: A Historical Common Law Baseline for the Interpretation of Unenumerated Rights, Oklahoma Law Review 62, 2010, 168-169.

²² Jackson J. D., Blackstone's Ninth Amendment: A Historical Common Law Baseline for the Interpretation of Unenumerated Rights, Oklahoma Law Review 62, 2010, 170; McConnell M. W., The Ninth Amendment in Light of Text and History, Stanford Public Law Working Paper No. 1678203, 2010, 15.

²³ Niles M., Ninth Amendment Adjudication: An Alternative to Substantive Due Process Analysis of Personal Autonomy Rights, UCLA Law Review 83, 85, 2000, 122.

გამომდინარე „თეორიული ან ფილოსოფიური“ უფლებები, არამედ, დამფუძნებლების გაგებით, ესენი იყო უფლებები, რომლებიც სათავეს იღებდა ინგლისის კონსტიტუციური სამართლის, საერთო სამართლისა და ტრადიციისგან. მისი აზრით, „შენარჩუნებული უფლებები“ ეს ის უფლებებია, რომელთა შესახებ, დამფუძნებლებს სჯეროდათ, რომ ისინი მათ მემკვიდრეობით მიიღეს ინგლისური კონსტიტუციური და საერთო სამართლისგან, ცხადია, მნიშვნელოვანი ცვლილებებით, რომლებიც ამერიკელი კოლონისტების გამოცდილებიდან გამომდინარეობს. ამასთან, დამფუძნებელთა უმეტესობა ინფორმირებული იყო არა ჯონ ლოკისა და სხვა ბუნებითი სამართლის მკვლევარების ნაშრომების ან ლორდ ქოუქის საერთო სამართლის გადაწყვეტილებების შესახებ, არამედ სერ უილიამ ბლეესტონის მიერ მომზადებული საერთო სამართლის მიმოხილვის/კომენტარების შესახებ.²⁴

2.2. მეცხრე შესწორება – არანაირი ინდივიდუალური უფლებები

მეცხრე შესწორებაში ინდივიდუალური უფლებების განმტკიცების საწინააღმდეგოდ აღსანიშნავია მეცხრე მეორე ნაწილის მოსაზრებები. მაგალითად, კურტ ლეში მიიჩნევს, რომ მეცხრე შესწორება ითვალისწინებს არა ინდივიდუალურ უფლებებს, არამედ შტატების კოლექტიურ უფლებებს. კერძოდ, მათი მტკიცებით, თუ ვივარაუდებთ, რომ მეცხრე შესწორება ინდივიდუალური უფლებების შესახებაა, ხოლო მეათე შესწორება („უფლებამოსილებანი, რომლებიც კონსტიტუციის მიხედვით, არ გადაეცემა შეერთებულ შტატებს და არც შტატებს ეკრძალებათ, ენიჭებათ შტატებს ცალ-ცალკე ან მათ მოსახლეობას“²⁵) ეხება მთავრობის ძალაუფლებას, შტატების კონვენციები, როგორც მეცხრე შესწორების წინამორბედები, ქრება თვალთახედვიდან. მეცხრე მტკიცებით, შტატების კონვენციებიდან მეცხრე შესწორების არც ერთი შეთავაზებული პროექტი არ იყენებდა „უფლებების ენას“.²⁶ ამის მაგიერ, შტატების კონვენციები ფედერალური ხელისუფლების უფლებამოსილების ინტერპრეტაციის შეზღუდვის წესს სთავაზობდა.²⁷

2.3. მეცხრე შესწორება და საერთაშორისო სამართალი

²⁴ Jackson J. D., Blackstone's Ninth Amendment: A Historical Common Law Baseline for the Interpretation of Unenumerated Rights, Oklahoma Law Review 62, 2010, 171-172, 222.

²⁵ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, X შესწორება, რატიფიცირებულია 1791 წლის დეკემბერში (The powers not delegated to the United States by the Constitution, nor prohibited by it to the States, are reserved to the States respectively, or to the people.), <<https://constitution.congress.gov/constitution/amendment-10/>> [1.5.2021].

²⁶ Lash K. T., The Lost Original Meaning of the Ninth Amendment, Texas Law Review 83, 331, 2004, 423.

²⁷ Lash K. T., The Lost Original Meaning of the Ninth Amendment, Texas Law Review 83, 331, 2004, 423; Lash K. T., The Lost Jurisprudence of the Ninth Amendment, Texas Law Review 83, 597, 2005, 713-716.

დენიელ ფარბერი მიიჩნევს, რომ დამფუძნებლები, შესაძლოა, შთაგონებული ყოფილიყვნენ იმდროინდელი გამოჩენილი საერთაშორისო სამართლის კლასიკოსის *ემერ დე ვატელის* ნაშრომებით.²⁸ იგი ავითარებს თეორიას, რომლის თანახმადაც, მეცხრე შესწორება სასამართლოსთვის ერთგვარ კარს ხსნის გადაწყვეტილებების საერთაშორისო სამართალზე დაფუძნების მიზნებისთვის. მისი აზრით, საერთაშორისო სამართლის მიერ განმტკიცებული ის უფლებები, რომლებიც კონსტიტუციაში პირდაპირ ჩამოთვლილი არ არის, შესაძლოა, მოაზრებულ იქნეს მეცხრე შესწორების ქვეშ.²⁹

მოსაზრებას, რომ მეცხრე შესწორების შექმნაზე გავლენა იმდროინდელმა საერთაშორისო სამართალმაც იქონია, ეთანხმება *კურტ ლეშიც*, თუმცა სხვა ინტერპრეტაციით. იგი მიიჩნევს, რომ მეცხრე შესწორება ითხოვდა ფედერალურ ხელისუფლებაზე დელეგირებული უფლებამოსილების ვიწრო განმარტებას. ამის მტკიცებულებად კი მოჰყავს ის მაგალითი, რომ პირველ კონსტიტუციურ ტრაქტატში *ჯორჯ ტაკერმა* ექსპლიციტურად ამოიკითხა მეცხრე და მეთათე შესწორებები *ვატელის* ხალხთა სამართლის იმ წესის შუქზე, რომელიც დელეგირებული უფლებამოსილების მკაცრ განმარტებას ეხებოდა. ამრიგად, *კურტ ლეშის* აზრით, იმდროინდელი საერთაშორისო სამართალი დამფუძნებლებს სთავაზობდა მეცხრე შესწორების იმგვარ გაგებას, რომლის თანახმადაც, ფედერალური ხელისუფლება შეზღუდული იქნებოდა, შეჭრილიყო შტატების ხალხების სუვერენულ კონტროლს დაქვემდებარებულ საკითხებში.³⁰

2.4. მეცხრე შესწორების თანამედროვე მისია

დაბოლოს, მეცნიერთა ნაწილი, ინტერპრეტაციულ თეორიაზე დაყრდნობით, განმარტავს, რომ მეცხრე შესწორება იცავს კონსტიტუციაში ჩამოთვლის მიღმა დარჩენილ, თუმცა ადამიანის მიერ შენარჩუნებულ უფლებას, ჩაერთოს რაიმე საქმიანობაში ან პრაქტიკაში, რომელიც არ იწვევს რეალურ ფიზიკურ ან ეკონომიკურ ზიანს თავად ამ ადამიანის ან სხვა ადამიანებისთვის. საზოგადოებრივი უკმაყოფილებით ან აღშფოთებით გამოწვეული მორალური ზიანი არასაკმარისია მეცხრე შეს-

²⁸ *Farber D.*, Retained by the People: The “Silent” Ninth Amendment and the Constitutional Rights Americans Don’t Know They Have, 2007, 9-10.

²⁹ *Farber D.*, Retained by the People: The “Silent” Ninth Amendment and the Constitutional Rights Americans Don’t Know They Have, 2007, 103, 184-185; *Lash K. T.*, Three Myths of the Ninth Amendment, *Drake Law Review* 56, 101, 2008, 876.

³⁰ *Lash K. T.*, Originalism as Jujitsu, Book Review – *Farber D.*, Retained by the People: The “Silent” Ninth Amendment and the Constitutional Rights Americans Don’t Know They Have, 2007, *Constitutional Commentary* 25, 2009, 525.

წორებით დაცულ უფლებაში ჩარევის გასამართლებლად. მეცხრე შესწორების თანამედროვე მისიაა, დაიცვას უვნებელი ინდივიდუალური თავისუფლებები სახელმწიფოს ხელყოფისგან. მეცხრე შესწორება სწორედ ის ნიადაგია, რომელზეც, როგორც ჯეიმს მედისონი წერდა, „სახელმწიფომ არ უნდა იმოქმედოს“.³¹

3. სასამართლოს პრაქტიკა IX შესწორებასთან დაკავშირებით

მეცხრე შესწორება ანიჭებს აშშ-ის უმაღლეს სასამართლოს უფლება-მოსილებას, აღიაროს ფუნდამენტური და სხვა დაცული უფლებები, რომლებიც, მართალია, კონსტიტუციის ტექსტში პირდაპირი ასახვა ვერ პოვა, თუმცა „შენარჩუნებულია ხალხის მიერ“.³² აშშ-ის უმაღლესი სასამართლო იშვიათად თუ ახსენებდა გადაწყვეტილებებში IX შესწორებას მანამ, სანამ იგი რამდენიმე მოსამართლის მიერ ინტერპრეტაციის საგანი არ გახდა საქმეში *Griswold v. Connecticut*.³³

3.1. სასამართლო პრაქტიკა *GRISWOLD V. CONNECTICUT* საქმეზე

მეცხრე შესწორებასთან დაკავშირებით, პირველი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დავა ეხებოდა საქმეს *Ashwander v. Tennessee Valley Authority*. მომჩივნები დავობდნენ, რომ ელექტროობის ბიზნესში ჩართვით, ხელისუფლებამ ხელი შეუშალა ინდივიდებს თავიანთი კერძო საკუთრებით სარგებლობასა და შემოსავლის დაგროვებაში, რითაც დაარღვია IX შესწორება. სასამართლომ არ დაადგინა მეცხრე შესწორების დარღვევა, რადგან აღნიშნა, რომ მეცხრე შესწორება არ აუქმებს იმ უფლებებს, რომლებიც ცენტრალურ მთავრობას პირდაპირ მინიჭებული აქვს კონსტიტუციით, ასეთი კი არის კონგრესის უფლებამოსილება, განაგოს შეერთებული შტატების კუთვნილი ტერიტორია.³⁴

³¹ *Sanders C. J.*, Ninth Life: An Interpretive Theory of the Ninth Amendment, *Indiana Law Review* 69, 1994, 817.

³² *Kruschke A. N.*, Finding A New Home for the Abortion Right Under the Ninth Amendment, *ConLawNOW* 12, 128, 2020, 154, <<https://ideaexchange.uakron.edu/conlawnow/vol12/iss1/8/>> [14.3.2021].

³³ *Griswold v. Connecticut*, 381 U.S. 479, 1965, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/381/479/>> [1.5.2021]. ადრეული პრაქტიკისთვის იხ. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *United Public Workers v. Mitchell*, 330 U.S. 75, 94–95, 1947, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/330/75/>> [1.5.2021]; *Ashwander v. Tennessee Valley Authority*, 297 U.S. 288, 300–311, 1936, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/297/288/>> [1.5.2021]; *Tennessee Electric Power Co. v. Tennessee Valley Authority*, 306 U.S. 118, 143–44, 1939, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/306/118/>> [1.5.2021]; იხ. ასევე, მოსამართლე სამუელ ჩეიზის მოსაზრება საქმეში *Calder v. Bull*, 3 U.S. (3 Dall.) 386, 388, 1798, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/3/386/>> [1.5.2021].

³⁴ *Ashwander v. Tennessee Valley Authority*, 297 U.S. 288, 300–311, 1936, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/297/288/>> [1.5.2021].

მეორე მნიშვნელოვანი საქმე არის *United Public Workers v. Mitchell*, რომელშიც მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მოქალაქეებს აქვთ ფუნდამენტური უფლება, ხელისუფლების ჩარევის გარეშე, ჩაერთონ პოლიტიკურ საქმიანობასა და კამპანიებში. სასამართლომ აღიარა პოლიტიკური უფლებები და განმარტა, რომ კონგრესის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის გადაცემული უფლებამოსილების არარსებობის პირობებში, ეს კონკრეტული სადავო უფლება დაცული იქნებოდა მეცხრე შესწორებით.³⁵ ამგვარი განსხვავება ადამიანის კონსტიტუციურ უფლებასა და კონგრესის უფლებამოსილებას შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, საზოგადოებამ მკაცრად გააკრიტიკა და შეაფასა, როგორც მეცხრე შესწორების უკანონო უგულებელყოფა.³⁶

3.2. *GRISWOLD V. CONNECTICUT (1965)*

Griswold v. Connecticut გადაწყვეტილება სასამართლომ 1965 წელს, IX შესწორების მიღებიდან 174 წლის თავზე მიიღო. საქმე შეეხებოდა კონექტიკუტის იმ კანონის კონსტიტუციურობას, რომელიც დაქორწინებულ წყვილებს კონტრაცეპტივების მიღებას უკრძალავდა. სასამართლომ დაადგინა, რომ კანონი არაკონსტიტუციური იყო კონსტიტუციის პირველ, მეხუთე, მეცხრე და მეთოთხმეტე შესწორებებთან მიმართებით.³⁷ ამ საქმეში მოსამართლე არტურ გოლდბერგმა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში გააკეთა რევოლუციური განმარტება, რომლის თანახმადაც, „მიუხედავად იმისა, რომ, საქორწინო პირადი ცხოვრება როგორც უფლება, ექსპლიციტურად ნახსენები არ არის კონსტიტუციაში, იგი მხარდაჭერილია სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებითა და მეცხრე შესწორების ტექსტით, რომელიც მიუთითებს, რომ დამფუძნებლებს [...] სჯეროდათ, რომ არსებობს დამატებითი ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც დაცულია ხელისუფლების ჩარევისგან და, რომელიც არსებობს კონსტიტუციის რვა შესწორებაში პირდაპირ ნახსენებ უფლებებთან ერთად“.³⁸

ამ განმარტებასთან ერთად, საგულისხმოა, რომ არტურ გოლდბერგი არ განმარტავს მეცხრე შესწორებას როგორც რომელიმე უფლების

³⁵ *United Public Workers v. Mitchell*, 330 U.S. 75, 1947, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/330/75/>> [1.5.2021].

³⁶ Ringold A. F., The History of the Enactment of the Ninth Amendment and Its Recent Development, *Tulsa Law Review* 8, 2013, 12-13.

³⁷ *Griswold v. Connecticut*, 381 U.S. 479, 1965, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/381/479/>> [1.5.2021].

³⁸ მოსამართლე ა. გოლდბერგის თანმხვედრი მოსაზრება იხ. *Griswold v. Connecticut*, 381 U.S. 479, 1965, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/381/479/>> [1.5.2021].

დამოუკიდებელ წყაროს.³⁹ მისი განმარტებით, მეცხრე შესწორება არის მყარი ნიადაგი იმისთვის, მივიჩნით, რომ კონსტიტუციის მეხუთე⁴⁰ და მეთოთხმეტე⁴¹ შესწორებებში მოცემული „თავისუფლება“ არ არის შეზღუდული პირველ რვა შესწორებაში პირდაპირ ხსენებული უფლებებით. გადაწყვეტილებაში ასევე ხაზგასმულია, რომ მოსამართლეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ხალხის ტრადიციები და (კოლექტიური) რწმენა/სინდისი იმისთვის, რათა დაადგინონ, თუ რომელი პრინციპი არის ფუნდამენტური ხასიათის და რომელი არა.⁴²

3.3. სასამართლო პრაქტიკა *GRISWOLD V. CONNECTICUT* საქმის შემდეგ

Griswold v. Connecticut საქმის შემდეგ მეცხრე შესწორება მრავალი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი გახდა. ყველა, სკოლის მოსწავლეებიდან პოლიციელებამდე, ეყრდნობოდა მეცხრე შესწორებას და ცდილობდა იმ წესების არაკონსტიტუციურობა ემტკიცებინა, რომლებიც არეგულირებდნენ, მაგალითისთვის, თმის სიგრძეს; მეცხრე შესწორების საფუძველზე ითხოვდნენ წყლისა და ჰაერის სისუფთავეს; და ერთნაირი სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების უფლებას.⁴³

Griswold v. Connecticut საქმის ყველაზე მნიშვნელოვან გაგრძელებად აღიარებულია საქმეები, რომლებიც ეხებოდა შტატების მიერ აბორტის კრიმინალიზაციას. სახელმძღვანელო საქმეში *Roe v. Wade*, სასამართლომ განმარტა, რომ აბორტის აკრძალვით დარღვეული იყო ქალების მეცხრე შესწორებით გათვალისწინებულ უფლება, თავად მიეღოთ გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელიც თავისი ბუნებით, მიეკუთვნებოდა ადამიანის პირადი ცხოვრების ფუნდამენტური უფლების სფეროს.⁴⁴

³⁹ Kutner L., The Neglected Ninth Amendment: the “Other Rights” Retained by the People, *Marquette Law Review* 51, 1967, 129.

⁴⁰ მეხუთე შესწორება ეხება მთელ რიგ უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებასთან. დამატებითი განმარტებები იხ. Cornell Law School, Legal Information Institute, Unenumerated Rights, Ninth Amendment, Rights Retained by People, <https://www.law.cornell.edu/constitution/fifth_amendment> [21.3.2021].

⁴¹ მეთოთხმეტე შესწორება ეხება მოქალაქეობისა და სამოქალაქო უფლებების მთელ რიგ ასპექტებს. ყველაზე ხშირად იგი სამართალწარმოებაშია გამოყენებული, როგორც თანასწორობის უფლების საფუძველი. დამატებითი განმარტებები იხ. Cornell Law School, Legal Information Institute, Unenumerated Rights, Ninth Amendment, Rights Retained by People, <<https://www.law.cornell.edu/constitution/amendmentxiv>> [21.3.2021].

⁴² *Griswold v. Connecticut*, 381 U.S. 479, 487-493, 1965, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/381/479/>> [1.5.2021].

⁴³ New Jersey State Bar Foundation, Invoking the Ninth Amendment, <<https://njsbf.org/2020/11/06/invoking-the-ninth-amendment/>> [1.5.2021].

⁴⁴ *Roe v. Wade*, 410 U.S. 113, 1973, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/410/113/>> [1.5.2021].

სხვადასხვა სახის სექსუალური და რეპროდუქციული პირადი ცხოვრების კონსტიტუციური დაცვაც ასევე *Griswold v. Connecticut* საქმიდან გამომდინარეობს, რომელიც, ამ კუთხით, ნამდვილად, ჩანასახოვან გადაწყვეტილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.⁴⁵

აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს თანამედროვე პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო უმეტესწილად ცდილობს, ჩამოთვლის მიღმა დარჩენილი კონკრეტული უფლებები სხვადასხვა შესწორების მიღმა დაინახოს, თუმცა არა მეცხრე შესწორების ქვეშ.⁴⁶ ამ გზით, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო მიჰყვება მოსამართლე არტურ გოლდბერგის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მეცხრე შესწორება დამოუკიდებლად რომელიმე უფლებას არ აწესებს და, მეორე მხრივ, თავს არიდებს კონსტიტუციაში ჩამოთვლის მიღმა დარჩენილი უფლებებისთვის თავშესაფრის სწორედ მეცხრე შესწორების ქვეშ პოვნას.

4. შეჯამება

ჯონ მარშალის ცნობილი დიქტუმის თანახმად, „შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ კონსტიტუციის რომელიმე პუნქტი მიზნად ისახავდა შედეგის არქონას და, ამიტომ, ამგვარი განმარტება დაუშვებელია, თუ ამას თავად [კონსტიტუციის] ტექსტი/სიტყვები არ მოითხოვს“.⁴⁷ კითხვაზე, თუ იარსებებს ისეთი ფუნდამენტური უფლებების შესახებ დავა, რომელიც გონივრულად ვერ გამომდინარეობს უფლებათა ბილის რომელიმე შესწორებიდან და არც, მათ შორის, მეცხრე შესწორებიდან, როგორ უნდა დაადგინოს სასამართლო, რომ, პირველ რიგში, ეს უფლება ფუნდამენტურია და მეორე, რომ იგი დაცულია ჩარევისგან, პასუხის გაცემა მომავალი სასამართლო პრაქტიკის საკითხია.⁴⁸ მეცხრე შესწორების მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ, მიუხედავად იმისა, მეცხრე შესწორება, შესაძლოა, ნამდვილად იქნეს მიჩნეული სამოსამართლო სამართლის „დიდი ხნის წინ დაკარგულ კიდობნად“, არ არსებობს ამგვარი მოცემულობის გაგრძელების მიზეზი და შემდგომმა დრომ უნდა აჩვენოს, თუ რა შედეგს გამოიღებს იგი სასამართლო პრაქტიკაში.⁴⁹

⁴⁵ *Slaughter G. G.*, The Ninth Amendment's Role in the Evolution of Fundamental Rights Jurisprudence, *Indiana Law Journal* 64, 1988, 100.

⁴⁶ *Lash K. T.*, The Lost History of the Ninth Amendment, 2009, 3-11.

⁴⁷ *Marbury v. Madison*, 5 U.S. 137, 174, 1803, <<https://supreme.justia.com/cases/federal/us/5/137/>> [21.3.2021].

⁴⁸ Cornell Law School, Legal Information Institute, Unenumerated Rights, Ninth Amendment, Rights Retained by People, <<https://www.law.cornell.edu/constitution-conan/amendment-9>> [21.3.2021].

⁴⁹ *Jackson J. D.*, The Modalities of the Ninth Amendment: Ways of Thinking about Unenumerated Rights Inspired by Philip Bobbitt's Constitutional Fate, *Mississippi Law Journal* 75, 2006, 544.

IV. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 39-ე მუხლი

1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლი საფუძვლად დაედო საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის შინაარსსაც და იგი 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით 39-ე მუხლის (შემდგომში „39-ე მუხლი“) სახით, ადამიანის უფლებების თავში (კონსტიტუციის II თავი) მოქმედებდა. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან“. შესაბამისად, 39-ე მუხლი, თავისი შინაარსით, ისევე როგორც 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლი, ასრულებდა ერთგვარი „სარკმლის“ ფუნქციას ადამიანისა და მოქალაქისთვის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებთან, თავისუფლებებთან და გარანტიებთან მიმართებით, რომლებიც კონსტიტუციაში სახელდებით არ იკითხებოდა, თუმცა, თავისთავად, გამომდინარეობდნენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.⁵⁰ 39-ე მუხლს, კონსტიტუციურ პრინციპებთან ერთად, კონსტიტუციურ წესრიგში შემოჭყავდა საერთაშორისო სამართალი და სწორედ საერთაშორისო აქტებზე დაყრდნობით ქმნიდა ისეთი უფლებების დაცვის კონსტიტუციურ საფუძველს, როგორებიც არის, მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური დაცვის უფლებები.⁵¹

2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, 39-ე მუხლმა მეორე თავიდან პირველ თავში გადაინაცვლა (იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი), რითაც საქართველოს კონსტიტუციისა⁵² და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის⁵³ შესაბამისად, პირს აღარ აქვს შესაძლებლობა,

⁵⁰ გვენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, აკადემიური მაცნე, სპეციალური გამოცემა, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, 2017, 145.

⁵¹ ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, 2018, 369.

⁵² საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი: „საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით.“ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [1.7.2021].

⁵³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი: „საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიანიჩაოთ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის

39-ე მუხლთან მიმართებით იდავოს კონკრეტული ნორმის არაკონსტიტუციურობაზე. კითხვაზე, ამ ცვლილებით შემცირდა თუ არა 39-ე მუხლით გარანტირებული საპროცესო და მატერიალური გარანტიები, პასუხის პოვნის მიზნებისთვის, წინამდებარე თავი მიმოიხილავს 39-ე მუხლის, როგორც ცოცხალი კონსტიტუციის მექანიზმის, შინაარსსა და, ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.

1. 39-ე მუხლი – ცოცხალი კონსტიტუციის მექანიზმი?

კონსტიტუცია ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მისი ლოგიკური ჩარჩოს და გარემოსთან ურთიერთქმედების შესაბამისად, დროთა განმავლობაში, ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, იზრდება და ვითარდება.⁵⁴ შეუძლებელზე მეტია კონსტიტუციაში პირდაპირ განმტკიცდეს ყველა ის უფლება, რომელიც ფუნდამენტურია და, ამავდროულად, კანონმდებელმა წინასწარ განჭვრიტოს, რომ დროთა განმავლობაში არ წარმოიშობა ისეთი შემთხვევა, რომელიც კონსტიტუციაში, შესაძლოა, ახალი ფუნდამენტური უფლების დაცვის საჭიროებას განაპირობებდეს. სწორედ ამგვარი შემთხვევებისგან თავის დაცვის მიზნით გამოიყენება საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპები, როგორც დამხმარე მექანიზმი. ეს მექანიზმი განმტკიცებულია კონსტიტუციის იმ ნორმებში, რომლებშიც გამოხატულია პატივისცემა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების მიმართ.⁵⁵

გიორგი გვაზავა 1921 წლის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-ანალიტიკური ხასიათის ნაშრომში აღნიშნავს: „სახელმწიფო არის ცოცხალი ორგანიზმი, [...] კონსტიტუციის მიზანია არა მოწყობა და მოწესრიგება ყოველდღიური მოთხოვნების და უფლებრივ მიმდინარეობისა, არამედ შექმნა ისეთი, უფრო მუდმივი, უფლებრივი პრინციპებისა, რომლის ფარგლებში და რომლის თანახმად უნდა მოხდეს შემდეგ ეს მოწყობა და მოწესრიგება.“⁵⁶ ამასთან კავშირში, ასევე აღსანიშნავია ჯონ მარშალის ცნობილი დიქტუმი, რომლის თანახმადაც, ხელისუფლების უპირობო და უმთავრეს წყაროს ხალხი წარმოადგენს, რისი გამოვლინებაცაა კონსტიტუციის მიღების და შემდგომში მასში ცვლილების შეტანის უფლებამოსილება.⁵⁷ თუმცადა, ხალხისვე მინიჭე-

მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი.“ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944?publication=29>> [1.7.2021].

⁵⁴ Coan A., Living Constitution Theory, Duke Law Journal 66, 2017, 100.

⁵⁵ მოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, 155.

⁵⁶ გვაზავა გ., ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, წიგნში: კორძაძე მ., ნემსიწვერიძე თ. (რედ.), ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 189.

⁵⁷ Rehnquist W. H., The Notion of a Living Constitution, Harvard Journal of Law & Public Policy 29, 1976, 404,

ბული უფლებამოსილებით, „კონსტიტუცია არის ის, როგორც მოსამართლეები მას დაინახავენ“.⁵⁸ ამრიგად, იმისთვის, რომ კონსტიტუციის ზოგადი ჩანაწერი იქცეს ცოცხალ, ქმედით ნორმად და მიმართული იყოს თანამედროვე საზოგადოებაში არსებული გამოწვევების საპასუხო იარაღად, უპირობოდ მნიშვნელოვანია, მოსამართლეთა კომპეტენციისა და სითამამის გამოვლინება.⁵⁹

ამრიგად, კონსტიტუციურ უფლებათა წესრიგის მუდმივი სიცოცხლისუნარიანობისთვის მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა სასარგებლოდ მოქმედი სასამართლო ხელისუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, კონსტიტუციური მოცემულობა, რომელიც შესაძლებელს გახდის, ადამიანის უფლებათა დაცვა მკაცრად შემოფარგლული არ იყოს, კონსტიტუციაში პირდაპირ ჩამოთვლილი უფლებებით. ე.წ. „მისტიკური“ 39-ე მუხლი სწორედ ის ერთგვარი „უკანასკნელი“ საშუალება იყო, რომლითაც ცოცხალი კონსტიტუციის იდეის ქვეშ, ძირითადი უფლებების ამოწურავობა იყო უზრუნველყოფილი და, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, კონსტიტუციაში ექსპლიციტური მოხსენიების მიღმა დარჩენილი ძირითადი უფლებებისთვის სიცოცხლის შთაბერვის შესაძლებლობას იძლეოდა.⁶⁰ მაგალითისთვის, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ 39-ე მუხლს მკაფიო პერსპექტივა ჰქონდა, კონსტიტუციური პრინციპების საფუძველზე შემოქმედებითად განვეითარებინა ძირითადი უფლებები და, *inter alia*, ჩამოეყალიბებინა სამართლებრივი გარანტიები შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების, კულტურული იდენტობის უფლებისა თუ სხვა, კონსტიტუციაში პირდაპირი მოხსენიების მიღმა დარჩენილი, ე.წ. ნაგულისხმევი უფლებებისთვის.⁶¹

<https://www.ejtn.eu/Documents/About%20EJTN/Independent%20Seminars/Human%20Rights%20BCN%2028-29%20April%202014/Rehnquist_Living_Constitution_HJLPP_2006.pdf> [29.3.2021].

⁵⁸ *Rehnquist W. H.*, The Notion of a Living Constitution, Harvard Journal of Law & Public Policy 29, 1976, 407, <https://www.ejtn.eu/Documents/About%20EJTN/Independent%20Seminars/Human%20Rights%20BCN%2028-29%20April%202014/Rehnquist_Living_Constitution_HJLPP_2006.pdf> [29.3.2021].

⁵⁹ *Rehnquist W. H.*, The Notion of a Living Constitution, Harvard Journal of Law & Public Policy 29, 1976, 407, <https://www.ejtn.eu/Documents/About%20EJTN/Independent%20Seminars/Human%20Rights%20BCN%2028-29%20April%202014/Rehnquist_Living_Constitution_HJLPP_2006.pdf> [29.3.2021].

⁶⁰ გვეგნავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, აკადემიური მაცნე, სპეციალური გამოცემა, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, 2017, 144.

⁶¹ იზორია ლ., კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარე სხვა უფლებების აღიარება, კრებულში: ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., ზოიძე ბ., იზორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე მ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტყარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, 483.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა 39-ე მუხლთან დაკავშირებით

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელია დამკვიდრებული, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ სპეციალიზებულ ორგანოს.⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, კანონის ან მისი რომელიმე ნაწილის არაკონსტიტუციურად მიჩნევისას, „ნეგატიური კანონმდებლის“ ფუნქციას ახორციელებს.⁶³ შედეგად, არაკონსტიტუციური ნორმების გაუქმების გზით, იგი კანონმდებელს სწორი საკანონმდებლო ნების ჩამოყალიბების მიმართულებით მნიშვნელოვან დახმარებას უწევს.⁶⁴ სამართლებრივი კონტროლის განხორციელების პროცესში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთადერთ სამართლებრივ მასშტაბს საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს, ამრიგად, 39-ე მუხლში მოხსენიებული ადამიანის უფლებები საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე უფლებებად არსებობდნენ და სწორედ ისინი წარმოადგენდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაცვის საგანს.⁶⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ უფლებას კონსტიტუციური დაცვის გარანტია სწორედ 39-ე მუხლით მიანიჭა.⁶⁶ სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლით დაცულ სფეროში შეიძლება მოექცეს მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც არ წარმოადგენს სხვა კონსტიტუციური დებულებებით დაცული სფეროს ნაწილს.⁶⁷ შედეგად, 39-ე მუხლი მოქმედებდა იმ უფლებათა დაცვის მიზნით, რომლებიც კონსტიტუციაში არ არის მოხსენიებული, თუმცა გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.⁶⁸ შესაბამისად,

⁶² გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, 2017, 443, იხ. ციტირება: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, 2016, 447.

⁶³ გვენავა დ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, 2007, 295, იხ. ციტირება: Faber R., The Austrian Constitutional Court – An Overview, Vienna Journal on International Constitutional Law 1, 2008, 51.

⁶⁴ შოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, 155.

⁶⁵ იმორია ლ., კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარე სხვა უფლებების აღიარება, კრებულში: ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., შოიძე ბ., იმორია ლ., კობახიძე ი., ლორია ა., მაჭარაძე გ., ტურავა მ., ფირცხალაშვილი ა., ფუტკარაძე ი., ქანთარია ბ., წერეთელი დ., ჯორბენაძე ს., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, 483.

⁶⁶ ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, 2018, 369.

⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის N1/17/738 განჩინება „საქართველოს მოქალაქე პაატა ქობულაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-3, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1276>> [1.7.2021]

⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის N2/2/416 საოქმო ჩანაწერი „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=429>> [1.7.2021].

ნორმა კიდევ ერთხელ ცხადყოფდა, რომ უფლების აღიარებისთვის აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს მისი კონსტიტუციის რომელიმე ნორმაში მოხსენიება, არამედ მთავარი წინაპირობაა სამართლებრივი გარემოება, რომ იგი გამომდინარეობდეს კონსტიტუციის პრინციპებიდან.⁶⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, 39-ე მუხლი „არ არის უფლებათა და თავისუფლებათა მტვირთველი ნორმა“⁷⁰, თუმცა 39-ე მუხლის კონსტიტუციურ დებულებაში უნდა მოიაზრობდეს უფლებანი, რომლებიც არაპირდაპირ, თუმცაღა მაინც გამომდინარეობს კონსტიტუციური პრინციპებიდან, ხოლო ეს უკანასკნელი უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციურ გადაწყვეტად, ერთგვარ მოწესრიგებად.⁷¹ ამგვარი კონსტიტუციურსამართლებრივი პრინციპებია: დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება; ეკონომიკური თავისუფლება; სოციალური სახელმწიფო; სამართლებრივი სახელმწიფო; ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა.⁷² კითხვაზე, თუ რა შემთხვევაში იქნებოდა 39-ე მუხლის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოში დავა პერსპექტიული, სასამართლო პრაქტიკა შემდეგნაირად სცემს პასუხს: „39-ე მუხლზე აპელირება იმ შემთხვევაში [არის შესაძლებელი], როდესაც უფლება არ არის მოცემული საქართველოს კონსტიტუციაში ან კონსტიტუციური უფლების ფარგლები არის უფრო ვიწრო, ვიდრე ეს საერთაშორისო ვალდებულებებით არის გათვალისწინებული.“⁷³ უფრო ზუსტად კი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, აღნიშნული მუხლი გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც კონსტიტუციაში სახელდებით დადგე-

⁶⁹ გოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, 155.

⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 3 ივლისის N2/6/205,232 გადაწყვეტილება „1. მოქალაქე ავთანდილ რიუამაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2. მოქალაქე ნელი მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1, <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=176>> [1.7.2021].

⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის N2/2/416 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=429>> [1.7.2021].

⁷² ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, 537.

⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2011 წლის 11 ივლისის N3/2/416 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-66, <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1404703?publication=0>> [1.7.2021]; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის N1/2/458 განჩინება „საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-22-23, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=404>> [1.7.2021]; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის N1/5/489-498 განჩინება „საქართველოს მოქალაქეები – ოთარ კვენეტაძე და იზოლდა რჩეულიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3, <<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=488>> [1.7.2021].

ნილი ნორმების განმარტების შედეგადაც კი, ვერ ხორციელდებოდა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტში მოცემული ადეკვატური სტანდარტის მოძიება.⁷⁴

39-ე მუხლის გამოყენებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ შეუფასებია საერთაშორისო აქტებით განსაზღვრული ვალდებულების მიმართება კონკრეტულ სამართლებრივ შემთხვევებთან. მაგალითისთვის, 2002 წლის გადაწყვეტილებაში ბაჭუა გაჩეჩილაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მოსარჩელეთა უფლებების საერთაშორისო-სამართლებრივ და ზოგად მნიშვნელობაზე საუბრისას საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ვალდებულებებზე, კერძოდ, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 22-ე⁷⁵ და 25-ე მუხლებზე.⁷⁶ სასამართლომ მიუთითა, რომ, როგორც ეს დეკლარაციის ტექსტიდან ჩანს, სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ თავიანთი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებას ეროვნული თუ საერთაშორისო ღონისძიებების მეშვეობით.⁷⁷ ამავე საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უმნიშვნელოვანესი განმარტება გააკეთა, რომლის მიხედვითაც, 39-ე მუხლით დაცული სფერო განმარტა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შუქზე. კერძოდ, სოციალურ უფლებებთან მიმართებით დაადგინა, რომ სახელმწიფომ მათ დასაცავად, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც უნდა უზრუნველყოს. „სხვანაირად, აზრი ეკარგება

⁷⁴ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013, 537.

⁷⁵ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 22: „ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს აქვს სოციალური უზრუნველყოფის, ღირსების შენარჩუნების და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უფლება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში ეროვნული ძალისხმევის, საერთაშორისო თანამშრომლობის მეოხებით და, ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესატყვისად.“ <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>> [1.7.2021].

⁷⁶ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 25-ე მუხლის პირველი პუნქტი: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს იყოს ისეთ ცხოვრებისეულ დონეზე, რომელიც გულისხმობს საკვების, ტანისამოსის, საცხოვრისის, სამედიცინო მოვლისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და დოვლათისათვის, ადამიანს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერეში დაუძლურების თუ, მისგან დამოუკიდებლად არსებობისათვის სხვა საშუალებების დაკარგვის შემთხვევაში.“ <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>> [1.7.2021].

⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/1/126,129,158 გადაწყვეტილება „(1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3, <<https://constcourt.ge/uploads/documents/5e5fabc956497.docx>> [1.7.2021].

სახელმწიფოთა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს.⁷⁸ შე-საბამისად, დადგენილი პრაქტიკით, საქართველოში სოციალური უფლებების აღიარების საკითხთან მიმართებით, სასამართლომ, 39-ე მუხლზე დაყრდნობით, განმარტა, რომ სოციალური და ეკონომიკური უფლებები კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებებია.⁷⁹ 39-ე მუხლი უფრო ფართოდ განმარტა სასამართლომ, როდესაც მისით დაცული სფერო არა საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო, არამედ სარეკომენდაციო საერთაშორისო დოკუმენტის საფუძველზე გააფართოვა. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა ევროპის გაერთიანების საბჭოს 1981 წლის 27 ოქტომბრის რეკომენდაცია გაერთიანებაში „ელექტროენერჯის ტარიფის სტრუქტურის შესახებ“ (81/924).⁸⁰

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, 39-ე მუხლის მიზანია, უზრუნველყოს უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციური პრინციპიდან და საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებიდან გამომდინარე უფლება სახელდებით არ არის მოცემული საქართველოს კონსტიტუციის ნორმებში ან კონსტიტუციაში უკვე სახელდებით ჩამოთვლილი უფლებებით დაცულ სფეროში ვერ თავსდება.

⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/1/126,129,158 გადაწყვეტილება „(1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4, <<https://constcourt.ge/uploads/documents/5e5fabc956497.docx>> [1.7.2021].

⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/1/126,129,158 გადაწყვეტილება „(1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3, <<https://constcourt.ge/uploads/documents/5e5fabc956497.docx>> [1.7.2021], იხ. ციტირება წიგნში: *სამაშვილი ბ., სოციოეკონომიკური უფლებები: ძირითადი უფლებები თუ სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულება?*, სამართლის ჟურნალი 1, 2015, 401.

⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ის) წინააღმდეგ“, I-8, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=116>> [5.7.2021].

V. შემცირდა თუ არა 39-ე მუხლის მეორე თავიდან პირველ თავში გადატანით, უფლების დაცულობის მატერიალური და საპროცესო გარანტიები?

როგორც მე-4 თავში განვიხილეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 39-ე მუხლით განმტკიცებული მექანიზმი გამოიყენა და იგი ფართო შინაარსის ქმედით კარად აქცია. შესაბამისად, ვინაიდან „ნორმა არის ძირითადი უფლების ყოფიერების ერთადერთი ფორმა“,⁸¹ 39-ე მუხლი იქცა იმ ნორმად, რომელიც კონსტიტუციაში ექსპლიციტური ჩამოთვლის მიღმა დარჩენილ უფლებებს სიცოცხლისუნარიანობას სძენდა. განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე, კერძოდ, 39-ე მუხლის მეორე თავიდან პირველ თავში გადატანით, საინტერესოა, ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში როგორი გადაწყვეტა ექნება ამ ნორმის უფლების დაცვის საშუალებიდან პრინციპად გადაქცევას.

განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, განმარტავს შემდეგს: „სამართლებრივი სიცხადის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელი ეფუძნებოდეს კონსტიტუციის მეორე თავით განმტკიცებულ კონკრეტულ ძირითად უფლებებს, რაც უზრუნველყოფს ამ უფლებების დოქტრინით გამყარებული მკაფიო კრიტერიუმების გამოყენებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების გამოტანისას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მეორე თავი უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების სრულყოფილ დაცვას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ინდივიდის თავისუფლების ესა თუ ის ასპექტი კონსტიტუციის კონკრეტული ჩანაწერით არ არის დაცული. კონსტიტუცია განამტკიცებს ადამიანის ღირსების უფლებას, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასა და სხვა ძირითად უფლებებს, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ინდივიდის თავისუფლებისა და საქმიანობის ნებისმიერი ასპექტის სრულფასოვანი დაცვა.“⁸²

პირველივე წაკითხვით ნათელი ხდება, რომ საქართველოს კონსტიტუცია აღარ განიხილავს 39-ე მუხლის, როგორც პირველ თავში გადატანილი ნორმის საფუძველზე სასამართლოში სამართლებრივი დავისა და მასთან მიმართებით ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის აქამდე არსებულ შესაძლებლობას. არამედ იგი ამტკიცებს, რომ 39-ე მუხლით

⁸¹ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005, 334.

⁸² საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, მუხლი 4, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149115?fbclid=IwAR09W5ujU45YLZleJ3UV5jddzXPhSDTjVuzMa_7M_akbPAU_XIMvajiRDZxc> [25.3.2021].

დაცული სიკეთეების ამოკითხვა კონსტიტუციის სხვა მუხლებშიც სრულად შესაძლებელია. ამასთან, ყურადღება მისაქცევია განმარტებითი ბარათის ტექსტი, რომლის თანახმადაც, „სარჩელი [მიზანშეწონილია] ეფუძნებოდეს კონსტიტუციის მეორე თავით განმტკიცებულ კონკრეტულ ძირითად უფლებებს“.⁸³ ამ განმარტებით, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ კანონმდებლის მიერ 39-ე მუხლის პირველ თავში გადატანა იმითაც იყო განპირობებული, რომ კანონმდებელი არ მიიჩნევდა 39-ე მუხლს როგორც კონკრეტული უფლების განმამტკიცებელ ნორმას, არამედ ხედავდა მას როგორც აბსტრაქტულ, „მისტიკურ“ მუხლს.

შემოთავაზებული გზა შესაძლოა, სულაც არ იყოს უმტკივნეულო ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემური განვითარებისა და დახვეწის პროცესში იმდენად, რამდენადაც დასახელებული უფლებები, მათ შორის, ღირსების უფლება და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მათემატიკური სიზუსტით ვერ შეძლებს, ჩაანაცვლოს 39-ე მუხლით აქამდე დადგენილი კონსტიტუციური პრინციპებისა თუ საერთაშორისო ვალდებულებებისკენ მიმართული სარკმლის ფუნქცია. თუმცადა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით შესაძლებელია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, საჭიროების არსებობის შემთხვევაში, კონსტიტუციური საყრდენები, რომელთაც კონსტიტუციის წინა რედაქცია ქმნიდა საქართველოს კონსტიტუციაში, ამოკითხულ იქნეს სწორედ კონსტიტუციის განმარტებითი ბარათით შემოთავაზებულ უფლებებში. ამისგან დამოუკიდებლად, მიგვაჩნია, რომ კანონმდებლის მიერ შემოთავაზებულმა გზამ მნიშვნელოვნად გაურთულა საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების მსურველ სუბიექტებს მდგომარეობა. ამ მტკიცების საფუძვლად გამოდგება ის ფაქტი, რომ 39-ე მუხლის რეალური და პირდაპირი მოქმედება არაერთხელ განმტკიცებულა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში და ეს მუხლი არ ყოფილა ბუნდოვანი შინაარსის მატარებელი ნორმა (როგორც ამას განმარტებითი ბარათი გვთავაზობს), არამედ იგი იყო კარი იმ კონკრეტული უფლებებისთვის, რომლებიც კონსტიტუციის ტექსტში პირდაპირ ჩამოთვლის მიღმა დარჩნენ.

ამ მტკიცების საფუძვლად გამოდგება, მაგალითისთვის, საქმე საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ, რომელშიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ კონსტიტუციის

⁸³ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, მუხლი 4, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149115?fbclid=IwAR09W5ujU45YLZleJ3UV5jddzXPhSDTjVuzMa_7M_akbPAU_XIMvajRDZxc> [25.3.2021].

39-ე მუხლთან მიმართებით დაადგინა დარღვევა და სწორედ ამ გადაწყვეტილებაში გააფართოვა 39-ე მუხლით დაცული სფერო, *inter alia*, სარეკომენდაციო საერთაშორისო დოკუმენტის საფუძველზე.⁸⁴ აქვე აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეების – (1) ტრისტან ხანიშვილის, თედორე ნინიძის, ნოდარ ჭითანავას, ლევან ალექსიძის და სხვების (სულ 11 მოსარჩელე) 174-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებით, რომლის დაცვის ობიექტთა შორის მოიაზრება *inter alia* მოსარჩელეთა სოციალური უზრუნველყოფის უფლება. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლზე⁸⁵ და ნორმა არაკონსტიტუციურად მიიჩნია.⁸⁶

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს ჰქონდა პირდაპირი მოქმედება მაშინაც, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის გადაწყვეტილებაში ბატუა გაჩეჩილაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა უფლებების საკონსტიტუციო საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი და კონკრეტული სადავო ნორმები სწორედ ამ მუხლის საფუძველით არაკონსტიტუციურად მიიჩნია. 39-ე მუხლის მოქმედების ხელშესახებ შედეგზე ასევე მეტყველებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს მოსახლეობის უფლება – დამოუკიდებლად, სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირების ჩაურევლად შექმნან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და აირჩიონ შესაბამისი ხელმძღვანელები. ამ საქმეში დარღვევა სწორედ 39-ე მუხლზე დაყრდნობით დადგინდა. სასამართლომ აქ ასევე მიუთითა

⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის N1/3/136 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ის) წინააღმდეგ“, I-8, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=116>> [5.7.2021].

⁸⁵ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 9: „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.“ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0>> [5.7.2021].

⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის №1/2/174,199 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეების – (1) ტრისტან ხანიშვილის, თედორე ნინიძის, ნოდარ ჭითანავას, ლევან ალექსიძის და სხვების (სულ 11 მოსარჩელე) 174-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=230>> [1.7.2021].

საერთაშორისო აქტზე, კერძოდ კი, 1966 წელს მიღებულ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტზე“ და ამ პაქტით ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებზე.⁸⁷

ამრიგად, გარდა სამართალშემოქმედების და უფლებრივი ფარგლების განვითარების ფართო პერსპექტივისა, საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი ატარებდა მნიშვნელოვან პრაქტიკულ დატვირთვას და ჰქონდა ადამიანის უფლებათა დაცვის რეალური, ქმედითი მექანიზმის ფუნქცია. შესაძლოა, მივიჩნიოთ, რომ სწორედ ამ ხელშესახები დატვირთვიდან გამომდინარე, 39-ე მუხლი, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლის სამართალმემკვიდრე, არა მხოლოდ სიმბოლურად იყო აშშ-ის კონსტიტუციის IX შესწორებისგან შთაგონების შედეგი, არამედ იგი ასრულებდა იმ ფუნქციას, რაც სწორედ 1921 წლის კონსტიტუციის დამფუძნებლებმა დაისახეს მიზნად. 39-ე მუხლის კონსტიტუციის პირველ თავში გადატანით კი პირს წაერთვა საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილება, თუ მიაჩნია, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს მისი ისეთი უფლება, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში.⁸⁸

ამასთან, ასევე საყურადღებოა, რომ ზემოთ განხილულ საქმეებში საკონსტიტუციო სასამართლომ, არა მხოლოდ, დარღვევა დაადგინა უშუალოდ კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებით, არამედ დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებას. შედეგად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, უფლებების პროგრესული განმარტების მიზნებისთვის, კონსტიტუციური გარანტიების დადგენისას მსჯელობაში პირდაპირ ჩართო საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებების განხილვის აუცილებლობა. ეს მიდგომა კი არაფერია, თუ არა ადამიანის უფლებების საკეთილდღეოდ გადადგმული ნაბიჯი. სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 26-ე მუხლი განამტკიცებს *pacta sunt servanda*-ს პრინციპს, რომლის თანახმადაც, „ყოველი ძალაში მყოფი ხელშეკრულება სავალდებულოა მისი მხარეებისთვის

⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 16 თებერვლის №1/2/213,243 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – უტა ლიპარტია, გიორგი ხმელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=211>> [1.7.2021].

⁸⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [1.7.2021]; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944?publication=29>> [1.7.2021].

და მათ მიერ კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს“. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ“. შესაბამისად, 39-ე მუხლის მეორე თავში არსებობა მოსარჩელებისთვის, ერთი მხრივ, ხსნიდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის პერსპექტივას და, მეორე მხრივ, ქმნიდა შესაძლებლობას, სტრატეგიული სამართალწარმოების მიზნებისთვის კონსტიტუციაში კონკრეტული უფლების არსებობა, რომელიც ექსპლიციტურად ჩამოთვლილ უფლებათა სიაში არ ექცეოდა, საერთაშორისო სამართლის შუქზე 39-ე მუხლის ქვეშ ემტკიცებინათ. შედეგად, 39-ე მუხლი, გარკვეულწილად, ქოლგა-უფლება იყო იმ მოსარჩელებისთვის, რომლებიც თავიანთი პოტენციურად დარღვეული უფლების პირდაპირ შესატყვისს სხვა მუხლების ქვეშ ვერ პოულობდნენ. ცხადია, 39-ე მუხლის მეორე თავიდან გაქრობა *inter alia* არ გამორიცხავს სხვა კონსტიტუციური უფლებებით დაცული სფეროს საერთაშორისო სამართლის შუქზე გაფართოების შესაძლებლობას. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ, როგორც კანონპროექტის განმარტებითი ბარათი გვთავაზობს, ყველა მოსარჩელემ, რომელიც 39-ე მუხლით აქამდე დაცულ უფლებრივ ფარგლებზე დავას გადაწყვეტს, იმ კონკრეტული კონსტიტუციური გარანტიის არსებობა, რომელიც კონსტიტუციის სხვა მუხლებით დაცულ სფეროში არ თავსდება, ღირსების უფლების ან პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ქვეშ უნდა ეძებოს, რაც მოსარჩელეს, წარსულ მოწესრიგებასთან შედარებით, მნიშვნელოვან ტვირთს დააკისრებს.

ამრიგად, ცვლილებამ, ერთი მხრივ, შეამცირა საქართველოს კონსტიტუციაში ცოცხალი კონსტიტუციის მექანიზმის შემომცვანი ნორმის მოქმედების ფარგლები და, მეორე მხრივ, მიმართვის მსურველ პირებს შეუზღუდა უფლებამოსილება, იდავონ კონკრეტული ნორმის არაკონსტიტუციურობაზე 39-ე მუხლით დაცულ უფლებასთან მიმართებით, რაც, ცხადად, უფლების სისტემური დაცვის საუარესოდ განხორციელებული მოწესრიგებაა.

VI. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი, კითხვას, უარყო თუ არა კანონმდებელმა 2018 წლის ცვლილებებით 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლის სამართალ-მემკვიდრეობა, დადებით პასუხს სცემს. ამ მტკიცების საფუძველად, ნაშრომმა ზოგადად მიმოიხილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლი და აშშ-ის კონსტიტუციის IX შესწორება, როგორც 45-ე მუხლის შექმნის ინსპირაცია, რის შემდეგაც, წარმოაჩინა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) თეორიული და საპროცესო დანიშნულება კონსტიტუციის მე-2 თავით დაცულ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალში და მისი ბმა ცოცხალი კონსტიტუციის ქმედით მექანიზმებთან.

ანალიზის საფუძველზე თვალსაჩინოა, რომ კანონმდებელმა 2018 წლის ცვლილებებით უარყო 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლის სამართალმემკვიდრე 39-ე მუხლის საპროცესო დანიშნულება იმ მოცემულობაში, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, 39-ე მუხლი უზრუნველყოფდა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას იმ შემთხვევაში, თუ უფლება სახელდებით არ იკითხებოდა საქართველოს კონსტიტუციის ნორმებში, თუმცა თავისთავად გამომდინარეობდა კონსტიტუციის პრინციპებიდან და საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებიდან. მეტიც, მიგვაჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში 39-ე მუხლს იმაზე მეტი პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, ვიდრე აშშ-ის კონსტიტუციაში IX შესწორებას აქვს იმ კუთხით, რომ, როგორც სტატიის მესამე თავში აღმოვაჩინეთ, მიუხედავად რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმისა, საერთო სასამართლო ტენდენცია იმგვარია, რომ მოსამართლეები მეცხრე შესწორების, როგორც კონკრეტული კონსტიტუციური უფლების საყრდენად წარმოჩენას, მეტად უფრთხიან და კონსტიტუციურ გარანტიებს უმეტესწილად კონსტიტუციაში ექსპლიციტურად ჩამოთვლილ უფლებათა შორის პოულობენ. ამისგან განსხვავებით, როგორც სტატიის მეოთხე და მეხუთე თავებში იქნა განხილული, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ დაუდგენია დარღვევა კონსტიტუციის 39-ე მუხლთან მიმართებით და კონკრეტული კონსტიტუციური გარანტია სწორედ ამ მუხლის ქვეშ აღმოუჩენია. შედეგად, მიგვაჩნია, რომ 2018 წლის ცვლილებებამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვისთვის უფლებამოსილი პირები მნიშვნელოვანი სამართლებრივი იარაღით იყვნენ აღჭურვილნი – დაეცვათ საკუთარი ის უფლებები, რომლებიც, მართალია, კონსტიტუციაში არ იყო მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად

გამომდინარეობდა კონსტიტუციის პრინციპებიდან ან სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებებიდან.

ამასთან, კრიტიკულად უნდა შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განმარტებითი ბარათის მითითება, რომ „სამართლებრივი სიცხადის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელი ეფუძნებოდეს კონსტიტუციის მეორე თავით განმტკიცებულ კონკრეტულ ძირითად უფლებებს, რაც უზრუნველყოფს ამ უფლებების დოქტრინით გამყარებული მკაფიო კრიტერიუმების გამოყენებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების გამოტანისას“.⁸⁹ ამ მტკიცებიდან გამომდინარეობს, რომ 39-ე მუხლი არანაირ კონკრეტულ უფლებას არ გვთავაზობდა, მაშინ, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საპირისპიროს მოწმობს და, თუნდაც, სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებების „თავშესაფარი“ სწორედ 39-ე მუხლის ქვეშ იყო.

აღნიშნულთან კავშირში სიმბოლურია, გავიხსენოთ საკონსტიტუციო კომისიის მიწვეული წევრის, იურისტ კონსტანტინე მიქელაძის სიტყვები, რომელიც 1921 წლის კონსტიტუციის მიღების პროცესთან მიმართებით აღნიშნავდა, რომ „უფლება იარსებებს მაშინ, თუკი ვალდებულება არსებობს. [...] კონსტიტუციაში შეიძლება იქნენ მოთავსებული ისეთი ნორმები, რომლების დანიშნულებას შეადგენს ის, რომ პიროვნების ძირითადი უფლებები ხელშეუხებელი იქნენ ჩვეულებრივი კანონმდებლის და აღმასრულებელი ორგანოს მხრივ, ე.ი. მათ ჰქონდეთ შესაფერი გარანტიები“.⁹⁰ შესაბამისად, ვინაიდან 1921 წელს დამფუძნებელთა კრებამ 45-ე მუხლი მოათავსა კონსტიტუციის ტექსტში, ხოლო შემდეგ, 1995 წლის კონსტიტუციამ 39-ე მუხლის სახით შექმნა 45-ე მუხლის ანალოგი, განმტკიცებული იყო ნება, რომ 39-ე მუხლი აწესრიგებდა კონკრეტულ უფლებას/უფლებებს, რომელთან მიმართებითაც სახელმწიფოს ჰქონდა გარკვეული ვალდებულებები. როგორც არაერთგზის აღინიშნა, ეს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაშიც ნათლად ჩანს.

შედეგად, 39-ე მუხლის მეორე თავიდან პირველ თავში გადატანით, შეიზღუდა შესაძლებლობა, ამ მუხლის საფუძველზე პირმა იდავოს საკონსტიტუციო სასამართლოში. მეტიც, ამ ცვლილებამ ასევე შეამცირა

⁸⁹ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი, მუხლი 4 <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149115?fbclid=IwAR09W5ujU45YLZleJ3UV5jddzXPhSDTjVuzMa_7M_akbPAU_XIMvajRDZxc> [25.3.2021].

⁹⁰ მიქელაძე კ., დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ, წიგნში: კორძაძე მ., ნემსიწვერიძე თ. (რედ.), ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, 2016, 77.

საქართველოს კონსტიტუციაში ცოცხალი კონსტიტუციის მექანიზმის ფარგლები, თუმცა, ამასთან მიმართებით, გამოვთქვამთ იმედს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის პირველ თავში აღიარებული პრინციპების შუქზე არ დაივიწყებს ადამიანის უფლებებისთვის აქამდე გაკვალულ გზას. შესაბამისად, მიუხედავად 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლის სამართალმემკვიდრეობის ამგვარი შეზღუდვისა, მნიშვნელოვანი იქნება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში, განაგრძოს სვლა ადამიანის უფლებათა სასარგებლოდ მიღებული გადანაცვლებების შემუშავებისკენ და მიაგნოს მნიშვნელოვან, ღირებულ დასაყრდენებს, რომლებიც კვლავ მისცემს მოქალაქეს საშუალებას, იდავოს კონსტიტუციის პრინციპებისა და სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებით აღიარებული იმ უფლებების დასაცავად, რომლებიც პირდაპირ, სახელ-დებით არ არის მოხსენიებული კონსტიტუციის ტექსტში.